1

სამართლიანი სასამართლოს უფლება

თბილისი
2001



წიგნი გამოიცა
OSI-ს, ABA-ს,
USAID-ისა და
ALPE-ს
ფინანსური
მხარდაჭერით.



ALPE

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორები: ირაკლი სესიაშვილი
მაია მენალარიშვილი
თარგმანი: გიორგი კუკულავა
ნინო ბაქაქური
რედაქტორის თანაშემწე: ნინო სუქნიძე
ტექ. რედაქტორი: ვახტანგ ელიოზიშვილი
ტექ. რედაქტორის თანაშემწე: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თინათინ ხიდაშელი



აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ავლევის ქ. 21
თბილისი 380001, საქართველო
(+995 32) 93 61 01

ტირაჟი 1000 ცალი

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გაურცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

© 2001, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ISBN 99928-818-0-1

ყველას აქვს უფლება საკუთარი
სამოქალაქო უფლებებისა და
მოვალეობების ან მისთვის
წაყენებული ბრალდების
დასადგენად განიხილოს მისი
საქმე კანონის შესაბამისად
შექმნილმა დამოუკიდებელმა და
მიუკერძოებელმა სასამართლომ
საქმართლიანად, საჯაროდ და
გონივრულ ვადაში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
ევროპის კონვენციის მე-6 მუხლი
რომი, 4 ნოემბერი, 1950 წელი

წინასიტყვაობა

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის შხარდაჭერის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა გასაგრძელებლად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მკითხველს სთავაზობს წინამდებარე კრებულს. კრებული მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პროფესიონალიზმის განმტკიცებისათვის მიღებულ დოკუმენტებს. ამ დოკუმენტების დიდი უმრავლესობა პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ისინი სახელმძღვანელო პრინციპები გახდება რეფორმირებული სასამართლო კოლეგიისა და უველა იმ დაწესებულებისათვის, რომლებიც საქართველოში პროფესიული და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის დამკვიდრებას ემსახურებიან.

გაეროს ადამიანის უფლებათა ძირითად დოკუმენტებთან მიერთებისა და განსაკუთრებით, ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ, საქართველომ აიღო მთელი რიგი ვალდებულებებისა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და განმტკიცებისათვის. ამ ვალდებულებების ნაწილია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაც და სტრასბურგში მიღებული გადაწყვეტილებები. ამასთანავე, არსებული პრეცედენტები ქვეყნებისათვის ისეთივე სავალდებულო ძალისაა, როგორც, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია.

ბუნებრივია, შეუძლებელია მოითხოვო სამართალდამცავი ორგანოების ან მართლმსაჯულების წარმომადგენლებისაგან იმ დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების პატივისცემა და შესრულება, რომლებიც მათ არასოდეს წაუკითხავთ და რომელთა არსებობის შესახებ შესაძლებელია არც სმენიათ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უკვე რამდენიმე წელია ცდილობს ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი გახადოს უველა ის ძირითადი კონვენცია და ხელშეკრულება რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად და რომლის დაცვაც საქართველოს თითოეული მოქალაქის ინტერესს

წარმოადგენს. თუმცა, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ეს საკმარისი არ არის და უმნიშვნელოვანესია ჩვენს სახელმწიფოში დაიწყოს ევროპის სასამართლო პრაქტიკის გახიარება და დანერგვა. შეუძლებელია ითარგმნოს და ქართულ ენაზე გამოქვეყნდეს უველა საქმე, მაგრამ, ალბათ, უნდა ითარგმნოს ის საქმეები მაინც, რომლებიც ე.წ. სანიმუშო საქმეებად ითვლება და რომელთაც თავად ევროპის სასამართლოც ინტენსიურად იუენებს გადაწუვეტილებების მიღების დროს. სწორედ ამ მიზნით, საქმეების თარგმნის პირველი მოკრძალებული მცდელობაა წარმოდგენილი წინამდებარე კრებულში.

გარდა ამისა, კრებულში თავი მოგუყარეთ ადამიანის უფლებათა სხვადასხვა დოკუმენტებს კონკრეტულ უფლებებთან მიმართებაში და თითოეულ დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს, შესაძლებლობის ფარგლებში, სრული ინფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ უფლების რეალიზაციის სამართლებრივი გარანტიების შესახებ. ამგვარი კრებულების ციკლი გაგრძელდება და იმედი გვაქვს მკითხველს მივაწოდით საინტერესო მასალას სიცოცხლის უფლების, სიტყვის თავისუფლების, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, გადაადგილების თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობისა და სხვა ფუნდამენტური, კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლების შესახებ. სულ დაგეგმილია 10 კრებულის გამოცემა.

ასოციაცია მოხარული იქნება და მზად არის გაეცნოს თქვენს შემოთავაზებებსა და სურვილებს დაგეგმილ გამოცემებთან მიმართებაში.

თინათინ ხიდაშელი

შინაარსი

I. ადამიანის უფლებათა დოკუმენტები

1. სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები 12
მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ; მილანი 1985 წლის 26 აგვისტო - 6 სექტემბერი
ძალაში შევიდა: გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით

2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლი 18

3. მოსამართლეთა სტატუსი ევროპაში 19
სტრასბურგი, 1997 წლის 9-11 იელისი

4. მოსამართლეთა სტატუსი ევროპაში: ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ 21
სტრასბურგი, 1998 წლის 8–10 იელისი

5. ევროპის ქარტია ევროპის მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის საბჭოს საერთო სასამართლო სივრცეში 23
ლისაბონი, 1999 წლის 8-10 აპრილი

6. ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ 25
სტრას! ბურგი, 1998 წლის 8-10 იელისი

7. მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი 33

8. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ნორმები 51
სასამართლოს რეგისტრატურა, სტრასბურგი 4 ნოემბერი, 1998 წელი

II. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის შესახებ

1. მართლმსაჯულებისათვის ეიპართვის გამარტივების ღონისძიებათა შესახებ 104
წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (81) 7
(მიღებულია 1981 წლის 14 მაისს მინისტრთა კომიტეტის 68–ე სხდომაზე)

2. მართლმსაჯულების მუშაობის გამაუჯობესებელი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების შესახებ 109
წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (84) 5
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1984 წლის 28 თებერვალს მინისტრთა წარმომადგენლების 367-ე შესვედრაზე)

3. მართლსაჯულების მუშაობის გამაუმჯობესებელი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების შესახებ 111
№ R (84) 5 რეკომენდაციის დანართი

4. სასამართლოების ზედმეტი სამუშაო დატვირთვის თავიდან აცილებისა და შეფცირების ღონისძიებათა შესახებ 115
წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (86) 12
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1986 წლის 16 სექტემბერს მინისტრთა წარმომადგენლების 399-ე შეხვედრაზე)

5. არასამოსამართლო შუნქციების ნიმუშები. რომელთაგანაც შესაძლებელია ზოგიერთი ქვეყნის მოსამართლეთა გათავისუფლება ყოველი ქვეყნის დამახასიათებელ გარემოებათა გათვალისწინებით 118
№ R (86) 12 რეკომენდაციის დანართი

6. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ 120
წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 18
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წლის 17 სექტემბერს მინისტრთა წარმომადგენლების 410–ე შეხვედრაზე)

7. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ 133
წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 13 ოქტომბრის მინისტრთა წარმომადგენლების მეხვედრაზე)

8. სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე სააპელაციო სისტემებისა და პროცედურების შემოღებისა და გაუმჯობესების შესახებ 141
წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (95) 5
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 7 თებერვალს მინისტრთა წარმომადგენლების 528-ე შეხვედრაზე)

9. წევრი სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მარივის შესახებ 150
მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (95) 12
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 11 სექტემბერს მინისტრთა წარმომადგენლების მეხვედრაზე)

III. ევროპის საბჭოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობის (DEMO–DROIT და THEMIS) ფარგლებში ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრების დასკვნები და დემოკრატიული სტაბილურობის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებები (ADACS)

1. სასამართლო სისტემები გარდამავალ პერიოდში — 156
ბუდაპეშტი, 1995 წლის 25–27 ოქტომბერი

2. რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ — 159
მიღებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შესყედრაზე

3. უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ურთიერთდაკოორდინებულება — 162
პრაღა და ბრნო, 21 – 23 ოქტომბერი, 1998 წელი

4. უზენაესი სასამართლო და ეართლესაჯულების განსორციელება — 164
კიევი, 1998 წლის 12-14 ოქტომბერი

5. მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება ევროპაში — 167
(ლისაბონი, 1995 წლის 27-28 აპრილი)

6. მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება მათ პროფესიულ მოვალეობებსა და ეთიკის წესებთან დაკავშირებულ საკითხებში — 170
სტრასბურგი, 1996 წლის 13–15 მაისი

7. მოსამართლეების მომზადება საერთაშორისო კონვენციების გამოყენებაში — 172
ბორდო, 1997 წლის 2–4 იელისი

8. კომპეტენტურობა, დაკოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურების მოკიებისა და მომზადების დროს — 175
ვარშავა, 1998 წლის 17–18 დეკემბერი

9. მოსამართლეთა ასოციაციები: როლი, უფლებამოსილებები და სტატუსი — 177
ნიუშატელი, 1997 წლის 8–10 სექტემბერი

10. მოსამართლეთა დაკოუკიდებლობის გარანტიები - სასამართლო რეფორმის შეფასება — 179
ბუდაპეშტი, 1998 წლის 13 – 15 მაისი

11. რეზოლუცია სასამართლოს როლის შესახებ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში 182
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა მრგვალი მაგიდა
(ვარშავა, 1995 წლის 4 აპრილი)

12. მართლმსაჯულების განხორციელება და სასამართლოს მართვა 184
(ბორდო, 1995 წლის 28–30 ივნისი)

13. მოსამართლე და საერთაშორისო სამართალი 186
(ბუქარესტი, 1995 წლის 28–30 ნოემბერი)

14. სამართალწარმოების პროცესის მონაწილენი, განსაკუთრებით სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით 189
(სტრასბურგი, 1996 წლის 29–31 მაისი)

15. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ზოგადი ორგანიზაცია - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვა 191
(სტრასბურგი, 1996 წლის 3–5 ივლისი)

16. ადმინისტრაციული აქტების სასამართლო კონტროლი 193
(მადრიდი, 1996 წლის 13–15 ნოემბერი)

17. იუსტიციის სამინისტროს როლი სასამართლო სისტემის დაფინანსებაში 197
(რიგა, 1997 წლის 12–14 მაისი)

18. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიები 201
(ვარშავა და სლოკი, 1997 წლის 23-26 ივნისი)

IV. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა

1. ლე კონტის, ვან ლოვენისა და დე მეიერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 206
სტრასბურგი, 23 ივნისი, 1981 წელი

2. პირსეკის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 213
სტრასბურგი, 1 ოქტომბერი, 1982 წელი

3. დე კუბერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 218
სტრასბურგი, 26 ოქტომბერი, 1984 წელი

4. გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: H-ი ბელგიის წინააღმდეგ 224
სტრასბურგი, 30 ნოემბერი, 1987 წელი

5. ჰაუსშილდტის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 230
სტრასბურგი, 24 მაისი, 1989 წელი

6. ლანგბორგერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 235
სტრასბურგი, 22 ივნისი, 1989 წელი

7. ნორტიერი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 240
სტრასბურგი, 24 აგვისტო, 1993 წელი

8. გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: სარაივა დე კარვალო პორტუგალიის წინააღმდეგ 244
სტრასბურგი, 22 აპრილი, 1994 წელი

9. გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: საბერძნეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "STRAN"-ი და სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ 249
სტრასბურგი, 9 დეკემბერი, 1994 წელი

10. გადაწყვეტილება. გამოტანილი საქმეზე: დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ 257
სტრასბურგი, 26 აგვისტო, 1997 წელი

I

ადამიანის უფლებათა დოკუმენტები

საერთაშორისო დაცვისუნარიანობის
ძირითადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა და
თავდაცვისუნარიანობა მშვიდობის
კონსოლიდაციის პირობებში

მეხსიერებლობა ხალხებსა შორის

შვიდის ქარტია მეხსიერებლობის
სიღრმისეული შესახებ

მეხსიერებლობის ხელშეწყობის შესახებ
შვიდის ქარტიის ანსნა-
განმარტებითი მემორანდუმი

შვიდის ქარტია შვიდის
მეხსიერების სტრატეგიის შესახებ
შვიდის სამყაროს სამართლის
განვითარების
კონტექსტში

ადამიანის უფლებათა შვიდის
სამყაროს წესდებაში

სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები

მიღებულია გაეროს დანამაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ
მილანი 1985 წლის 26 აგვისტო - 6 სექტემბერი

ძალაში შევიდა: გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით

ვინაიდან გაერთიანებული ერების წესდებაში მსოფლიოს ხალხი, *inter alia*, განამტკიცებს მის სწრაფვას, შექმნას ისეთი პირობები, სადაც შენარჩუნებული იქნება სამართლიანობა და თავის ერთ-ერთ მიზნად აცხადებს საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევას, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის გზით დისკრიმინაციის გარეშე;

ვინაიდან ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია განსაკუთრებით იცავს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, უდანაშაულობის პრეზუმფციას, კანონის შესაბამისად შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართლიანი და ღია მართლმსაჯულების უფლებას,

ვინაიდან სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ამ უფლებებს აღიარებს და დამატებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი აღიარებს ყველას უფლებას გასამართლებულ იქნას დაუყოვნებლივ,

ვინაიდან, უმეტეს შემთხვევებში ჯერ კიდევ არსებობს სხვაობა ამ პრინციპებსა და რეალურ მდგომარეობას შორის,

ვინაიდან მართლმსაჯულების ორგანიზება და აღსრულება ყველა ქვეყანაში უნდა ეფუძნებოდეს ამ პრინციპებს და უნდა განხორციელდეს ყველა ღონისძიება მათ რეალობაში დასანერგად,

ვინაიდან, მოსამართლის თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული წესები მიზნად უნდა ისახავდნენ მოსამართლეთათვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებშიც ისინი მოახერხებენ ამ პრინციპების შესაბამისად მოქმედებას,

ვინაიდან, მოსამართლეები გადაწყვეტილებებს იღებენ მოქალაქეთა სიცოცხლის, თავისუფლების, უფლებების, მოვალეობებისა და საკუთრების შესახებ,

ვინაიდან, გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მეექვსე კონგრესმა თავისი მეთექვსმეტე რეზოლუციით დანაშაულის საწინააღმდეგო და მაკონტროლებელ კომისიას დაავალა ერთ-ერთ პრიორიტეტად ეცნო მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან, მოსამართლეთა და პროკურორთა შერჩევის, პროფესიული მომზადების წესებსა და მათ სტატუსთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებების შექმნა,

ვინაიდან, შესაბამისად უმნიშვნელოვანესია გათვალისწინებული ყოფილიყო პირველ რიგში მოსამართლის როლი სამართლის სისტემასთან მიმართებაში და მოსამართლეთა შერჩევის, მომზადებისა და საქმიანობის დიდი მნიშვნელობა,

შემდეგი ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეიქმნა წევრ სახელმწიფოთა დასახმარებლად სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, მხედველობაში უნდა იქნენ მიღებული მთავრობათა მიერ მათი ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში. ამ პრინციპებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მოსამართლეებმა, იურისტებმა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ზოგადად საზოგადოებამ. პრინციპები ძირითადად პროფესიონალ მოსამართლეებზე გათვლით იქნა ჩამოყალიბებული, მაგრამ ისინი თანაბრად ვრცელდება მსაჯულებზეც სადაც ასეთები არსებობენ.

სასამართლოს დამოუკიდებლობა

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას.

2. სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.

3. სასამართლო ხელისუფლება უნდა ერცელდებოდეს ყველა სამართლებრივი ხასიათის საკითხზე და სასამართლოს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური უფლებამოსილება გადაწყვიტოს მის წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი მის კომპეტენციაში მყოფი საკითხი კანონის შესაბამისად.

4. არ უნდა ხორციელდებოდეს შეუსაბამო ან უკანონო ჩარევა სასამართლო პროცესში, ასევე სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას. ეს პრინციპი არ ზღუდავს სასამართლო ზედამხედველობას ან სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელების კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, კანონის შესაბამისად, შემსუბუქებას ან შეცვლას.

5. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება გასამართლდეს ჩვეულებრივი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ჩვეულებრივი სასამართლოებისა და სასამართლო ტრიბუნალების კომპეტენციაში მყოფი საკითხები არ უნდა გადაეცეს იმ ტრიბუნალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადოდ ჩამოყალიბებული იურიდიული პროცესუალური ნორმები.

6. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს და ავალებს სასამართლოს უზრუნველყოს, სასამართლო საქმის წარმოების სამართლიანი მიმდინარეობა და მხარეთა უფლებების დაცვა.

7. ყოველი წევრი სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს შესაბამისი რესურსები რომლებიც საშუალებას მისცემენ სასამართლოს სათანადოდ შეასრულოს თავისი ფუნქცია.

აზრის გამოხატვისა და ასოციაციის თავისუფლება

8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისევე როგორც

სხვა მოქალაქეებს, გააჩნიათ აზრის გამოხატვის, რწმენის, ასოციაციასა და კავშირში გაერთიანების თავისუფლება; თუმცა იგულისხმება, რომ ასეთი უფლებების განხორციელებისას, მოსამართლეები ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ იმგვარად, რომ დაიცვან თავიანთი თანამდებობის ღირსება და სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

9. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფლება შექმნან და გაწევრიანდნენ მოსამართლეთა ასოციაციებში ან სხვა ორგანიზაციებში, იმისათვის რომ წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები, ხელი შეუწყონ პროფესიულ მომზადებას და დაიცვან სასამართლოს დამოუკიდებლობა.

კვალიფიკაცია, შერჩევის წესი და მომზადება

10. მოსამართლედ შერჩეული პირები უნდა იყვნენ ღირსებისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანები, რომლებსაც სამართალის დარგში მიღებული ექნებათ შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია. მოსამართლეთა შერჩევის მეთოდი უნდა იძლეოდეს მოსამართლეთა არასწორი მოტივებით დანიშვნისაგან თავდაცვის საშუალებას. მოსამართლეთა შერჩევისას დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი ცენზის, ან წარმოშობის გამო, გარდა იმ მოთხოვნისა, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს, რაც არ განიხილება დისკრიმინაციად.

მსახურობის პირობები და ვადა

11. მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა, მათი დამოუკიდებლობა, ანაზღაურება, მსახურების პირობები, პენსიები და საპენსიო ასაკი დაცული უნდა იყოს კანონით.

12. არჩეულ თუ დანიშნულ მოსამართლეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის ვადა საპენსიო ასაკამდე ან მათი მოსამართლედ ყოფნის ვადის ამოწურვამდე, თუ ასეთი არსებობს.

13. მოსამართლეთა დაწინაურება, სადაც კი ასეთი სისტემა არსებობს, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ფაქტორებს, კერძოდ შესაძლებლობებს, ღირსებებს და გამოცდილებას.

14. მოსამართლეთათვის საქმეთა გადაცემა იმ სასამართლოს ფარგლებში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან სასამართლო ადმინისტრაციის საშინაო საქმეა.

პროფესიული საიდუმლოება და იმუნიტეტი

15. მოსამართლეები მოვალენი არიან საიდუმლოდ შეინახონ თავიანთი მოსაზრებები და შათ ძიერ მოვალეობის შესრულებისას, გარდა საჯარო პროცესებისა, მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ისინი არ უნდა აიძულონ ჩვენება მისცენ ასეთ საკითხებზე.

16. დისციპლინარული პროცედურის ან აპელაციის უფლების ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლების დაცვით, ქვეყნის შიდა კანონის შესაბამისად, მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ სასამართლოში თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ფინანსური ზიანის მიყენების ან არასწორი ქმედების ან დაუდევრობის გამო სამოქალაქო საჩივრებისაგან პიროვნული იმუნიტეტით.

დისციპლინარული სასჯელი, უფლებამოსილებათა დროებითი შეწყვეტა და თანამდებობიდან გათავისუფლება

17. მოსამართლისადმი, მისი თანამდებობრივი და პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე, წაყენებული ბრალდების ან საჩივრის საფუძველზე საქმის წარმოება უნდა წარიმართოს სწრაფად და სამართლიანად შესაბამისი პროცედურის მიხედვით. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო მოსმენის უფლება. საკითხის გამოძიების საწყის ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს საწინააღმდეგოს.

18. მოსამართლეების თანამდებობრივი უფლებამოსილებების დროებითი შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი თავს ვერართმევენ მოვალეობებს, ან მათი თანამდებობისათვის შეუფერებელი საქციელის გამო.

19. ყველა დისციპლინარული სასჯელი, უფლებამოსილებათა შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად.

20. დისციპლინარულ სასჯელებთან, უფლებამოსილებათა შეჩერებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ გადასინჯვას. ეს პრინციპი შესაძლოა არ გავრცელდეს უმაღლესი სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და კანონმდებელი ორგანოს მიერ იმპიჩმენტის ან მსგავსი პროცედურების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლი

1. ყველას აქვს უფლება საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან მისთვის წაყენებული ბრალდების დასადგენად განიხილოს მისი საქმე კანონის შესაბამისად შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ სამართლიანად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში. გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული მთელ სხდომაზე ან მის ნაწილზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების თვალსაზრისიდან გამომდინარე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესები, სასამართლოს მიერ მკაცრად განსაზღვრულ აუცილებელ ფარგლებში განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობა საფრთხეს შეუქმნის მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყველას, ვისაც წაყენებული აქვს სისხლის სამართლის ბრალდება, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დადგინდება კანონით გათვალისწინებული წესით.

3. ყველას, ვისაც წაყენებული აქვს სისხლის სამართლის ბრალდება, აქვს შემდეგი მინიმალური უფლებები:

   a) მისთვის გასაგებ ენაზე და დაწვრილებით, დაუყოვნებლივ ეუწყოს მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათი და საფუძველი;

   b) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები, რათა მოემზადოს საკუთარი თავის დასაცავად;

   c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ შერჩეული სამართლებრივი დახმარების მეშვეობით ან თუ არ გააჩნია სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის საკმარისი საშუალებები, უფასოდ აღმოეჩინოს იგი, თუ ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს;

   d) დაკითხოს ან მისი სახელით დაკითხონ მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიან და გამოძახებულ იქნენ და დაიკითხონ მისი მოწმეები მისი მოწინააღმდეგე მოწმეების თანაბარი პირობებით;

   e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ ესმის ან არ ლაპარაკობს სამართალწარმოების ენაზე.

მოსამართლეთა სტატუსი ევროპაში

სტრასბურგი, 1997 წლის 9–11 ივლისი

დასკვნები

ევროპაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა სტრასბურგში 1997 წლის 9–11 ივლისს, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა შემუშავდეს ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ იმისათვის, რომ წევრ სახელმწიფოებს გაეწიოთ დახმარება, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის, კერძოდ, მე-6 მუხლის თანახმად, განსასჯელთა ინტერესების დაცვით მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველყოფასა და განვითარებაში.

იცნობენ რა თანამედროვე ევროპაში სასამართლო ხელისუფლების როლის განვითარების ისტორიას, მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ამ კონტექსტში ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მოსამართლისათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით იმ პირობების გარანტირება, რომლებიც ასახულია იურიდიული მნიშვნელობის ტექსტებში, რომლებიც ითვალისწინებს ყოველი სახელმწიფოს კულტურასა და სამართლებრივ ტრადიციებს და ექვემდებარება ცვლილებებს საზოგადოების ევოლუციის შესაბამისად. მათ აღნიშნეს, რომ ნებისმიერი იურიდიული კარიერა, დაწყებული სამოსამართლო თანამდებობებზე კანდიდატურების შერჩევიდან, დამთავრებული პენსიაში გასელით, უნდა რეგულირდებოდეს კანონით.

ამასთან დაკავშირებით, მონაწილეებმა მიუთითეს რეზოლუციაზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულია უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების მიერ პარნუში 1996 წლის 25 ოქტომბერს. რეზოლუცია მხარს უჭერს ევროპის საბჭოს იმ ღონისძიებათა ინტენსიურობის ზრდაში, რომლებიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სამართლიანობისა და ეფექტურობის ამაღლებას და დემოკრატიული მართლმსაჯულების განვითარებას, რომელსაც ახორციელებენ იმ სტატუსის მოსამართლეები, რომელიც მათ ანიჭებს მოქალაქეთა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური დაცვის უფლებამოსილებას.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ევროპის ქარტიამ მოსამართლეთა სტატუტის შესახებ უნდა განსაზღვროს ზოგადი პრინციპები, რომელთა პატივისცემაც საჭიროა მოქალაქისთვის ძირითადი უფლების გარანტირებისათვის – მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. ქარტია განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მოსამართლეთა შერჩევის, კანდიდატურების მოძიების, მოსამართლის კანდიდატურის დასახელებისა და სამსახურებრივი წინსვლის პირობებს, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიებს, ისეთ უფლებას, როგორიცაა, თანამდებობიდან გადაყენების დაუშვებლობა, აგრეთვე, მოსამართლისათვის დაკისრებულ ვალდებულებებსა და ფუნქციებს, მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებლობის პირობებს, შრომის ანაზღაურებასა და პენსიებს. ქარტიაში ასევე უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მოსამართლეობის კანდიდატები, აგრეთვე ევროპის წესები მოსამართლეთა მომზადების შესახებ.

შესრულებული სამუშაოს ნაყოფიერებაში დარწმუნებულებმა, მისი გაგრძელების მიზნით, მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს უზრუნველყოს ევროპის საბჭომ სათანადო პირობები და მხარდაჭერა. მომდევნო ნაბიჯის სახით შეიქმნება ქარტიის პროექტი, რომელიც წარედგინება ევროპაში მოსამართლეთა სტატუსთან დაკავშირებით მეორე შეხვედრას. ამ სამუშაოს შედეგები წარდგენილ იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების შეხვედრაზე, რომლის გამართვაც დაგეგმილია უკრაინაში 1998 წლის შემოდგომაზე.

მოსამართლეთა სტატუსი ევროპაში: ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ

სტრასბურგი, 1998 წლის 8–10 ივლისი

წინასიტყვაობა

კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში მართლმსაჯულების ორგანიზაციის მხრივ ევროპის საბჭოს ფარგლებში განხორციელებულმა საქმიანობამ წარმოშვა იმის შესაძლებლობა, რომ იგი შეიძლება გავრცელდეს მოსამართლეთა სტატუსის საკითხის სხვადასხვა ასპექტის მრავალ შემთხვევაზე. გასულ წლებში გამართული შეხვედრები მიეძღვნა მოსამართლეთა კანდიდატურების მოძიებას, მომზადებას, სამსახურებრივ წინსვლასა და ფუნქციებს, აგრეთვე მათ დისციპლინურ სისტემას. ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული ამ შეხვედრების რაოდენობა გაიზარდა იმ ძირეული ცვლილებების გამო, რაც მოხდა აღმოსავლეთ ევროპაში.

1997 წელს განვითარდა შესრულებული სამუშაოსა და გამართული დისკუსიების შედეგების მაქსიმიზაციის იდეა იმ მიზნით, რომ ამ სამუშაოს შეეძინა უფრო "ხილული" ხასიათი და ახალი იმპულსი მიეცა სამართლებრივი ინსტიტუციების, როგორც კანონის უზენაესობის მთავარი ელემენტის, გაუმჯობესების ხანგრძლივ ცდას.

მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის პროექტის შედგენის აუცილებლობა დადასტურდა 1997 წლის ივლისში სტრასბურგში გამართული მრავალმხრივი შეხვედრის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა მოსამართლეთა სტატუსს ევროპაში. ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები დასავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 ქვეყნიდან, ასევე, ევროპის მოსამართლეთა ასოციაციიდან (EAJ) და ორგანიზაციიდან "ევროპის მოსამართლეთა ასოციაცია დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის" (MEDEL). მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი ქარტიის შემუშავებისათვის ევროპის საბჭოს განესაზღვრა სათანადო ფარგლები და აღმოეჩინა მხარდაჭერა.

ამ დასკვნების საფუძველზე იურიდიულ საქმეთა დირექტორატმა ქარტი-

ის პროექტის შესაქმნელად დანიშნა სამი ექსპერტი საფრანგეთიდან, პოლონეთსა და გაერთიანებული სამეფოდან.

1998 წლის გაზაფხულზე შექმნილი პროექტი წარუდგინეს მეორე მრავალმხრივი შეხვედრის მონაწილეებს, რომელიც ასევე სტრასბურგში გაიმართა 1998 წლის 8–10 იელისს. სამდღიანი განხილვის დასასრულს, ზოგიერთი გაუმჯობესებული ცვლილების შეტანის შემდეგ, ტექსტი ერთსულოვნად მიიღეს.

მოცემული ქარტიის ღირებულება მდგომარეობს არა მის ფორმალურ სტატუსში, რომელიც მას, ფაქტობრივად, არც გააჩნია, არამედ მოქმედების სფეროსა და სისრულეში, რის ჩადებასაც მიზნად ისახავდნენ ავტორები მის შინაარსში. ცხოვრებაში ქარტიის მიზნების გატარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსის სიღრმისეულ ცოდნასა და მის ფართოდ გავრცელებას. ქარტია გამიზნულია მოსამართლეების, იურისტების, პოლიტიკოსებისა და, ზოგადად, ყველა იმ პირისთვის, რომელიც დაინტერესებულია კანონის უზენაესობითა და დემოკრატიით.

ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის საბჭოს საერთო სასამართლო სივრცეში

(ლისაბონი, 1999 წლის 8–10 აპრილი)

დასკვნები

პორტუგალიის მოსამართლეთა ასოციაციის ინიციატივითა და ევროპის საბჭოს დემოკრატიისა და სტაბილურობის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებათა ფარგლებში, 1999 წლის 8–10 აპრილს, ლისაბონში გაიმართა ევროპის 25 ქვეყნის მოსამართლეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლთა შეხვედრა თემაზე: "ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის საბჭოს საერთო სასამართლო სივრცეში".

ექსპერტების მიერ დასკვნების გადაცემის შემდეგ, გაიმართა ნაყოფიერი დისკუსია. ამის მეშვეობით შესაძლებელი გახდა უკეთ დადგენილიყო და შინაარსი მისცემოდა ისეთ ზოგად ცნებებს, როგორებიცაა: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ეთიკური წესების პრაქტიკული მუშაობა, თანამედროვე საზოგადოებაში მოსამართლის როლის გათვალისწინებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრა და ცხოვრებაში გატარება.

შეხვედრის დასასრულს, მონაწილეებმა გამოხატეს ერთსულოვანი მხარდაჭერა იმ მიზნებისა და ძირითადი პრინციპების მიმართ, რომლებიც ასახულია ევროპის ქარტიაში მოსამართლეთა სტატუტის შესახებ და რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის № R (94) 12 რეკომენდაციისა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და როლის შესახებ, და ახალი ეტაპია ევროპაში საერთო სასამართლო სივრცის შექმნისათვის.

მონაწილეებმა გამოთქვეს დადებითი დამოკიდებულება ქარტიით გათვალისწინებული მოდელების მოქნილ და ღია ხასიათთან დაკავშირებით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი მიზნები განხორციელდეს თითოეული ქვეყნის ტრადიციებთან შეთავსებადი გზების ძიების მეშვეობით.

განიხილეს რა თავიანთ ქვეყნებში არსებული პრობლემები, მონაწილეებმა დაადასტურეს ქარტიის სასარგებლო ხასიათი, რადგან იგი შეიცავს საქმის მოგვარების რიგ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება საჭიროების შემთხვევაში და ცალკეული ვითარებების გათვალისწინებით.

შედეგად, მონაწილეები:

მოითხოვენ მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და გავრცელებას მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციებისა და მოსამართლეთა მომზადებით დაკავებული ორგანოების მეშვეობით;

გამოთქვამენ სურვილს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით გადაითარგმნოს ქარტია რაც შეიძლება მეტ ევროპულ ენაზე და, ამასთანავე, გამოთქვამენ კმაყოფილებას იმის გამო, რაც უკვე ითარგმნა;

– ხაზგასმით აღნიშნავენ რეგიონალური შეხვედრების ორგანიზების აუცილებლობას, რომელთა მეშვეობითაც ქარტიით დაინტერესებულ სხვადასხვა ორგანოს დისკუსიის გზით მიეცემათ ქარტიის დებულებებისა და მათი გამოყენების პირობების გაგებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ

ევროპაში მოსამართლეთა სტატუტის თაობაზე ევროპის საბჭოს მიერ 1998 წლის 8–10 ივლისს ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრის მონაწილეები,

მხედველობაში იღებენ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე–6 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს, რომ "ყველას აქვს უფლება მისი საქმე განიხილოს კანონის შესაბამისად შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ სამართლიანად და საჯაროდ გონივრულ ვადაში";

მხედველობაში იღებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც მიღებულია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1985 წლის ნოემბერში;

მიუთითებენ რა წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის № R (94)12 რეკომენდაციას მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ და ისახავენ რა იმავე მიზნებს, რასაც აღნიშნული რეკომენდაცია;

დაინტერესებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უფრო ეფექტური ხელშეწყობით, რაც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და პიროვნების თავისუფლებათა დაცვისათვის;

გაცნობიერებული აქვთ რა მოსამართლეთა კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაქსიმალური გარანტიების უზრუნველმყოფი დებულებების ისეთ ფორმალურ დოკუმენტში ასახვის აუცილებლობა, რომელიც გამიზნული იქნება ევროპის ყველა სახელმწიფოსთვის;

გამოთქვამენ რა სურვილს, რომ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობაში მოსამართლეთა შესახებ გათვალისწინებული

იყოს ეს დებულებები გარანტიების ყველაზე მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით,

იღებენ წინამდებარე ევროპის ქარტიას მოსამართლეთა სტატუტის შესახებ.

I. ზოგადი პრინციპები

1.1. მოსამართლეთა სტატუტი მიზნად ისახავს კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას, რასაც ყველა პირი კანონიერად მოელის სასამართლოებისა და ყოველი მოსამართლისაგან, რომელსაც ეკისრება მისი უფლებების დაცვა. სტატუტი გამორიცხავს ყველა დებულებასა და პროცედურას, რამაც შეიძლება ეჭვი შეიტანოს აღნიშნული კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სანდოობაში. ეს ქარტია შედგება იმ დებულებებისგან, რომლებიც იძლევა მაქსიმალურ გარანტიებს ამ მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. მისი დებულებები მიზნად ისახავს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში გარანტიების დონის ამაღლებას. მაგრამ ეს არ ამართლებს ისეთ ცვლილებებს ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც გამოიწვევს შესაბამის ქვეყნებში უკვე მიღწეული გარანტიების შესუსტებას.

1.2. ევროპის ყველა სახელმწიფოში მოსამართლეთა სტატუტის ძირითადი პრინციპები ასახულია ყველაზე მაღალი დონის შიდასამართლებრივ ნორმებში, ხოლო წესები, სულ ცოტა — საკანონმდებლო დონეზე.

1.3. ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსამართლეთა შერჩევას, კანდიდატურების მოძიებას, დანიშვნას, სამსახურებრივ წინსვლას ან სამსახურებრივი ვადის შეწყვეტას, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას, რომლის შემადგენლობის, სულ ცოტა, ნახევარი შედგება მოსამართლეებისაგან, რომლებიც არჩეული არიან კოლეგების მიერვე სასამართლო ხელისუფლების ყველაზე ფართო წარმომადგენლობის უზრუნველმყოფი მეთოდების საფუძველზე.

1.4. ყველა მოსამართლეს, რომელიც მიიჩნევს, რომ სტატუტით გათვალისწინებულ მის უფლებებს, კერძოდ, დამოუკიდებლობას ან სამართალწარმოების პროცესის დამოუკიდებლობას შეექმნა საფრთხე ან

მოხდა მისი იგნორირება ნებისმიერი გზით, სტატუტი შესაძლებლობას ანიჭებს მიმართოს აღნიშნულ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც ეფექტური საშუალებები აქვს საკითხის მოსაგვარებლად ან მოგვარების ხერხის წინადადების წარსადგენად.

1.5. მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, მოსამართლეებმა უნდა გამოამჟღავნონ მზადყოფნა, ადამიანების პატივისცემა და ყურადღება კომპეტენტურობის იმ მაღალი დონის შესანარჩუნებლად, რაც აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ გადაწყვეტილებების გამოსატანად, რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანის უფლების დაცვა, აგრეთვე, მათთვის სამართალწარმოების პროცესში მიწოდებული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად.

1.6. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მოსამართლეები ყველა საშუალებით, რაც აუცილებელია მათთვის დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების, კერძოდ, საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვისათვის.

1.7. პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია მოსამართლეების მიერ და რომლებშიც მოსამართლეებს თავისუფლად შეუძლიათ გაწევრიანება, მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს სტატუტით მათთვის მინიჭებული უფლებების დაცვას, კერძოდ, იმ სტრუქტურებსა და ორგანოებთან მიმართებაში, რომლებიც მონაწილეობენ მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში.

1.8. მოსამართლეების დაკავშირება ხორციელდება მათი წარმომადგენლებისა და პროფესიული ასოციაციების მეშვეობით გადაწყვეტილებების მიღებისას იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც შეეხება სასამართლოების მართვასა და მათი საშუალებების განსაზღვრას, აგრეთვე, ამ საშუალებების მიკუთვნებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. იგივე წესით ხორციელდება მათ მიერ თავიანთი სტატუტის შეცვლის, შრომის ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები.

2. შერჩევა, კანდიდატურების მოძიება, საწყისი მომზადება

2.1. სტატუტის დებულებები, რომლებიც შეეხება დამოუკიდებელი ორგანოს ან კოლეგიის მიერ მოსამართლეთა შერჩევასა და კანდიდატურების მოძიებას, კანდიდატების შერჩევის საფუძვლად ადგენს მათთვის

წარდგენილი საკითხების თავისუფლად და მიუკერძოებლად შეფასების უნარსა და ადამიანის ღირსების პატივისცემით კანონის გამოყენების შესაძლებლობას. სტატუტი დაუშვებლად აცხადებს კანდიდატზე უარის თქმას მხოლოდ სქესის, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, მისი ფილოსოფიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან აღმსარებლობის მოტივით.

2.2. სტატუტი ითვალისწინებს დებულებებს, რომლებიც კვალიფიკაციისა და მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებით უზრუნველყოფს უშუალოდ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელების გარანტიას.

2.3. სახელმწიფოს ხარჯზე სათანადო მომზადების მეშვეობით სტატუტი უზრუნველყოფს შერჩეული კანდიდატების მომზადებას სამოსამართლო ფუნქციების ეფექტურად განსახორციელებლად. 1.3. პუნქტში აღნიშნული ორგანო უზრუნველყოფს მოსამზადებელი პროგრამების და მათი განმახორციელებელი ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა: გამჭრიახობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა, და რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებასთან.

3. დანიშვნა და შეუცვლელობა

3.1. გადაწყვეტილება შერჩეული კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნისა და მისი ამა თუ იმ სასამართლოში განწესების შესახებ მიიღება 1.3. პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ან მისი წარდგინებით, რეკომენდაციით, თანხმობით ან მისი მოსაზრების გათვალისწინებით.

3.2. სტატუტი ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომელიც კანდიდატის ადრინდელი საქმიანობის ან კანდიდატთან ახლო ურთიერთობაში მყოფი პირების და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, კანონიერი ან ობიექტური ეჭვების საფუძველზე, შეიძლება მისი სასამართლოში დანიშვნისთვის შემაფერხებელი გარემოება იყოს.

3.3. თუ კანდიდატურების მოძიების პროცედურა მოსამართლის თანამდებობაზე დასახელების შემდეგ, მაგრამ პერმანენტულ საფუძველზე დამტკიცებამდე ითვალისწინებს გამოსაცდელ ვადას, რომელიც აუცილებლად მოკლე უნდა იყოს, ან თუ კანდიდატურების მოძიე-

ბა ხდება შეზღუდული განახლებადი ვადით, გადაწყვეტილება პერმანენტულ საფუძველზე არდანიშვნის ან არგანახლების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ 1.3. პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ან მისი წარდგინებით, რეკომენდაციით, თანხმობით ან მისი მოსაზრების გათვალისწინებით. ასევე, გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებით, დასაშვებია პირის მიერ 1.4. პუნქტით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება.

3.4. სასამართლოს მოქმედი მოსამართლე არ შეიძლება სხვა სასამართლო თანამდებობაზე დაინიშნოს ან სხვაგან გამწესდეს, თუნდაც დაწინაურების გზით, მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაყვანა გათვალისწინებული ან შეფარდებულია დისციპლინური სანქციის წესით, სასამართლო სისტემის კანონიერი შეცვლისას და დროებითი გამწესებისას ახლომდებარე სასამართლოში მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თუ განწესების ვადის ხანგრძლივობა მკაცრად არის შეზღუდული სტატუტით და 1.4. პუნქტით გათვალისწინებული დებულებებისთვის ზიანის მიუყენებლად.

4. სამსახურებრივი წინსვლა

4.1. თუ უფროსობის წესი არ მოქმედებს, დაწინაურების სისტემა ეფუძნება მხოლოდ მოსამართლის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას გამოვლენილ შესაძლებლობებსა და ღირსებებს, რომელთა შეფასებაც ხდება ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მიერ და განიხილება აღნიშნულ მოსამართლესთან ერთად. გადაწყვეტილებები დანიშვნის შესახებ ცხადდება 1.3. პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ან მისი წარდგინებით, რეკომენდაციით, თანხმობით ან მისი მოსაზრების გათვალისწინებით. მოსამართლეებს, რომლებიც არ იქნებიან წარდგენილი დასაწინაურებლად, უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება.

4.2. მოსამართლეები თავისუფლად ეწევიან მათი მანდატის გარე საქმიანობას, მათ შორის იმ სახის საქმიანობას, რაც მათი სამოქალაქო, უფლებების გამოხატულებას წარმოადგენს. დაუშვებელია ამ თავისუფლების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი არ შეესაბამება მოსამართლისადმი ნდობას, მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას ან მისთვის გადაცემული საკითხების ყურადღებით და გონივრულ ვადაში განხილვისთვის მზადყოფნას. ლიტერატურუ-

ლი და სამხატვრო საქმიანობის გარდა, გარე საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ანაზღაურებასთან, უნდა ექვემდებარებოდეს წინასწარ ნებართვას სტატუტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.3. მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ქცევის, მოქმედების ან გამოვლინებისაგან, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მათი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის სანდოობას.

4.4. სტატუტით მოსამართლეებისათვის გარანტირებულია მათი ცოდნის შენარჩუნება და გაღრმავება როგორც ტექნიკურ, ისე სოციალურ და კულტურულ საკითხებში, რაც აუცილებელია მათი მოვალეობების შესასრულებლად; მომზადების გავლის რეგულარული შესაძლებლობა, რასაც ფინანსურად უზრუნველყოფს სახელმწიფო და რომლის ორგანიზაციაც გათვალისწინებულია 2.3. პუნქტით.

5. პასუხისმგებლობა

5.1. მოსამართლის მიერ სტატუტით პირდაპირ გათვალისწინებული რომელიმე მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სანქციის გამოყენება მხოლოდ არჩეული მოსამართლეებისაგან შემდგარი სასამართლოს ან ორგანოს მიერ ხმათა, სულ ცოტა, ნახევარის გადაწყვეტილებით, წარდგინებით, რეკომენდაციით ან თანხმობით საქმის ისეთი წარმოების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა სრულ მოსმენას და, რომელშიც პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს აქვს წარმომადგენლობის უფლება. შესაფარდებელ სანქციათა სახეები გათვალისწინებულია სტატუტით და მათი შეფარდება ხდება პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. ზემოთ აღნიშნული აღმასრულებელი ორგანოს, სასამართლოს ან სანქციის შემფარდებელი ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ორგანოში.

5.2. გადაწყვეტილების ან მოსამართლის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შედეგად უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. სტატუტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ სახელმწიფოს შეუძლია სამართალწარმოების გზით განსაზღვრულ ვადაში მოსამართლეს მოსთხოვოს ანაზღაურება სამოსამართლო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებების მძიმე ან არასაპატიო დარღვევის შემთხ-

ევაში. კომპეტენტურ სასამართლოში საჩივრის შეტანაზე უნდა არსებობდეს წინასწარი შეთანხმება 1.3. პუნქტში აღნიშნულ ორგანოსთან.

5.3. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ფორმალობის გარეშე, საჩივარი შეიტანოს დამოუკიდებელ ორგანოში. აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია, თუ გულდასმითი და დაწვრილებითი შემოწმებით უდავოდ გამომჟღავნდა მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა, რომელიც გათვალისწინებულია 5.1 პუნქტით, საკითხი გადასცეს დისციპლინურ ორგანოს ან, ყოველ შემთხვევაში, რეკომენდაცია მაინც გაუწიოს ამ მიმართვას იმ ორგანოს წინაშე, რომელიც, ჩვეულებრივ, სტატუტით უფლებამოსილია გააგზავნოს ამგვარი მიმართვები.

6. შრომის ანაზღაურება და სოციალური უზრუნველყოფა

6.1. მოსამართლეებს, რომლებიც სამოსამართლო ფუნქციებს ახორციელებენ პროფესიული უფლებამოსილებით, უფლება აქვთ მიიღონ შრომის ანაზღაურება, რომლის ოდენობაც უნდა იყოს ფიქსირებული, რათა ისინი დაცული იყვნენ ზემოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია მათ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენისკენ და, ზოგადად, იურისდიქციის განხორციელებისას მათ მოქმედებაზე, რაც ხელყოფს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

6.2. შრომის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან შრომის სტაჟის, პროფესიულ უფლებამოსილებათა განსახორციელებელი, მოსამართლისათვის დაკისრებული მოვალეობების ხასიათისა და მათთვის მინდობილი ფუნქციების მნიშვნელობით, რის შეფასებაც უნდა მოხდეს გამჭვირვალეობის საფუძველზე.

6.3. სტატუტი პროფესიული უფლებამოსილებით მოქმედ მოსამართლეებს უზრუნველყოფს გარანტიით ისეთ სოციალურ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ავადმყოფობა, მშობიარობა, ინვალიდობა, მოხუცებულობა და გარდაცვალება.

6.4. კერძოდ, სტატუტი ითვალისწინებს, რომ მოსამართლეებს, რომელთაც მათთვის დაკისრებული სამოსამართლო ფუნქციების განხორციელება დაასრულეს განსაზღვრულ ვადაში და მიაღწიეს მოსა-

მართლეებისთვის კანონით დადგენილ საპენსიო ასაკს, მიეცეთ პენსია, რომლის ოდენობაც რაც შეიძლება ახლოს იქნება მათი, როგორც მოსამართლეების, ბოლო ხელფასის ოდენობასთან.

7. სამსახურებრივი ვადის შეწყვეტა

7.1. მოსამართლე პერმანენტულად წყვეტს საქმიანობას გადადგომით, ფიზიკური შეუსაბამობის დამადასტურებელი სამედიცინო საბუთის საფუძველზე, ასაკობრივი ზღვრის მიღწევით, კანონით დადგენილი ვადის ამოწურვით ან, ზემოაღნიშნული 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, თანამდებობიდან გათავისუფლებით.

7.2. 7.1. პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა, გარდა ასაკობრივი ზღვრის მიღწევის ან კანონით დადგენილი ვადის ამოწურვისა, უნდა დაამოწმოს 1.3. პუნქტში აღნიშნულმა ორგანომ.

მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი

I. ზოგადი პრინციპები

ევროპის ქარტიის დებულებები შეეხება არა მარტო პროფესიონალ, არამედ არაპროფესიონალ მოსამართლეებსაც, ვინაიდან აუცილებელია, რომ ყველა მოსამართლე სარგებლობდეს გარკვეული უფლებებით მათი კანდიდატურების მოძიებასთან, თანამდებობასთან შეუთავსებელ პირობებთან, სასამართლოს გარეთ მოქცევასა და სამსახურებრივი ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, ქარტია ასევე ადგენს სპეციალურ დებულებებს პროფესიონალი მოსამართლეების შესახებ. ასეთი სპეციფიკურობა დამახასიათებელია ისეთი ცალკეული ცნებებისათვის, როგორიცაა, მაგალითად სამსახურებრივი წინსვლა.

1.1. ქარტია ცდილობს განსაზღვროს მოსამართლეთა სტატუტის შინაარსი შემდეგი დასახული მიზნების საფუძველზე: კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, რასაც საზოგადოების ყოველი წევრი კანონიერად მოელის სასამართლოებისა და მოსამართლეებისგან, რომელთაც მინდობილი აქვთ მათი უფლებების დაცვა. აქედან გამომდინარე, ქარტია არის არა საბოლოო წერტილი, არამედ უზრუნველყოფის საშუალება იმისა, რომ პირებს, რომელთა უფლებებიც უნდა დაიცვან სასამართლოებმა და მოსამართლეებმა, ჰქონდეთ აღნიშნული დაცვის ეფექტურობის გარანტია.

პირთა უფლებების დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია სასამართლო ხელისუფლების კომპეტენტურობის, უნარიანობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაგებით. მოცემული ცნებები პოზიტიური ხასიათისაა იმ გაგებით, რომ მათი გარანტირება უნდა მოხდეს მოსამართლეთა სტატუტით. თუმცა, მეორე მხრივ, ისინი ნეგატიური ხასიათისაა იმ გაგებით, რომ სტატუტი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ელემენტს, რომელიც უარყოფით გავლენას იქონიებს საჯარო ნდობის

ფაქტორზე კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით.

დაისვა საკითხი: უნდა იყოს თუ არა ქარტიის დებულებები სავალდებულო, ანუ დაწესდეს თუ არა ვალდებულების სახით მათი შეტანა ეროვნულ კანონმდებლობაში სასამართლო ხელისუფლების შესახებ, თუ მათ უნდა ჰქონდეთ სარეკომენდაციო ხასიათი, რომლის მიხედვითაც, მათ მაგიერ შესაძლებელია იმავე გარანტიების უზრუნველმყოფი სხვა ნორმების იმპლემენტაცია.

უკანასკნელი მიდგომა შეიძლება დასაბუთდეს თავშეკავებით იმ ეროვნული სისტემების გაკრიტიკებისაგან, რომლებშიც სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლო დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედი მყარად დამკვიდრებული პრაქტიკით, თუნდაც აღნიშნულ სისტემაში ამგვარ დაცვაზე იშვიათად იყოს ლაპარაკი.

ამასთან, ზოგჯერ ამტკიცებდნენ, რომ კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები არაეფექტურია ზოგიერთ ქვეყანაში, ევროპის საბჭოს ახალი წევრების ჩათვლით, სადაც მოწესრიგებული არ არის პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოების მიერ უფლებამოსილების განხორციელება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მოსამართლეთა დანიშვნა, გამწესება, დაწინაურება და სამსახურებრივი ვადის შეწყვეტა.

ამიტომ არის, რომ, მიუხედავად ქარტიის დებულებათა ფაქტობრივად არასავალდებულო ხასიათისა, ისინი მაინც ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის ოპტიმალური საშუალებაა.

ქარტიის ბევრი დებულება გამოუყენებელია იმ სისტემებში, სადაც მოსამართლეებს უშუალოდ მოქალაქეები ირჩევენ. შეუძლებელია ისეთი ქარტიის შექმნა, რომელიც შედგენილი იქნებოდა მხოლოდ არჩევითი სისტემებისათვის შესატყვისი დებულებებისაგან, ვინაიდან ამით ტექსტის მოქმედების სფერო შეიზღუდებოდა ყველაზე ვიწრო, ყველასათვის საერთო კატეგორიებამდე. ქარტია მიზნად არ ისახავს ასევე არჩევითი სისტემების "ძალადაკარგულად" გამოცხადებას, რადგან იქ, სადაც ასეთი სისტემები არსებობს, ამ ქვეყნის მოქალაქეები მათ განიხილავენ როგორც "ძირეულად დემოკრატიულს". შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აღნიშნული დებულებები იმ სისტემების მიმართ,

სადაც სასამართლო ხელისუფლება არჩევითია, გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაგალითად, 2.2. და 2.3. (პირველი წინადადება) პუნქტებით გათვალისწინებული დებულებები თავისთავად გამოიყენება იმ სისტემებში, სადაც ისინი უზრუნველყოფენ ყველაზე შესაბამის გარანტიებს.

ქარტიის დებულებები მიზნად ისახავს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში გარანტიების დონის ამაღლებას. ამაღლების მნიშვნელობა დამოკიდებულია ქვეყანაში უკვე მიღწეულ დონეზე. მაგრამ ქარტიის დებულებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს ეროვნული კანონმდებლობის ისეთი შეცვლის საფუძველს, რომ ამან გამოიწვიოს რომელიმე ქვეყანაში უკვე მიღწეული დონის დაწევა.

1.2. მოსამართლეთა სტატუტის შემადგენელი ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს მოსამართლეებისა და სასამართლოების კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიებს, უნდა აისახოს უმაღლესი დონის ნორმატიულ დებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, კონსტიტუცია ევროპის სახელმწიფოებში, სადაც მიღებულია ასეთი ძირითადი კანონი. სტატუტით გათვალისწინებული წესები, ჩვეულებრივ, უნდა მიიღონ საკანონმდებლო დონეზე, რომელიც მოქნილი კონსტიტუციის მქონე სახელმწიფოებში იმავდროულად უმაღლეს დონეს წარმოადგენს.

კანონმდებლობაში ან კონსტიტუციაში ძირითადი პრინციპებისა და წესების ასახვის მოთხოვნის მიზანია თავიდან იქნეს აცილებული კონსტიტუციის შეცვლა მარტივი პროცედურით, ზემოაღნიშნული დებულებების შეუთავსებლად. კერძოდ, როდესაც ძირითადი პრინციპები დაფიქსირებულია კონსტიტუციაში, ამით თავიდანვე გამორიცხულია ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს მათთვის ზიანის მიყენებას.

ადგენს რა, რომ ეს პრინციპები უნდა აისახოს შიდა სამართლის სისტემებში, ქარტია ზიანს არ აყენებს იმ დაცვითი პრინციპების პატივისცემას, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის სახელმწიფოებისათვის საჭალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტებში. აღნიშნული სრულად შეესაბამება სინამდვილეს, რადგან, თანახმად პრეამბულისა, ამ დებულებებს შორის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ქარტიას, როგორც შთაგონების წყაროს.

1.3. ქარტია ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მოსამართლეთა შერჩევის, კანდიდატურების მოძიების ან დანიშვნის, მათი სამსახურებრივი წინსვლის ან სამსახურებრივი ვადის შეწყვეტის შესახებ.

ამ დებულების ტექსტი მიზნად ისახავს, სხვადასხვა ვითარების მოწესრიგებას, აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ორგანოსთვის, უბრალოდ, რეკომენდაციის მიცემიდან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებამდე.

აქ მხედველობაშია მისაღები ეროვნულ სისტემებს შორის არსებული გარკვეული განსხვავებები. ზოგიერთი ქვეყნისათვის რთული იქნებოდა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკური ორგანოს შეცვლა დამოუკიდებელი ორგანოთი. მაგრამ ასეთ შემთხვევებში დამოუკიდებელი ორგანოს, სულ ცოტა, რეკომენდაციის ან მოსაზრების მიღების მოთხოვნა ფაქტობრივი ვალდებულება თუ არა, დიდი წამოწყებაა იმ ოფიციალური ორგანოსათვის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დანიშვნის შესახებ. ქარტიის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი ორგანოს რეკომენდაციები და მოსაზრებები არ არის იმის გარანტია, რომ ისინი რეალურად შესრულდება. პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც არ შეასრულებს ასეთ რეკომენდაციას ან არ დაემორჩილება ასეთ მოსაზრებას, ვალდებული მაინც უნდა იყოს, რომ განაცხადოს მის მიერ შესრულებაზე უარის თქმის მიზეზები.

ქარტიის ამ დებულების ტექსტი დამოუკიდებელ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ აზრის, ოფიციალური დასკვნის, რეკომენდაციის, შეთავაზების ან ფაქტობრივი გადაწყვეტილების სახით.

დაისვა დამოუკიდებელი ორგანოს წევრობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ქარტია აცხადებს, რომ ორგანოს წევრების, სულ ცოტა, ნახევარს უნდა შეადგენდნენ კოლეგების მიერვე არჩეული მოსამართლეები, რაც ნიშნავს იმას, რომ, ქარტიის მიხედვით, დაუშვებელია დამოუკიდებელ ორგანოში მოსამართლეები იყვნენ უმცირესობის, ან უმრავლესობის სახით. ევროპის სახელმწიფოებში სხვადასხვა ფილოსოფიური კონცეფციისა და დებატების მიუხედავად, აღმოჩნ-

და, რომ სრული შემადგენლობიდან თუ მოსამართლეების რაოდენობა იქნება 50%, ეს უზრუნველყოფს გარანტიების საკმაოდ მაღალ დონეს და, იმავდროულად, სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში უპირატესი ძალის მქონე პრინციპთან დაკავშირებით, - სხვა მოსაზრებების პატივისცემას.

ქარტია აცხადებს, რომ დამოუკიდებელი ორგანოს წევრი მოსამართლეები თვითონ კოლეგებმა უნდა აირჩიონ, რათა ამ ორგანოს სათანადო დამოუკიდებლობის მეშვეობით თავიდან იქნეს აცილებული მისი წევრების არჩევა ან დანიშვნა ალმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების პოლიტიკური ორგანოს მიერ.

ასეთი პროცედურის არარსებობის შემთხვევაში მოსამართლეთა დანიშვნისა და მათ საქმიანობასთან მიმართებაში იარსებებს პარტიულ–პოლიტიკური მიკერძოების საშიშროება. ზუსტად რომ ვთქვათ, მოსამართლეები, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ ორგანოს, თავს უნდა იკავებდნენ იმ პოლიტიკური პარტიების ან ორგანოების მიმხრობისაგან, რომელთა მიერ ან რომელთა მეშვეობითაც მოხდა მათი დანიშვნა.

დაბოლოს, ხმის მიცემის რომელიმე კონკრეტული სისტემის დადგენის გარეშე, ქარტია მიუთითებს, რომ ამ ორგანოში მოსამართლეთა არჩევის მეთოდით გარანტირებული უნდა იყოს მოსამართლეების რაც შეიძლება ფართოდ წარმოდგენა.

1.4. ქარტია ითვალისწინებს ნებისმიერი იმ მოსამართლის "გასაჩივრების" უფლებას, რომელიც მიიჩნევს, რომ სტატუტით გათვალისწინებული მისი უფლებები ან, ზოგადად, მისი დამოუკიდებლობა, ან სამართალწარმოების პროცესის დამოუკიდებლობა საფრთხეშია ან შელახულია, რათა მოსამართლეს შეეძლოს საკითხის გადაცემა ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოსთვის.

ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეები დაუცველი არ დარჩნენ მათი დამოუკიდებლობის შელახვის შემთხვევაში. გასაჩივრების უფლება აუცილებელი გარანტიაა, რადგან სასამართლო ხელისუფლების დაცვითი პრინციპების უბრალო გადმოცემა მხოლოდ განსჯისთვის თუ იქნება, თუ მას თან არ ახლავს ცხოვრებაში ეფექტურად გატარების მექანიზმები. მოსამართლის ინდივიდუალური სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევა არ მოიცავს ყველა

იმ შესაძლო შემთხვევას, რომლის დროსაც შეიძლება შეილახოს მისი დამოუკიდებლობა, და არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველყოფას, რომ მოსამართლეებს შეეძლოთ საკუთარი ინიციატივით მიმართონ აღნიშნულ ორგანოს.

ქარტიის თანახმად, ორგანოს, რომელსაც მიმართავენ ზემოაღნიშნული წესით, უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება თავისი შეხედულებისამებრ მოაგვაროს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელმყოფი ვითარება ან საკითხი გადასცეს კომპეტენტურ ორგანოს. ეს წესი ითვალისწინებს ეროვნული სისტემების თავისებურებებს და მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი ორგანოს უშუალო რეკომენდაციაც კი მნიშვნელოვანი სტიმულია აღნიშნული კომპეტენტური ორგანოსთვის გასაჩივრებული ვითარების მოსაგვარებლად.

1.5. ქარტია იძლევა მოსამართლის ძირითადი მოვალეობების ჩამონათვალს მის მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას. "მზადყოფნა" ეხება როგორც საქმის ჯეროვნად განხილვისთვის საჭირო ვადას, ისე იმ ყურადღებასა და სიფრთხილეს, რაც თავისთავად აუცილებელია ასეთი მნიშვნელოვანი მოვალეობების შესასრულებლად, რადგან სწორედ მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა იცავდეს პირის უფლებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირის დაცვას ისეთი პოსტიდან, როგორიც უკავია მოსამართლეს, რადგან სასამართლო სისტემასთან დაპირისპირების დროს ხშირად პირი თავს დაუცველად გრძნობს. ეს პუნქტი ასევე მეტყველებს მოსამართლის ვალდებულებაზე – დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელსაც იგი სამართალწარმოების მსვლელობის პროცესში შეიტყობს. დასასრულ, პუნქტში აღნიშნულია, რომ მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ საქმის განხილვისთვის საჭირო კომპეტენტურობის მაღალი დონე. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენტურობისა და უნარიანობის მაღალი დონე მოსამართლისთვის მუდმივად წაყენებული მოთხოვნაა საქმეთა შესწავლისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ამასთანავე, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს ეს დონე და საჭიროების შემთხვევაში შემდგომშიც გაიაროს მომზადება. როგორც ქვემოთ არის ტექსტში აღნიშნული, მოსამართლეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მომზადებასთან დაკავშირებულ საშუალებებზე.

1.6. ქარტიის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მოსამართლეების განკარგულებაში იყოს ყველა აუცილებელი

საშუალება მათთვის დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების, განსაკუთრებით, საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის მიზნით.

ამ ვალდებულებაზე სახელმწიფოს პირდაპირი მითითების გარეშე, მოსამართლეთა მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ არგუმენტებს ძალა დაეკარგებოდათ.

1.7. ქარტია აღიარებს მოსამართლეთა მიერ შექმნილი ამა თუ იმ პროფესიული ასოციაციების როლს, რომელშიც ყველა მოსამართლეს შეუძლია თავისუფლად გაწევრიანდეს, და რომელიც უზრუნველყოფს გაწევრიანების მსრივ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ქარტია ასევე აღნიშნავს, რომ ასეთი ასოციაციები განსაკუთრებით ხელს უწყობენ სტატუტით გათვალისწინებულ მოსამართლეთა უფლებების დაცვას ისეთ სტრუქტურებსა და ორგანოებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება მონაწილეობდნენ მათზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებაში. ამიტომ მოსამართლეებს არ უნდა აეკრძალოთ პროფესიული ასოციაციების შექმნა ან მათში გაწევრიანება.

მიუხედავად იმისა, რომ ქარტია ამ ასოციაციებს არ ანიჭებს სტატუტით გათვალისწინებული მოსამართლეთა უფლებების ექსკლუზიური დაცვის უფლებამოსილებას, იგი მიუთითებს, რომ ისინი უნდა აღიარონ და პატივი სცენ მათ წვლილს, მოსამართლეებზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიმღებ სტრუქტურებსა და ორგანოებთან მიმართებაში. ეს ასევე, *inter alia*, ეხება 1.3. პუნქტში აღნიშნულ დამოუკიდებელ ორგანოსაც.

1.8. ქარტია ადგენს, რომ მოსამართლეებს შორის ურთიერთობა უნდა ხორციელდებოდეს მათი წარმომადგენლების, კერძოდ, 1.3. პუნქტით გათვალისწინებული ორგანოს წევრების და პროფესიული ასოციაციების მეშვეობით, ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სასამართლოებში მართვას, სასამართლოების საბიუჯეტო რესურსების განსაზღვრასა და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

შეზღუდვის რაიმე კონკრეტული სამართლებრივი ფორმის ან ხარისხის ყოველგვარი არგუმენტირების გარეშე, ეს დებულება ადგენს, რომ მოსამართლეები უნდა გაერთიანდნენ სასამართლო ორგანოების ერთიანი ბიუჯეტისა და ცალკეული სასამართლოებისთვის მიკუთვნებული რესურსების დასადგენად, რაც გულისხმობს ეროვნულ და ადგ-

ილობრივ დონეზე საკონსულტაციო და წარმომადგენლობითი პროცედურების მიღებას. უფრო ფართო გაგებით, ეს ეხება აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელებასა და სასამართლოების მართვას. ქარტია არ აცხადებს, რომ ეს მართვა უნდა განახორციელონ მოსამართლეებმა, მაგრამ მოსამართლეებს ავალდებულებს არ ჩამორჩნენ მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებათა მიღებას.

მოსამართლეებთან კონსულტაციის გამართვით ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება წინადადებებს მოსამართლეთა სტატუტსა და შრომის ანაზღაურების პირობებში ცვლილების შესახებ, მათ სოციალურ უზრუნველყოფას, პენსიაში გასვლის შემდეგ პენსიას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსამართლეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგრამ ქარტია არ იძლევა იმ ეროვნული ორგანოების უფლებამოსილებების ხელყოფის უფლებას, რომლებიც, კონსტიტუციის თანახმად, ამ საკითხებით არიან დაკავებული.

2. შერჩევა, კანდიდატურების მოძიება და საწყისი მომზადება

2.1. მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა და კანდიდატურების მოძიება ევალება დამოუკიდებელ ორგანოს ან კოლეგიას. ქარტია არ მოითხოვს, რომ ეს უკანასკნელი იყოს 1.3. პუნქტში მითითებული დამოუკიდებელი ორგანო, რაც ნიშნავს, რომ კოლეგიებმა შეიძლება ჩაატარონ გამოცდა ან მოახდინონ შერჩევა, თუ ისინი დამოუკიდებელი იქნებიან. პრაქტიკული თვალსაზრისით, ხშირად შერჩევის პროცედურა, ფაქტობრივად, განცალკევებულია დანიშვნის პროცედურისაგან. აუცილებელია შერჩევის პროცედურის თანმხლები ცალკეული გარანტიების დაზუსტება.

შერჩევისათვის პასუხისმგებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება შესასრულებელ მოვალეობათა ხასიათს.

მთავარი მიზანი უნდა იყოს მოსამართლეების მიერ ადრე განხილული საქმეების დამოუკიდებლად შეფასების უნარის დადგენა, რაც გულისხმობს დამოუკიდებელ აზროვნებას. კანონმდებლობის გამოყენების უნარი ნიშნავს როგორც კანონმდებლობის ცოდნას, ისე მის პრაქტიკულად გამოყენებას, რაც ერთმანეთისაგან განსხვავდება. შერჩევისათვის

პასუხისმგებელმა ორგანომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ კანდიდატის, როგორც შემდგომში მოსამართლის, მოქმედება ეფუძნებოდეს ადამიანის ღირსების პატივისცემას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ძალოვან თანამდებობის პირებსა და, მეორე მხრივ, მოსარჩელე–მოპასუხეებს შორის ურთიერთობებში, სადაც ეს უკანასკნელნი დიდ სირთულეებს აწყდებიან.

დაბოლოს, შერჩევა არ უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს სქესის, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ფილოსოფიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან რელიგიური აღმსარებლობის ნიშნით.

2.2 სამოსამართლო საქმიანობისთვის დამახასიათებელი მოვალეობების შესრულების უნარის უზრუნველსაყოფად, შერჩევისა და გამწესების შესახებ წესები უნდა ითვალისწინებდეს კვალიფიკაციასა და მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ეს ეხება, მაგალითად, იმ სისტემებს, რომლებშიც კანდიდატურების მოძიება დამოკიდებულია იურიდიული ან სამოსამართლო გამოცდილების წლების რაოდენობაზე.

2.3. მოსამართლის თანამდებობა, რომელიც მოსამართლისგან მოითხოვს რთულ ვითარებებში ჩარევას, რომლებიც ხშირად სახიფათოა ადამიანის ღირსების პატივისცემიდან გამომდინარე, ისეთი ხასიათისაა, რომ ამ თანამდებობისთვის ვარგისიანობის "აბსტრაქტული" დადასტურება ხშირად საკმარისი არ არის.

აქედან გამომდინარე, კანდიდატები, რომლებიც შერჩეული არიან სამოსამართლო ფუნქციების განსახორციელებლად, მზად უნდა იყვნენ ამ ამოცანების შესასრულებლად სათანადო მომზადების გაელის მეშვეობით, რომელიც სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების გამოსატანად, მოსამართლეების მომზადებისთვის საჭიროა გარკვეული წინდახედულობის ზომების მიღება, რომლებითაც როგორც მოსამზადებელი პროგრამების შინაარსში, ისე მათი განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციონირებაშიც გარანტირებული იქნება კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა და აუცილებელი გამჭრიახობა. სწორედ ამიტომ ქარტია ითვალისწინებს, რომ 1.3. პუნქტში აღნიშნულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მოსამზადებელი პროგრამებისა და მათი განმახორ-

ციელებელი ორგანიზაციის შესაბამისობა, გამჭრიახობის, კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნათა საფუძველზე, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებასთან. ამის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ ორგანოს უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსები. აქედან გამომდინარე, სტატუტში გადმოცემული წესები უნდა ითვალისწინებდეს ამ ორგანოს მიერ ზედამხედველობის გაწევას, პროგრამებსა და მომამზადებელი ორგანოების მიერ მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ზემოხსენებული პრინციპების გათვალისწინებით.

3. დანიშვნა და შეუცვლელობა

3.1. ეროვნულ სისტემებს შეუძლიათ ერთმანეთისაგან განასხვაონ მოსამართლის შერჩევის პროცედურა და დანიშვნისა და ცალკეულ სასამართლოში განაწილების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებას მოსამართლეთა დანიშვნისა და განაწილების შესახებ იღებს 1.3. პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანო ან ამ გადაწყვეტილების მიღება ხდება მისი წინადადებით, რეკომენდაციით, თანხმობით ან მისი მოსაზრების საფუძველზე.

3.2. ქარტია ეხება შეუთავსებლობის საკითხს. მან უარყო აბსოლუტური შეუთავსებლობის ჰიპოთეზა, რადგან ეს, წინამორბედი საქმიანობის საფუძველზე, ხელს შეუშლიდა კანდიდატების ან მათი ნათესავების სასამართლო თანამდებობებზე დანიშვნას. მეორე მხრივ, ის მიიჩნევს, რომ მოსამართლეების ცალკეულ სასამართლოებში განაწილებისას, მხედველობაში უნდა მიიღონ ზემოხსენებული გარემოებები, თუ ისინი, მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, კანონიერ და ობიექტურ ეჭვს წარმოშობს.

3.3. ზოგიერთ ეროვნულ სისტემაში კანდიდატურების მოძიების პროცედურა ითვალისწინებს გამოსაცდელ ვადას სასამართლო თანამდებობაზე პერმანენტულ საფუძველზე დანიშვნამდე, სხვა სისტემებში მოსამართლეთა კანდიდატურების მოძიება ხდება ფიქსირებულვადიანი განახლებადი კონტრაქტების საფუძველზე.

ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება პერმანენტულ საფუძველზე არდანიშვნის ან დანიშვნის არგანახლების შესახებ შეიძლება მიიღოს მხოლოდ 1.3. პუნქტში აღნიშნულმა ორგანომ ან ეს მოხდეს მისი წინადადებით, რეკომენდაციით ან მისი მოსაზრების საფუძველზე.

მართლაც, გამოსაცდელი ვადის ან განახლების მოთხოვნის არსებობა საფრთხეს თუ არა, სირთულეს მაინც ქმნის ამა თუ იმ მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით, რომელსაც იმედი აქვს, რომ დანიშნავენ თანამდებობაზე ან განუახლებენ ხელშეკრულებას. ამიტომ დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევამ უნდა უზრუნველყოს დაცვის საშუალებები, რამდენადაც საკითხი შეიძლება ეხებოდეს იმ პირის, როგორც მოსამართლის, ხასიათს, რომელიც ექვემდებარება გამოსაცდელ ვადას. აქედან გამომდინარე, ქარტია ითვალისწინებს აღნიშნული პირის მიერ 1.4. პუნქტში მითითებული დამოუკიდებელი ორგანოსათვის მიმართვის უფლებას.

3.4. ქარტია ადგენს მოსამართლეთა შეუცვლელობას, რაც ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მოსამართლის განწესება სხვა სასამართლოში ან მისი ფუნქციების შეცვლა მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე. თუმცა აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, თუ გადაყვანა ხდება დისციპლინური წესის ფარგლებში, როდესაც ხდება სასამართლოს კანონიერი რეორგანიზაცია, (რის მაგალითადაც შეიძლება დასახელდეს სასამართლოს დახურვა) ან დროებითი გადაყვანის აუცილებლობა გამოწვეულია ახლომდებარე სასამართლოს დახმარების მიზნით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დროებითი გადაყვანის ხანგრძლივობა უნდა შეიზღუდოს შესაბამისი სტატუტით. გარდა ამისა, ვინაიდან მოსამართლის დროებითი გადაყვანა, მისი თანხმობის გარეშე, მეტად რთული პრობლემაა, უნდა აღინიშნოს, რომ, 1.4. პუნქტის პირობების თანახმად, მას აქვს ზოგადი გასაჩივრების უფლება დამოუკიდებელ ორგანოში, რომელსაც შეუძლია გამოიკვლიოს გადაყვანის კანონიერება. ფაქტობრივად, გასაჩივრების უფლების გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევებშიც, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ქარტიის დებულებებით, როდესაც მოსამართლეს აქვს ისეთი გადაჭარბებულად ზედმეტი სამუშაო დატვირთვა, რის გამოც მას არ შეუძლია დაკისრებული ფუნქციების ნორმალურად განხორციელება.

4. სამსახურებრივი წინსვლა

4.1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლეთა დაწინაურება ხდება მხოლოდ სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით, სხვა სისტემის მიხედვით, რომელიც არანაირად არ გამორიცხავს ქარტიას, რადგან ითვლება, რომ იგი უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის მეტად

ეფექტურ დაცვას, მაგრამ წინასწარ გულისხმობს შესაბამის ქვეყნებში მაღალხარისხოვან განწესებას, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს, რომ დაწინაურებისას მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას არ მიადგეს ზიანი. აქ უნდა დაზუსტდეს ორი შესაძლო შემთხვევა: მოსამართლეებს უკანონოდ ექმნებათ დაბრკოლება დაწინაურების დროს ან მათი დაწინაურება ხდება უკანონოდ.

სწორედ ამიტომ ქარტია დაწინაურების კრიტერიუმებად ადგენს მხოლოდ სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისას გამოვლენილ შესაძლებლობებსა და ღირსებებს, რომელთა შეფასება შეუძლია ერთ ან რამდენიმე მოსამართლეს და განხილვა ხდება აღნიშნულ მოსამართლესთან ერთად.

გადაწყვეტილებებს დაწინაურების შესახებ, აღნიშნული შეფასების საფუძველზე იღებს 1.3. პუნქტში მითითებული ორგანო ან მისი რეკომენდაციით, თანხმობით ან მოსაზრების გათვალისწინებით.

თავისთავად ცხადია, რომ 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა მიზანი არ არის მათი გამოყენება ისეთ სისტემებში, სადაც არ ხდება მოსამართლეთა დაწინაურება და არ არსებობს სასამართლო ხელისუფლების იერარქიული დაყოფა, სისტემებში, რომლებიც ამ მხრივ მყარად უზრუნველყოფენ მოსამართლის დამოუკიდებლობას.

4.2. ქარტია ეხება სამოსამართლო ფუნქციების გარე საქმიანობას. იგი ადგენს, რომ მოსამართლეებს შეუძლიათ ეწეოდნენ მათი მანდატის გარე საქმიანობას, მათ შორის იმას, რაც მათი, როგორც მოქალაქეების, უფლების გამოხატულებას წარმოადგენს. ეს თავისუფლება, რომელიც, თავისთავად, პრინციპია, არ შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამართლეები ჩაბმული იქნებიან ისეთ გარე საქმიანობაში, რომელიც შეუთავსებელია მათი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის სანდოობის ან მათთვის გადაცემული საკითხების ყურადღებითა და გონივრულ ვადაში განხილვისათვის მზადყოფნასთან. ქარტია არ აზუსტებს საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ სახეს. სამოსამართლო ფუნქციების განხორციელების პირობებზე გარე საქმიანობის უარყოფითი შედეგების შეფასება უნდა მოხდეს პრაგმატულად. ქარტია აცხადებს, რომ მოსამართლეებს სჭირდებათ ნებართვა იმისათვის, რომ დაკავებული იყვნენ რომელიმე სხვა ანაზღაურებადი საქმიანობით, გარდა ლიტერატურული ან სამხატვრო საქმიანობისა.

4.3. ქარტია ეხება ისეთ საკითხსაც, რომელსაც ზოგჯერ "მოსამართლის წინდახედულებას" უწოდებენ. იგი იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე–6 მუხლიდან და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართლიდან გამომდინარე პოზიციას, რომლის თანახმადაც, მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ქცევის, მოქმედების ან გამოვლინებისაგან, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მათი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის სანდოობას. მითითება აღნიშნული ნდობის დაკარგვის საფრთხეზე ხაზს უსვამს გადაჭარბებულ სიმკაცრეს, რაც მოსამართლეს საზოგადოებისა და სამოქალაქო სფეროდან გარიყულ პირად აქცევდა.

4.4. ქარტია აწესებს "მოსამართლის შიდაუწყებრივი მომზადების უფლებას": მას რეგულარულად უნდა შეეძლოს სახელმწიფოს ხარჯზე ორგანიზებული მოსამზადებელი კურსების გავლა, რომლის მიზანია მოსამართლეთა მიერ ტექნიკური, სოციალური და კულტურული ცოდნისა და გამოცდილების შენარჩუნება და გაღრმავება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზება 2.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომლებიც შეეხება 1.3. პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს როლს, რათა მოსამზადებელი კურსების შინაარსსა და ამ კურსების განმახორციელებელი ორგანოების მუშაობაში გარანტირებული იყოს გამჭრიახობის, კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მომზადებასთან დაკავშირებით, 2.3. და 4.4. პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიების განსაზღვრება მეტად მოქნილია, რაც იძლევა სხვადასხვა ეროვნული მოსამზადებელი სისტემებისადმი მათი მისადაგების საშუალებას, როგორებიცაა: იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მოსამზადებელი კოლეჯები, მოსამართლეთა ზემდგომი საბჭოს დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტები, კერძო იურიდიული ორგანიზაციები და სხვა.

5. პასუხისმგებლობა

5.1. ქარტია აქ ეხება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. თავდაპირველად, მიუთითებს დისციპლინური სანქციების კანონიერების პრინციპზე, როდესაც აცხადებს, რომ სანქციის შეფარდების

ერთადერთი კანონიერი საფუძველია მოსამართლეთა სტატუტით პირდაპირ გათვალისწინებული რომელიმე მოვალეობის შეუსრულებლობა და რომ შესაფარდებელი სანქციების ჩამონათვალი ასახული უნდა იყოს სტატუტში. გარდა ამისა, ქარტია აწესებს გარანტიებს დისციპლინური სამართალწარმოებისას, რომ დისციპლინური სანქცია შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ისეთი სასამართლოს ან ორგანოს წინადადების, რეკომენდაციის ან თანხმობის საფუძველზე, რომლის, სულ ცოტა, ნახევარი უნდა იყვნენ არჩეული მოსამართლეები. მოსამართლეს უფლება აქვს სრულად დაესწროს სხდომებს, რომლებზეც მისი საქმე იხილება და ყავდეს წარმომადგენელი. სანქციის შეფარდების შემთხვევაში, მისი შერჩევა ხდება სანქციების ჩამონათვალიდან, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. ბოლოს, ქარტია ადგენს, რომ მოსამართლეს უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ორგანოში გაასაჩივროს სანქციის შემფარდებელი გადაწყვეტილება, მიღებული ისეთი სასამართლოს ან ორგანოს მიერ, რომლის, სულ ცოტა, ნახევარი შედგება არჩეული მოსამართლეებისაგან.

მოცემული დებულების ტექსტი არ გულისხმობს აღნიშნული გასაჩივრების უფლების არსებობას პარლამენტის მიერ დაკისრებულ სანქციასთან დაკავშირებით.

5.2. აქ ქარტია ეხება მოსამართლეთა სამოქალაქო და ფულად პასუხისმგებლობას. იგი აწესებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია იმ ზიანისთვის, რომელიც მიყენებულ იქნა მოსამართლის უკანონო მოქმედებით ან სამოსამართლო ფუნქციების უკანონოდ განხორციელების შედეგად. ეს ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში სწორედ სახელმწიფოა დაზარალებულისათვის ასეთი ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის გარანტი.

აზუსტებს რა, რომ სახელმწიფოს აღნიშნული გარანტია მხოლოდ მოსამართლის უკანონო მოქმედებით ან მისი ფუნქციების უკანონოდ განხორციელებით მიყენებულ ზიანს ეხება. ქარტია კი არ მიუთითებს უშუალოდ მოქმედების ან ფუნქციების განხორციელების უკანონო ხასიათზე, არამედ ხაზს უსვამს სწორედ ამ "უკანონო" ხასიათის შედეგად მიყენებულ ზიანს. ეს სავსებით შეესაბამება პასუხისმგებლობას, რომლის დადგომის საფუძველია არა მოსამართლის გადაც-

დომა, არამედ მისი უკანონო მოქმედებით ან ფუნქციების განხორციელებით გამოწვეული ზიანის არანორმალური, განსაკუთრებული და სერიოზული ხასიათი. ეს მნიშვნელოვანია იმ მოსაზრებების გათვალისწინებით, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ უნდა იქნეს ხელყოფილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სისტემით.

ქარტია ასევე ადგენს, რომ, როდესაც ზიანი, რომლის ანაზღაურების გარანტირებას კისრულობს სახელმწიფო, მიყენებულია სამოსამართლო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებების მძიმე ან არასაპატიო დარღვევის შედეგად, სტატუტი სახელმწიფოს ანიჭებს შესაძლებლობას აღძრას სამართალწარმოება იმ მიზნით, რომ მოსამართლეს მოსთხოვოს განსაზღვრულ ვადაში მის მიერ გადახდილი კომპენსაციის ანაზღაურება. მძიმე და არასაპატიო დაუდევრობასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ანაზღაურების მიღებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების იურიდიული ხასიათი უნდა იყოს პროცესის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების გარანტია. უზრუნველყოფილია დამატებითი გარანტიაც წინასწარი თანხმობის მეშვეობით, რომელიც უნდა გასცეს 1.3. პუნქტში აღნიშნულმა ორგანომ, ვიდრე საჩივარი წარედგინება კომპეტენტურ სასამართლოს.

5.3. აქ ქარტია ეხება საზოგადოების წევრთა საჩივრებს მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოებს აქვთ საჩივრებთან დაკავშირებით სხვადასხვა ხარისხით რეგულირებული თავიანთი პროცედურები, რომლებიც არ არის კარგად მოწესრიგებული.

სწორედ ამიტომ ქარტია ითვალისწინებს პირის შესაძლებლობას, რომ მოცემულ საქმეზე, მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით, საჩივარი შეიტანოს დამოუკიდებელ ორგანოში, ცალკეული ფორმალობების დაცვის ვალდებულების გარეშე. ამ ორგანოს მიერ ყოველმხრივი და გულდასმითი განხილვის შედეგად, აშკარად *prima facie* მოსამართლის მიერ დისციპლინური დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ამ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გადასცეს საკითხი ისეთ დისციპლინურ ორგანოს, რომელსაც შეუძლია მოსამართლეებზე იურისდიქციის განხორციელება ან, ყოველ შემთხვევაში, - ისეთ ორგანოს, რომელსაც შიდასახელმწი-

ფლებრივი სტატუტით ექნება საკითხის გადაცემის უფლებამოსილება. არც საკითხის გადაცემისათვის უფლებამოსილი ორგანო და არც საკითხის განხილვისათვის უფლებამოსილი დისციპლინური ორგანო არ არის შეზღუდული იმ ორგანოს მოსაზრებით, რომელშიც პირველად შეიდა საჩივარი. საბოლოოდ, შექმნილია ნამდვილი გარანტიების სისტემა გასასამართლებელი პირების მიერ საჩივრების პროცედურის გზიდან გადაყვანის საწინააღმდეგოდ, რომელთაც სინამდვილეში მართლმსაჯულების სისტემაზე ზემოქმედება სურთ.

აუცილებელი არ არის დამოუკიდებელი ორგანოს ფუნქცია იყოს მოსამართლეთა მიერ დარღვევის ჩადენის დადასტურება. მოსამართლეებს არ გააჩნიათ მონოპოლია მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელებისადმი. ამიტომ მიზანშეწონილია სწორედ ამ დამოუკიდებელმა ორგანომ, როდესაც იგი საჭიროდ ჩათვლის, ასევე გადასცეს საკითხი დისციპლინურ ორგანოს, რომელსაც შეუძლია შესაბამისი იურისდიქციის განხორციელება, ან - იმ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია აღძრას საქმე იურისტების, სასამართლო თანამდებობის პირების, ბეილიფებისა და სხვათა წინააღმდეგ.

მაგრამ ქარტია, რომელიც შეეხება მოსამართლეთა სტატუტს, უფრო დაწვრილებით უნდა ეხებოდეს საქმეთა გადაცემას მხოლოდ მოსამართლეებთან დაკავშირებით.

6. შრომის ანაზღაურება და სოციალური უზრუნველყოფა

ასე დასათაურებული დებულებები შეეხება მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეებს.

6.1. ქარტია ადგენს, რომ შრომის ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებაც აქვთ მოსამართლეებს მათი პროფესიული სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისათვის, უნდა იყოს ისეთი, რომ იცავდეს მათ ზემოქმედებისაგან, რომლის მიზანია, ზოგადად, ზეგავლენის მოხდენა მათ გადაწყვეტილებებზე ან მათ საქმიანობაზე, რითაც ხდება მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელყოფა.

უფრო სასურველი ჩანდა იმის თქმა, რომ შრომის ანაზღაურების ოდენობა ყოფილიყო ისეთი, რომ დაეცვა მოსამართლეები ზეწოლის-

აგან, ვიდრე იმის დაწესება, რომ შრომის ანაზღაურების ოდენობა დადგენილიყო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში უმაღლესი თანამდებობის პირების ანაზღაურების ოდენობის მიხედვით, რადგან სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში ასეთ თანამდებობის პირებთან მიმართებაში ნაკლებად იღებენ მხედველობაში შედარებითობის პრინციპს.

6.2. ერთი მოსამართლის შრომის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს მეორისაგან შრომის სტაჟის, დაკისრებული მოვალეობების ხასიათისა და მათთვის მინდობილი ფუნქციების მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, შაბათ–კვირას, დასვენების დღეებში შესასრულებელი ფუნქციები. მაგრამ ამ ფუნქციების შეფასება, რომლებიც განაპირობებს ანაზღაურების უფრო მაღალ ოდენობას, უნდა მოხდეს გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ მიდგომასთან დაკავშირებული გაუგებრობები, რომლებიც არ შეესება მოსაზრებებს შესრულებული სამუშაოს ან საჭირო მზადყოფნის თაობაზე.

6.3. ქარტია ადგენს მოსამართლეებისათვის სოციალური უზრუნველყოფით სარგებლობის უფლებას, რაც გულისხმობს დაცვას ისეთი ჩვეულებრივი სოციალური მოვლენებისაგან, როგორებიცაა: ავადმყოფობა, მშობიარობა, ინვალიდობა, მოხუცებულობა და გარდაცვალება.

6.4. ამ მხრივ, იგი აზუსტებს, რომ მოსამართლეებს, რომელთაც მოსამართლედ მუშაობის საჭირო დროის შემდეგ, მიაღწიეს საპენსიო ასაკს, უნდა მიეცეთ პენსია, რომლის ოდენობაც რაც შეიძლება მიახლოებული უნდა იყოს მათი, როგორც მოსამართლის, ხელფასის ოდენობასთან.

7. სამსახურებრივი ვადის შეწყვეტა

7.1. აუცილებელია ყურადღებით მიდგომა იმ პირობებისადმი, რომელთა საფუძველზეც უნდა შეწყდეს მოსამართლის სამსახურებრივი ვადა. მნიშვნელობა აქვს სამსახურებრივი ვადის შეწყვეტის ამომწურავი მიზეზების სიის დაწესებას. ეს მიზეზებია მოსამართლის გადადგომა, სამედიცინო საბუთი, რომელიც ადასტურებს პირის ფიზიკურ შეუსაბამობას მოსამართლის თანამდებობაზე დარჩენისათვის,

ასაკობრივი ზღვრის მიღწევა, კანონით დადგენილი ვადის ამოწურვა ან თანამდებობიდან გათავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ სამსახურებრივი ვადის შეწყვეტის საფუძველი შეიქმნება, გარდა ასაკობრივი ზღვრის მიღწევისა და დადგენილი სამსახურებრივი ვადის ამოწურვისა, ისინი უნდა დაამოწმოს 1.3. პუნქტში აღნიშნულმა ორგანომ. ეს პირობა ადვილი გასაგებია იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივი ვადის შეწყვეტა გამოწვეულია სწორედ ამ ორგანოს გადაწყვეტილების, წინადადების, რეკომენდაციის ან მისი თანხმობის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლებით.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ნორმები

(სასამართლოს რეგისტრატურა, სტრასბურგი 4 ნოემბერი, 1998 წელი)

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" კონვენციისა და მისი ოქმებიდან გამომდინარე,

ქმნის წინამდებარე ნორმებს:

ნორმა 1
(განსაზღვრებები)

ამ ნორმების მიზნებისათვის, თუ კონტექსტით სხვა რამ არ იგულისხმება, ტერმინი:

a) "კონვენცია" ნიშნავს "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" კონვენციას და მისი ოქმებს;

b) "პლენარული სასამართლო" - ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პლენარულ სესიას;

c) "დიდი პალატა" - კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, შექმნილ მთავარ პალატას 17 მოსამართლის შემადგენლობით;

d) "სექცია" - პლენარული სასამართლოს მიერ კონვენციის 26(b)-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ვადით შექმნილ პალატას, "სექციის თავმჯდომარე" - პლენარული სასამართლოს მიერ კონვენციის 26(c)-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სექციის თავმჯდომარეობის მიზნით არჩეულ მოსამართლეს;

e) "პალატა" - კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად შექმნილ პალატას შვიდი მოსამართლის შემადგენლობით; "პალატის თავმჯდომარე" - მოსამართლეს, რომელიც ასეთ "პალატას" თავმჯდომარეობს;

f) "კომიტეტი" - კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პარაგრაფის

შესაბამისად შექმნილ კომიტეტს სამი მოსამართლის შემადგენლობით;

g) "სასამართლო" - პლენარულ სასამართლოს, მთავარ პალატას, სექციას, პალატას, კომისიას ან კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად ხუთი მოსამართლისაგან შემდგარ ჯგუფს;

h) "ad hoc" მოსამართლე - არჩეული მოსამართლისაგან განსხვავებულ პირს, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილე მხარე, კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ირჩევს მთავარი პალატის ან პალატის წევრად;

i) "მოსამართლე" და "მოსამართლეები" გულისხმობს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეულ ან ad hoc მოსამართლეებს;

j) "მომხსენებელი მოსამართლე" - 48-ე და 49-ე მუხლებით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად დანიშნულ მოსამართლეს;

k) "რეგისტრატორი" - სასამართლოს ან სექციის რეგისტრატორს, კონტექსტის შესაბამისად;

l) "მხარე" და "მხარეები" - ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელ ან მოპასუხე მხარეებს;

- განმცხადებელი (პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი), რომელმაც საჩივარი წარადგინა კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად;

m) "მესამე მხარე" - ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელმაც მისად განახორციელა თავისი უფლება კონვენციის 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პარაგრაფების შესაბამისად ან რომელსაც ეთხოვა წერილობითი კომენტარების წარმოდგენა ან მოწვეულ იქნა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

n) "მინისტრთა კომიტეტი" - ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს;

o) "ყოფილი სასამართლო" და "კომისია" – შესაბამისად, კონვენციის ყოფილი მე-19 მუხლის ძალით შექმნილ ევროპის სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიას.

ნაწილი I. სასამართლოს ორგანიზაცია და საქმიანობის წესი

თავი I. მოსამართლეები

ნორმა 2
(უფლებამოსილების ვადის ათვლა)

1. არჩეული მოსამართლის უფლებამოსილების ვადა აითვლება მისი არჩევის დღიდან, ხოლო, თუ მოსამართლე უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ხელმეორედ იქნა არჩეული ან არჩეულია იმ მოსამართლის შესაცვლელად, რომლის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა ან იწურება, ახლადარჩეული მოსამართლის უფლებამოსილების ვადა აითვლება წინამორბედის უფლებამოსილების ვადის გასვლის დღიდან.
2. კონვენციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იმ მოსამართლის შესაცვლელად არჩეული მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადაც არ ამოწურულა, აღნიშნულ თანამდებობაზე იმყოფება წინამორბედის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.
3. კონვენციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად არჩეული მოსამართლის უფლებამოსილება მთავრდება ახლადარჩეული მოსამართლის მიერ მე-3 ნორმის შესაბამისად ფიცის მიღების ან განცხადების გაკეთებისთანავე.

ნორმა 3
(ფიცი ან საზეიმო განცხადება)

1. თანამდებობის დაკავებამდე თითოეული არჩეული მოსამართლე მისთ თანდასწრებით მიმდინარე პლენარული სასამართლოს პირველივე სხდომის ან საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე წარმოთქვამს ფიცს ან აკეთებს შემდეგი შინაარსის საზეიმო განცხადებას:

   "ვფიცავ" - ან "საზეიმოდ ვაცხადებ" - "რომ როგორც მოსამართლე, ჩემს ფუნქციებს განვახორციელებ პატიოსნად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად და დავიცავ მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას".
2. ამ მოქმედებასთან დაკავშირებით უნდა შედგეს ოქმი.

ნორმა 4
(თანამდებობრივი შეუთავსებლობა)

კონვენციის 21-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად, მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში არ შეიძლება ეწეოდეს რაიმე პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და პროფესიულ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან ან სრული სამუშაო დღის მოთხოვნებთან. თითოეულმა მოსამართლემ სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა მოახსენოს ნებისმიერი დამატებითი საქმიანობის შესახებ. თავმჯდომარესა და აღნიშნულ მოსამართლეს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საკითხს წყვეტს პლენარული სასამართლო.

ნორმა 5
(უფროს-უმცროსობა)

1. არჩეულ მოსამართლეთა შორის სასამართლოს თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარეების, აგრეთვე, სექციათა თავმჯდომარეების შემდეგ, უფროს-უმცროსობა განისაზღვრება მათი არჩევის თარიღის მიხედვით. ხელმეორედ არჩეულ მოსამართლესთან დაკავშირებით, უფროს-უმცროსობის განსაზღვრისას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელმეორედ არჩევა უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე არ მომხდარა, მხედველობაში მიიღება აღნიშნულ თანამდებობაზე მათ მიერ ნამსახურევი დროის ხანგრძლივობა.
2. სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთსა და იმავე დროს არჩეულ პირთა შორის უფროს-უმცროსობა განისაზღვრება მათ მიერ მოსამართლის თანამდებობაზე ნამსახურევი დროის პერიოდის მიხედვით; თუ ნამსახურევი დროის ხანგრძლივობა იდენტურია, მაშინ უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ასაკის შესაბამისად. იგივე წესი გამოიყენება სექციათა თავმჯდომარეების მიმართ.
3. მოსამართლეებს შორის, რომელთა მიერ აღნიშნულ თანამდებობაზე ნამსახურევი დროის ხანგრძლივობა იდენტურია, უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ასაკის მიხედვით.
4. ad hoc მოსამართლეებს შორის უფროს-უმცროსობა განისაზღვრება არჩეულ მოსამართლეთა შემდეგ ასაკის მიხედვით.

ნორმა 6
(გადადგომა)

მოსამართლის გადადგომის შესახებ უნდა ეცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას უგზავნის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. 24-ე ნორმის მე-3 პარაგრაფისა - ზოგადად, და 26-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, გადადგომა ქმნის ვაკანტურ თანამდებობას.

ნორმა 7
(თანამდებობიდან გათავისუფლება)

არ შეიძლება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, თუ პლენარულ სესიაზე არჩეულ მოსამართლეთა ორი-მესამედის უმრავლესობით არ დადგინდება, რომ იგი ვეღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. ასეთ მოსამართლეს პირველად უნდა მოუსმინოს პლენარულმა სასამართლომ. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია დააყენოს წინადადება თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის დაწყების შესახებ.

თავი II. სასამართლოს თავმჯდომარეობა

ნორმა 8
(სასამართლოს თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარეები და სექციათა თავმჯდომარეებისა და ვიცე-თავმჯდომარეების არჩევის წესი)

1. პლენარული სასამართლო თავმჯდომარეს, ორ ვიცე-თავმჯდომარესა და სექციების თავმჯდომარეებს ირჩევს სამი წლის ვადით; ეს პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს მათი, როგორც მოსამართლეების, უფლებამოსილების ვადას. აღნიშნულ თანამდებობაზე პიროვნება შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ორჯერ.
2. თითოეული სექცია, ანალოგიურად, განახლებული სამი წლის ვადით ირჩევს ვიცე-თავმჯდომარეს, რომელიც ცვლის სექციის თავმჯდომარეს, თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება.
3. თავმჯდომარეები და ვიცე-თავმჯდომარეები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ახალი თავმჯდომარის ან ვიცე-თავმჯდომარის არჩევამდე.

4. თუ თავმჯდომარე ან ვიცე-თავმჯდომარე შეწყვეტს სასამართლოს წევრობას ან გადადგება უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, პლენარული სასამართლო ან შესაბამისი სექცია აირჩევს მის მონაცვლეს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

5. ამ ნორმით გათვალისწინებული არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. მასში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის არჩეული მოსამართლეები, რომლებიც ესწრებიან კენჭისყრას. თუ ვერც ერთმა მოსამართლემ ვერ მიიღო დამსწრეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მაშინ კენჭი ხელმეორედ ეყრება იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც პირველი კენჭისყრისას მიიღეს ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა. მეორე ტურში ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელიც მე-5 ნორმით დადგენილი უფროს-უმცროსობის წესის მიხედვით უფრო მაღლა დგას.

ნორმა 9
(სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციები)

1. სასამართლოს თავმჯდომარე წარმართავს სასამართლოსა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობას, ის წარმოადგენს სასამართლოს და პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობებზე.

2. სასამართლოს თავმჯდომარე უძღვება სასამართლოს პლენარულ, დიდი პალატისა და ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი ჯგუფის სხდომებს.

3. თავმჯდომარე არ მონაწილეობს იმ საქმეთა განხილვაში, რომელთა მოსმენასაც პალატები აწარმოებენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებული მხარისაგან არჩეულ მოსამართლეს.

ნორმა 10
(სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარეების ფუნქციები)

სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარეები ეხმარებიან სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარის თხოვნის შესაბამისად, ისინი იკავებენ თავმჯდომარის ადგილს, ამ უკანასკნელის მხრიდან თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის ან თავმჯდომარის თანამდებობის ვაკან-

ტურობის შემთხვევაში, - სასამართლოს ვიცე თავმჯდომარეს. ისინი იმავდროულად შეიძლება იყვნენ სექციის თავმჯდომარეებიც.

ნორმა 11
(სასამართლოს თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარეების მოვალეობების შესრულება)

თუ სასამართლოს თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეებს ერთსა და იმავე დროს არ შეუძლიათ საკუთარი მოვალეობების შესრულება ან მათი თანამდებობა ვაკანტურია, სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებს სექციის თავმჯდომარე, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, სხვა არჩეული მოსამართლე, მე-5 ნორმით დადგენილი უფროს–უმცროსობის წესის შესაბამისად.

ნორმა 12
(სექციებისა და პალატების თავმჯდომარეობა)

სექციების თავმჯდომარეები უძღვებიან იმ სექციებისა და პალატების სხდომებს, რომელთა წევრებიც ისინი არიან. სექციების ვიცე-თავმჯდომარეებს შეუძლიათ სექციის თავმჯდომარის ადგილის დაკავება მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის ან მათი თანამდებობის ვაკანტურობის შემთხვევაში ან სექციის თავმჯდომარის თხოვნით. სექციების ვიცე თავმჯდომარეების არყოფნის შემთხვევაში ანალოგიური უფლება აქვთ სექციებისა და პალატების წევრ მოსამართლეებს, მე-5 ნორმით გათვალისწინებული უფროს-უმცროსობის წესის შესაბამისად.

ნორმა 13
(თავმჯდომარეობის უფლების არქონა)

მოსამართლეს უფლება არა აქვს თავმჯდომარეობდეს იმ საქმის განხილვისას, სადაც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის აღნიშნული მოსამართლე ან რომლის მიერაც იქნა იგი არჩეული.

ნორმა 14
(სქესთა თანასწორი წარმომადგენლობა)

წინამდებარე ნორმების აღნიშნული და მომდევნო თავის შესაბამისად,

თანამდებობაზე დანიშვნების განხორციელებისას სასამართლომ უნდა გაატაროს სქესთა თანასწორი წარმომადგენლობის დაცვის პოლიტიკა.

თავი III. რეგისტრატურა

ნორმა 15
(რეგისტრატორის არჩევა)

1. პლენარული სასამართლო ირჩევს თავის რეგისტრატორს. კანდიდატი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი მორალური ღირსებით და ჰქონდეს იურიდიული, მენეჯერისა და ლინგვისტური განათლება და ამ თანამდებობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი გამოცდილება,
2. რეგისტრატორი აირჩევა ხუთი წლის ვადით. შესაძლებელია ამ თანამდებობაზე პირის ხელმეორედ არჩევა. დაუშვებელია რეგისტრატორის თანამდებობიდან გათავისუფლება, თუ პლენარულ სესიაზე, არჩეულ მოსამართლეთა ორი-მესამედის უმრავლესობით არ დადგინდება, რომ იგი ვეღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. საკითხის განხილვისას პლენარულმა სასამართლომ თავდაპირველად უნდა მოუსმინოს რეგისტრატორს. რეგისტრაციის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის დაწყების თაობაზე წინადადების შეტანა შეუძლია ნებისმიერ მოსამართლეს.
3. ამ ნორმით გათვალისწინებული არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით; მასში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის არჩეული მოსამართლეები, რომლებიც ესწრებიან კენჭისყრას. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო დამსწრეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მაშინ კენჭი ხელმეორედ ეყრება იმ ორ კანდიდატს, რომელთაც პირველი კენჭისყრისას ხმების უმეტესი რაოდენობა მიიღეს. მეორე ტურში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქალს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ორივე კანდიდატი მამაკაცია – ასაკით უფროსს.
4. თანამდებობის დაკავებამდე რეგისტრატორი პლენარული სასამართლოს ან საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე წარმოთქვამს ფიცს ან აკეთებს შემდეგი შინაარსის საზეიმო განცხადებას:

"ვფიცავ" - ან "საზეიმოდ ვაცხადებ" - "რომ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგისტრატორი, ჩემს მოვ-

ალეობებს განვახორციელებ ერთგულად, ყურადღებით და თანამიმდევრულად".

ამ მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

ნორმა 16
(რეგისტრატორის მოადგილეების არჩევნები)

1. პლენარული სასამართლო ირჩევს რეგისტრატორის ორ მოადგილეს წინამორბედ ნორმაში აღწერილი პირობების, წესისა და ვადის მიხედვით. რეგისტრატორის მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა რეგისტრატორის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის ანალოგიურია. ორივე შემთხვევაში სასამართლო პირველად უსმენს რეგისტრატორს.
2. თანამდებობის დაკავებამდე რეგისტრატორის მოადგილეები პლენარული სასამართლოს ან საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე წარმოთქვამენ ფიცს ან აკეთებენ საზეიმო განცხადებას, რომელიც რეგისტრატორის ფიცის ან განცხადების ანალოგიურია. ამ მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

ნორმა 17
(რეგისტრატორის ფუნქციები)

1. რეგისტრატორი ეხმარება სასამართლოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში და რეგისტრატურის ორგანიზაციასა და საქმიანობაზე პასუხისმგებელია სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე.
2. რეგისტრატორს ეკისრება სასამართლოს არქივის დაცვისა და შენახვის ვალდებულება და ინფორმაციის მიწოდება ყველა იმ კომუნიკაციისა და შეტყობინებისათვის, რომელიც კეთდება სასამართლოს მიერ ან მისი იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ის იხილავს ან მომავალში განიხილავს.
3. რეგისტრატორი, თავისი თანამდებობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს სასამართლოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცემისას, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის.
4. რეგისტრატურის საქმიანობა რეგულირდება რეგისტრატორის მიერ სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით შემუშავებული ზოგადი ინსტრუქციებით.

ნორმა 18
(რეგისტრატურის ორგანიზაცია)

1. რეგისტრატურა შედგება სექციური რეგისტრატურებისაგან, რომელთა რაოდენობა სასამართლოს სექციების რაოდენობის შესაბამისია, და დეპარტამენტებისაგან, რომლებიც იქმნება სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე სამართლებრივი და ადმინისტრაციული უზრუნველყოფისათვის.
2. სექციის რეგისტრატორი ეხმარება სექციას მისი ფუნქციების განხორციელებაში და მას შეიძლება ჰყავდეს დამხმარე სექციის რეგისტრატორის მოადგილის სახით.
3. რეგისტრატურის მოხელეებს, მათ შორის იურიდიულ მდივნებს, რეგისტრატორისა და მისი მოადგილეების გარდა, ნიშნავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი სასამართლოს თავმჯდომარესთან ან მისი ინსტრუქციებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქმედ რეგისტრატორთან შეთანხმებით.

თავი IV. სასამართლოს საქმიანობის წესი

ნორმა 19
(სასამართლოს ადგილმდებარეობა)

1. სასამართლო განლაგებულია სტრასბურგში ევროპის საბჭოს რეზიდენციაში. თუმცა, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის, სასამართლოს თავისი ფუნქციების განხორციელება შეუძლია ევროპის საბჭოს წევრი ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზეც.
2. განცხადების განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მისი ერთი ან რამდენიმე წევრის მიერ ნებისმიერ ტერიტორიაზე გამოძიების ჩატარების ან რაიმე სხვა ფუნქციის შესრულების შესახებ.

ნორმა 20
(პლენარული სასამართლოს სესიები)

1. სასამართლოს პლენარულ სესიას იწვევს სასამართლოს თავმჯდომარე, როცა ეს აუცილებელია, კონვენციითა და ამ ნორმებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისათვის. სასამართლოს თავმჯდომარე ასევე იწვევს პლენარულ სესიას სასამართლოს წევრ-მოსამართლეთა ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძ-

ველზე და წელიწადში ერთხელ ადმინისტრაციული საკითხების განსახილველად.

2. პლენარული სასამართლოს ქვორუმს შეადგენს თანამდებობაზე არჩეულ მოსამართლეთა ორი მესამედი.

3. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარემ სესია უნდა გადადოს.

ნორმა 21
(სასამართლოს და სხვა სესიები)

1. დიდი პალატის, პალატებისა და კომიტეტების სხდომები მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. თუმცა თავმჯდომარის წინადადებით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს წელიწადის სასესიო პერიოდები.

2. აუცილებლობის შემთხვევაში დიდი პალატისა და პალატების რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლიათ მათ თავმჯდომარეებს.

ნორმა 22
(მოსამართლეთა თათბირი)

1. სასამართლო თათბირობს განმარტოებით. თათბირის შინაარსი საიდუმლოდ რჩება.

2. თათბირში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მოსამართლეები. თათბირს შეიძლება დაესწროს რეგისტრატორი ან მისი ფუნქციის შემსრულებელი სხვა პიროვნება ისევე, როგორც რეგისტრატურის სხვა მოხელეები და თარჯიმნები, თუ მათი დახმარება აუცილებელია. ყველა სხვა პიროვნება თათბირზე შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით.

3. სასამართლოში ნებისმიერ საკითხზე კენჭისყრის ჩატარებამდე თავმჯდომარე სთხოვს მოსამართლეებს აღნიშნულ საკითხზე თავიანთი აზრის გამოხატვას.

ნორმა 23
(კენჭისყრა)

1. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით. ხმების რაოდენობის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, კენჭისყრა ტარდება განმეორებით. თუ ხმების რაო-

დენობა კვლავ თანაბარი აღმოჩნდება, მაშინ გადამწყვეტია სასამართლოს თავმჯდომარის ხმა. მოცემული პარაგრაფის დებულებები გამოიყენება, თუ ამ ნორმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. დიდი პალატა და პალატები, სასამართლო და სხვა სახის გადაწყვეტილებებს იღებენ დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით. მოსამართლეებს საქმის არსებითი გარემოებებისა და დასაშვებობის თაობაზე საბოლოო კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავის შეკავების უფლება არ ეძლევათ.
3. როგორც წესი, კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით. თავმჯდომარეს შეუძლია ჩაატაროს სახელობითი კენჭისყრა უფროს-უმცროსობის შებრუნებული თანმიმდევრობით.
4. ნებისმიერი საკითხი, რომელსაც კენჭი ეყრება, ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული.

თავი V. პალატები

ნორმა 24
(დიდი პალატის ჩამოყალიბება)

1. დიდი პალატა შედგება 17 მოსამართლისა და 3 სათადარიგო მოსამართლისაგან.
2. დიდი პალატა იქმნება სამი წლის ვადით, მე-8 ნორმის შესაბამისად ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩევნების ჩატარებიდან.
3. დიდი პალატის შემადგენლობაში შედიან სასამართლოს თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები, ასევე, სექციათა თავმჯდომარეები. დიდი პალატის ფორმირების დასრულების მიზნით, პლენარული სასამართლო თავმჯდომარის წინადადებით მოსამართლეთა მთელ დანარჩენ შემადგენლობას ყოფს ორ ჯგუფად, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან ყოველი ცხრა თვის შემდეგ და რომელთა შემადგენლობაც შეძლებისდაგვარად, დაბალანსებულია გეოგრაფიულად და ასახავს იმ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს, რომლებსაც ხელშეკრულების მონაწილე მხარეები წარმოადგენენ. მოსამართლეები და სათადარიგო მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობენ ყოველი საქმის განხილვაში, რომელიც იხილება დიდ პალატაში თითოეული ცხრათვიანი პერიოდის განმავლობაში, ინიშნებიან როტაციის პრინციპით თითოეული

ჯგუფის შემადგენლობაში; ისინი რჩებიან დიდი პალატის წევრებად საქმის სასამართლო განხილვის დასრულებამდე, მაშინაც კი, როცა მოსამართლედ ყოფნის ვადა გასული აქვთ.

4. თუ ამ ნორმის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, დიდი პალატის წევრს არ წარმოადგენს მოსამართლე, რომელიც არჩეულია ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ, ეს უკანასკნელი საქმის განხილვაში მონაწილეობს როგორც დიდი პალატის ex officio წევრი, კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

5. (a) თუ დიდი პალატის წევრობა არ შეუძლია რომელიმე სექციის თავმჯდომარეს, მას ცვლის ამავე სექციის ვიცე-თავმჯდომარე.

(b) თუ დიდი პალატის მოსამართლეს, გარემოებათა გამო, არ შეუძლია მის საქმიანობაში მონაწილეობა, მას ცვლის სათადარიგო მოსამართლე იმ წესით, რომლითაც ეს უკანასკნელი არჩეულ იქნა ამ ნორმის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად.

(c) თუ იმ ჯგუფში, რომელიც ქმნის დიდ პალატას, არ არის სათადარიგო მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, მაშინ ისინი ინიშნებიან სხვა ჯგუფის წევრთაგან კენჭისყრით.

6. (a) დიდი პალატის ხუთი მოსაჩართლის ჯგუფი, რომელიც, კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად, მოიწვევა წარდგენილი თხოვნის განსახილველად, შედგება

— სასამართლოს თავმჯდომარისაგან,

— სექციათა თავმჯდომარეების ან, თუ მათ არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, ვიცე-თავმჯდომარეებისაგან, იმ სექციის გარდა, რომლისგან პალატაც იხილავდა დიდ პალატაში გადაგზავნილ საქმეს.

— ერთი დამატებითი მოსამართლისაგან, რომელიც როტაციის პრინციპით ინიშნება იმ მოსამართლეთა რიგებიდან, ვინც არ იხილავდა საქმეს პალატაში.

(b) ამ ჯგუფის შემადგენლობაში არ შეიძლება იმყოფებოდეს მოსამართლე, რომელიც არის ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებული მხარის მოქალაქე ან არჩეულია მასთან დაკავშირებით.

(c) აღნიშნული ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომელსაც არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება, შეიძლება როტაციის პრინციპით შეცვალოს მოსამართლემ, რომელიც პალატის მიერ აღნიშნული საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა.

ნორმა 25
(სექციების შექმნა)

1. კონვენციის 26(ხ)-ე მუხლით გათვალისწინებულ პალატებს (რომლებიც ამ ნორმებში "სექციებად" იწოდება) სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით ქმნის პლენარული სასამართლო სამი წლის ვადით. მე-8 ნორმის შესაბამისად, ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩევნების ჩატარებიდან უნდა შეიქმნას სულ მცირე ოთხი სექცია მაინც.

2. თითოეული მოსამართლე რომელიმე სექციის წევრია. სექციათა შემადგენლობა ყალიბდება გეოგრაფიული და გენდერული ბალანსის პრინციპით და ასახავს იმ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს, რომლებსაც ხელშეკრულების მონაწილე მხარეები წარმოადგენენ.

3. თუ მოსამართლეს შეუწყდა სასამართლოს წევრად ყოფნის უფლებამოსილება სექციის ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი დროის მონაკვეთის დასრულებამდე, სექციაში მის ადგილს დაიკავებს მოსამართლე, რომელსაც მის ნაცვლად აირჩევენ სასამართლოს წევრად.

4. სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში გამონაკლისის სახით შესწორებები შეიტანოს სექციათა შემადგენლობაში.

5. თავმჯდომარის წინადადებით პლენარულ სასამართლოს შეუძლია დამატებითი სექციის შექმნა.

ნორმა 26
(პალატების ჩამოყალიბება)

1. სასამართლოში შემოსული საქმეების განსახილველად კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატები ყალიბდება სექციებისაგან შემდეგნაირად:

   (a) პალატა ნებისმიერი საქმის განხილვისას უნდა შედგებოდეს სექციის თავმჯდომარისა და ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან დაკავშირებით არჩეული მოსამართლისაგან. თუ ეს უკანასკნელი არ არის იმ სექციის წევრი, რომელსაც, 51-ე და 52-ე ნორმების შესაბამისად, განსახილველად გადაეცა განცხადება, ის პალატაში წარ-

მოდგენილი იქნება როგორც ex officio წევრი, კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად. თუ ზემოხსენებულ მოსამართლეს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება ან განაცხადა აცილება, გამოყენებული იქნება 29-ე ნორმა.

(b) პალატის სხვა წევრებს შესაბამისი სექციის წევრებიდან როტაციის პრინციპით ნიშნავს სექციის თავმჯდომარე.

(c) სექციის წევრები, რომლებიც პალატაში დანიშნული არ არიან, საქმესთან დაკავშირებით წარმოადგენენ სათადარიგო მოსამართლეებს.

2. მოსამართლე, უფლებამოსილების ვადის გასვლის მიუხედავად, მონაწილეობს სასამართლო განხილვაში იმ საქმეზე, რომლის კონკრეტული გარემოებების განხილვასაც იგი ესწრებოდა.

ნორმა 27
(კომიტეტები)

1. ერთი და იმავე სექციის სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტები იქმნება კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად. კომიტეტების რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე სექციის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. კომიტეტები ყალიბდება თორმეტი თვის ვადით სექციის წევრებისაგან როტაციის პრინციპით, რომელიც არ ეხება სექციის თავმჯდომარეს.

3. სექციის მოსამართლეები, რომლებიც კომიტეტის წევრები არ არიან, შეიძლება მოწვეულ იქნენ იმ წევრთა ადგილის დასაკავებლად, რომელთაც არ შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

4. კომიტეტს წარმოადგენს ის წევრი, რომელიც უფროს-უმცროსობის წესის მიხედვით ზედა საფეხურზე იმყოფება.

ნორმა 28
(უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა, აცილება ან გათავისუფლება)

1. ნებისმიერმა მოსამართლემ, რომელიც, რაიმე მიზეზის გამო, ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, ამის შესახებ შეძ-

ლებისდაგვარად მოკლე პერიოდში უნდა აცნობოს პალატის თავმჯდომარეს.

2. მოსამართლემ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს იმ საქმის განხილვაში, რომელთან დაკავშირებითაც მას გააჩნია პირადი ინტერესი ან მოქმედებდა, როგორც დაინტერესებული მხარის ან პირის წარმომადგენელი, დამცველი ან მრჩეველი ან როგორც ტრიბუნალის ან გამომძიებელი კომისიის წევრი, ან მოქმედებდა რაიმე სხვა დანიშნულებით.

3. თუ მოსამართლე განაცხადებს აცილებას რომელიმე ზემოხსენებული ან სხვა განსაკუთრებული მიზეზით, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს პალატის თავმჯდომარეს, რომელიც ათავისუფლებს მას განხილვაში მონაწილეობისაგან.

4. თუ პალატის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ არსებობს მოსამართლის აცილების საფუძველი, ის მას ეთათბირება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს პალატა.

ნორმა 29
(ad hoc მოსამართლეები)

1. თუ ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან დაკავშირებით არჩეულ მოსამართლეს არ შეუძლია პალატის საქმიანობაში მონაწილეობა ან განაცხადა აცილება, პალატის თავმჯდომარე სთავაზობს მხარეს 30 დღის განმავლობაში გამოხატოს მის ნაცვლად სხვა ნებისმიერი არჩეული მოსამართლის ან ad hoc მოსამართლის დანიშვნის სურვილი, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება კონვენციის 21-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში მხარემ იმავდროულად უნდა განაცხადოს დანიშნული მოსამართლის ვინაობა. ანალოგიური წესი გამოიყენება, თუ ამ წესით დანიშნულ პირს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება ან განაცხადა აცილება.

2. ხელშეკრულების მონაწილე მხარის მხრიდან 30 დღის განმავლობაში პასუხის მიუღებლობა განიხილება მის მიერ აღნიშნულ უფლებაზე უარის თქმად.

3. ad hoc მოსამართლე მისი დანიშვნის შემდეგ მოწვეულ პირველივე სხდომაზე, რომელიც საქმის განხილვას ეძღვნება, დებს ფიცს ან აკეთებს საზეიმო განცხადებას მე-3 ნორმის შესაბამისად. აღნიშნული მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

ნორმა 30
(საერთო ინტერესი)

1. თუ რამდენიმე განმცხადებელ ან მოპასუხე მხარეს აქვს საერთო ინტერესი, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია შესთავაზოს მათ შეთანხმდნენ, კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ერთი არჩეული მოსამართლის ან ad hoc მოსამართლის დანიშვნის თაობაზე. მხარეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარე მათ მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს შორის კენჭისყრის საფუძველზე გამოავლენს მოსამართლეს, რომელიც პალატის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებს ex officio.
2. საერთო ინტერესის არსებობა-არარსებობის თაობაზე დავის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს პლენარული სასამართლო.

ნაწილი II. პროცედურა

თავი I. ზოგადი ნორმები

ნორმა 31
(კონკრეტული შეზღუდვების შესაძლებლობა)

მოცემული ნაწილის დებულებები არ ეწინააღმდეგება სასამართლოს უფლებას, როცა ეს შესაძლებელია, კონკრეტული საქმის განხილვისას შეზღუდოს მათი მოქმედება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ.

ნორმა 32
(პრაქტიკული მითითებები)

სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გამოსცეს პრაქტიკული მითითებები, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აღმოცენდება მოსმენების მიმდინარეობს ან იმ დოკუმენტების შეუსების დროს, რომლებსაც ცვლიან მხარეები სასამართლო განხილვის წინა სტადიაზე.

ნორმა 33
(სასამართლო განხილვის საჯაროობა)

1. სასამართლო განხილვა საჯაროა, თუ პალატა, ამ ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, განსაკუთრებული გარემოებებიდან გა-

მომდინარე, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის ან პირის თხოვნის საფუძველზე, სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

2. სასამართლო მოსმენა შეიძლება პრესისა და საზოგადოებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად გამოცხადდეს, თუ ამას მოითხოვს დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საჯარო წესრიგისა და ეროვნული უშიშროების ინტერესები, არასრულწლოვანთა და საქმის მონაწილე მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესები, ან პალატას ამ ზომის მიღება უკიდურესად აუცილებლად მიაჩნია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, როცა საზოგადოებას შეუძლია მართლმსაჯულების სამართლიანობას ზიანი მიაყენოს.

3. განცხადების რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრატურაში დეპონირებული ყველა დოკუმენტი, იმ დოკუმენტების გარდა, რომლებიც მეგობრული გადაწყვეტის მისაღწევად 62-ე ნორმის შესაბამისად წარმოებული მოლაპარაკების ჩარჩოებში ექცევა, საზოგადებისათვის ხელმისაწვდომია, თუ ამ ნორმის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული მიზეზების გამო, პალატის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის ან პირის თხოვნის საფუძველზე, სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

4. ამ ნორმის პირველი და მე-3 პარაგრაფის მიხედვით, კონფიდენციალურობის ნებისმიერი მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და განსაზღვრავდეს, მოსმენის პროცესი ან დოკუმენტის შინაარსი მთლიანად თუ ნაწილობრივ უნდა იყოს გასაიდუმლოებული საზოგადოებისათვის.

ნორმა 34
(ენების გამოყენება)

1. სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული.

2. განცხადების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა კომუნიკაცია მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან და დოკუმენტი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ საქმის განხილვის წინა სტადიაზე კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, უნდა იყოს შედგენილი სასამართლოს ოფიციალურ ენაზე თუ არა - ხელშეკრულების მონაწილეთა ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე მაინც.

3. (a) ყველა კომუნიკაცია მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან და დოკუმენტი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ განხილვასთან დაკავშირებით ან განსახილველად საქმის მიღების შემდეგ, წარმოებს სასამართლოს ოფიციალურ ენაზე, თუ პალატის თავმჯდომარე ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ოფიციალურ ენაზე მისი გაგრძელების უფლებას არ მისცემს.

   (b) ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში რეგისტრატორი იღებს ყველა აუცილებელ ზომას განმცხადებლის მოსაზრებებისა და განცხადებების ზეპირი და წერილობითი თარგმანის უზრუნველსაყოფად.

4. (a) ყველა კომუნიკაცია ხელშეკრულების მონაწილე ან მესამე მხარესთან და მათ მიერ დოკუმენტების წარმოდგენა წარმოებს სასამართლოს ოფიციალურ ენაზე. სხვა ენის გამოყენება ხდება პალატის თავმჯდომარის ნებართვით.

   (b) ასეთი ნებართვის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს ოფიციალურ ენაზე წერილობითი და ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფის ხარჯები ეკისრება ინფორმაციის წარმომდგენ მხარეს.

5. პალატის თავმჯდომარემ ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარეს შეიძლება შესთავაზოს წერილობითი დოკუმენტების იმ განმცხადებელი მხარის ოფიციალურ ენაზე წარმოდგენა ან თარგმნა, ამ უკანასკნელისათვის აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის უზრუნველყოფის მიზნით.

6. სასამართლოს წინაშე წარმდგარ მოწმეს, ექსპერტს ან სხვა პირს შეუძლია ისაუბროს მშობლიურ ენაზე, თუ იგი სასამართლოს რომელიმე ოფიციალურ ენას სათანადოდ არ ფლობს. ამ შემთხვევაში რეგისტრატორმა უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები თარგმანის უზრუნველსაყოფად.

ნორმა 35

(ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა წარმომადგენლობა)

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ დამცველის ან მრჩეველის დახმარებით.

ნორმა 36
(განმცხადებლის წარმომადგენლობა)

1. პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირთა ჯგუფებს, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების წარმოდგენა შეუძლიათ პირადად ან ამ ნორმის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით.

2. 54-ე ნორმის მე-3(b) პარაგრაფის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარისათვის განცხადების თაობაზე შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, პალატის თავმჯდომარეს, ამ მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, შეუძლია გასცეს განკარგულება განმცხადებლის წარმოდგენის შესახებ.

3. თუ პალატის თავმჯდომარე სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პალატის მიერ წარმოებულ მოსმენებსა და სასამართლო პროცესზე, რომელიც შედეგად მოსდევს განცხადების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანას, განმცხადებელი წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული სახით.

4. (a) განმცხადებლის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე პრაქტიკის უფლების მქონე ან ამ სახელმწიფოს რეზიდენტი ადვოკატი ან პალატის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული პიროვნება.

   (b) პალატის თავმჯდომარეს შეუძლია განმცხადებელს მისცეს საკუთარი საქმის პირადად წარმოდგენის უფლება, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში მას დახმარებას აღმოუჩენს დამცველი ან დამტკიცებული წარმომადგენელი.

   (c) გამონაკლის შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ არსებული გარემოებები და წინა პარაგრაფების შესაბამისად დამტკიცებული წარმომადგენლის ან დამცველის მოქმედება შესაბამის საფუძველს იძლევა, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გასცეს განკარგულება აღნიშნული პირის წარმომადგენლად ყოფნის ვადის შეწყვეტისა და განმცხადებლის მხრიდან ახალი წარმომადგენლის მოძიების აუცილებლობის შესახებ.

5. დამცველს, დამტკიცებულ წარმომადგენელს ან განმცხადებელს, რომელსაც დაერთო საკუთარი საქმის პირადად წარმოდგენის უფლება, მოეთხოვება სასამართლოს ოფიციალური ენის სათანადო ცოდნა. პალატის თავმჯდომარეს, 34-ე ნორმის მე-3 პარა-

გრაფის შესაბამისად, შეუძლია არაოფიციალური ენის გამოყენების უფლების მიცემა.

ნორმა 37
(კომუნიკაციები, შეტყობინებები და შეტყობინება წარმოდგენილი განცხადების თაობაზე)

1. მხარეთა წარმომადგენლებისა და დამცველებისადმი გაგზავნილი კომუნიკაციები და შეტყობინებები ხელმისაწვდომია ყველა მხარისათვის.
2. თუ მხარეთა წარმომადგენლებისა და დამცველების გარდა, ნებისმიერი სხვა პირისათვის კომუნიკაციის, შეტყობინების ან წარმოდგენილი განცხადების თაობაზე შეტყობინების გაგზავნისას, სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია იმ სახელმწიფოს დახმარება, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნული პირი იმყოფება, სასამართლოს თავმჯდომარე შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ პირდაპირი თხოვნით მიმართავს ამ სახელმწიფოს.
3. მსგავსი წესი გამოიყენება აგრეთვე, როცა სასამართლოს სურს დაუყოვნებლივ ჩაატაროს გამოძიება ან მიიღოს ზომები გამოძიების ჩასატარებლად ფაქტების დადგენისა და მტკიცებულების მოპოვებისათვის, ან იწვევს პირს. რომელიც ამ ქვეყნის რეზიდენტია ან უნდა გადაკეთოს მისი ტერიტორია.

ნორმა 38
(წერილობითი დოკუმენტები, რომლებსაც მხარეები წარმოადგენენ საქმის განხილვის მოსამზადებელ სტადიაზე)

1. არანაირი დოკუმენტი არ უნდა იქნას შენახული დროის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რომელსაც ადგენს პალატის თავმჯდომარე ან მომხსენებელი მოსამართლე ამ ნორმის შესაბამისად. ამ ვადის გადაცილებით ან 32-ე ნორმის შესაბამისად გამოცემული პრაქტიკული მითითებების საწინააღმდეგოდ შენახული რაიმე დოკუმენტი საქმეში არ შეიძლება ჩაიკეროს პალატის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გარეშე.
2. ამ ნორმის პირველ პარაგრაფში მითითებული ვადის გამოთვლის მიზნით, დოკუმენტის თარიღად მიიჩნევა რეგისტრატურაში მისი გაგზავნის დამოწმებული თარიღი, ხოლო, თუ იგი არ არის მითითებული, - რეგისტრატურის მიერ მისი მიღების თარიღი.

ნორმა 39
(დროებითი ზომები)

1. პალატას ან შესაფერის შემთხვევაში, მის თავმჯდომარეს შეუძლია საკუთარი ინიციატივით, დაინტერესებული მხარის ან პირის მოთხოვნით მხარეებს მიუთითოს იმ დროებითი ზომების შესახებ, რომელთა მიღებაც აუცილებლად მიაჩნია მხარეთა ინტერესების დავის ან საპროცესო მოქმედებების სწორად წარმართვისათვის.
2. ასეთი დროებითი ზომების შესახებ შეტყობინება ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს.
3. პალატას შეუძლია მხარეებისაგან მოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ასეთი დროებითი ზომების შესახებ მითითების განხორციელებას ეხება.

ნორმა 40
(სასწრაფო შეტყობინება განცხადების თაობაზე)

უკიდურესი აუცილებლობისას, რეგისტრატურას, პალატის თავმჯდომარის ნებართვით შეუძლია, სხვა პროცედურულ ზომებთან წინააღმდეგობის გარეშე და ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით, შეატყობინოს ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს განცხადების მიღების ფაქტი და მისი ძირითადი არსი.

ნორმა 41
(საქმეთა განხილვის თანამიმდევრობა)

პალატა განცხადებებს იხილავს იმ თანამიმდევრობის შესაბამისად, რომლითაც ისინი მზად არიან გამოკვლევისათვის. თუმცა მას შეუძლია უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე კონკრეტულ განცხადებას.

ნორმა 42
(მტკიცებულებათა მოპოვების საშუალებები)

1. პალატას შეუძლია საქმის მონაწილე მხარის ან მესამე მხარის თხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მას საქმის ფაქტობრივი გარემოებების ნათელყოფისათვის აუცილებლად მიაჩნია. პალატას შეუძლია, inter alia, მხარეებისაგან მოითხოვოს წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენა და მოუსმინოს მოწმის, ექსპერტის

ან სხვათა სახით მის წინაშე წარმდგარ პიროვნებას, რომლის ჩვენება ან განცხადება შეიძლება სასამართლოს თავისი ამოცანების გადაწყვეტაში დაეხმაროს.

2. პალატას შეუძლია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მიავლინოს თავისი ერთი ან მეტი წევრი ან სასამართლოს სხვა მოსამართლე მოკვლევის ჩასატარებლად, გამოძიების დაუყოვნებლივ წარმოებისათვის ან მტკიცებულებათა სხვა გზით მოსაპოვებლად. პალატას შეუძლია დანიშნოს გარეშე ექსპერტი ასეთი დელეგაციის დასახმარებლად.
3. პალატას, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას სთხოვოს რომელიმე სპეციფიკურ საკითხზე ინფორმაციის მოპოვება, აზრის გამოთქმა ან ანგარიშის წარმოდგენა.
4. მხარეები უნდა დაეხმარონ პალატას ან მის დელეგაციას მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ნებისმიერი საშუალებების გამოყენებაში.
5. თუ ანგარიში წარმოდგენილია ან სხვა საშუალებები მიღებულია წინამდებარე პარაგრაფების შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელი ან მოპასუხე მხარის თხოვნის საფუძველზე, ამასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება აღნიშნულ მხარეს, თუ პალატა სხვა გადაწყვეტილებას არ გამოიტანს. ყველა სხვა შემთხვევაში პალატა გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული ხარჯების ევროპის საბჭოსადმი ან განმცხადებლის ან მესამე მხარისადმი დაკისრების შესახებ, ვისი თხოვნის საფუძველზეც მომზადდა ანგარიში ან მიღებულ იქნა სხვა საშუალებები. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში თანხის ოდენობას განსაზღვრავს პალატის თავმჯდომარე.

ნორმა 43
(განცხადებათა გაერთიანებული და ერთდროული გამოკვლევა)

1. პალატას შეუძლია მხარეთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გააერთიანოს ორი ან მეტი განცხადება.
2. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პალატაში შეტანილი რამდენიმე განცხადების სასამართლო განხილვის ერთდროულად წარმოების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პალატის გადაწყვეტილებას აღნიშნული განცხადებების გაერთიანების თაობაზე.

ნორმა 44
(სასამართლოს საქმეთა სიიდან ამოღება, სიაში აღდგენა)

1. თუ ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელი მხარე აცნობებს რეგისტრატორს თავისი გადაწყვეტილების შესახებ – აღარ გააგრძელოს საქმე, პალატას, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია ამოიღოს განცხადება სასამართლოს საქმეთა სიიდან, თუ მხარეები ეთანხმებიან საქმის შეწყვეტას.

2. გადაწყვეტილება იმ განცხადების სიიდან ამოღების შესახებ, რომელიც უკვე დაშვებულია განსახილველად, მიიღება სასამართლო გადაწყვეტილების ფორმით. პალატის თავმჯდომარე ასეთ გადაწყვეტილებას, როგორც საბოლოოს, უგზავნის მინისტრთა კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელს, კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, მიეცეს იმ ვალდებულებათა შესრულებაზე ზედამხედველობის საშუალება, რომლებიც თან სდევს საქმის შეწყვეტას, მორიგებას ან საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანას.

3. განცხადების სიიდან ამოღების შემთხვევაში სასამართლო მასთან დაკავშირებულ ხარჯებს განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ. თუ ხარჯების გადახდა დაწესებულია იმ განცხადების სიიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც განსახილველად მიღებული არ ყოფილა, სასამართლოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებას უგზავნის მინისტრთა კომიტეტს.

4. სასამართლოს შეუძლია განცხადება სიაში აღადგინოს, თუ იგი მიიჩნევს, რომ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ამგვარ ქმედებას ამართლებენ.

თავი II. საქმის აღძვრა სასამართლოში

ნორმა 45
(ხელმოწერები)

1. კონვენციის 33-ე და 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი განცხადება დგება წერილობით და დასტურდება განმცხადებლის ან მისი წარმომადგენელის ხელმოწერით.

2. თუ განცხადება გაკეთებულია არასამთავრობო ორგანიზაციის ან ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ, მას ხელი უნდა მოაწერონ იმ

პირებმა, რომლებსაც აქვთ ამ ორგანიზაციის ან ჯგუფის წარმოდგენის უფლებამოსილება. შესაბამისი პალატა ან კომიტეტი ამოწმებს ხელმოწერათა ნამდვილობას.

3. თუ განმცხადებელი წარმოდგენილია 36-ე ნორმის შესაბამისად, მის წარმომადგენელს ან წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ საადვოკატო საქმიანობისა და ამ საქმეში მხარის წარმომადგენლად ყოფნის წერილობითი უფლებამოსილება.

ნორმა 46

(სახელმწიფოთაშორისი განცხადების მინაარსი)

ხელშეკრულების ნებისმიერმა მონაწილე ან სხვა მხარემ, რომელსაც სურს, კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად, აღძრას საქმე სასამართლოში, რეგისტრატურაში უნდა ჩააბაროს განცხადება, რომელიც შეიცავს

(a) ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის დასახელებას, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება;

(b) ფაქტების აღწერას;

(c) მითითებას კონვენციის დარღვევის შესახებ და შესაბამის არგუმენტაციას;

(d) მითითებას კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული დასაშვებობის კრიტერიუმების (ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვა, ექვსთვიანი ხანდაზმულობა) დაკმაყოფილების შესახებ;

(e) განცხადების საგანსა და ზოგად მითითებას კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებული მხარის ან მხარეების სახელით სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე ნებისმიერი საჩივრის არჩევნების შესახებ.

(f) წარმომადგენლად დანიშნული პირის (პირების) ვინაობასა და მისამართს;

(g) განცხადების საგანთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს, კერძოდ, სასამართლო ან სხვა ხასიათის გადაწყვეტილებებს.

ნორმა 47

(ინდივიდუალური განცხადების მინაარსი)

1. კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი ნებისმიერი განცხადება უნდა გაკეთდეს რეგისტრატურის მიერ მოწოდე-

ბული ფორმის მიხედვით, თუ შესაბამისი სექციის თავმჯდომარე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. განცხადება უნდა შეიცავდეს:

(a) განმცხადებლის სახელსა და გვარს, დაბადების თარიღს, მონაცემებს მისი მოქალაქეობის, სქესის, თანამდებობისა და მისამართის შესახებ;

(b) წარმომადგენლის სახელსა და გვარს, მონაცემებს მისი თანამდებობისა და მისამართის შესახებ;

(c) ხელშეკრულების მონაწილე მხარის ან მხარეების დასახელებას, ვის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება;

(d) ფაქტების მოკლე აღწერას;

(e) კონვენციის დარღვევის შინაარსისა და შესაბამისი არგუმენტაციის მოკლე აღწერას;

(f) მითითებას კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასაშვებობის კრიტერიუმების (ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვა, ექვსთვიანი ხანდაზმულობა) დაკმაყოფილების შესახებ;

(g) განცხადების საგანს ისევე, როგორც ზოგად მითითებას სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე საჩივრის შესახებ, რომლის წარდგენაც შეიძლება განმცხადებელს სურდეს კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად;

(h) განცხადების საგანთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს, კერძოდ, სასამართლო ან სხვა ხასიათის გადაწყვეტილებებს.

2. გარდა ამისა განმცხადებელმა:

(a) უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, განსაკუთრებით ამ ნორმის პირველი პარაგრაფის (h) ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტები და გადაწყვეტილებები, რომლებიც უჩვენებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული დასაშვებობის კრიტერიუმები (ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვა, ექვსთვიანი ხანდაზმულობა) დაკმაყოფილებულია;

(b) უნდა მიუთითოს, ხომ არ იმყოფება მისი საჩივარი სხვა საერთაშორისო ინსტანციაში განსახილველად ან ხომ არ არის ასეთი ინსტანციის მიერ რაიმე გადაწყვეტილება გამოტანილი.

3. განმცხადებელმა, რომელსაც არ სურს თავისი პიროვნების საჯაროდ გამომჟღავნება, ამის შესახებ უნდა მიუთითოს და დაასახელოს სასამართლო განხილვისას ინფორმაციის საჯაროობის საერთო წესიდან გადახვევის გამამართლებელი მიზეზები. პალატის თავმჯდომარეს, გამონაკლის და სათანადოდ გამართლებულ შემთხვევებში, შეუძლია უზრუნველყოს ანონიმურობა.
4. ამ ნორმის პირველი და მეორე პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს უარი განცხადების რეგისტრაციისა და განხილვის თაობაზე.
5. განცხადების წარდგენის თარიღად, როგორც წესი, ითვლება თარიღი, როდესაც სასამართლო განმცხადებლისაგან მიიღებს პირველ შეტყობინებას, რომელიც თუნდაც მოკლედ აღწერს განცხადების საგანს. თუმცა სათანადო საფუძვლის არსებობისას, სასამართლოს შეუძლია განცხადების მიღების თარიღად მიიჩნიოს სხვა თარიღი.
6. განმცხადებელმა უნდა შეატყობინოს სასამართლოს საკუთარი მისამართისა და განცხადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოების ცვლილების შესახებ.

თავი III. მომხსენებელი მოსამართლეები

ნორმა 48
(სახელმწიფოთაშორისი განცხადებები)

1. თუ განცხადება შეტანილია კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განსახილველად შექმნილი პალატა თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს ერთ ან რამდენიმე მომხსენებელ მოსამართლეს, რომელიც წარმოადგენს მოხსენებას საქმის დასაშვებობის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ მხარეთაგან წერილობითი დოკუმენტების მიღების შემდეგ. ამ მოხსენების მიმართ გამოიყენება 49-ე ნორმის მე-4 პუნქტი.
2. მას შემდეგ, რაც კონვენციის 33-ე მუხლის მიხედვით შეტანილი განცხადება დასაშვებად გამოცხადდება, მომხსენებელი მოსამართლე (მოსამართლეები) წარმოადგენს მოხსენებებს, პროექტებსა და სხვა ხასიათის დოკუმენტებს, რომლებიც სასამართლოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება.

ნორმა 49
(ინდივიდუალური განცხადებები)

1. თუ განცხადება შეტანილია კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, სექციის თავმჯდომარე, მისი გამოკვლევის მიზნით ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს.

2. განცხადების გამოკვლევის პროცესში მომხსენებელი მოსამართლე

   (a) მხარეებისაგან ითხოვს განსაზღვრულ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი ინფორმაციის, დოკუმენტებისა და სხვა მასალის წარმოდგენას;

   (b) სექციის თავმჯდომარის უფლებასთან დაკავშირებით - გასცეს პალატის მიერ საქმის განხილვის განკარგულება, წყვეტს, ვინ უნდა განიხილოს განცხადება - კომიტეტმა თუ პალატამ.

3. თუ საქმეს იხილავს კომიტეტი კონვენციის 28-ე მუხლის შესაბამისად, მომხსენებელი მოსამართლის მოხსენება უნდა შეიცავდეს:

   (a) საქმესთან დაკავშირებული ფაქტების მოკლე აღწერას;

   (b) იმ მიზეზების მოკლე აღწერას, რომელთა გამოც განცხადება არ უნდა იქნას დაშვებული ან უნდა ამოიღონ საქმეთა სიიდან.

4. თუ საქმეს იხილავს პალატა კონვენციის 29-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, მომხსენებელი მოსამართლის მოხსენება უნდა შეიცავდეს:

   (a) საქმესთან დაკავშირებული ფაქტების აღწერას, ამ ნორმის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის ჩათვლით;

   (b) მითითებას კონვენციასთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომლებიც განცხადებაში ფიგურირებს;

   (c) წინადადებას საქმის დაშვების ან სხვა მოქმედების განხორციელების შესახებ, თუ აუცილებელია, - საქმის არსებითი გარემოებების წინასწარ შეფასებასთან ერთად.

5. მას შემდეგ, რაც კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი განცხადება დაშვებულად გამოცხადდება, მომხსენებელი მოსამართლე წარმოადგენს მოხსენებებს, პროექტებსა და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც პალატას თავისი ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება.

ნორმა 50
(საქმის სასამართლო განხილვა დიდ პალატაში)

თუ საქმე შეტანილია დიდ პალატაში კონვენციის 30-ე ან 43-ე მუხლის შესაბამისად, დიდი პალატის თავმჯდომარე პალატის წევრებიდან ნიშნავს ერთ ან, საერთაშორისო განცხადების შემთხვევაში, რამდენიმე მომხსენებელ მოსამართლეს.

თავი IV. საპროცესო მოქმედებები განცხადების დასაშვებობის თაობაზე

ნორმა 51
(სახელმწიფოთამორისი განცხადებები)

1. კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად განცხადების მიღებისას, სასამართლოს თავმჯდომარე მის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარეს, ხოლო განცხადებას გადაუგზავნის ერთ-ერთ სექციას.
2. 26-ე ნორმის პირველი (a) პარაგრაფის შესაბამისად ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელ და მოპასუხე მხარეებთან დაკავშირებით არჩეული მოსამართლეები წარმოადგენენ საქმის განსახილველად შექმნილი პალატის ex officio წევრებს. 30-ე ნორმა გამოიყენება, თუ განცხადება წარდგენილია ხელშეკრულების მონაწილე რამდენიმე მხარის მიერ ან აღნიშნული მხარეების მიერ წარდგენილი განცხადებები ერთი საგნის თაობაზე სასამართლოს მიერ გაერთიანებულად განიხილება 43-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად.
3. სექციისათვის საქმის გადაცემის შემდეგ, სექციის თავმჯდომარე აყალიბებს პალატას 26-ე ნორმის პირველი პარაგრაფის შესაბამისად და სთავაზობს ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარეს წერილობითი პასუხისა და თანდართული დოკუმენტების წარმოდგენას განცხადების დასაშვებობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები რეგისტრატორის მიერ გადაეგზავნება ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელ მხარეს, რომელსაც ასევე უფლება აქვს წერილობით აცნობოს სასამართლოს თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე.
4. საქმის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პა-

ლატას შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დამატებითი წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენა.

5. საქმის დასაშვებობის თაობაზე სასამართლო განხილვა იმართება ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე მხარის თხოვნით ან პალატის ინიციატივით.

6. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, პალატის თავმჯდომარე განსაზღვრავს წერილობით, ხოლო შესაფერის შემთხვევაში, ზეპირ პროცედურას და ამ მიზნით აწესებს ვადას წერილობითი მოსაზრებებისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენისათვის.

7. საქმის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში პალატა მხედველობაში იღებს მომხსენებელი მოსამართლის (მოსამართლეების) მიერ 48-ე ნორმის პირველი პარაგრაფის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებას.

ინდივიდუალური განცხადებები

ნორმა 52
(სექციისათვის განცხადების გადაცემა)

1. კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ განცხადებას სექციას გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს სექციებს შორის განცხადებათა თანაბარ განაწილებას.

2. პალატის მიერ განცხადების განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონვენციის 27-ე მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებულ პალატას 7 მოსამართლის შემადგენლობით, 26-ე ნორმის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, ქმნის შესაბამისი სექციის თავმჯდომარე.

3. წინა პარაგრაფების შესაბამისად, პალატის ჩამოყალიბების პროცესში სექციის თავმჯდომარე ასრულებს ამ ნორმებით პალატის თავმჯდომარისათვის დაკისრებულ ფუნქციებს.

ნორმა 53
(კომიტეტის პროცედურა)

1. გადაწყვეტილების მიღების პროცესში კომიტეტი მხედველობაში იღებს მომხსენებელი მოსამართლის მიერ 49-ე ნორმის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშს.

2. თუ მომხსენებელი მოსამართლე კომიტეტის წევრი არ არის, მას შეიძლება მიეცეს საკომიტეტო განხილვაზე დასწრების უფლება.
3. კომიტეტს, კონვენციის 28-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია ერთხმად გამოაცხადოს განცხადება მიუღებლად ან ამოიღოს სასამართლოს საქმეთა სიიდან, თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია შემდგომი განხილვის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა.
4. თუ გადაწყვეტილება ამ ნორმის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად არ იქნა მიღებული, განცხადება განსახილველად გადაეგზავნება 52-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად შექმნილ პალატას.

ნორმა 54
(პალატის პროცედურა)

1. გადაწყვეტილების მიღების პროცესში პალატა მხედველობაში იღებს მომხსენებელი მოსამართლის მიერ 49-ე ნორმის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებას.
2. პალატას შეუძლია განცხადება მაშინვე გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამოიღოს სასამართლოს საქმეთა სიიდან.
3. პალატას ასევე შეუძლია:
   (a) მოსთხოვოს მხარეებს საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი ინფორმაციის, დოკუმენტებისა და სხვა მასალის წარდგენა;
   (b) განცხადების შესახებ შეატყობინოს ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარეს და შესთავაზოს საპასუხო წერილობითი მოსაზრებების წარდგენა;
   (c) შესთავაზოს მხარეებს დამატებითი წერილობითი მოსაზრებებისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენა.
4. საქმის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პალატას შეუძლია მხარეთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს განხილვა. აღნიშნულ შემთხვევაში, თუ პალატა სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მხარეებს შეიძლება ეთხოვოთ განცხადების არსებით გარემოებებთან წამოჭრილ სხვა საკითხებზე მითითების გაკეთება.
5. პალატის თავმჯდომარე განსაზღვრავს პალატის მიერ ამ ნორმის მე-3 და მე-4 პარაგრაფებით განსაზღერულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, დროის გარკვეული ვადების დაწესების ჩათვლით.

სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განცხადებები

ნორმა 55
(არგუმენტები განცხადების მიუღებლობის შესახებ)

ნებისმიერი არგუმენტი განცხადების მიუღებლობის შესახებ, რამდენადაც ამის საშუალებას მათი ხასიათი და არსებული გარემოებები იძლევა, უნდა მოყვანილ იქნეს ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარის წერილობით ან ზეპირ პასუხში განცხადების დასაშვებობის თაობაზე, რომელიც წარდგენილია 51-ე და 54-ე ნორმების შესაბამისად.

ნორმა 56
(პალატის გადაწყვეტილება)

1. პალატის გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითება მისი ერთსულოვნად ან ხმების უმრავლესობით მიღების თაობაზე და იმ ფაქტებზე, რომლებსაც იგი დაეფუძნა.

2. პალატის გადაწყვეტილებას რეგისტრატორი უგზავნის განმცხადებელ და ხელშეკრულების მონაწილე ყველა დაინტერესებულ მხარეს ან მხარეებს.

ნორმა 57
(გადაწყვეტილების ენა)

1. სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე, თუ სასამართლო არ გადაწყვეტს მის ორივე ენაზე ფორმულირებას. სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროა.

2. 78-ე ნორმის შესაბამისად, სასამართლოს ოფიციალურ მოხსენებაში ეს გადაწყვეტილებები ქვეყნდება სასამართლოს ორივე ოფიციალურ ენაზე.

თავი V. განცხადებების განსახილველად მიღების შემდგომი საპროცესო მოქმედებები

ნორმა 58
(სახელმწიფოთაშორისი განცხადებები)

1. თუ პალატა გადაწყვეტს კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადების განსახილველად მიღებას, პალატის თავმჯდომარე, ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, განსაზღვრავს საქმის არსებითი გარემოებების შესახებ წერილობითი საპასუხო მოსაზრებებისა და დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის ვადას. თავმჯდომარე უფლებამოსილია, მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლოს ისინი წერილობითი პროცედურისაგან.
2. საქმის არსებითი განხილვა შეიძლება გაიმართოს ხელშეკრულების მონაწილე ერთი ან მეტი დაინტერესებული მხარის თხოვნის საფუძველზე ან პალატის ინიციატივით. პალატის თავმჯდომარე განსაზღვრავს ზეპირ პროცედურას.
3. საქმის განხილვისას, პალატა მხედველობაში იღებს მომხსენებელი მოსამართლის (მოსამართლეების) მიერ 48-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად წარდგენილ მოხსენებებს, პროექტებსა და სხვა დოკუმენტებს.

ნორმა 59
(ინდივიდუალური განცხადებები)

1. თუ პალატა გადაწყვეტს კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადების განსახილველად მიღებას, ის მხარეებს სთავაზობს დამატებითი მტკიცებულებებისა და წერილობითი საპასუხო მოსაზრებების წარდგენას.
2. საქმის არსებითი განხილვა შეიძლება გაიმართოს პალატის ინიციატივით ან, თუ ეს 54-ე ნორმის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის სტადიაზე არ მომხდარა - მხარეთა თხოვნის საფუძველზე. პალატას შეუძლია გამონაკლისის სახით დაადგინოს, რომ კონვენციის 38-ე მუხლის პირველი (a) პარაგრაფით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება განხილვას არ საჭიროებს.

3. პალატის თავმჯდომარე ზეპირ ან წერილობით პროცედურას განსაზღვრავს თავისი შეხედულებისამებრ.

4. საქმის განხილვისას, პალატა მხედველობაში იღებს მომხსენებელი მოსამართლის მიერ 49-ე ნორმის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად წარდგენილ მოხსენებებს, პროექტებსა და სხვა დოკუმენტებს.

ნორმა 60

(სარჩელი სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ)

1. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ ნებისმიერი სარჩელი ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელი მხარის ან სხვა განმცხადებელი პირის მიერ, თუ პალატის თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს, წარდგენილ უნდა იქნეს საქმის არსებითი გარემოებების შესახებ წერილობით საპასუხო მოსაზრებებთან ერთად ან, თუ წერილობითი მოსაზრებები წარდგენილი არ არის, - სპეციალური დოკუმენტის სახით, განცხადების მისაღებად გამოცხადების შემდეგ არა უგვიანეს ორი თვის ვადაში.

2. სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს პუნქტობრივად დაყოფილი, ზედმიწევნით დაკონკრეტებული დოკუმენტის სახით, სხვა დამხმარე და ფინანსურ დოკუმენტებთან ერთად. ამ მოთხოვნას შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მთლიანად სარჩელის ან მისი ნაწილის დაუკმაყოფილებლობა.

3. პალატა უფლებამოსილია სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ სარჩელის განხილვის პროცესში შესთავაზოს რომელიმე მხარეს კომენტარების წარდგენა.

ნორმა 61

პროცესში მესამე მხარის ჩართვა

1. განცხადების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას რეგისტრატორი ატყობინებს ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი და ხელშეკრულების მონაწილე მხარეს 56-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად.

2. თუ ხელშეკრულების მონაწილე მხარეს სურს კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად წერილობითი კომენ-

ტარების წარდგენა ან საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობა, პალატის თავმჯდომარე განსაზღვრავს შესაბამის პროცედურას.

3. პალატის თავმჯდომარეს კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების ინტერესებისათვის შეუძლია ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც პროცესის მონაწილე მხარე არ არის, ანდა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც განმცხადებელი არ არის, შესთავაზოს ან მისცეს წერილობითი კომენტარების წარდგენის ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის ნებართვა. ასეთი ნებართვის მისაღებად წარდგენილი თხოვნა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე შედგენილი, წერილობითი პროცედურის განსაზღვრიდან გონივრულ ვადაში.

4. ამ ნორმის მე-3 პარაგრაფში მოხსენიებული მოწვევის ან ნებართვის პირობებს და ვადას განსაზღვრავს პალატის თავმჯდომარე. მოცემული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავმჯდომარეს შეუძლია საქმეს კომენტარები არ დაურთოს.

5. ამ ნორმის შესაბამისად წარდგენილი წერილობითი კომენტარები შედგენილი უნდა იყოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. სხვა ენის გამოყენების ნებართვა გაიცემა 34-ე ნორმის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად. კომენტარები რეგისტრატორის მიერ გადაეგზავნება საქმის მონაწილე მხარეებს, რომლებსაც ეძლევათ საპასუხო წერილობითი მოსაზრებების წარდგენის უფლება, პალატის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირობებსა და ვადაში.

ნორმა 62
(მორიგება)

1. განცხადების მიღებულად გამოცხადების შემდეგ, პალატის ან მისი თავმჯდომარის ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედი რეგისტრატორი უკავშირდება მხარეებს კონვენციის 38-ე მუხლის პირველი (b) პარაგრაფით გათვალისწინებული პროცედურით საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით. პალატამ უნდა მიიღოს ასეთი მორიგების ხელშეწყობისათვის აუცილებელი ყველა შესაფერისი ზომა.

2. კონვენციის 38-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, მეგობრული მოგვარების მისაღწევად წარმოებული მოლაპარაკებები

კონფიდენციალურია სადავო წარმოებისას მხარეთა დაცვისათვის ზიანის გარეშე. რაიმე წერილობითი ან ზეპირი შეტყობინება და შეთავაზება ან დათმობა, გაკეთებული საქმის მეგობრული მოგვარების მცდელობისას, არ გადაიგზავნება ან არ გამოიყენება არგუმენტად სადავო წარმოებაში.

3. თუ რეგისტრატორი შეატყობინებს პალატას მხარეებს შორის საქმის მორიგებით დამთავრების შეთანხმების მიღწევის შესახებ, პალატა, დარწმუნდება რა, რომ ასეთი შეთანხმება მიღწეულია კონვენციითა და მისი ოქმებით გამოცხადებული ადამიანის უფლებების პატივისცემის საფუძველზე, 44-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ამოიღებს საქმის სასამართლოს საქმეთა სიიდან.

თავი VI. საქმის სასამართლო განხილვა

ნორმა 63
(სასამართლო განხილვის წარმოება)

1. პალატის თავმჯდომარე წარმართავს საქმის სასამართლო განხილვას და განსაზღვრავს რიგითობას, რომლის მიხედვითაც მხარეთა წარმომადგენლები და ადვოკატები ან მრჩევლები გამოძახებული იქნებიან სასაუბროდ.

2. პალატის დელეგაციის მიერ 42-ე ნორმის შესაბამისად ფაქტების მოძიების მიზნით განხილვის წარმოებისას, დელეგაციის თავმჯდომარე წარმართავს განხილვას, ხოლო დელეგაცია ახორციელებს კონვენციითა და ამ ნორმებით პალატისადმი მიკუთვნებულ სხვა ფუნქციებს.

ნორმა 64
(სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობა)

თუ მხარე არ გამოცხადდება სასამართლო განხილვაზე საპატიო მიზეზის გარეშე, პალატას შეუძლია განაგრძოს განხილვის პროცესი მის დაუსწრებლად, თუ მიაჩნია, რომ ასეთი მოქმედება შეესაბამება სამართლიანი მართლმსაჯულების პრინციპებს.

ნორმა 65

(მოწმეების, ექსპერტებისა და სხვა პირთა გამოძახება; სასამართლოში მათი მოყვანის ხარჯები)

1. მოწმეებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს, რომელთა საქმის განხილვის დროს მოწვევასაც გადაწყვეტს პალატა ან პალატის თავმჯდომარე, სასამართლოში იწვევს რეგისტრატორი.
2. უწყებაში მითითებული უნდა იყოს:
   (a) საქმე, რომელთან დაკავშირებითაც მას იწვევენ;
   (b) გამოძიების საგანი, ექსპერტის დასკვნა ან პალატის, ან მისი თავმჯდომარის მიერ მიღებული სხვა ზომები;
   (c) დებულებები გამოძახებულ პირთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.
3. თუ ზემოაღნიშნული პირები სასამართლოს წინაშე წარდგებიან ხელშეკრულების მონაწილე განმცხადებელი ან მოპასუხე მხარეების მოთხოვნით ან მათი სახელით, სასამართლოში მათი გამოცხადების ხარჯები დაეკისრებათ აღნიშნულ მხარეებს, თუ პალატა სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. სხვა შემთხვევაში, პალატის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ხარჯები დაეკისრება ევროპის საბჭოს ან იმ განმცხადებელს, ან მესამე პირს, ვისი მოთხოვნითაც პირი სასამართლოში იქნა გამოძახებული. ხარჯების ოდენობას ყველა შემთხვევაში განსაზღვრავს პალატის თავმჯდომარე.

ნორმა 66

(მოწმისა და ექსპერტის ფიცი ან საზეიმო განცხადება)

1. მოწმის პიროვნების დადგენის შემდეგ, მის დაკითხვამდე, იგი წარმოთქვამს ფიცს ან აკეთებს შემდეგი შინაარსის საზეიმო განცხადებას:

   "ვფიცავ" - ან "საზეიმოდ ვაცხადებ ჩემი ღირსებისა და სინდისის წინაშე" - "რომ ვილაპარაკებ სიმართლეს, მხოლოდ სიმართლესა და არაფერს, სიმართლის გარდა".

   აღნიშნული მოქმედების შესახებ დგება ოქმი.
2. ექსპერტის პიროვნების დადგენის შემდეგ და მის მიერ საკუთარი მოვალეობის განხორციელებამდე, იგი წარმოთქვამს ფიცს ან აკეთებს შემდეგი შინაარსის საზეიმო განცხადებას:

"ვფიცავ" - ან "საზეიმოდ ვაცხადებ" - "რომ როგორც ექსპერტი, ჩემს მოვალეობას შევასრულებ ღირსეულად და პატიოსნად".

3. აღნიშნული ფიცი ან საზეიმო განცხადება შეიძლება დაიდოს პალატის თავმჯდომარის, ან ერთ-ერთი მოსამართლის, ან თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი მოხელის წინაშე.

ნორმა 67
(მოწმის ან ექსპერტის აცილება; პირის მოსმენა ინფორმაციის მიღების მიზნით)

მოწმის ან ექსპერტის აცილების საკითხზე კამათის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს პალატა. იგი ინფორმაციის მიღების მიზნით, უფლებამოსილია მოუსმინოს პირს, რომელსაც მოწმის სახით გამოსვლის უფლება არა აქვს.

ნორმა 68
(განხილვის მსვლელობისას დასმული შეკითხვები)

1. მოსამართლეს შეუძლია შეკითხვები დაუსვას მხარეთა წარმომადგენლებს, დამცველებს ან მრჩევლებს, განმცხადებელს, მოწმეებს, ექსპერტებსა და სასამართლოს წინაშე წარმდგარ ნებისმიერ პირს.

2. მხარეთა წარმომადგენლებს და დამცველებს ან მრჩევლებს, პალატის თავმჯდომარის მეთვალყურეობით, შეუძლიათ 42-ე ნორმის პირველ პარაგრაფში მოხსენიებული მოწმეების, ექსპერტებისა და სხვა პირთა დაკითხვა. დასმული კითხვის საქმესთან კავშირის თაობაზე პროტესტის გამოთქმის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს პალატის თავმჯდომარე.

ნორმა 69
(გამოუცხადებლობა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ცრუ ჩვენება)

თუ სათანადო წესით გამოძახებული მოწმე ან ნებისმიერი სხვა პიროვნება, საპატიო მიზეზის გარეშე, არ გამოცხადდება სასამართლოში ან უნარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, რეგისტრატორი, პალატის თავმჯდომარის მოთხოვნით, აცნობებს ამის შესახებ ხელშეკრუ-

ლების მონაწილე სახელმწიფოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება აღნიშნული პირი. იგივე წესები გამოიყენება, თუ, პალატის აზრით, მოწმემ ან ექსპერტმა დაარღვია 66-ე ნორმის შესაბამისად დადებული ფიცი.

ნორმა 70
(ჩვენების ჩაწერა)

1. პალატის გადაწყვეტილების შემთხვევაში რეგისტრატორი პასუხისმგებელია ჩვენების სიტყვასიტყვითი ჩაწერის შედგენაზე. სიტყვასიტყვითი ჩაწერი უნდა შეიცავდეს;
   (a) დაკითხვისას პალატის შემადგენლობის ჩამონათვალს;
   (b) სასამართლოს წინაშე გამოცხადებულ პირთა - მხარეთა წარმომადგენლების, დამცველებისა და მრჩევლების ჩამონათვალს, მესამე მხარის დასახელებას;
   (c) ყველა მოწმის, ექსპერტის ან სასამართლოს წინაშე გამოცხადებულ პირთა სახელს, გვარს, აღწერილობასა და მისამართს;
   (d) ყველა განცხადების, კითხვისა და პასუხის ტექსტს;
   (e) განხილვისას პალატის ან მისი თავმჯდომარის მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილების შინაარსს.
2. თუ ჩანაწერის ნაწილი ან მთლიანად ჩანაწერი გაკეთებულია არაოფიციალურ ენაზე, პალატის გადაწყვეტილებით რეგისტრატორი უზრუნველყოფს მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე მის თარგმნას.
3. მხარეთა წარმომადგენლები ეცნობიან სიტყვასიტყვით ჩანაწერს, რომელშიც შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები რეგისტრატორის ან პალატის თავმჯდომარის მეთვალყურეობით ისე, რომ არ შეიცვალოს ნათქვამის ძირითადი აზრი და მნიშვნელობა. პალატის თავმჯდომარის ინსტრუქციების შესაბამისად, რეგისტრატორი განსაზღვრავს აღნიშნული პროცედურის ვადას.
4. ამგვარი შესწორებები, თავმჯდომარისა და რეგისტრატორის ხელმოწერის შემდეგ, შეადგენენ საერთო ჩანაწერის დამოწმებულ ნაწილს.

თავი VII. საქმის სასამართლო წარმოება დიდ პალატაში

ნორმა 71
(პროცედურული დებულებების მოქმედება)

ყველა დებულება, რომელიც ეხება პალატაში საქმის სასამართლო წარმოებას, mutatis mutandis გამოიყენება დიდ პალატაში საქმის წარმოების მიმართ.

ნორმა 72
(პალატის მიერ იურისდიქციაზე უარის თქმა დიდი პალატის სასარგებლოდ)

1. კონვენციის 30-ე მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც პალატის წინაშე საქმის განხილვის პროცესში დაისმება საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებაზე ან, როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს შედეგი, რომელიც შეუთავსებელია სასამართლოს მიერ მანამდე გამოტანილ გადაწყვეტილებებთან, პალატას შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ რომელიმე მხარე პროტესტს არ გამოთქვამს ამ ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად. იურისდიქციაზე უარის თქმის მიზეზების განმარტება სავალდებულო არ არის.
2. რეგისტრატორი მხარეებს ატყობინებს პალატის სურვილს - უარი თქვას იურისდიქციაზე. ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში, მხარეებს აქვთ რეგისტრატურაში სათანადოდ დასაბუთებული საჩივრის ჩაბარების უფლება. საჩივარი, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, პალატის მიერ მიჩნეული იქნება ბათილად.

ნორმა 73
(მხარის მოთხოვნა დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შესახებ)

1. კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად, პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის ვადაში, საქმის ნებისმიერ მხარეს, გამონაკლისის სახით, შეუძლია რეგისტრატურაში ჩაა-

ბაროს წერილობითი მოთხოვნა დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შესახებ. მხარე თავის მოთხოვნაში მიუთითებს კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებაზე გავლენის მქონე ან ზოგადი მნიშვნელობის საკითხზე, რაც, მისი აზრით, დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის საფუძველს იძლევა.

2. 24-ე ნორმის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად შექმნილი დიდი პალატის ხუთი მოსამართლის ჯგუფი დამოუკიდებლად განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას საქმის არსებული მასალების საფუძველზე. ის აკმაყოფილებს მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტს, რომ საქმე მართლაც წარმოქმნის ასეთი მნიშვნელობის საკითხს. უარის შემთხვევაში მიზეზები არ მიეთითება.

3. თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს თხოვნას, დიდი პალატა საქმეს გადაწყვეტს სასამართლო გადაწყვეტილებით.

თავი VIII. სასამართლო გადაწყვეტილებები

ნორმა 74
(გადაწყვეტილების შინაარსი)

1. კონვენციის 42-ე და 44-ე მუხლებში მითითებული გადაწყვეტილებები შეიცავს:
   (a) შესაბამისი პალატის თავმჯდომარისა და სხვა მოსამართლეების, რეგისტრატორის ან რეგისტრატორის მოადგილის ვინაობას;
   (b) გადაწყვეტილების მიღების ან გამოტანის თარიღს;
   (c) მხარეთა ვინაობას;
   (d) მხარეთა წარმომადგენლების, დამცველების ან მრჩევლების ვინაობას;
   (e) ჩატარებული პროცესუალური მოქმედებების ანგარიშს;
   (f) საქმის გარემოებებს;
   (g) მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მოკლე შინაარსს;
   (h) სამართლებრივ მიზეზებს;
   (i) გამოყენებულ დებულებებს;
   (j) გადაწყვეტილებას ხარჯებთან დაკავშირებით, თუკი ასეთი არსებობს;

(k) მითითებას მოსამართლეთა რაოდენობაზე, რომელმაც უმრავლესობა შეადგინა;

(l) შესაბამის შემთხვევაში მითითებას აუთენტურ ტექსტზე.

2. ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია გადაწყვეტილებას დაურთოს დამოუკიდებელი დასკვნა, რომელიც ემთხვევა, ან არ ემთხვევა მას, ან უბრალო განცხადება გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული აზრის შესახებ.

ნორმა 75

(დადგენილება სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ)

1. თუ პალატა დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, ის, სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად, მიიღებს დადგენილებას კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების შესახებ, თუ მე-60 ნორმის შესაბამისად დასმული საკითხი მომზადებულია გადაწყვეტილების მისაღებად. თუ საკითხი გადაწყვეტილების მისაღებად მომზადებული არ არის, პალატა მთლიანად ან ნაწილობრივ გადადებს მას და განსაზღვრავს დამატებით პროცედურას.

2. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების შესახებ დადგენილების მისაღებად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იქმნება პალატა იმ მოსამართლეების შემადგენლობით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქმის არსებით განხილვაში. თუ პალატის თავდაპირველი შემადგენლობის შეკრება შეუძლებელია, სასამართლოს თავმჯდომარე ავსებს ან აყალიბებს ახალ შემადგენლობას კენჭისყრით.

3. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანისას, პალატას შეუძლია მიიღოს დადგენილება ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი ვადის დარღვევის შემთხვევაში გასაცემ თანხაზე შესაბამისი პროცენტის დარიცხვის შესახებ.

4. თუ სასამართლო მიიღებს ინფორმაციას დაზარალებულ მხარესა და ხელშეკრულების მონაწილე პასუხისმგებელ მხარეს შორის შეთანხმების მიღწევის შესახებ, ის შეამოწმებს შეთანხმების სამართლიანობას და ხელშეკრულების ასეთად მიჩნევის შემთხვევაში, 44-ე ნორმის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ამოიღებს საქმეს სასამართლოს საქმეთა სიიდან.

ნორმა 76
(სასამართლო გადაწყვეტილების ენა)

1. სასამართლო გადაწყვეტილება იწერება ერთ-ერთ – ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე, თუ სასამართლო ორივე ოფიციალური ენის გამოყენებას არ გადაწყვეტს. სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროა.
2. 78-ე ნორმის შესაბამისად შედგენილ სასამართლოს საანგარიშო მოხსენებებში სასამართლო გადაწყვეტილებები ქვეყნდება ორივე ოფიციალურ ენაზე.

ნორმა 77
(სასამართლო გადაწყვეტილების ხელმოწერა, გამოტანა და შეტყობინება)

1. სასამართლო გადაწყვეტილებას ხელს აწერენ პალატის თავმჯდომარე და რეგისტრატორი.
2. სასამართლო გადაწყვეტილებას საჯაროდ კითხულობს პალატის თავმჯდომარე ან მის მიერ სათანადო უფლებით აღჭურვილი სხვა მოსამართლე. გადაწყვეტილების წაკითხვის თარიღი მხარეთა წარმომადგენლებს უნდა ეცნობოთ სათანადო ვადაში. სხვა შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა მოხდება ამ ნორმის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული შეტყობინების ფორმით.
3. სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს. გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებულ ასლებს რეგისტრატორი უგზავნის მხარეებს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, მესამე მხარესა და ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნია პირდაპირი ინტერესი. გადაწყვეტილების სათანადოდ ხელმოწერილი და დალუქული ორიგინალი ინახება სასამართლოს არქივში.

ნორმა 78
(სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სხვა დოკუმენტების გამოყენება)

კონვენციის 44-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების შესაბამისი ფორმით გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია რეგისტრატორი. რეგისტრატორი ასევე პასუ-

ხისმგებელია ოფიციალურ საანგარიშო მოხსენებაში შერჩეული სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებებისა და ყველა იმ დოკუმენტის გამოქვეყნებაზე, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე მიზანშეწონილად ჩათვლის.

ნორმა 79
(შუამდგომლობა სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ)

1. მხარეს შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის ვადაში.
2. შუამდგომლობა ბარდება რეგისტრატურაში. მასში ზუსტად უნდა იყოს მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების ის პუნქტი ან პუნქტები, რომელთა განმარტებაც უნდა მოხდეს.
3. პალატის თავდაპირველ შემადგენლობას შეუძლია საკუთარი ინიციატივით უარყოს თხოვნა, მისი უსაფუძვლობის გამო. თუ პალატის თავდაპირველი შემადგენლობის შეკრება შეუძლებელია, სასამართლოს თავმჯდომარე აყალიბებს ახალ შემადგენლობას კენჭისყრით.
4. თუ პალატამ არ უარყო შუამდგომლობა, რეგისტრატორი მის შესახებ ატყობინებს დანარჩენ მხარეებს და სთავაზობს მათ პალატის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობითი კომენტარების წარდგენას. პალატის თავმჯდომარე ასევე განსაზღვრავს სასამართლოს განხილვის დაწყების თარიღს, თუ პალატა მის მოწყობას გადაწყვეტს. პალატას საქმეზე გამოაქვს სასამართლო გადაწყვეტილება.

ნორმა 80
(სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნა)

1. თუ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ერთერთი მხარისათვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე და რომელიც მანამდე უცნობი იყო სასამართლოსათვის და არ შეიძლებოდა სცოდნოდა

აღნიშნულ მხარეს, მას შეუძლია მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ექვსი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ფაქტის შესახებ.

2. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის გადასინჯვაც სურს მხარეს, და აუცილებელ ინფორმაციას ამ ნორმის პირველი პარაგრაფით განსაზღვრულ პირობებთან მისი შესაბამისობის შესახებ. მას თან უნდა ახლდეს ყველა დამხმარე დოკუმენტის ასლი. მოთხოვნა და დამხმარე დოკუმენტები ინახება რეგისტრატურაში.
3. პალატის თავდაპირველ შემადგენლობას შეუძლია საკუთარი ინიციატივით უარყოს მოთხოვნა, მისი უსაფუძვლობის გამო. თუ პალატის თავდაპირველი შემადგენლობის შეკრება შეუძლებელია, სასამართლოს თავმჯდომარე ავსებს ან აყალიბებს ახალ შემადგენლობას კენჭისყრით.
4. თუ პალატამ არ უარყო მოთხოვნა, რეგისტრატორი მის შესახებ ატყობინებს დანარჩენ მხარეებს და სთავაზობს მათ პალატის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობითი კომენტარების წარდგენას. პალატის თავმჯდომარე ასევე განსაზღვრავს სასამართლო განხილვის დაწყების თარიღს, თუ პალატა მის მოწყობას გადაწყვეტს. პალატას საქმეზე გამოაქვს სასამართლო გადაწყვეტილება.

ნორმა 81
(შეცდომების აღმოფხვრა სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებებში)

სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვისა და სასამართლოს საქმეთა სიაში განცხადების აღდგენის შესახებ დებულებებთან წინააღმდეგობის გარეშე, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის თხოვნის საფუძველზე, სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში აღმოფხვრას დაშვებული საკანცელარიო, არითმეტიკული ან თვალსაჩინო აზრობრივი შეცდომები.

თავი IX. საკონსულტაციო დასკვნა

ნორმა 82

საკონსულტაციო დასკვნის გამოტანასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებების დროს, კონვენციის 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლების გარდა, სასამართლო იყენებს ქვემომდებარე დებულებებს, ასევე, - ამ ნორმების დებულებებს იმ მოცულობით, რომელიც შესაფერისად მიაჩნია.

ნორმა 83

მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნაზე ბარდება რეგისტრატურაში. იგი სრული მოცულობითა და სიზუსტით უნდა განსაზღვრავდეს საკითხს, რომელზეც საკონსულტაციო დასკვნა იქნა მოთხოვნილი, ასევე, უნდა შეიცავდეს:

(a) მინისტრთა კომიტეტის მიერ კონვენციის 47-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების თარიღს;

(b) იმ პირის ან პირთა ვინაობასა და მისამართს, რომლებიც მინისტრთა კომიტეტმა დანიშნა სასამართლოსათვის ნებისმიერ საკითხზე ახსნა-განმარტების მისაწოდებლად.

მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს ყველა დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია საკითხს ნათელი მოჰფინოს.

ნორმა 84

1. მოთხოვნის მიღების შემდეგ, რეგისტრატორი მის ასლს უგზავნის სასამართლოს ყველა წევრს.
2. რეგისტრატორი ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ატყობინებს, რომ სასამართლო მზადაა მიიღოს მისი წერილობითი კომენტარები.

ნორმა 85

1. სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს წერილობითი კომენტარებისა და სხვა დოკუმენტების ჩაბარების ვადას.
2. წერილობითი კომენტარები და სხვა დოკუმენტები ბარდება რეგისტრატურაში. რეგისტრატორი მათ ასლებს უგზავნის სასამართლოს ყველა წევრს, მინისტრთა კომიტეტს და ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარეს.

ნორმა 86

წერილობითი პროცედურის დასრულების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას, მიეცეთ თუ არა წერილობითი კომენტარების წარმომდგენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს თავიანთი მოსაზრებების განვითარების საშუალება ამ მიზნით მოწყობილ სასამართლო განხილვაზე.

ნორმა 87

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ რომელიმე კონკრეტული მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის გაცემის შესახებ არ შედის კონვენციის 47-ე მუხლით განსაზღვრულ მის საკონსულტაციო კომპეტენციაში, აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ნორმა 88

1. საკონსულტაციო დასკვნა გაიცემა დიდი პალატის წევრთა ხმების უმრავლესობით. უმრავლესობის შემადგენელი მოსამართლეების რაოდენობა მითითებული უნდა იყოს.
2. ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, საკუთარი სურვილისამებრ, საკონსულტაციო დასკვნას დაურთოს დამოუკიდებელი დასკვნა, რომელიც ემთხვევა ან არ ემთხვევა პირველს, ან უბრალო განცხადება განსხვავებული აზრის შესახებ.

ნორმა 89

საკონსულტაციო დასკვნას ერთ-ერთ ან ორივე ოფიციალურ ენაზე საჯაროდ კითხულობს სასამართლოს თავმჯდომარე ან მის მიერ სათანადო უფლებით აღჭურვილი სხვა მოსამართლე მხარეებისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

ნორმა 90

დასკვნას ან 87-ე ნორმის შესაბამისად მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ხელს აწერენ სასამართლოს თავმჯდომარე და რეგისტრატორი. სათანადოდ ხელმოწერილი და დალუქული ორიგინალი ინახება სასამართლოს არქივში. დასკვნის ან გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლებს რეგისტრატორი უგზავნის მინისტრთა კომიტეტს, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებსა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

თავი X. იურიდიული დახმარება

ნორმა 91

1. პალატის თავმჯდომარეს შეუძლია კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად განცხადების წარმომდგენ მხარეს, ამ უკანასკნელის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, საქმის წარმოდგენისას, გაუწიოს უფასო იურიდიული დახმარება; უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ხდება სასამართლოს მიერ განცხადების დასაშვებობის თაობაზე 54-ე ნორმის მე-3(b) პარაგრაფის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე მოპასუხე მხარისაგან წერილობითი მოსაზრებების მიღების ან მათი წარმოდგენისათვის განკუთვნილი ვადის ამოწურვის მომენტიდან.
2. 96-ე ნორმის შესაბამისად, უფასო იურიდიული დახმარება, რომელიც განმცხადებელს გაეწია პალატის წინაშე საქმის წარდგენისას, შეიძლება იმავე მიზნით გაგრძელდეს დიდი პალატის წინაშე საქმის ხელახალი წარდგენის დროსაც.

ნორმა 92

მხარეს უფასო იურიდიული დახმარება გაეწევა იმ შემთხვევაში, თუ პალატის თავმჯდომარე დარწმუნდება, რომ:

(a) ეს აუცილებელია პალატის წინაშე საქმის სათანადოდ წარმართვისათვის;

(b) განმცხადებელს არა აქვს დაწესებული თანხის სრული ან ნაწილობრივი გადახდის საშუალება.

ნორმა 93

1. იმისათვის, რომ განისაზღვროს, აქვს თუ არა განმცხადებელს დაწესებული თანხის სრული ან ნაწილობრივი გადახდის საშუალება, მას მოეთხოვება საკუთარი შემოსავლის, ძირითადი ქონების, დამოკიდებულ პირებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური მოვალეობების შესახებ დეკლარაციის შევსება. დეკლარაცია უნდა დამოწმდეს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოს ან ორგანოთა მიერ.
2. ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს მოეთხოვება თავისი კომენტარების წერილობითი ფორმით წარდგენა.
3. ამ ნორმის პირველ და მე-2 პარაგრაფებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემდეგ პალატის თავმჯდომარე იღებს

გადაწყვეტილებას იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ. მხარეებს აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას აწვდის რეგისტრატორი.

ნორმა 94

1. აღნიშნული თანხით ანაზღაურდება დამცველებისა და 36-ე ნორმის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად დანიშნულ პირთა მომსახურება. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ანაზღაურდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე წარმომადგენლის მომსახურებაც.
2. იურიდიული დახმარების ანაზღაურდება გულისხმობს არა მარტო წარმომადგენელთა მომსახურებასთან დაკავშირებული, არამედ განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მგზავრობის, საარსებო და სხვა აუცილებელი ხარჯები.

ნორმა 95

იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებაში რეგისტრატორი განსაზღვრავს:

(a) ჰონორარის მოცულობას, რომელიც გაიცემა იურიდიული დახმარების მოქმედი შკალის შესაბამისად;
(b) ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობას.

ნორმა 96

თუ დარწმუნდება, რომ 92-ე ნორმით განსაზღვრული პირობები აღარ სრულდება, პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

ნაწილი III. გარდამავალი დებულებები

ნორმა 97

(მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა)

იმ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, რომლებიც კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის დროისათვის წარმოადგენდნენ სასამართლოს წევრებს, აითვლება ოქმის ძალაში შესვლის თარიღიდან.

ნორმა 98

(სექციათა თავმჯდომარეობა)

კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლიდან სამწლიანი პერიოდისათვის -

(a) ორი სექციის თავმჯდომარე, რომლებიც იმავდროულად არ არიან სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარეები და სექციათა ვიცე-თავმჯდომარეები, აირჩევიან თვრამეტი თვის ვადით;

(b) სექციათა ვიცე-თავმჯდომარეების დაუყოვნებლივ ხელმეორედ არჩევა სავალდებულო არ არის.

ნორმა 99

(ურთიერთობა სასამართლოსა და კომისიას შორის)

1. კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პარაგრაფების შესაბამისად, სასამართლოს წინაშე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო უფლებამოსილია შესთავაზოს კომისიას ერთი ან მეტი წევრის წარდგენა საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

2. წინა პარაგრაფში მოხსენიებულ შემთხვევებში, სასამართლო მხედველობაში იღებს კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლის შესაბამისად კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებას.

3. თუ პალატის თავმჯდომარე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, სასამართლოს წინაშე საქმის აღძვრის შემდეგ, აღნიშნული მოხსენება რეგისტრატორის მეშვეობით, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.

4. კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-5 პარაგრაფების შესაბამისად, სასამართლოს წინაშე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით, კომისიის კუთვნილი საქმის მასალები, საქმის წინასწარი განხილვის დროს, მხარეთა მიერ წარმდგენილი დოკუმენტების ჩათვლით, კონფიდენციალურია, თუ პალატის თავმჯდომარე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ მიიღო მტკიცებულებები, მაგრამ კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლის შესაბამისად მოხსენების წარდგენა ვერ შეძლო, სასამართლო მხედველობაში იღებს სიტყვასიტყვით ჩანაწერებს, დოკუმენტაციასა და გამოძიების შედეგად კომისიის დელეგაციის მიერ გამოტანილ დასკვნას.

ნორმა 100

(საქმის წარმოება პალატასა და დიდ პალატაში)

1. კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, სასამართლოს წინაშე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით,

დიდი პალატის 24-ე ნორმის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად შექმნილი ჯგუფის საქმის მასალების საფუძველზე, განსაზღვრავს, - პალატის თუ დიდი პალატის განსჯადია საქმე.

2. თუ საქმე პალატის განსჯადია, მისი გადაწყვეტილება, კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, საბოლოოა და 73-ე ნორმა არ გამოიყენება.
3. კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად სასამართლოსათვის გაგზავნილ საქმეს სასამართლოს თავმჯდომარე განსახილველად გადასცემს დიდ პალატას.
4. დიდი პალატისთვის კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად გადაცემულ ნებისმიერ საქმეზე დიდი პალატის ჩამოყალიბება სრულდება 24-ე ნორმის მე-3 პარაგრაფში მოხსენიებული ერთ-ერთი ჯგუფიდან როტაციის პრინციპით დანიშნული მოსამართლეებით. საქმეები ჯგუფებს შორის ნაწილდება ალტერნატიულ საფუძველზე.

ნორმა 101
(იურიდიული დახმარების გაწევა)

96-ე ნორმის შესაბამისად, სასამართლოს წინაშე კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 და მე-5 პარაგრაფების შესაბამისად აღძრულ საქმეებზე იურიდიული დახმარება, რომელიც გაეწია განმცხადებელს კომისიასა და წინამორბედი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას, გაგრძელდება იმავე მიზნით სასამართლოს წინაშე საქმის წარდგენის დროსაც.

ნორმა 102
(სასამართლო გადაწყვეტილების განმარტებისა და გადასინჯვის მოთხოვნა)

1. თუ რომელიმე მხარე ითხოვს წინამორბედი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების განმარტებას ან გადასინჯვას, სასამართლოს თავმჯდომარე ასეთ მოთხოვნას გადასცემს ერთ-ერთ სექციას 51-ე და 52-ე ნორმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2. შესაბამისი სექციის თავმჯდომარე, 79-ე და მე-80 ნორმების მე-3 პარაგრაფებთან წინააღმდეგობის გარეშე, ქმნის ახალ პალატას მოთხოვნის განსახილველად.

3. ახლადშექმნილ პალატაში ex officio წევრის სახით იმყოფებიან:
   (a) სექციის თავმჯდომარე, და მიუხედავად იმისა, შესაბამისი სექციის წევრია თუ არა
   (b) ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოსთან დაკავშირებით არჩეული მოსამართლე ან თუ მას არ შეუძლია პალატაში ყოფნა, 29-ე ნორმის შესაბამისად დანიშნული მოსამართლე;
   (c) იმ პალატის წევრი ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირველი ინსტანციით მოსმენის დროს.
4. (a) პალატის სხვა წევრებს ნიშნავს სექციის თავმჯდომარე შესაბამისი სექციის წევრებიდან კენჭისყრის საშუალებით.
   (b) სექციის წევრები, რომლებიც არ იქნებიან ასეთი წესით არჩეული, წარმოადგენენ სათადარიგო მოსამართლეებს.

ნაწილი IV. დასკვნითი დებულებები

ნორმა 103
(ნორმაში ცვლილებების შეტანა ან მისი მოქმედების შეჩერება)

1. ნებისმიერ ნორმაში შეიძლება ცვლილების შეტანა საინიციატივო წინადადებით, რომელსაც მიიღებს პლენარული სასამართლოს მომდევნო სესია სასამართლოს წევრთა ხმების უმრავლესობით. საინიციატივო წინადადება შეტანილ უნდა იქნას რეგისტრატურაში არა უგვიანეს ერთ თვეში იმ სესიამდე, რომელზეც ის განიხილება. ასეთი ინიციატივის თაობაზე რეგისტრატორი, შეძლებისდაგვარად სწრაფად, ატყობინებს სასამართლოს წევრებს.
2. ნორმა, რომელიც სასამართლოს შიდა საქმიანობას შეეხება, შეიძლება შეჩერებულ იქნას საინიციატივო წინადადების გარეშე, პალატის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. ნორმის მოქმედების შეჩერებას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ კონკრეტული მიზნით, რის გამოც იგი იქნა შეჩერებული.

ნორმა 104
(ნორმების ძალაში შესვლა)

ეს ნორმები ძალაში შედის 1998 წლის 1 ნოემბრიდან.

II

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის შესახებ

მართლმსაჯულებისადმი მიმართვის ბარბარულობების ღონისძიებათა შესახებ

მართლმსაჯულების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სამოქალაქო სარეორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ

მართლმსაჯულების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სამოქალაქო სარეორგანიზაციო ღონისძიებათა

სახელმწიფოების ზედამხედველობის დარღვევის მასობრივ ინფორმაციასა და ფიქრებების ღონისძიებათა შესახებ

ადმინისტრაციული ორგანოების წინააღმდეგ, რომელთაგანაც შესაძლებელია ზიანის მიყენება მოსახლეობის ნაწილის ან მთლიანად მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებით ღონისძიებათა ეფექტიანობის

სასჯელის სისტემის მართლმსაჯულების ბარბარულობების შესახებ

მუნიციპალიტეტის დაკომპლექტების, შემადგენლობისა და რიცხვის შესახებ

სამოქალაქო და სამეურნეო საქმეებზე სასამართლოს სტრუქტურებისა და ორგანიზებისა ფუნქციების ბარბარულობების შესახებ

წევრი სახელმწიფოების ძირს სასჯელის სისტემის მართლმსაჯულების ბარბარულობების შესახებ

მართლმსაჯულებისათვის მიმართვის გამარტივების ღონისძიებათა შესახებ

წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (81) 7

(მიღებულია 1981 წლის 14 მაისს მინისტრთა კომიტეტის 68–ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე–15.b მუხლის საფუძველზე,

მხედველობაში იღებს რა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებული მართლმსაჯულებისათვის მიმართვისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი დამახასიათებელი ნიშანია;

მხედველობაში იღებს რა, რომ ხშირად სასამართლო პროცესი იმდენად რთული, დროის მომცველი და ძვირია, რომ კერძო პირები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ეკონომიკურად და სოციალურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, აწყდებიან სერიოზულ სირთულეებს წევრ სახელმწიფოებში თავიანთი უფლებების განხორციელებისას;

ითვალისწინებს რა, რომ სამართლებრივი დახმარებისა და იურიდიული კონსულტაციის ეფექტურმა სისტემამ, როგორც ეს განსაზღვრულია მინისტრთა კომიტეტის (78) 8 რეზოლუციით, შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ამგვარი წინააღმდეგობების აღმოფხვრას;

მხედველობაში იღებს რა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სასურველია ყველა საჭირო ღონისძიების გატარება იმ მიზნით, რომ მართლმსაჯულებისათვის მიმართვის გამარტივების თვალსაზრისით, გამარტივდეს პროცედურა ყველა შესაბამის საქმეზე და, ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნეს მართლმსაჯულების განხორციელება;

მხედველობაში იღებს რა, რომ მართლმსაჯულებისათვის მიმართვის გამარტივების მიზნით, სასურველია აღნიშნული პროცედურების დროს გამოსაყენებელი დოკუმენტების გამარტივება,

რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, საჭიროების მიხედვით, მიიღონ ან გააძლიერონ ყველა ის ზომა, რასაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან ამ რეკომენდაციის დანართში გადმოცემული პრინციპების თანამიმდევრულად ცხოვრებაში გასატარებლად.

№ R (81) 7 რეკომენდაციის დანართი

პრინციპები

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი საზოგადოებისათვის იმ საშუალებათა გასაცნობად, რომელთა გამოყენებაც შეუძლია პირს სასამართლოში თავისი უფლებების დასაცავად და სამოქალაქო, სამეწარმეო, ადმინისტრაციულ, სოციალურ ან საფინანსო საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოების გამარტივების, დაჩქარებისა და ხარჯების შესამცირებლად. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს:

A. საზოგადოების ინფორმირება

1. მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ საზოგადოება გაეცნოს სასამართლოების ადგილმდებარეობასა და კომპეტენციას, ასევე, აღნიშნულ სასამართლოებში წარმოების დაწყების თუ დაცვის წესს.

2. სასამართლოში ანდა კომპეტენტურ ორგანოში ან სამსახურში შესაძლებელი უნდა იყოს ზოგადი ინფორმაციის მოპოვება ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა:

– პროცედურული მოთხოვნები იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია არ მოიცავს საქმის არსებითი ნაწილის შესახებ იურიდიული კონსულტაციის გაწევას;
– გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა, გასაჩივრებასთან დაკავშირებული საპროცესო წესები და ყველა საჭირო დოკუმენტი;
– გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებები და, თუ შესაძლებელია, საჭირო ხარჯების ოდენობა.

B. გამართივება

3. მიღებულ უნდა იქნეს ზომები სამართალწარმოების დაწყებამდე ან მისი მსვლელობის დროს მხარეთა შერიგებისა და დავის მორიგებით გადაწყვეტის ხელშესაწყობად ან, საჭიროების მიხედვით, შესათავაზებლად.

4. დაუშვებელია მოსარჩელეს ან მოპასუხეს ხელი შეეშალოს იურისტის დახმარებით სარგებლობაში. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ცალკეული საქმის საჭიროების გამო მხარის მიერ იურისტების ზედმეტი რაოდენობისთვის სავალდებულო მიმართვა დასახმარებლად. როდესაც, მართლმსაჯულებისათვის მიმართვის გამარტივების მიზნით, არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით, პირისათვის სასურველია სასამართლოს თავისი ინიციატივით გადასცეს საქმე, იურისტის მიერ მისი წარმომადგენლობა არ უნდა იყოს სავალდებულო.

5. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ყველა პროცედურული დოკუმენტი შედგენილი იყოს გამარტივებული ფორმით, გამოყენებული ენა გასაგები იყოს საზოგადოებისათვის და სასამართლო გადაწყვეტილება – მისახვედრი მხარეებისთვის.

6. თუ სამართალწარმოების ერთ–ერთი მხარე სათანადოდ ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ზეპირი და წერილობითი თარგმნის საკითხს და უზრუნველყონ, რომ ეკონომიკურად სუსტ მდგომარეობაში მყოფი პირები არ აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში, სასამართლოსათვის მიმართვის თვალსაზრისით ან სამართალწარმოების მსვლელობისას იმის გამო, რომ ისინი ვერ ლაპარაკობენ ან არ ესმით სამართალწარმოების ენა.

7. მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ ერთი და იმავე საქმეზე სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით დანიშნული ექსპერტების რაოდენობა რაც შეიძლება შეზღუდული იყოს.

C. დაჩქარება

8. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული იმ დროის მინიმუმამდე შემცირებისთვის, რომელიც საჭიროა გარემოებათა დასადგენად. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გადაიდგას ნაბიჯები უსარგებლო, მოძველებუ-

ლი პროცედურების აღმოსაფხვრელად, რათა მოხდეს სასამართლოების ადეკვატური აღჭურვისა და მათი ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა, აგრეთვე, მიღებულ უნდა იქნეს ისეთი საპროცესო წესები, რომელთა მიხედვითაც, სასამართლოს საწყისი ეტაპიდანვე მიეცემა საქმის წარმართვის შესაძლებლობა.

9. უნდა დაწესდეს ნორმები უდავო ან აღიარებითი სასამართლო წარმოების შესახებ იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნეს დაუყოვნებლად, უსარგებლო ფორმალობების გარეშე, სასამართლოში გამოუცხადებლად ან ხარჯების მაქსიმალური დაზოგვით

10. იმისათვის, რომ არ მოხდეს გასაჩივრების უფლების არასათანადო ან დაყოვნების მიზნით გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აღსრულების ქვემდებარე სასამართლო გადაწყვეტილებათა დროებითი აღსრულების შესაძლებლობასა და აღსრულების დაწყებამდე სასამართლო ხარჯებზე დარიცხული პროცენტის ოდენობას.

D. მართლმსაჯულების განხორციელების ხარჯები

11. დაუშვებელია სამართალწარმოების დაწყებისათვის სახელმწიფომ მხარეს მოსთხოვოს ისეთი თანხის გადახდა, რაც, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შეუსაბამოა.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ხარჯები მართლმსაჯულების განხორციელებას აშკარა დაბრკოლებას უქმნის, ისინი, თუ შესაძლებელია, უნდა შემცირდეს ან გაუქმდეს. სასამართლო ხარჯების სისტემა უნდა გადაისინჯოს მისი გამარტივების თვალსაზრისიდან გამომდინარე.

13. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იურისტებისა და ექსპერტების ხარჯებს. თუ ეს ხარჯები დაბრკოლებას ქმნის მართლმსაჯულებისათვის მიმართვის თვალსაზრისით, უნდა დაწესდეს გარკვეული სახის კონტროლი ამ ხარჯების ოდენობისადმი.

14. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, მოგებულმა მხარემ წაგებული მხარისაგან უნდა მიიღოს ძირითადად, მის მიერ სამართალწარმოების დროს გონივრულად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, იურისტის ხარჯების ჩათვლით.

E. სპეციალური პროცედურები

15. როდესაც დავა ეხება მცირე ოდენობის თანხას ან მის შესატყვის, უნდა დაწესდეს ისეთი პროცედურა, რომელიც მხარეებს მისცემს სასამართლოსთვის საქმის გადაცემის შესაძლებლობას, დავის საგნის ღირებულებისათვის შეუსაბამო ხარჯების გაღების გარეშე. ამ მიზნით, განხილულ უნდა იქნეს მარტივი სახეების დაწესების, უსარგებლო სასამართლო სხდომების თავიდან აცილებისა და გასაჩივრების უფლების შეზღუდვის საკითხი.

16. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საოჯახო სამართალთან დაკავშირებული პროცედურები იყოს მარტივი, დაჩქარებული, იაფი და ანგარიშს უწევდეს განსახილველი საკითხების პირადულ ხასიათს. რამდენადაც შესაძლებელია, ეს საკითხები უნდა განიხილებოდეს დახურულ სხდომაზე.

მართლმსაჯულების მუშაობის გამაუმჯობესებელი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების შესახებ[1]

წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (84) 5

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1984 წლის 28 თებერვალს მინისტრთა წარმომადგენლების 367-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების მე–15.ბ მუხლის საფუძველზე,

ვინაიდან ადამიანის უფლებათა კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებული მართლმსაჯულების უფლება ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი ნიშანია;

ვინაიდან იმ ღონისძიებებისა და პრინციპების ცხოვრებაში გატარება, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრთა კომიტეტის (76) 5 და (78) 8 რეზოლუციებით სამართლებრივი დახმარების შესახებ და № R (81) 7 რეკომენდაციით მართლმსაჯულებისათვის მიმართვის გამარტივების ღონისძიებათა შესახებ, მოქალაქეებს გაუმარტივებს მართლმსაჯულების უფლების განხორციელებას;

ვინაიდან აღნიშნულის მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებში არსებული სამოქალაქო საპროცესო ნორმები შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელების შედეგის მიღწევისთვის, რადგან შესაძლებელია, რომ ეს ნორმები, პირველი, აღარ აკმაყოფილებდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და, მეორე, ზოგჯერ ხდება მათი ბოროტად გამოყენება ან მანიპულირება დაყოვნების მიზნით;

---

[1] ამ რეკომენდაციის მიღების დროს ბელგიისა და ნიდერლანდების წარმომადგენლებმა მინისტრთა წარმომადგენელთა შეხვედრების პროცედურული წესების მე–10.2.c მუხლის საფუძველზე დათქვეს თავიანთი მთავრობებისათვის იმ უფლების შენარჩუნების შესახებ, დაემორჩილონ თუ არა რეკომენდაციის დანართით გათვალისწინებული მე–5 პრინციპის მეორე წინადადებას.

ვინაიდან სამოქალაქო პროცესი საჭიროებს გამარტივებას და მეტ მოქნილობასა და სისწრაფეს, ხოლო იმავდროულად უნდა შენარჩუნდეს ტრადიციული საპროცესო წესებით მხარეებისათვის დაწესებული გარანტიები და დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მართლმსაჯულების მაღალი ხარისხი;

ვინაიდან აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია მხარეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სამართალწარმოების გამარტივებული და დაჩქარებული ფორმები და ისინი დაცული იყოს ბოროტად გამოყენების ან დაყოვნებისაგან, რაც, კერძოდ, უნდა განხორციელდეს სასამართლოსათვის სამართალწარმოების უფრო ეფექტური წარმართვის უფლებამოსილებათა მინიჭების გზით,

მხედველობაში იღებს რა განხილვებსა და რეზოლუციებს, რომლებიც მიღებულ იქნა 1980 წლის მაისში ლუქსემბურგში გამართულ ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე–12 კონფერენციაზე,

რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, მოცემული რეკომენდაციის დანართით გათვალისწინებული პრინციპების მიხედვით, საჭიროებისამებრ, მიიღონ ან ცხოვრებაში გაატარონ ყველა ღონისძიება, რასაც ისინი სამოქალაქო პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიიჩნევენ.

მართლმსაჯულების გუშაობის გამაუმჯობესებელი სამოქალაქო საპროცესო პრინციპების შესახებ

№ R (84) 5 რეკომენდაციის დანართი

პრინციპი 1.

1. სამართალწარმოება, ჩვეულებრივ, უნდა მოიცავდეს არა უმეტეს ორი სხდომისა, რომელთაგანაც პირველი შეიძლება იყოს მოსამზადებელი ხასიათის წინასწარი სხდომა, ხოლო მეორე – მტკიცებულებათა წარსადგენად, არგუმენტების მოსასმენად და, თუ შესაძლებელია, გადაწყვეტილების გამოსატანად. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მეორე სხდომისათვის საჭირო ყველა ზომის დროულად მიღება. განსაკუთრებით, არ უნდა ხდებოდეს პროცესის გადადება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღმოჩენილია ახალი ფაქტები ან არსებობს სხვა განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი გარემოებები.

2. სანქციები გათვალისწინებული უნდა იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც მხარე, საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით, შეტყობინების საყარაუდო მიღების შემდეგ კანონით გათვალისწინებულ ან მოსამართლის მიერ მითითებულ ვადაში არ ახორციელებს საპროცესო მოქმედებას. გარემოებათა მიხედვით, ამგვარი სანქციები შეიძლება გულისხმობდეს საპროცესო მოქმედების შეჩერებულად გამოცხადებას, ზიანისა და ხარჯების ანაზღაურებას, ჯარიმის დაკისრებას ან საქმის უმოძრაოდ დატოვებას.

3. სასამართლოს უნდა შეეძლოს მოწმეთა გამოძახება, გამოძახებულ მოწმეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში – შესაბამისი სანქციების გამოყენება (ჯარიმა, ზიანის ანაზღაურება და სხვა.) მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად საქმის გაგრძელების საკითხს გადაწყვეტს სასამართლო. მტკიცებულებათა მიღების ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა, გარემოებათა მიხედვით, სატელეფონო ან ვიდეოაპარატურა.

4. სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობის ან არასაპატიო მიზეზით დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი სანქციები. აღნიშნული

სანქციები შეიძლება გულისხმობდეს ექსპერტის ხარჯების შემცირებას, ხარჯების ან ზიანის ანაზღაურებას, აგრეთვე, სასამართლოს ან, გარემოებათა მიხედვით, პროფესიული ორგანიზაციის მიერ დისციპლინური ღონისძიების შეფარდებას.

პრინციპი 2.

1. მხარის მიერ საქმის არასათანადო საფუძვლებით აღძვრის შემთხვევაში სასამართლოს უნდა ჰქონდეს იმის უფლებამოსილება, რომ საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანოს დაჩქარებული წესით და, გარემოებათა მიხედვით, ასეთ მხარეს დააკისროს ჯარიმა ან დააკისროს მეორე მხარეს ზიანის ანაზღაურება.

2. მხარის მიერ საქმის წარმოებისას, სამართლიანი პროცესის წესების დარღვევისა და წარმოების აშკარა დაყოვნების მიზნით საპროცესო წესების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს დაუყოვნებლივ დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები ან დააკისროს სანქციები, როგორებიცაა: ჯარიმა, ზიანის ანაზღაურება ან წარმოების შეჩერებულად გამოცხადება. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს, რომ წარმოების ხარჯების გადახდა მოეთხოვოს ადვოკატს.

3. იურისტთა პროფესიული ასოციაციები დისციპლინური სანქციების შეფარდებისთვის უნდა მიიწვიონ იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოს რომელიმე წევრმა ჩაიდინა წინა პუნქტით გათვალისწინებული მოქმედება.

პრინციპი 3.

სასამართლო ვალდებულია წინასწარი სხდომის დროს, ხოლო, თუ შესაძლებელია, მთელი სამართალწარმოების გამავლობაში, აქტიურად იმოქმედოს საქმის სწრაფი მსვლელობის უზრუნველსაყოფად და, იმავდროულად, დაიცვას მხარეთა უფლებები, მათ შორის თანასწორობის უფლება. კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს proprio motu უფლებამოსილება დააკისროს მხარეებს საჭირო ახსნა-განმარტებების მიცემა, აგრეთვე, პირადად გამოცხადება; მიუთითოს კანონის მოთხოვნები; მოითხოვოს მტკიცებულებათა წარდგენა იმ საქმეებზე მაინც, რომლებიც ეხება რამდენიმე დაპირისპირებული მხარის ინტერესებს; ზედამხედველობა გაუწიოს მტკიცებულებათა მიღებას; საქმისაგან განარიდოს ის მოწმეები, რომელთა ჩვენებას მნიშვნელობა არ ექნება

საქმისთვის; შეზღუდოს ცალკეულ ფაქტებთან დაკავშირებით მოწმეთა რაოდენობა, თუ ეს რაოდენობა ზედმეტი აღმოჩნდება. აღნიშნულ უფლებამოსილებათა განხორციელება უნდა მოხდეს სამართალწარმოების ობიექტისთვის ზიანის მიუყენებლად.

პრინციპი 4.

სასამართლოს პირველი ინსტანციიდანვე უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, თუ როგორ გადაწყვიტოს საკითხი - წერილობითი, ზეპირი, თუ კომბინირებული მეთოდით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პრინციპი 5.

თუ კანონით სხვა რამე არ არის დადგენილი, მხარეთა მოთხოვნები და არგუმენტები, ასევე, ძირითადად, მათი მტკიცებულებები წარდგენილ უნდა იქნეს სამართალწარმოების უადრეს შესაძლებელ ეტაპზე, ხოლო ნებისმიერ შემთხვევაში, - წინასწარი ეტაპის დასრულებამდე, თუ ასეთი ეტაპი არსებობს. გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლომ, ჩვეულებრივ, არ უნდა მიიღოს ფაქტები, რომლებიც წარდგენილი არ იყო პირველ ინსტანციაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

a. ისინი ცნობილი არ იყო პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს;

b. მათი წარმდგენი პირი არ იყო მხარე პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს;

c. არსებობს მათი მიღების განსაკუთრებული მიზეზი.

პრინციპი 6.

გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს უმოკლეს ვადაში, სამართალწარმოების დასასრულს ან მის შემდეგ. გადაწყვეტილება უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე. იგი შეიძლება მოიცავდეს მითითებას სამართლის ნორმაზე, მაგრამ მასში პირდაპირ ან არაპირდაპირ გასაგებად უნდა იყოს გადაჭრილი მხარეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების საკითხი.

პრინციპი 7.

უნდა მიღებულ იქნეს ზომები გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ იურიდიული დაცვის საშუალებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

პრინციპი 8.

1. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალკეული წესები ან წესების კრებულები მიღებულ უნდა იქნეს დავების გადაწყვეტის გამარტივების მიზნით:

a. გადაუდებელ საქმეებზე;

b. უდავო უფლებასთან ან ბათილად აღიარებულ მოთხოვნასთან დაკავშირებულ და მცირე მოთხოვნების შემცველ საქმეებზე;

c. ავტოსაგზაო შემთხვევებზე, შრომით დავაზე, გამქირავებელ-დამქირავებლის დავასა და საოჯახო სამართლის ზოგიერთ საკითხზე, როგორიცაა, კერძოდ, რჩენის ვალდებულების დადგენა და გადასინჯვა.

2. ამ მიზნით, შეიძლება რომელიმე შემდეგი ღონისძიების გამოყენება: საქმის აღძრის გამარტივებული წესი; სხდომების არჩატარება ან მხოლოდ ერთი სხდომის ანდა, გარემოებათა მიხედვით, წინასწარი მოსამზადებელი სხდომის გამართვა; საჭიროების მიხედვით, მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი სამართალწარმოება; განხილვის არგადადება ან მოკლე ვადით გადადება; სასამართლო ექსპერტის დანიშვნა ex officio პირობით ან მხარეთა განცხადების საფუძველზე სამართალწარმოების საწყის ეტაპზე, თუ ეს შესაძლებელია; სასამართლოს აქტიური როლი საქმის წარმართვასა და მტკიცებულებათა მოთხოვნა-მიღებაში.

3. აღნიშნული წესები ან წესების კრებული შეიძლება, გარემოებათა მიხედვით, იყოს სავალდებულო და მათი მოპოვება დაიშვებოდეს მხარეთა განცხადების საფუძველზე ან დამოკიდებული იყოს ყველა მხარის თანხმობაზე.

პრინციპი 9.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უახლესი ტექნიკური საშუალებები, რათა მათ შეძლონ მართლმსაჯულების მაქსიმალურად ეფექტური განხორციელება, კერძოდ, სამართლის სხვადასხვა წყაროს ხელმისაწვდომობის ხელის შეწყობისა და მართლმსაჯულების განხორციელების დაჩქარების გზით.

სასამართლოების ზედმეტი სამუშაო დატვირთვის თავიდან აცილებისა და შემცირების ღონისძიებათა შესახებ

წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (86) 12

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1986 წლის 16 სექტემბერს მინისტრთა წარმომადგენლების 399-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის საფუძველზე,

მხედველობაში იღებს რა სასამართლოში შესული საქმეების გაზრდილ რაოდენობას, რამაც შეიძლება ხელყოს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლება;

ითვალისწინებს რა, აღნიშნულის გარდა, მოსამართლეთა მიერ შესასრულებელ არასამოსამართლო ფუნქციათა დიდ ოდენობას, რაც ზოგიერთ ქვეყანაში იჩენს ზრდის ტენდენციას;

დარწმუნებული მოსამართლეების მიერ შესასრულებელი არასამოსამართლო ფუნქციების რაოდენობის შეზღუდვის, აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელების გაუმჯობესების მიზნით სასამართლოების ზედმეტი სამუშაო დატვირთვის შემცირების საჭიროებაში;

დარწმუნებული სასამართლოებს შორის საქმეების თანაბარი განაწილების პერმანენტულად უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მაქსიმალურად სათანადო გამოყენების საჭიროებაში,

იწყევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, გარდა საქმეთა მზარდი რაოდენობის ეფექტური წარმოებისა და არასამოსამართლო ფუნქციების შედეგიანად შესასრულებლად სასამართლო ხელისუფლებისათვის გამოყოფილი აუცილებელი საშუალებებისა, მიზნის მისაღწევად განიხილონ თავიანთი სასამართლო პოლიტიკის ნაწილის სახით ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხი:

I. გარემოებათა მიხედვით, დავის მორიგებით გადაწყვეტის ხელშეწყობა, სასამართლო სისტემის გარეშე ანდა სამართალწარმოების დაწყებამდე ან მისი მსვლელობის დროს:

ამ მიზნით, შესაძლებელია მხედველობაში მიიღონ შემდეგი ღონისძიებები:

a. სათანადო სტიმულირების მეთოდების გამოყენებით, სამართალწარმოების დაწყებამდე ან სამართალწარმოების გარეშე სხვაგვარი წესით შერიგების პროცედურის დაწესება;

b. მოსამართლისათვის მათი ერთ–ერთი მთავარი ფუნქციის სახით უფლებამოსილების მინიჭება, რომ ყველა შესაბამის საქმეზე სამართალწარმოების საწყის ან სხვა სათანადო ეტაპზე დავის გადაწყვეტას შეეცდება მორიგების გზით;

c. განისაზღვროს იურისტთა ეთიკური მოვალეობა ან მოიწვიონ კომპეტენტური ორგანოები, რათა მათ სასამართლო წარმოების დაწყებამდე ან სამართალწარმოების ნებისმიერ შესაბამის ეტაპზე იურისტთა ეთიკურ მოვალეობად ცნონ მეორე მხარესთან შერიგების ძიება.

II. მოსამართლეებისთვის დაკისრებული არასამოსამართლო ფუნქციების არა გაზრდის, არამედ შემცირების მიზნით ამ ფუნქციების მიკუთვნება სხვა პირების ან ორგანოებისთვის.

ამ რეკომენდაციის დანართი შეიცავს იმ არასამოსამართლო ფუნქციების ნიმუშებს, რომლებსაც ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეები ასრულებენ და რომელთაგან, ყოველი ქვეყნისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსამართლეთა გათავისუფლება.

III. სასამართლო სისტემისაგან განცალკევებით არსებული ისეთი ორგანოების შექმნა, რომლებიც მხარეებს გაუწევს მომსახურებას მცირე მოთხოვნებზე ან სამართლის ცალკეულ სფეროებში წარმოშობილი დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

IV. სათანადო საშუალებების გამოყენებით, შესაბამის საქმეებზე არბიტრაჟის, როგორც სამართალწარმოების სანაცვლო ღონისძიების, ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და მისი მეტი ეფექტურობის მისაღწევი ზომების მიღება.

V. ყველა შესაბამის საქმეზე ერთპიროვნული განხილვის წესის ფართო გავრცელება, თუ ასეთი ღონისძიება ჯერ არ ყოფილა გამოყენებული.

VI. სარჩელების რაოდენობასა და ხასიათთან დაკავშირებით, სასამართლოების კომპეტენციების რეგულარული პერიოდული გადასინჯვა სამუშაო დატვირთვის თანაბარი განაწილების მიზნით.

VII. სასამართლოში შეტანილი საქმეების მზარდი რაოდენობის იურიდიული დაზღვევის შესაძლო გავლენის შეფასება და სათანადო ზომების მიღება, თუ დადგინდება, რომ ასეთი დაზღვევა ხელს უწყობს სასამართლოში დაუსაბუთებელი მოთხოვნების წარდგენას.

არასამოსამართლო ფუნქციების ნიმუშები, რომელთაგანაც შესაძლებელია ზოგიერთი ქვეყნის მოსამართლეთა გათავისუფლება ყოველი ქვეყნის დამახასიათებელ გარემოებათა გათვალისწინებით

№ R (86) 12 რეკომენდაციის დანართი

ქორწინების რეგისტრაცია

საოჯახო ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების დადასტურება

დაქორწინების მსურველთა სახელების გამოცხადებისათვის თავის არიდება

ერთი მეუღლისათვის მეორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭება: იმ მეუღლის თანხმობის შეცვლა, რომელიც თანხმობის მიცემისათვის არ არის უფლებამოსილი

გვარის და/ან სახელის შეცვლა

მამობის დადგენა

ქმედუუნარო პირების ქონების მართვა

ქმედუუნარო სრულწლოვნებისა და ადგილზე არმყოფი პირებისათვის იურიდიული წარმომადგენლის დანიშვნა

სავაჭრო საქმიანობით დაკავებულ მეწარმეთა საბუღალტრო წიგნებისადმი ზედამხედველობა,

სამეწარმეო რეესტრი:

სავაჭრო საქმიანობით დაკავებული მეწარმეები

კომპანიები

სავაჭრო ნიშნები

სატრანსპორტო საშუალებები

გემები, ნავები და თვითმფრინავები

სამეწარმეო საქმიანობისათვის ლიცენზიების გაცემა

სასამართლოს ჩარევა არჩევნებსა და რეფერენდუმებში, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა

მოსამართლის დანიშვნა ისეთი კომიტეტების თავმჯდომარედ ან წევრად, სადაც მისი დასწრება საჭიროა მხოლოდ კომიტეტის მიუკერძოებლობის განსამტკიცებლად

გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლების აკრეფა

სასამართლო გადასახადების აკრეფა

სანოტარო ფუნქციის შესრულება

გარდაცვლილთა ქონებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

სამოქალაქო მდგომარეობის დოკუმენტები და რეესტრები

მიწის რეესტრი (ქონების გადაცემის რეგისტრაციის კონტროლი, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადების კონტროლი და სხვა)

კანონით დადგენილ შემთხვევებში არბიტრის დანიშვნა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ

წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 18

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წლის 17 სექტემბერს მინისტრთა წარმომადგენლების 410–ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე–15.b მუხლის საფუძველზე,

მიუთითებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის მეტი ერთობის მიღწევა;

ითვალისწინებს რა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მუშაობის ხელშეწყობისა და გამარტივებისაკენ მიმართული ერთობლივი ძალისხმევის დროს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

მხედველობაში იღებს რა სასამართლოში შესულ სისხლის სამართლის საქმეთა გაზრდილ რაოდენობას, განსაკუთრებით იმ საქმეებს, რომლებსაც შეიძლება შეეფარდოს მცირე სასჯელები, აგრეთვე, სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობით წარმოშობილ პრობლემებს;

ითვალისწინებს რა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების დროს წარმოშობილი დაყოვნებების პრობლემა შეიძლება გადაიჭრას არა მარტო ცალკეული რესურსების გამოყოფით და ამ რესურსების გამოყენების წესით, არამედ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების, მათი გარეგანი გამოხატულებებისა და შინაარსის ჩათვლით, უფრო მკაფიო განსაზღვრით, რაც შეიძლება განხორციელდეს:

– დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპის გამოყენებით;

– მსუბუქი და მასობრივი დანაშაულების განხილვისას ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, როგორებიცაა :

– ე.წ. დაჩქარებული პროცედურები;
– სისხლის სამართლის საკითხებში კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ, საქმის სასამართლოს გარეშე გადაწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო ალტერნატივის სახით;
– ე.წ. გამარტივებული პროცედურები;
– ჩვეულებრივი საპროცესო წესების გამარტივებით.;

მხედველობაში იღებს რა 1981 წლის 10 სექტემბერს ევროპის იუსტიციის მინისტრთა შეხვედრების დასკვნებს,

რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, მათი კონსტიტუციური პრინციპებისა და სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით, მიიღონ ყველა საჭირო ზომა ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად:

I. დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა

A. დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპი

1. იმ მონაწილე სახელმწიფოებში, სადაც ისტორიული გარემოებები ან კონსტიტუცია ამის საშუალებას იძლევა, შემოღებულ უნდა იქნეს დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპი ან გაერცელდეს მისი გამოყენება. სხვა შემთხვევაში, ამავე მიზნით უნდა შემუშავდეს სხვა ღონისძიებები.

2. დისკრეციული მიზეზებით წარმოებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის უფლება უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

3. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დევნის მწარმოებელი ორგანო ფლობს ბრალის დამამტკიცებელ საკმარის მტკიცებულებებს.

4. მოცემული პრინციპი უნდა ხორციელდებოდეს ისეთ გარკვეულ საერთო საფუძველზე, როგორიცაა საჯარო ინტერესი.

5. ამ უფლებამოსილების განხორციელებისას, კომპეტენტური ორგანო, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ხელმძღვანელობდეს

კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინდივიდუალიზაციის პრინციპით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე შემდეგ გარემოებებს:

— დანაშაულის სიმძიმეს, ხასიათს, გარემოებებსა და შედეგებს;
— ბრალდებულის პიროვნებას;
— სასამართლოს მიერ სავარაუდოდ შესაფარდებელ სასჯელს;
— ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას; და
— დაზარალებულის მდგომარეობას.

6. წარმოებაზე უარის თქმა ან მისი შეწყვეტა შეიძლება მოხდეს უბრალოდ და მარტივად და თან ახლდეს გაფრთხილება ან შეტყობინება, ან დამოკიდებული იყოს ეჭვმიტანილის მიერ გარკვეული ისეთი პირობების შესრულებაზე, როგორებიცაა: დადგენილი წესის შესაბამისად მოქცევა, თანხის გადახდა, დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება ან გამოსაცდელი ვადა.

7. წარმოებაზე გარკვეული პირობებით უარის თქმის ან მისი შეწყვეტის საკითხის დაყენებისას, საჭიროა ბრალდებულის თანხმობა. აღნიშნული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში დევნის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გააგრძელოს ბრალდებულის დევნა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ბრალდების წაყენებაზე სხვა მიზეზით იტყვის უარს.

აღნიშნული ღონისძიების გამოყენების წინააღმდეგ პრეტენზიის გაუცხადებლობა ან მე–6 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულება ჩაითვლება თანხმობად.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანხმობის მიცემას თავისუფალი ნებით და შეუზღუდავად.

8. ზოგადად, შესაძლებელია სამართალწარმოებაზე უარის თქმა ან მისი შეწყვეტა იყოს დროებითი — სისხლისსამართლებრივი დევნისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე ან საბოლოო.

9. პირობითი შეწყვეტის შემთხვევაში სამართალწარმოება საბოლოოდ უნდა შეწყდეს პირის მიერ მისთვის დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისთანავე.

აღნიშნულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა იყოს

დამნაშავედ ცნობის გადაწყვეტილების ტოლფასი და არ უნდა ექვემდებარებოდეს ჩვეულებრივ წესებს, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეთა რეესტრში შეტანას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებულმა დანაშაული აღიარა.

10. როდესაც ეს შესაძლებელია, განმცხადებელს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილება სამართალწარმოებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის შესახებ.

11. სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოში დაზარალებულს უნდა შეეძლოს ანაზღაურების მოთხოვნა იმ ზიანისთვის, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა.

12. ეჭვმიტანილის შეტყობინება საჯაროდ არ უნდა იყოს, თუ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულია უბრალო ფორმით და არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას.

B. დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა ღონისძიებები

სახელმწიფოებმა, რომლებიც თავიანთი ისტორიული გარემოებებისა და კონსტიტუციის გამო, იყენებენ საჯაროდ სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპს, უნდა გაატარონ ისეთი ღონისძიებები ან განავრცონ მათი გამოყენება, რომლებიც, დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნისაგან განსხვავების მიუხედავად, ემსახურება იგივე მიზანს, რასაც ეს უკანასკნელი. უპირველეს ყოვლისა:

i. უნდა გაიზარდოს იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მოხდება გარკვეული პირობით, კერძოდ, თუ საჯარო ინტერესი არ არის უპირატესი მნიშვნელობის, დაზარალებულის მოთხოვნა ან თანხმობა შეიძლება იყოს ამგვარი პირობა;

ii. კანონი მოსამართლეებს უნდა ანიჭებდეს სამართალწარმოებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის უფლებამოსილებას იმ პროცედურების შესაბამისად, რომლებსაც იყენებენ დევნის მწარმოებელი ორგანოები დისკრეციული სისტემის არსებობის შემთხვევაში.

II. დაჩქარებული პროცედურები, სასამართლოს გარეშე გადაწყვეტა და გამარტივებული პროცედურები

A. არსებითად მსუბუქი ხასიათის დანაშაულთა დეკრიმინალიზაცია და მათთან დაკავშირებული დაჩქარებული პროცედურები

1. იმ სამართლებრივ სისტემებში, სადაც არსებობს განსხვავება ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევებს შორის, უნდა გატარდეს დანაშაულთა, კერძოდ, საგზაო მოძრაობის, საგადასახადო და საბაჟო სამართლის სფეროში მასობრივ დანაშაულთა, დეკრიმინალიზაციის ღონისძიებები იმ პირობით, თუ ეს დანაშაულები არსებითად მსუბუქი ხასიათისაა.

2. ამგვარ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებშიც ობიექტურ მხარეს, სუბიექტურ მხარესთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება, ყველა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს დაჩქარებული პროცედურები ან წერილობითი პროცედურები, რომელთა დროსაც მოსამართლის ჩაბმა უმთავრესად არ ხდება.

3. დაუშვებელია ფიზიკური იძულების ზომების გამოყენება, კერძოდ, დაპატიმრება ან დროებით პატიმრობაში აყვანა.

4. აღნიშნული წესით შეფარდებული სანქციები, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის უნდა იყოს და მათი კანონით განსაზღვრული ოდენობა, ჩვეულებრივ, უნდა იყოს ფიქსირებული ან ერთდროულად გადასახადი. უფლების შეზღუდვასთან ან ჩამორთმევასთან დაკავშირებული სანქციები, რაც არ უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება შეფარდებულ იქნეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. აღნიშნული ეკონომიკური ხასიათის სანქციების შეკრება შეიძლება მოხდეს ადგილზე სამართალდარღვევის დამფიქსირებელი თანამდებობის პირის მიერ ან შემდგომში ეცნობოს ეჭვმიტანილს კომპეტენტური ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ, რომლის დროსაც, განსახილველ საქმეთა დიდი ოდენობის გათვალისწინებით, სანქციების შეკრებისთვის შეიძლება მონაცემთა ავტომატური დამუშავების საშუალებების გამოყენება.

6. ამ პროცედურის ამოქმედება, რომელიც უნდა ჩაითვალოს შეთავაზებად, დამოკიდებული უნდა იყოს აშკარა ან დუმილით თანხმობაზე, ამასთან, ჯარიმის გადახდა ან სანქციის სხვაგვარად შესრულება ჩაითვლება თანხმობად. დუმილით თანხმობის შემთხვევაში შეტყობინების პროცედურის მეშვეობით არაორაზროვნად უნდა იქნეს დაცული ადრესატის უფლებები.

7. ამგვარი წინადადების მიღება ან მისდამი დამორჩილება გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ დევნას იმავე ფაქტების საფუძველზე *(ne bis in idem)*.

8. აღნიშნული პროცედურით ზიანი არ უნდა მიადგეს ეჭვმიტანილის უფლებას, მისი საქმე უნდა განიხილოს სასამართლო ორგანომ.

B. სასამართლოს გარეშე გადაწყვეტა

1. კონსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი კანონმდებლობები სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის წესთან დაკავშირებით, რათა სისხლის სამართლის საკითხებში კომპეტენტურ ორგანოებსა და ამ სფეროში მონაწილე სხვა ორგანოებს მიეცეთ საქმეების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობა, კერძოდ, მსუბუქ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

2. კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ბრალდებულს შესთავაზონ:

I თანხის გადახდა სახელმწიფოს ანდა საჯარო ან საქველმოქმედო დაწესებულების სასარგებლოდ;

II. სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული მატერიალური სიკეთის ან უპირატესობის უკან დაბრუნება;

III. სასამართლოს გარეშე გადაწყვეტამდე ან მის ფარგლებში დაზარალებულისთვის შესაბამისი კომპენსაციის მიცემა.

3. აღნიშნულ შეთავაზებაზე უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენცია და სამართალდარღვევების კატეგორიები უნდა განისაზღვროს კანონით. ორგანოს უნდა შეეძლოს ბრალდებულის სასარგებლოდ შესწორება შეიტანოს თავის შეთავაზებაში და გაითვალისწინოს ბრალდებულის შესაძლო პრეტენზიები.

4. ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ ის გარემოებები, რომელთა არსებობის დროსაც მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის პროცედურას და შეადგინონ სახელმძღვანელო წესები და, აღნიშნული პროცედურის შესაბამისად, - გადასახდელი თანხების ოდენობათა ცხრილები, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. ამ მიზნით, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული გარემოებების ჩამონათვალის, სახელმძღვანელო წესებისა და გადასახდელების ცხრილების გამოქვეყნება.

5. ბრალდებულს, რომელსაც არ სურს სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის შესახებ შეთავაზების მიღება, ყოველთვის თავისუფლად უნდა შეეძლოს არ მიიღოს ან უარყოს შეთავაზება.

6. ბრალდებულის მიერ სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის შეთავაზების მიღება და დათქმულ პირობათა მის მიერ შესრულება იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის უფლების საბოლოო გაუქმებას.

7. ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ წლიური მოხსენება მათ მიერ სასამართლოს გარეშე გადაწყვეტასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელების შესახებ, ბრალდებულთა ვინაობის გაუმჟღავნებლად.

ც. გამარტივებული პროცედურები ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც გარემოებებიდან გამომდინარე, მსუბუქ სამართალდარღვევებს განეკუთვნებიან

1. იმ საქმეებზე, რომლებიც, გარემოებებიდან გამომდინარე, მსუბუქ სამართალდარღვევებს განეკუთვნებიან, როდესაც ივარაუდება, რომ ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ დამტკიცებული და აშკარაა, რომ ბრალდებული პირი არის ის, ვინც ჩაიდინა აღნიშნული სამართალდარღვევა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამარტივებული პროცედურები, ე.ი. სასამართლო ორგანოს მიერ წარმოებული წერილობითი პროცედურები სასამართლო სხდომის ეტაპის გვერდით ავლითა და სასჯელის შეფარდების ტოლფასი გადაწყვეტილების გამოტანით, მაგალითად, სასჯელის შეფარდების სასამართლო პროცედურის მსგავსად.

2. სასჯელის შეფარდების პროცედურა უნდა შედგებოდეს იმ ნაწილებისაგან, რომელთა დროსაც ბრალდებულს უნდა ეცნობოს თავი-

სი აღიარების შედეგები. მას გასაგებად და კონკრეტულად უნდა ეცნობოს შესაბამისი პირის შესახებ, რომლისგანაც, თავისი სურვილისამებრ, შეუძლია გონივრულ ვადაში მიიღოს კონსულტაცია.

3. სასჯელის შეფარდების პროცედურით გათვალისწინებული სანქციები უნდა შემოიფარგლებოდეს ფულადი სანქციებითა და გარკვეული უფლებების ჩამორთმევით, ნებისმიერ შემთხვევაში, - თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.

4. ბრალდებულის თანხმობა სასჯელის შეფარდებაზე შეიძლება გამოიხატოს აშკარად ან დუმილით და აღნიშნული წესით შეფარდება ყველა თავისი იურიდიული შედეგით, ტოლფასი უნდა იყოს ჩვეულებრივი წესით გამოტანილი გადაწყვეტილებისა (*ne bis in idem* პრინციპის გამოყენება, აღსრულების შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საქმეთა რეესტრში შეტანა).

5. სასჯელის შეფარდების მიმართ ბრალდებულის საწინააღმდეგო პოზიცია, რასაც არ სჭირდება მიზეზის დასახელება, *ipso facto* გამოიწვევს გამარტივებული წესის გაუქმებას, გაბათილებასა და ჩვეულებრივი პროცედურის დაწყებას, reformatio in peius–ის გამოყენების აკრძალვის გარეშე.

6. სასჯელის შეფარდებისაგან დამოუკიდებლად სხდომის ეტაპის გვერდის ავლა შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართალდამრღვევი ითხოვს ალტერნატიული სასჯელის დაკისრებას, იმ პირობით, რომ პროკურორი არ ეწინააღმდეგება ამ პროცედურას და მოსამართლე მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

III. ჩვეული სასამართლო პროცედურების გამარტივება

A. სასამართლო გამოძიება სისხლის სამართლის სასამართლოს სხდომამდე და სხდომაზე

1. სასამართლოში საქმის შესვლამდე სასამართლო ორგანოს მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, მათი არსებობის შემთხვევაში, წარმოადგენს მოპასუხის გარანტიას, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ საყოველთაო ან სავალდებულო ხასიათი.

2. სასამართლო ორგანოს მიერ აღნიშნული წინასწარი საგამოძიებო მოქმედებები უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებზეც მათი გამოყენება მიზანშეწონილია დროული დასრულების, ან ეჭვმიტანილთა ბრალეულობის ან უდანაშაულობის დასადგენად.

3. წინასწარი გამოძიების მიზანშეწონილობას ადგენს სასამართლო ორგანო პოლიციური გამოძიების შედეგად მოპოვებული მასალების, საქმის სიმძიმისა და სირთულის, ბრალდებულის მიერ ფაქტების უარყოფა-არუარყოფის მხედველობაში მიღების შემდეგ.

4. წინასწარი გამოძიების შემთხვევაში, იგი უნდა განხორციელდეს ისეთი პროცედურის მიხედვით, რომელიც გამორიცხავს უსარგებლო ფორმალობებს, კერძოდ, გვერდს უვლის მოწმეთა ჩვენების ფორმალურ მოსმენას, როდესაც ბრალდებული არ უარყოფს ფაქტებს.

5. თუ შესაბამისი სასამართლო ორგანო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს წინასწარ გამოძიებას, საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს პირდაპირ სისხლის სამართლის სასამართლოს.

6. იმ სისტემებში, რომლებიც ითვალისწინებენ სასამართლო გამოძიებას, მისი გვერდის ავლის შესაძლებლობასთან ერთად, უნდა არსებობდეს შემდეგი დაცვის საშუალებები ქვემოთ აღნიშნულ სამ ეტაპზე:

– პოლიციური გამოძიების ეტაპზე, როდესაც სასამართლო ორგანო ხელმძღვანელობს და ზედამხედველობას უწევს პოლიციის საქმიანობას ან ეჭვმიტანილის უფლებებს მეტი ყურადღება ეთმობა;
– იმ ეტაპზე, როდესაც ეჭვმიტანილები იმყოფებიან დროებით პატიმრობაში პოლიციური გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლოს წინაშე წარდგომამდე, აღნიშნული ღონისძიების ზედამხედველობას ყველა საქმეზე ახორციელებს ერთი ან მეტი დამოუკიდებელი მოსამართლე;
– სასამართლო სხდომის ეტაპზე; სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იქვე განახორციელოს საბოლოო საგამოძიებო მოქმედებები იმ მიზნით, რომ თავად დაადგინოს მის წინაშე წაყენებული ბრალდებების კანონიერება და, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის, დაავალოს დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოს დამატებითი გამოძიება.

7. თუ ეს საკონსტიტუციო და სამართლებრივი ტრადიციებიდან გამომდინარე მისაღებია, შემოღებულ უნდა იქნეს "ბრალის აღიარების"

პროცედურა, რომლის დროსაც ბრალდებული უნდა გამოცხადდეს სასამართლოში წარმოების საწყის ეტაპზე, რათა სასამართლოს წინაშე საჯაროდ განაცხადოს, აღიარებს თუ უარყოფს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, ან სხვა მსგავსი პროცედურა. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საგამოძიებო პროცესის მის მიერ მთლიანი ან ნაწილობრივი წარმართვის საკითხი და დაუყოვნებლივ გადავიდეს დამნაშავის პიროვნებისა და სასჯელის შეფარდების განხილვაზე და, გარემოებათა მიხედვით, გადაწყვიტოს კომპენსაციის საკითხი.

8. i. "ბრალის აღიარების" პროცედურა უნდა განხორციელდეს სასამართლოში საჯარო სხდომაზე.

ii. დამნაშავე უნდა აღიარებდეს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს.

iii. "ბრალის აღიარების" პროცედურის შესაბამისად, სასჯელის შეფარდებამდე მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ორივე მხარის მოსმენის შესაძლებლობა.

9. თუ საგამოძიებო პროცესი სასამართლო განხილვის დროს გრძელდება, იგი, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების სურვილის მიუხედავად, უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ ღონისძიებებამდე, რომლებიც საჭიროა ფაქტების დასადგენად, სხდომამდე ჩატარებული პროცედურების გათვალისწინებით. კერძოდ, რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებული იმ მოწმეთა მოსმენა, რომელთაც სასამართლო ორგანოს მანამდე მისცეს ჩვენება.

B. სასამართლო სხდომის პროცედურა

1. ყოველი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, სხვადასხვა სასამართლოს მიერ ზედმეტი გადაწყვეტილებების გამოტანის თავიდან ასაცილებლად, უპირატესობას უნდა ანიჭებდეს ერთი და იმავე პირის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანებას, დანაშაულის ჩადენის მიუხედავად.

2. სასამართლო სხდომის პროცედურა გვერდს უნდა უვლიდეს ყველა უსარგებლო ფორმალობას. კერძოდ, შესაძლებელი უნდა იყოს საპროცესო საფუძვლების გამო წარმოების ბათილად გამოცხადება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ გარემოებებში, როდესაც გარკვეული საპროცესო მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება რეალური

ზიანი მიაყენოს დაცვის ან ბრალდების მხარის ინტერესებს.

3. წევრმა სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა დაუთმონ სისხლის სამართლის სასამართლოებისათვის იმის უფლებამოსილების მინიჭებას, რომ მათ, მცირე დანაშაულებზე მაინც და შესაძლო შესაფარდებელი სასჯელის გათვალისწინებით, განიხილონ და გადაწყვიტონ საქმე ბრალდებულის დაუსწრებლად იმ პირობით, თუ ამ უკანასკნელს სათანადოდ შეატყობინეს სხდომის თარიღი და მისი იურიდიული ან სხვაგვარი წარმომადგენლობის უფლება.

C. სასამართლო სხდომის ოქმები და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა

1. სისხლის სამართლის სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს დროის მკაცრად განსაზღვრულ ვადაში, თუ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოპასუხე, დროებით პატიმრობაში იმყოფება.

2. თუ სხდომა იწერება მაგნიტურ ფირზე ან სხდომაზე არ გამოვლინდა ისეთი ახალი ფაქტი, რომელიც საქმეში არ არის შეტანილი, სხდომის ოქმი უნდა შეიზღუდოს მინიმუმადე და შედგებოდეს მხოლოდ შემაჯამებელი ჩანაწერისაგან.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დაშვებულია კონსტიტუციით და სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილება ნაკლებად მძიმე საქმეებს შეეხება ან მხარეები ასე შეთანხმდნენ, სასამართლო უნდა გათავისუფლდეს გადაწყვეტილების წერილობითი შედგენის ვალდებულებისგან და ევალებოდეს მხოლოდ საქმეთა რეესტრში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეტანა.

4. როდესაც სხვა შემთხვევაში აუცილებელია წერილობითი გადაწყვეტილება, იგი უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რასაც მხარეები მოითხოვენ და რაც საჭიროა სააპელაციო სასამართლოსთვის ან უცხოეთის ორგანოებისთვის, რომელთაც გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება ეხებოდეთ, კერძოდ, ეს ინფორმაცია შეიძლება შედგებოდეს იმ საფუძვლებისაგან, რასაც ეყრდნობა გადაწყვეტილება — ბრალის საკითხს და, სათანადო შემთხვევებში, სასჯელსა და დაზარალებული მხარეებისთვის მიკუთვნებულ კომპენსაციას. რაც შეეხება საგამოძიებო პროცედურას, ფაქტებსა და მხარეთა მოთხ-

ოვნებს, გადაწყვეტილება, უბრალოდ, უნდა მიუთითებდეს მათი წერილობითი განცხადებების პუნქტებს, მხარეთა მიერ წარდგენილ წერილობით დასკვნით სიტყვებს, სამართალწარმოების წერილობით შინაარსს ან ფირზე ჩანაწერს.

5. სადაც არსებობს საჯარო სხდომაზე გადაწყვეტილების in extenso გამოცხადებასთან დაკავშირებული წესები, ისინი უნდა გამარტივდეს, მაგალითად, იმის მეშვეობით, რომ სისხლის სამართლის სასამართლოს და, თუ სხდომას სასამართლო კოლეგია ესწრება, ამ კოლეგიის წევრს, თუნდაც თავმჯდომარე მოსამართლის დაუსწრებლად, შეეძლოს გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის საჯაროდ გამოცხადება, რომელიც შეეხება ბრალეულობას, სასჯელსა და ზიანის ანაზღაურებას.

6. სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე, სასამართლო უწყების ჩაბარება უნდა მოხდეს გამარტივებული სწრაფი პროცედურით, მათ შორის ფოსტის მეშვეობით, რისთვისაც, თუ საჭიროა, ბრალდებულს უნდა მოსთხოვონ, რომ მან სამართალწარმოების დასაწყისშივე მიუთითოს ის ოფიციალური მისამართი, რომელზეც შეიძლება მას წარმოების დამთავრებამდე ყველა ინფორმაცია და შეტყობინება გაეგზავნოს.

D. სისხლის სამართლის სასამართლოების შემადგენლობა და სპეციალიზაცია

1. ზოგადი პრინციპის მიხედვით, სისხლის სამართლის სასამართლოს შემადგენლობა, რამდენადაც წერი სახელმწიფოების კონსტიტუციური და სამართლებრივი ტრადიციები ამის შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვრება განსახილველი დანაშაულის სიმძიმით, ხასიათით, ტექნიკითა და სირთულით.

2. როდესაც სხდომას პროფესიონალ მოსამართლეთა კოლეგია ესწრება, კოლეგიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, ხოლო, თუ ეს შესაძლებელია, საქმე უნდა განიხილებოდეს ერთპიროვნულად.

3. თუ სხდომის მიმდინარეობისას გათვალისწინებულია მსაჯულთა დასწრება, ეს წესი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიისთვის. სხდომა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მსაჯულებს გაუადვილდეთ მათთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულება, რომ მოსამართლემ მათ განხილვის დასაწყისშივე

რაც შეიძლება გარკვევით განუმარტოს, ის საკითხები, რომლებზეც უნდა მიიღონ მათ გადაწყვეტილება და მოქმედი კანონმდებლობა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

4. თუ ბრალეულობის საკითხს წყვეტენ მსაჯულთა ან პროფესიონალ მოსამართლეთა კოლეგია ანდა არაპროფესიონალი ასესორების და პროფესიონალი მოსამართლეები ერთობლივად, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ უბრალო ან კვალიფიციური უმრავლესობით, ერთსულოვნების მოთხოვნის გარეშე.

5. ისეთი საქმე, როგორიცაა ეკონომიკური დანაშაული, რომელზეც მტკიცებულების წარდგენა ტექნიკურად მეტად რთულია, განსახილველად უნდა გადაეცეთ შესაბამისი მომზადების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამდებობის პირებსა და მოსამართლეებს.

6. როდესაც ეს კონსტიტუციით დაშვებულია, ამგვარი საქმეები, გარემოებათა მიხედვით, შეიძლება განიხილონ სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების მწარმოებელმა ორგანოებმა და შესაძლებელია სასამართლოებმაც, რომლებიც შექმნილი ან ორგანიზებულია სპეციფიკურად ისეთი წესით, რომ შეეძლოთ აღნიშნული საქმეებისთვის ნიშანდობლივი ხასიათითა და სირთულით წარმოშობილი სიძნელეების დაძლევა.

7. სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიებისა და საქმეთა განხილვისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, დახმარება უნდა გაეწიოთ ისეთ დარგებში, როგორებიცაა: სოციალური ფსიქოლოგია, მედიცინა, ფსიქიატრია, ბუღალტერია, ეკონომიკა, ფინანსები ან სასამართლო ექსპერტიზა საჭირო რაოდენობის იმ ექსპერტებმა, რომელთაც შესწევთ დანაშაულებსა და მტკიცებულებათა მიღებასთან დაკავშირებული მზარდი ტექნიკური ხასიათის სირთულეების დაძლევის უნარი.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ

წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 13 ოქტომბრის მინისტრთა წარმომადგენლების მეხუთედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15ბ მუხლის შესაბამისად,

მხედველობაში იღებს რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში – "კონვენცია") მე-6 მუხლს, რომლის თანახმადაც, "ყველას აქვს უფლება მისი საქმე განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ გონივრულ ვადაში, სამართლიანად და საჯაროდ";

ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, რომლებიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის ნოემბერში;

აღნიშნავს რა მოსამართლეთა და სასამართლო ფუნქციების განმახორციელებელ სხვა პირთა არსებით როლს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხში;

ღრმად წინა რა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მისაღწევად დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის დამკვიდრების მიზნით;

გაცნობიერებული აქვს რა მოსამართლეთა სტატუსისა და უფლებამოსილებათა განმტკიცების აუცილებლობა ეფექტური და სამართლიანი სამართლებრივი სისტემის შექმნის საქმეში;

იმის სურვილით, რომ უზრუნველყოს სასამართლო ფუნქციების განხორციელება, რომლებიც წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებულ მოვალეობათა და მისთვის მინიჭებული უფლებების ერთობლიობას და რომელთა მიზანია ყველა პირის ინტერესების დაცვა;

რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს შეიმუშაონ ან ცხოვრებაში გაატარონ ყველა ის ღონისძიება, რაც საჭიროა ინდივიდუალურ მოსამართლეთა და მთელი სასამართლო ხელისუფლების როლის განსამტკიცებლად, აგრეთვე, მათი დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის ასამაღლებლად შემდეგი ცალკეული პრინციპების დანერგვით:

რეკომენდაციის მოქმედების სფერო

1. ეს რეკომენდაცია გამოიყენება სასამართლო ფუნქციების განმახორციელებელი ყველა პირის მიმართ, იმათი ჩათვლით, ვინც დაკავებულია საკონსტიტუციო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებით.

2. არაპროფესიონალი მოსამართლეებისა და სასამართლო ფუნქციების განმახორციელებლი სხვა პირების მიმართ გამოიყენება ამ რეკომენდაციით დადგენილი პრინციპები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტექსტიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ ისინი ეხება პროფესიონალ მოსამართლეებს, ასეთია, მაგალითად, ანაზღაურებასა და მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებული პრინციპები.

პრინციპი 1. ძირითადი პრინციპები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ

1) გატარდეს ყველა საჭირო ღონისძიება მოსამართლეთა პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით.

2) კერძოდ, შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

a) მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტია უნდა შეიქმნას კონვენციისა და კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, მაგალითად, კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში ცალკეული დებულებების შეტანით ან შიდა სამართალში ამ რეკომენდაციის დებულებების ინკორპორირებით. თითოეული სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციის გათვალისწინებით, ეს წესები შეიძლება ადგენდეს, რომ:

i) დაუშვებელია მოსამართლეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვა, გარდა კანონით დადგენილი სააპელაციო წესისა;

ii) მოსამართლეთა თანამდებობის დაკავების ვადა და მათი შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა განისაზღვროს კანონით;

iii) სასამართლოს გარდა, დაუშვებელია სხვა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება თავისი კომპეტენციის შესახებ და კანონით გათვალისწინებული წესით;

iv) ამნისტიის, შეწყალების ან სხვა მსგავსი გადაწყვეტილების გარდა, დაუშვებელია მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც რეტროაქტიულად აუქმებს სასამართლო გადაწყვეტილებებს;

b) აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და არ დაუშვან ღონისძიებები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლეთა დამოუკიდებლობას;

c) მოსამართლეთა პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს, ხოლო მოსამართლეთა შერჩევა და კარიერა – მათ ღირსებას, კვალიფიკაციის, მიუკერძოებლობის, შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით. მოსამართლეთა შერჩევისა და მათი კარიერის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს მთავრობისა და მმართველობის ორგანოებისაგან. მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად კანონი უნდა ადგენდეს, რომ, მაგალითად, მის წევრებს ირჩევს სასამართლო ხელისუფლება და ეს ორგანო თავად იღებს საკუთარ პროცედურულ წესებს.

ამასთან, როდესაც ეს კონსტიტუციური ან სხვა საკანონმდებლო დებულებებით და ტრადიციებით დასაშვებია, უნდა არსებობდეს იმის გარანტიები, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა, პრაქტიკულად, გამჭვირვალე და დამოუკიდებელია, ხოლო გადაწყვეტილებებზე გაელენის მოხდენა არ შეიძლება არავითარი საფუძვლით, გარდა ზემოთ აღნიშნული ობიექტური მიზეზებისა. აღნიშნული გარანტიები შეიძლება იყოს, მაგალითად, რომელიმე ქვემოჩამოთვლილთაგანი:

i) სპეციალური დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანო, რომელიც მთავრობას მიაწოდებს თავის პრაქტიკაში გამოყენებულ რჩევებს; ან

ii) პირის უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ ორგანოში; ან

iii) გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს დაუსაბუთებელი ან უკანონო ჩარევის თავიდან აცილებას.

d. გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლეები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და შეეძლოთ ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზეზით, ყოველგვარი პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვის, უკანონო გავლენის, დაყოლიების, მუქარის ან ჩარევის თავიდან აცილება. კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს სანქციები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ მოსამართლეზე რომელიმე ზემოაღნიშნული ფორმით გავლენის მოხდენას. მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ დაუბრკოლებელი თავისუფლებით იმისათვის, რომ მათ გადაწყვეტილება გამოიტანონ მიუკერძოებლად, თავიანთ სინდისსა და ფაქტების ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, კანონის უზენაესობის საფუძველზე. მოსამართლე საქმის გარემოებათა თაობაზე არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული არავის წინაშე, გარდა საკუთრივ სასამართლო ხელისუფლებისა.

e. საქმეთა განაწილებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის ან საქმის ბედით დაინტერესებული რომელიმე პირის სურვილი. განაწილება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, წილის ყრით ან ანბანური წესით, ავტომატურად ანდა სხვა მსგავსი სისტემით.

f. არ შეიძლება რომელიმე მოსამართლის საქმისაგან ჩამოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს კანონიერი საფუძველი, როგორიცაა ავადმყოფობის ან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები. ჩამოცილების საფუძვლები და წესი დადგენილი უნდა იყოს კანონით მისი შეცვლა არ შეიძლება არც მთავრობის ან მმართველობის ორგანოების ინტერესების გამო. მოსამართლის საქმისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ ორგანომ, რომელიც სარგებლობს მოსამართლის თანაბარი დამოუკიდებლობით.

3. როგორც დანიშნულ, ისე არჩეულ მოსამართლეებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ სამსახურის ვადა, რომელიც შეწყდება საპენსიო ასაკის მიღწევით ან თანამდებობის დაკავების ვადის გასვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პრინციპი II. მოსამართლეთა ხელისუფლება

1. საქმის მონაწილე ყველა პირი, სახელმწიფო ორგანოებისა და მათი წარმომადგენლების ჩათვლით, უნდა ემორჩილებოდეს მოსამართლის ხელისუფლებას.

2. მოსამართლე უნდა ფლობდეს სათანადო უფლებამოსილებებს და შეეძლოს მათი განხორციელება მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და თავისი ხელისუფლებისა და სასამართლოს ღირსების შესანარჩუნებლად.

პრინციპი III. სათანადო სამუშაო პირობები

1. უნდა შეიქმნას სათანადო პირობები, რათა მოსამართლეებს მიეცეთ ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობა, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

a. საკმარისი რაოდენობის მოსამართლეთა კანდიდატურების მოძიება და დანიშვნამდე და სამსახურის განმავლობაში შესაბამისი მოსამზადებელი ისეთი კურსების გავლა, როგორებიცაა, პრაქტიკული მოსამზადებელი სასამართლო კურსები და, თუ ეს შესაძლებელია, ხელისუფლების სხვა განშტოებებსა და ორგანოებთან თანამშრომლობა. ასეთი კურსი მოსამართლისთვის უნდა იყოს უფასო და განსაკუთრებით შეეხებოდეს ახალ კანონმდებლობასა და პრაქტიკას. საჭიროების შემთხვევაში კურსი უნდა შეიცავდეს სასწავლო პრაქტიკებს ევროპისა და უცხოურ ორგანოებში, ასევე სასამართლოებში;

b. იმის უზრუნველყოფა, რომ მოსამართლეთა სტატუსი და შრომის ანაზღაურება შეესაბამებოდეს მათი პროფესიის ღირსებასა და დაკისრებული ფუნქციების სირთულეს;

c. სამსახურებრივი წინსვლის მკაფიო სტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც შესაძლებელს გახდის მცოდნე მოსამართლეების დანიშვნასა და თანამდებობაზე ყოფნას;

d. ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური პერსონალისა და აღჭურვილობის, კერძოდ, საოფისე ავტომატური მოწყობილობებისა და მონაცემთა დამუშავების საშუალებათა უზრუნველყოფა, რათა მოსამართლეებს შეეძლოთ ეფექტური და დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე მუშაობა;

e. სათანადო ზომების მიღება არასამოსამართლო ფუნქციების სხვა პირებისთვის გადანაწილების მიზნით, თანახმად № R (86) 12 რეკომენდაციისა სასამართლოებისთვის ზედმეტი სამუშაო დატვირთვის თავიდან აცილებისა და შემცირების შესახებ.

2. მოსამართლეთა უსაფრთხოების დასაცავად უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლოს ადგილსამყოფელში წესრიგის დამცველთა ყოფნის უზრუნველყოფა ან პოლიციის მიერ იმ მოსამართლეთა დაცვა, რომლებიც არიან ან შეიძლება გახდნენ სერიოზული მუქარის მსხვერპლი.

პრინციპი IV. ასოციაციები

მოსამართლეებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ ისეთი ასოციაციების შექმნა, რომლებსაც თვითონ ან სხვა ორგანოსთან ერთად დაეკისრებათ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მათი ინტერესების დაცვის ფუნქცია.

პრინციპი V. სასამართლოს ფუნქციები

1. სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეები ვალდებული არიან დაიცვან ყველა პირის უფლებები და თავისუფლებები.

2. მოსამართლეებს ეკისრებათ ვალდებულება და უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, განახორციელონ თავიანთი ფუნქციები სამართლის სათანადო გამოყენებისა და საქმეთა სამართლიანი, ეფექტური და დროული განხილვის მიზნით.

3. მოსამართლეებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი ფუნქციები:

a. ყველა საქმის განხილვისას იმოქმედონ დამოუკიდებლად და გარედან ჩაურევლად;

b. საქმე განიხილონ მიუკერძოებლად, ფაქტების შეფასებისა და სამართლის საკუთარი გაგების საფუძველზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მხარე სარგებლობდეს სამართლიანი საქმის გარჩევით და მხარეთა საპროცესო უფლებები დაცული იყოს კონვენციის შესაბამისად;

c. ჩამოაცილონ საქმეს ან თვითონ თქვან უარი მოქმედების შესრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სააშისო კანონ-

იერი საპატიო საფუძველი. ამგვარი საფუძვლები კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული და შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგალითად, ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ინტერესთა კონფლიქტს ან მართლმსაჯულების ინტერესებს;

d. საჭიროების შემთხვევაში, მიუკერძოებელი პოზიციიდან განუმარტონ მხარეებს პროცედურული საკითხები;

e. საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყონ მხარეთა შორის მორიგების მიღწევას;

f. თუ კანონით ან დამკვიდრებული პრაქტიკით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადვილად გასაგები ენით მკაფიოდ და სრულად ჩამოაყალიბონ ის საფუძვლები, რომლებსაც გადაწყვეტილება ემყარება;

g. გაიარონ ყველა საჭირო მოსამზადებელი კურსი მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა ეფექტურად და ჯეროვნად შესასრულებლად.

პრინციპი VI. მოვალეობათა შეუსრულებლობა და დისციპლინური გადაცდომები

1. მოსამართლეთა მიერ მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა ეფექტურად და ჯეროვნად შეუსრულებლობის, აგრეთვე მათ მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს ყველა ისეთი საჭირო ზომა, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის მათ დამოუკიდებლობას. თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების, კანონმდებლობისა და ტრადიციის მიხედვით, ასეთი ზომები შეიძლება იყოს, მაგალითად:

a. მოსამართლის საქმიდან ჩამოცილება;

b. მოსამართლისათვის სხვა სასამართლო ფუნქციების დაკისრება;

c. ეკონომიკური სანქციები, როგორიცაა დროებით შრომის ანაზღაურების შემცირება;

d. გადაყენება.

3. დაუშვებელია დანიშნულ მოსამართლეთა სამუდამოდ გადაყენება საპენსიო ასაკამდე კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასეთი საფუძვლები, რომლებიც ზუსტად უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, შესაძლებელია გამოიყენონ იმ ქვეყნებში, სადაც მოსა-

მართლეს გარკვეული ვადით ირჩევენ ან ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს სამოსამართლო ფუნქციების შესრულების უუნარობასთან, დანაშაულის ჩადენასთან ან დისციპლინის წესების სერიოზულ დარღვევასთან.

4. როდესაც საჭიროა ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ზომების მიღება, სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სპეციალური კომპეტენტური ორგანოს შექმნის საკითხი, რომლის ფუნქციაც იქნება იმ დისციპლინური სანქციებისა და ზომების გამოყენება, რომელთა შეფარდება არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში და რომლის გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობას განახორციელებს ზემდგომი სასამართლო ორგანო ანდა, რომელიც თავად არის ზემდგომი სასამართლო ორგანო. კანონმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეს, რომელსაც აღნიშნული ზომები ეხება, ჰქონდეს კონვენციით გარანტირებული ყველა საპროცესო საშუალება, მაგალითად, რომ საქმე განიხილონ გონივრულ ვადაში და რომ მათ უნდა შეეძლოთ შენიშვნის მიცემა თითოეული ბრალდების თაობაზე.

სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე სააპელაციო სისტემებისა და პროცედურების შემოღებისა და გაუმჯობესების შესახებ

წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (95) 5

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 7 თებერვალს მინისტრთა წარმომადგენლების 528-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15ბ მუხლის შესაბამისად,

აღნიშნავს რა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") მე-7 ოქმი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ წაყენებული ბრალდებისა და შეფარდებული სასჯელების განხილვა ზემდგომ სასამართლოში;

გამოხატავს რა თანხმობას, რომ სააპელაციო პროცედურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზეც და არა მარტო სისხლის სამართლის საქმეებზე;

მხედველობაში იღებს რა იმ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია სააპელაციო საჩივრების რაოდენობის გაზრდითა და სააპელაციო სამართალწარმოების ხანგრძლივობით;

ითვალისწინებს რა, რომ ამ პრობლემებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებაზე, რომელიც ეხება საქმის განხილვას გონივრულ ვადაში;

შენიშნულია აქვს რა, რომ არაეფექტური და არაადექვატური პროცედურა და მხარეთა მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება იწვევს დაუსაბუთებელ დაყოვნებას და შეიძლება სახელი გაუტეხოს მართლმსაჯულების სისტემას;

დარწმუნებულია იმაში, რომ ეფექტური სააპელაციო პროცედურა შედის სამართალწარმოების ყველა მხარისა და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებში;

მხედველობაში იღებს რა № R (81) 7 რეკომენდაციას მართლმსაჯულებისათვის მიმართვის გამარტივების ღონისძიებათა შესახებ, № R (84) 5 რეკომენდაციას მართლმსაჯულების სისტემების მოქმედების გაუმჯობესების მიზნით სამოქალაქო საპროცესო პრინციპების შესახებ, № R (86) 12 რეკომენდაციას სასამართლოების ზედმეტი სამუშაო დატვირთვის თავიდან აცილებისა და შემცირების შესახებ და № R (93) 1 რეკომენდაციას ღარიბებისთვის კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის შესახებ,

რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს, გარემოებათა მიხედვით, შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ყველა ღონისძიება, რომელსაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე სააპელაციო სისტემებისა და პროცედურების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რაშიც შეიძლება შედიოდეს:

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სასამართლო ზედამხედველობის უფლება

a. ფაქტობრივად, შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი ქვემდგომი სასამართლოს ("პირველი სასამართლო") გადაწყვეტილებაზე ზემდგომი სასამართლოს ("მეორე სასამართლო") მიერ ზედამხედველობის განხორციელება.

b. თუ საჭიროა ამ პრინციპისათვის გამონაკლისების დაწესება, იგი გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და შეესაბამებოდეს მართლმსაჯულების ზოგად დებულებებს.

c. მხარეებს უნდა ეცნობოთ გასაჩივრების უფლებისა და მისი განხორციელების იმ წესის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

d. დაუშვებელია ზემდგომი სასამართლოების მოსამართლეების მონაწილეობა იმ საქმეების წარმოებაში, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ ქვემდგომ სასამართლოში.

თავი II. სასამართლო ზედამხედველობის შეზღუდვები

მუხლი 2. პირველი სასამართლოს დონეზე მისაღები ზომები

a. ფაქტობრივად, განსახილველი საქმის გარემოებები უნდა დადგინდეს პირველი სასამართლოს დონეზე. პირველ სასამართლოს უნდა წარედგინოს ყველა შესაძლებელი მოთხოვნა, ფაქტები და მტკიცებულებები. სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ამ მხრივ კანონმდებლობისა და სხვა ზომების მიღების საკითხი.

b. იმისათვის, რომ მხარეებს შეეძლოთ გადაწყვიტონ, გამოიყენონ თუ არა გასაჩივრების უფლება და, თუ შესაძლებელია, ჰქონდეთ საჩივრის შეზღუდვის შესაძლებლობა, პირველი სასამართლო კანონით უნდა იყოს ვალდებული ადვილად გასაგები ენით, მკაფიოდ და სრულად გადმოსცეს ის საფუძვლები, რასაც გადაწყვეტილება ემყარება. ფაქტობრივად, აუცილებელი არ არის გადაწყვეტილების საფუძვლების განმარტება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც შედავება არ მომხდარა, ასევე, მსაჯულთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძვლების განმარტება.

c. პირველ სასამართლოს შესაბამის საქმეებზე უნდა შეეძლოს დროებითი უზრუნველყოფის ზომების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს წამგებ მხარეს მიაყენებს გამოუსწორებელ ან მძიმე ზიანს, ან შეუძლებელს გახდის შემდგომში მართლმსაჯულების განხორციელებას.

მუხლი III. საქმეები, რომლებზეც არ შეიძლება გასაჩივრების უფლების გამოყენება

იმისათვის, რომ მეორე სასამართლომ მხოლოდ დასაშვები საქმეები განიხილოს, სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების გამოყენების საკითხი:

a. ზოგიერთი კატეგორიის საქმეების გამორიცხვა, მაგალითად, რომლებიც დაკავშირებულია მცირე მოთხოვნებთან;

b. იმ მოთხოვნის დაწესება, რომ გასაჩივრების უფლება წარმოიშვას სასამართლოს მიერ ნების დართვის შემთხვევაში;

c. გასაჩივრების უფლების გამოყენებისათვის გარკვეული დროის შეზღუდვების დაწესება;

d. გარკვეულ დამაბრკოლებელ საკითხებზე გასაჩივრების უფლების გადადება საქმის არსებითი ნაწილის გასაჩივრებამდე.

მუხლი IV. ღონისძიებები სააპელაციო სისტემის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად

სააპელაციო სისტემის ან პროცედურის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან ყველა ღონისძიების გამოყენების საკითხი:

a. დააწესონ იმის მოთხოვნა, რომ აპელანტმა გასაჩივრების პირველივე ეტაპზე განმარტოს, თუ რა მოტივირებულ საფუძვლებს ემყარება მისი საჩივარი და მიუთითოს ის საშუალება, რომლისადმი მიმართვასაც აპირებს;

b. ნება დართონ მეორე სასამართლოს არ მიიღოს სააპელაციო საჩივარი გამარტივებული წესით, მაგალითად, მეორე მხარისთვის შეუტყობინებლად, ანდა ისეთი საჩივარი, რომელიც, მეორე სასამართლოს აზრით, აშკარად დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო ან გაუგებარია; ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისეთი სათანადო სანქციების გათვალისწინება, როგორიცაა, მაგალითად, ჯარიმა;

c. როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, აღსრულების შეჩერება დაუშვან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოუსწორებელ ან მძიმე ზიანს მიაყენებს აპელანტს ან შეუძლებელს გახდის მართლმსაჯულების შემდგომში განხორციელებას. ასეთ შემთხვევებში გარანტირებული უნდა იყოს სასარჩელო უზრუნველყოფა;

d. როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, ნება დართონ მეორე სასამართლოს უარი თქვას საქმის განხილვაზე, აპელანტის მიერ გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მან უზრუნველყო სარჩელი ანდა პირველმა ან მეორე სასამართლომ შეაჩერა აღსრულება;

e. თუ დაუსაბუთებელი დაყოვნება გამოწვეულია რომელიმე მხარის მიერ, დააწესონ იმის მოთხოვნა, რომ ამ მხარემ გადაიხადოს დაყოვნებით გამოწვეული ხარჯები.

მუხლი V. მეორე სასამართლოში სამართალწარმოების სფეროს შემზღუდველი ღონისძიებები

მეორე სასამართლოს მიერ გასაჩივრებული საკითხების შემოწმების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან ყველა ღონისძიების გამოყენების საკითხი:

a. ნება დართონ სასამართლოს ან მხარეებს პირველი სასამართლოს მიერ გამორკვეული ფაქტები მიიჩნიონ დამტკიცებულად;

b. ნება დართონ მხარეებს მოითხოვონ საქმის გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილების გამოტანა;

c. თუ გასაჩივრებისთვის საჭიროა ჯერ გადაწყვეტილების გამოტანა, ნება დართონ სასამართლოს შეზღუდონ სააპელაციო საჩივრის მოცულობა, მაგალითად, კანონმდებლობის ინტერპრეტაციამდე;

d. შეზღუდვების დაწესება მეორე სასამართლოში ახალი მოთხოვნების, ფაქტების ან მტკიცებულების წარმოდგენასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმოჩნდა ახალი გარემოებები ან შიდა სამართლით გათვალისწინებული იყო ის საფუძვლები, რომელთა გამოც ისინი არ წარმოადგინეს პირველ სასამართლოში;

e. შეზღუდონ სააპელაციო საჩივრის განხილვა საჩივრის მოტივირებული საფუძვლების განხილვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით.

თავი III. სააპელაციო სისტემებისა და პროცედურის მუშაობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებები

მუხლი 6. სააპელაციო პროცედურების ეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებები

საქმეთა რაციონალური და ეფექტური განხილვის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან ყველა ღონისძიების გამოყენების საკითხი:

a. საქმეთა განხილვაში არ ჩაებან იმაზე მეტი მოსამართლე, ვიდრე საჭიროა. შესაძლებელია მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვა, მაგალითად, რომელიმე ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში:

i. განცხადება სააპელაციო საჩივრის შეტანის ნებართვაზე;

ii. საჩივრები პროცესუალურ საკითხებზე;

iii. ნაკლებმნიშვნელოვანი საქმეები;

iv. თუ მხარეები საქმის ერთპიროვნულად განხილვას ითხოვენ;

v. როდესაც საქმე აშკარად დაუსაბუთებელია;

vi. საოჯახო საქმეები;

vii. სასწრაფო საქმეები.

b. საქმის პირველ სასამართლოში განხილვის შემდგომ მხარეთა შორის წერილობითი მიმართვების გაცვლის რაოდენობა შეზღუდონ აუცილებელ ოდენობამდე, მაგალითად, იმის დაწესებით, რომ თითოეულ მხარეს შეეძლოს მეორე სასამართლოში დოკუმენტების მხოლოდ ერთი კრებულის წარდგენა;

c. იმ სახელმწიფოებში, სადაც დაშვებულია საქმის ზეპირი განხილვა მეორე სასამართლოში, მხარეებს ნება დართონ შეთანხმდნენ სხდომის გარეშე საქმის განხილვაზე, თუ მეორე სასამართლო სხვაგვარად არ ჩათვლის საჭიროდ;

d. შეზღუდონ ზეპირი წარმოების ხანგრძლივობა მინიმალურ საჭიროებამდე, მაგალითად, წერილობითი მიმართვის პროცედურის უფრო ფართო გამოყენებით ან თეზისებით ჩამოყალიბებული არგუმენტების, ანდა წერილობითი მიმართვის მეშვეობით.

e. საქმის ზეპირი წარმოებისას, უზრუნველყონ მისი დროული დასრულება ("ზეპირი განხილვის შეკვეცა"). სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს გამართული სხდომების მხედველობაში მიღებით და გადაწყვეტილება გამოიტანოს მისი დასრულებისთანავე ან დასრულებიდან მოკლე ვადაში, კანონით დადგენილი წესით;

f. დააწესონ დროის ვადების მკაცრი დაცვის მოთხოვნა, მაგალითად, დოკუმენტებისა და სასარჩელო განცხადებების გაცვლასთან დაკავ-

შირებით და აღნიშნული ვადების დაუცველობისათვის გაითვალისწინონ ისეთი სანქციები, როგორიცაა, მაგალითად, სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობა ან იმ საკითხის განუხილველობა, რომელსაც უკავშირდებოდა დროის შეზღუდვა;

g. მეორე სასამართლოს მიანიჭონ უფრო აქტიური როლი საქმის განხილვამდე და განხილვის პროცესში მისი მსვლელობის მოსაწესრიგებლად, მაგალითად, ინფორმაციის წინასწარი გამოთხოვის ან მორიგების შეთავაზების გზით.

h. მოაწესრიგონ დაუყოვნებლივ განსახილველ საქმეებთან დაკავშირებული საკითხები, მაგალითად, დაადგინონ, თუ ვის შეუძლია საქმის აღნიშნული წესით განხილვა, რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მიიჩნიონ საქმე ასეთად და სასამართლო სისტემაში ვის უნდა ჰქონდეს ამგვარი საქმეების განხილვის კომპეტენცია;

i. განამტკიცონ კავშირები სასამართლოს, იურისტებსა და სამართალწარმოების პროცესში ჩაბმულ სხვა პირებს შორის, მაგალითად, მოაწყონ სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ მეორე სასამართლო და ადვოკატთა ასოციაციები ან გამართონ დისკუსიები პროცედურის გაუმჯობესების შესახებ;

j. უზრუნველყონ მეორე სასამართლო ისეთი ადეკვატური ტექნიკური საშუალებებით, როგორებიცაა: ფაქსის აპარატები ან კომპიუტერები, ასევე, პირველი სასამართლო აღჭურვონ მსგავსი საშუალებებით სხდომების და გადაწყვეტილებების ოქმებისა და ჩანაწერების მოსამზადებლად;

k. იმ კვალიფიციური იურისტების საქმეში ჩაბმის ხელშეწყობა, რომლებიც დაკავებული არიან სასამართლოში წარმომადგენლობით.

თავი IV. მესამე სასამართლოს როლი და ფუნქციონირება

მუხლი 7. მესამე სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

a. ამ რეკომენდაციის დებულებების გამოყენება, სადაც ეს შესაძლებელია, დასაშვებია "მესამე სასამართლოს" მიმართაც მისი არსებო-

ბის შემთხვევაში, ე.ი. იმ სასამართლოს მიმართ, რომელიც ახორციელებს მეორე სასამართლოს ზედამხედველობას. ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის ეს ცნება არ მოიცავს საკონსტიტუციო ან მსგავს სასამართლოებს.

b. მესამე სასამართლოებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხილვისას სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ საქმე უკვე ორ სასამართლო ინსტანციაშია განხილული.

c. მესამე სასამართლოში საჩივრების წარდგენა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებზე, რომელთა გადასინჯვაც დასაშვებია მესამე ინსტანციის მიერ, მაგალითად, ისეთი საქმეები, რომლებმაც შეიძლება განავრცოს სამართალი ან ხელი შეუწყოს სამართლის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. ეს საქმეები შეიძლება აგრეთვე შეიზღუდოს იმ საჩივრებამდე, რომლებშიც საქმე ეხება საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის ნორმას. აპელანტი ვალდებული უნდა იყოს ჩამოაყალიბოს ის საფუძვლები, თუ რატომ ემსახურება საქმე აღნიშნულ მიზნებს.

d. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ისეთი სისტემის შემოღების საკითხი, რომლის დროსაც მესამე სასამართლომ შეიძლება პირდაპირ განიხილოს საქმე, მაგალითად, წინა გადაწყვეტილებაზე მითითების ან ისეთი პროცედურის მეშვეობით, რომელიც გვერდს უვლის მეორე სასამართლოს ("ლიფფროგის პროცედურა"). ასეთი პროცედურა შეიძლება განსაკუთრებით გამოსადეგი იყოს კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როდესაც უფრო სავარაუდოა, რომ მესამე სასამართლოში გასაჩივრების უფლება ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

e. მეორე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე ან მესამე სასამართლო შეაჩერებს აღსრულებას ან აპელანტი აღეკვატურად უზრუნველყოფს სარჩელს.

f. სახელმწიფოებს, რომელთაც არა აქვთ გასაჩივრების ნებართვის მიღების სისტემა ან არ აღიარებენ მესამე სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის ნაწილის უარყოფის შესაძლებლობას, შეუძლიათ განიხილონ ისეთი სისტემის შემოღების საკითხი, რომელიც მიზნად ისახავს მესამე სასამართლოში შესატანი საქმეების რაოდენობის

შეზღუდვას მათი ხასიათის მიხედვით. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საფუძვლები, რომლებიც მესამე სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას მის მიერ საქმის განხილვა შეზღუდოს საქმის ცალკეულ ასპექტებამდე, მაგალითად, გასაჩივრების ნებართვის მინიჭების ან გამარტივებული წესით განხილვის შემდეგ სააპელაციო საჩივრის ნაწილის უარყოფის შემთხვევებში.

g. ფაქტობრივად, მესამე სასამართლოში არ შეიძლება ახალი ფაქტების ან ახალი მტკიცებულებების წარდგენა.

წევრი სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვის შესახებ

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (95) 12

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 11 სექტემბერს მინისტრთა წარმომადგენლების მეხუთედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.b მუხლის შესაბამისად,

მხედველობაში იღებს რა, რომ სამართლიანი და ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, ნებისმიერ სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული, დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობაა,

მხედველობაში იღებს რა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში შეინიშნება საქმეების რიცხვის ზრდა და ხშირად მათი რთული ხასიათი, უსაფუძვლო დაყოვნება, საბიუჯეტო შეზღუდვები და საზოგადოებისა და კადრების გაზრდილი მოთხოვნები;

ითვალისწინებს რა, რომ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: დეკრიმინალიზაცია, სასჯელის გაუქმება ან ძირითადი აქცენტის სხვა საკითხებზე გადატანა, მორიგება და სისხლის სამართლის პროცესის გამარტივება, ხელს შეუწყობს ამ სირთულეთა დაძლევას;

მხედველობაში იღებს რა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ცალკეული პრინციპები, სტრატეგიები და ხერხები, რომლებიც წარმოდგენილია სისხლის სამართლებრივი პრობლემების ევროპის კომიტეტის მიერ შემუშავებულ მოხსენებაში სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ,

ხაზს უსვამს რა, რომ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების შედეგიანობისა და ეფექტურობის ამაღლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიების გატარებისას, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით დადგენილ მოთხ-

ოვნებს, განსაკუთრებით ბრალდებულის უფლებებს, მხარეთა იურიდიული დაცვის საშუალებებსა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას;

ითვალისწინებს რა № R (87)18 რეკომენდაციას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ და № R (94)12 რეკომენდაციას მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ,

რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს:

1. თავიანთი კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადასინჯვისას, იხელმძღვანელონ მართლმსაჯულების განხორციელების იმ პრინციპებით, სტრატეგიებითა და ხერხებით, რომლებიც წარმოდგენილია ამ რეკომენდაციის დანართში.

2. ეს რეკომენდაცია და სისხლისსამართლებრივი პრობლემების ევროპის კომიტეტის მიერ შემუშავებული მოხსენება მოაქცინონ თავიანთი შესაბამისი ორგანოების ყურადღების ცენტრში და მოუწოდონ მათ მოცემული ტექსტები გაითვალისწინონ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანიზაციების მუშაობის შეფასებისა და მისი გაუმჯობესების საკითხის განხილვისას.

№ R (95) 12 რეკომენდაციის დანართი

I. მიზნების განსაზღვრა

1. მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებმა, სტრატეგიებმა და ხერხებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების შედეგიან და ეფექტურ ფუნქციონირებას. ამ მიზნით, შესაბამისმა დაწესებულებებმა უნდა განსაზღვრონ მათი სამუშაო დატვირთვის, ფინანსების, ინფრასტრუქტურის, კადრებისა და კომუნიკაციის მართვის მიზნები.

2. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მეტი ეფექტურობისა და შედეგიანობის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაწესებულების მიერ დასახული მიზნების შეთანხმებას დანაშაულებრიობის ზედამხედველობისა და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიმართულებების უფრო ფართო კონტექსტში.

II. სამუშაო დატვირთვის მართვა

3. რეგულარული და მიმდინარე მონიტორინგი უნდა ჩატარდეს ადგილზე და მიზნად ისახავდეს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების დაწესებულებების ფუნქციონირების, მათი შედეგიანობისა და ეფექტურობის შეფასებასა და ხელსაყრელი გაუმჯობესების ხელშეწყობას. ამ სფეროებში პროგრესის მიღწევა შესაძლებელია შიდა საკონსულტაციო სამსახურის განვითარებით ან გარე კონსულტანტებისთვის მიმართვის გზით.

4. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელება ყოველთვის და ყველგან არ შეიძლება ერთიან წესებს ემყარებოდეს, სხვადასხვა გარემოების გამო. ამ მიზეზით, სამუშაო დატვირთვისა და რესურსების განაწილების დაგეგმვისას მხედველობაშია მისაღები დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა პირობებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და ცვლილებები.

5. უნდა განისაზღვროს სამუშაო დატვირთვის ეფექტური მართვისა და სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტის კრიტერიუმები. მოცემული კრიტერიუმების შემუშავება უნდა მოხდეს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პერსონალთან თანამშრომლობით. აღნიშნული სტანდარტების მიღწევისათვის დაწესებულებებს უნდა გაეწიოთ სათანადო მხარდაჭერა.

6. ამ თვალსაზრისით, საჭიროა შემუშავდეს საქმეთა გადარჩევის მეთოდები, რათა მოსამართლეებსა და პროკურორებს სამართალწარმოების პირველივე ეტაპიდან შეეძლოთ საქმის დიფერენცირებული წესით განხილვა.

7. კადრების უკეთ გამოყენების მიზნით, მოსამართლეები და პროკურორები უნდა გათავისუფლდნენ იმ სამუშაოსაგან, რაც შეიძლება შეასრულონ სხვა თანამდებობის პირებმა, კერძოდ, ადმინისტრაციულმა პერსონალმა, ამასთანავე, შესაბამისად გაიზრდება ამ უკანასკნელისათვის დაკისრებული ფუნქციებიც.

III. ინფრასტრუქტურის მართვა

8. არსებული საშუალებების სისტემატური აღრიცხვით, საჭიროებათა შეფასებითა და გრძელვადიანი დაგეგმვით უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილებები ახალი შენობების შეძენის, მათი ადგილმდებარე-

ობის, ძველ შენობებში არსებულ საშუალებათა განახლების და შენობის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების თაობაზე. ანგარიში უნდა გაეწიოს ასევე სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განმახორციელებელი პროფესიონალი და არაპროფესიონალი პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

9. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ფიზიკური რესურსების ფარული ან არაოფიციალური გამოყენების მობილიზაციასა და მათ მაქსიმალურად ეკონომიურ გამოყენებას. ეს შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად, სასამართლო სხდომების დანიშვნას ნაკლებად გადატვირთულ დროის პერიოდში, რამდენიმე დაწესებულების ერთი ადგილმდებარეობის ფარგლებში მოთავსებას ან არსებული საშუალებების განთავსების რეორგანიზაციას.

IV. კადრების მართვა

10. მართვის პრინციპების, სტრატეგიებისა და ხერხების ცხოვრებაში გატარებისას, მხედველობაშია მისაღები სასამართლო ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი გამოცდილება და პირობები. ამ პრინციპების, სტრატეგიებისა და ხერხების შემოღება უნდა მოხდეს დარწმუნების და არა იძულების გზით.

11. შემოღებულ იქნეს პროფესიულ მონაცემთა (პრაქტიკული გამოცდილება, მომზადების დონე და სხვა) აღმრიცხველი რეესტრი კადრების უკეთესად მართვის, დაკისრებულ მოვალეობათა და შემსრულებელ პირთა ადეკვატური შესაბამისობის ხელშესაწყობად. აღნიშნული რეესტრი, რომელიც ინახება შესაბამის დაწესებულებებში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პერსონალისთვის, რომელსაც იგი ეხება.

12. მოსამართლეებისა და პროკურორების თავდაპირველი და სამსახურის პერიოდში ჩატარებული მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების თვალსაზრისით მართვის თანამედროვე პრინციპები და პრაქტიკა.

13. აქტიურად უნდა მიექცეს ყურადღება პროფესიული განვითარების დაგეგმვას, რაც შეიძლება მოხდეს, სხვა საშუალებათა შორის, შემდგომი სპეციალიზაციით, საჭიროების შემთხვევაში – ხარისხისა და

თანამდებობის განცალკევებით, სხვა შესაძლებლობების შექმნით, რათა პერსონალს შეეძლოს ახალი პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიული ცოდნის მიღება. სამუშაო პირობები უნდა ექვემდებარებოდეს სპეციალურ შემოწმებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები რთულია.

V. ინფორმაციისა და კომუნიკაციის მართვა

14. შემოღებულ იქნეს ინფორმაციის შეკრების, შენარჩუნების, გამოყენებისა და გავრცელების უფრო სანდო და ეფექტური სისტემები.

15. საინფორმაციო ტექნოლოგია უნდა ესადაგებოდეს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განმახორციელებელი დაწესებულებების სამუშაოს ხასიათსა და საჭიროებებს და ინფორმაციის საბოლოო მომხმარებლებს. ამ უკანასკნელთ უნდა გაეწიოთ კონსულტაცია შესაბამის საკითხთან დაკავშირებით.

16. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისას, ყურადღება უნდა მიექცეს შიდა კომუნიკაციის მაღალ დონეს თითოეულ დაწესებულებაში.

17. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განმახორციელებელი დაწესებულებები მეტი გულისხმიერებით უნდა ეკიდებოდნენ ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკას. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა საფეხურის (ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი) სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა და დანაშაულებრიობაზე ზედამხედველობის სხვა დაწესებულებებმა უნდა დააჩქარონ ინფორმაციის ბრუნვის ტემპი და მხედველობაში მიიღონ განხილული საქმეების შედეგების შესახებ მოსაზრებები.

18. უფრო მეტად უნდა გამახვილდეს ყურადღება მოსახლეობასთან უკეთესი ურთიერთობების დამყარებაზე, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განმახორციელებლების, მასმედიის, მოხალისეთა სექტორის (მაგალითად, დაზარალებულთა ასოციაციები), მოქალაქეებისა და მათი დემოკრატიის ინსტიტუტების (პარლამენტები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები) ცალკეულ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

III

ევროპის საბჭოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობის (DEMO–DROIT და THEMIS) ფარგლებში ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრების დასკვნები და დემოკრატიული სტაბილურობის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებები (ADACS)©12

სასამართლო სისტემები გარდამავალ პერიოდში

რეზოლუციის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ

უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებებისა და ფუნქციების შრთიერთდამოკიდებულება

უზენაესი სასამართლო და ჟართლმსაჯულების განხორციელება

მოსამართლეებისა და პროკურორების მოემზადება ევროპაში

მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება ჟამ პროფესიულ მოვალეობებსა და ეთიკის ნესებთან დაკავშირებულ საკითხებში

მოსამართლეების მომზადება საერთაშორისო კონვენციებს გამოყენებაში

კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურების შერჩევისა და მოძმადების დროს

მოსამართლეთა ასოციაციები: როლი, უფლებამოსილებები და სტატუსი

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები - სასამართლო რეფორმის შეფასება

რეზოლუციის სასამართლოს როლის შესახებ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში

ჟართლმსაჯულების განხორციელება და სასამართლოს ჟართვა

მოსამართლე და საერთაშორისო სამართალი

საჯარიალწარმოების პროცესის ძირნაძილენი. ჟანსაკუთრებით სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით

სისხლის სამართლის ჟართლმსაჯულების ზოგადი ორგანიზაცია - სისხლის სამართლის ჟართლმსაჯულების ჟართვა

ადმინისტრაციული აქტების სასამართლო კონტროლი

იუსტიციის სამინისტროს როლი სასამართლო სისტემის დაფინანსებაში

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიები

სასამართლო სისტემები გარდამავალ პერიოდში

ბუდაპეშტი, 1995 წლის 25–27 ოქტომბერი

დასკვნები

1995 წლის 25–27 ოქტომბერს ბუდაპეშტში გაიმართა შეხვედრა თემაზე: "სასამართლო სისტემები გარდამავალ პერიოდში", სადაც შეხვედრის მონაწილე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებმა და მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სტრუქტურების შედარებით კვლევას; განიხილეს სასამართლო ხელისუფლების ადგილი და როლი სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, უზენაესი სასამართლოებისა და სამოსამართლო კომისიების მუშაობა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობა.

მონაწილეებმა მიუთითეს, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა განუყოფელი ნაწილია იმ საზოგადოებისა, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობას და, ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღნიშნეს ევროპის საბჭოს საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის განვითარებასა და განმტკიცებას.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი გარე ზემოქმედებისაგან თავისუფალი, მიუკერძოებელი და ადეკვატურად მომზადებული მოსამართლე კანონით დადგენილი წესით განიხილავს მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ საქმეებს. ამასთანავე, იგი გულისხმობს, რომ დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმება ან გადასინჯვა, გარდა კანონით გათვალისწინებული სააპელაციო წესისა და რომ იქ, სადაც სამოსამართლო კომისიები არსებობს, ისინი ხელს უნდა უწყობდნენ სასამართლო ხელისუფლების ავტონომიის განმტკიცებას.

მონაწილეები შეეხნენ აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ძირითად პრინციპებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (94)12 რეკომენდაციას, რომელიც ადგენს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს მოსამართლეთა როლის გაფართოებისა და მათი დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის განმტკიცების მიზნით.

გარდა ამისა, მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს უზენაესი სასამართლოების უპირველესი როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ კანონის უზენაესობის განმტკიცებაში და მიუთითეს ამ სასამართლოთა სპეციალურ ფუნქციაზე, რომელსაც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების, აგრეთვე, ამ განვითარების შესაბამისად, პოზიტიური სამართლის ადაპტაციის აუცილებლობის კონტექსტში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ ადაპტაციას გარდამავალ პერიოდში შეიძლება იურიდიული დოკუმენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყვეს.

ისინი შეთანხმდნენ შემდეგზე: იმის მიუხედავად, რომ უზენაეს სასამართლოებს არა აქვთ საკანონმდებლო უფლებამოსილება, მათ უნდა შეასრულონ კანონის განმარტების დინამიური როლი და ზედამხედველობა გაუწიონ სასამართლოების მიერ კანონის გამოყენებას და ამგვარად უზრუნველყონ სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება. როგორც კანონის დამცველები, ისინი ხელს უწყობენ თავისუფლებათა და ძირითად უფლებათა იურიდიული უსაფრთხოების შენარჩუნებას და მათ დაცვას.

მონაწილეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ სასამართლოებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი და ადეკვატური საშუალებები მათთვის დაკისრებული მოვალეობის სრულად და დამოუკიდებლად განხორციელებისთვის. ამასთან დაკავშირებით, მათ მიუთითეს ვალდებულებაზე, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრებმა თავის თავზე აიღეს ვარშავაში 1995 წლის 4 აპრილს, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ ღონისძიების გაფართოებას, რომლებიც მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განსახორციელებლად მიზნად ისახავს საჭირო ადამიანების, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყოფას.

მათი რეკომენდაციის მიხედვით, ევროპის საბჭომ უფრო ვრცლად უნდა ასახოს და გააფართოვოს კვლევა იმ ცალკეულ პრობლემათა განსაზღვრის მიზნით, რომლებიც გარდამავალი პერიოდის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების წინაშე დგას. ამ თვალსაზრისით, შეეხნენ ამ ქვეყნებისთვის განკუთვნილ ევროპის საბჭოს სამართლებრივი დახმარების პროგრამებს და განსაკუთრებით, Themis გეგმას, რომელთა მიზანია დემოკრატიული რეფორმების განხორციელების უზრუნველყოფა და რომლებშიც ცალკეული პროექტები უზენაეს სასამართლოებს მეტად სრულყოფილად ესადაგება.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განევითარებინათ და განემტკიცებინათ უზენაეს სასამართლოებს შორის თანამშრომლობა რეგიონალურ და ევროპის დონეზე, საჭიროების შემთხვევაში, - საერთო ინტერესის საკითხების განხილვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი სისტემების დაახლოებასა და ევროპული სამართლის მოქმედების არეალის გაფართოებას.

აღნიშნული დასკვნების მიღების შემდეგ, რაც მიზნად ისახავდა თანამშრომლობის განვითარებას უზენაეს სასამართლოებს შორის, მონაწილეებმა სიამოვნებით მიიღეს ესტონეთის ეროვნული სასამართლოს თავმჯდომარის, რ. მალრუსტის, წინადადება 1996 წლის ოქტომბერში ესტონეთში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა შეხვედრის გამართვის შესახებ.

რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ

მიღებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შეხვედრაზე

"უზენაესი სასამართლოების უფლებამოსილება"

(ტალინი და პარნუ, ესტონეთი, 22 – 25 ოქტომბერი, 1996 წელი)

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები, კვლავაც აღიარებენ რა იმ ღირებულებებს, რასაც ეფუძნება ევროპის საბჭო: პლურალისტური დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა;

მხედველობაში იღებენ რა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებულ იურიდიულ დოკუმენტებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას, აგრეთვე, მინისტრთა კომიტეტის შესაბამის რეკომენდაციებს, როგორიცაა, № R (94) 12 რეკომენდაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ეფექტურობისა და როლის შესახებ;

თვალისწინებენ რა უზენაესი სასამართლოების განმსაზღვრელ როლსა და პასუხიმგებლობას კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობასა და მისი პრინციპების განმტკიცებაში, კერძოდ, როგორებიცაა: სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, მართლმსაჯულების ორგანოებისათვის მიმართვის უფლება, სამართლიანი განხილვა გონიერულ ვადაში, დაცვის საშუალებათა თანასწორობა, საჯარო სამართალწარმოება და გადაწყვეტილების საჯაროდ გამოტანა, აგრეთვე, მხარეების მიერ პროცედურების ცოდნის აუცილებლობა;

ითვალისწინებენ რა, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს მოქალაქეთა ინტერესებს, აკმაყოფილებდეს მათ სურვილს იპოვონ ნამდვილი მართლმსაჯულება და ხორციელდებოდეს ხელისუფლების სხვა განშტოებებთან თანამშრომლობისა და ერთმანეთის უფლებამოსილებათა პატივისცემის სულისკვეთებით;

მხედველობაში იღებენ რა, რომ მათ მიერ განმარტებითი ფუნქციის დინამიკური და პროგრესული განხორციელებით, რასაც შედეგად მოაქვს სამართლის უნიფიკაცია, უზენაესი სასამართლოები ასრულებენ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ასევე, იურიდიული მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტებისა და მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენების კონტროლის ფუნქციას;

დარწმუნებული მოქალაქეთა ძირითადი უფლებების ეფექტური დაცვისათვის გასაჩივრების უფლების მნიშვნელობაში, რაც კანონის უზენაესობის განუყოფელი ნაწილია, მხედველობაში იღებენ მინისტრთა კომიტეტის № R (95)5 რეკომენდაციას სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე გასაჩივრების სისტემებისა და პროცედურების ფუნქციონირების შემოღებისა და გაუმჯობესების შესახებ;

მიუთითებენ რა №1 რეზოლუციას მართლმსაჯულების სამართლიანობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა, განსაკუთრებით დაუსაბუთებელი დაყოვნების აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებათა, შესახებ, რომელიც მიღებულია ბუდაპეშტში 1996 წლის 12 ივნისს გამართულ ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე–20 კონფერენციაზე;

მიესალმებიან რა იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭო თავისი საკანონმდებლო საქმიანობით განსაკუთრებულად უწყობს ხელს არა მარტო დემოკრატიული უსაფრთხოების, არამედ ევროპაში სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას,

მტკიცედ უჭერენ რა მხარს ევროპის საბჭოს საქმიანობის გამყარებასა და გაძლიერებას, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სამართლიანობისა და ეფექტურობის ამაღლებასა და იმ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამოცდილი მოსამართლეების მიერ დემოკრატიული მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობას, რომელთაც აქვთ მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექ-

ტური დაცვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი სტატუსი. აღნიშნული მხარდაჭერა ხორციელდება:

a. კომპეტენტურ პროფესიულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, შესაბამისი ინფორმაციისა და გამოკვლევის მიწოდებით იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა სასამართლო სისტემებიც საჭიროებენ უაღრესად მნიშვნელოვანი და სასწრაფო რეფორმების გატარებას;

ხ. სხვა მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობით იმ მინიმალური მოთხოვნების შემუშავებით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მოსამართლეობის კანდიდატები, აგრეთვე, მოსამართლეთა მომზადების შესახებ ევროპის წესების შემუშავებით;

გ. იმ პრინციპების შემუშავებით, რომლებიც აწესრიგებს, შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო სისტემების ფუნქციონირებას, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებს შორის კომპეტენციათა დამატებით გამიჯვნასა და სამოსამართლო სამართლის შემოქმედებით როლს;

იმ ვალდებულებით, რომელსაც იღებენ მონაწილეები ბუდაპეშტში მათ პირველ შეხვედრაზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით, აქტიურად შეუწყონ ხელი ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლო ხელისუფლების განმტკიცებას, განსაკუთრებით მათ, რომლებიც უნდა განხორციელდეს იურისტებისა და მოსამართლეების პროფესიული მომზადების ევროპის საბჭოს Themis გეგმის თანახმად,

მონაწილეები მადლიერებით იღებენ ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივას – 1997 წელს გაიმართოს შეხვედრა, რომელიც მიეძღვნება დემოკრატიულ სახელმწიფოში უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების უფლებამოსილებებს.

უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება

პრაღა და ბრნო, 21 – 23 ოქტომბერი, 1998 წელი

დასკვნები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებმა და მოსამართლეებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მესამე შეხვედრაში თემაზე: "უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლების, უფლებამოსილებებისა და მოვალეობების ურთიერთდამოკიდებულება", რომელიც გახსნა პრაღაში 1997 წლის 20 ოქტომბერს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბ-ნმა ვაცლავ ჰაველმა, და მიმდინარეობდა ბრნოში 1997 წლის 21– 23 ოქტომბერს, მიიღეს შემდეგი დასკვნები:

1. პიროვნულ თავისუფლებათა იურიდიული დაცვა შეიძლება ჩაისახოს მხოლოდ ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოში. ეროვნულ დონეზე სასამართლო კონტროლის განხორციელებით უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს მათი შესაბამისი უფლებამოსილების სფეროებში არსებითი წვლილი შეაქვთ დემოკრატიის მუშაობის წესების განვითარების მხრივ.

2. უზენაესი სასამართლო, რომლის კონკრეტული მიზანია სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ზოგადად, უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში. უზენაესმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ კონსტიტუციური ნორმების უშუალო გამოყენება და ამ ნორმების გათვალისწინებით კანონების განმარტება.

ამ ფუნქციების ეფექტური განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლმსაჯულებას ახორციელებენ დამოუკიდებელი სასამართლოები, რომელთა გადაწყვეტილებებს სრულად ემორჩილებიან. აქედან გამომდინარე, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების წევრთა შერჩევის პროცედურები, აგრეთვე

მათ სტატუსთან დაკავშირებული წესები მიზნად უნდა ისახავდეს საბოლოოდ მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევას და მოქალაქეებისა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა ნდობის განმტკიცებას მათი გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობისადმი.

3. უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო ქმნიან ურიდიული კონტროლის დამატებით სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება შემადგენლობით, ფუნქციებითა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული ამოცანაა კანონების კონსტიტუციურობისა და მათი საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის განხილვა. ის განიხილება არა, როგორც ზემდგომი ინსტანცია, რომელიც ორიენტირებულია უზენაესი და ჩვეულებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებათა ზოგად გადასინჯვაზე, არამედ როგორც სპეციალიზებული სასამართლო, რომლის უფლებამოსილების სფერო განსხვავდება უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების სფეროსაგან. მათი როლების სპეციფიკურობასა და პროცედურებთან დაკავშირებული აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, ორივე სასამართლოს საერთო მიზანია იმ უფლებათა და პიროვნულ თავისუფლებათა გარანტირება, რომლებიც დემოკრატიული სამართლებრივი სისტემების საფუძველია.

4. მოქალაქეებში კანონის უზენაესობისადმი ნდობის ჩანერგვისა და სასამართლოების მიერ უზრუნველყოფილი დაცვის განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მხედველობაში მიღებით, საჭიროა, რომ სასამართლო ორგანოებმა, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება, გამართონ სტრუქტურული დიალოგი როგორც ეროვნულ დონეზე, ისე ევროპის სასამართლოსთანაც. ამ მიზნის მისაღწევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების დეტალურ მოტივირებას, რათა ეს გადაწყვეტილებები ასახვდეს გამოყენებად სამართლებრივ და საკონსტიტუციო ნორმებს, აგრეთვე ამ სასამართლოებიდან გამომდინარე პრაქტიკას.

ამ დიალოგის გაფართოება შესაძლებელია მოხდეს ევროპის საბჭოს სამართლებრივი დახმარების სხვადასხვა პროგრამით, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მათი თანაარსებობის სახელმწიფოებში ამ ორი სამართლებრივი ორგანოს კომპეტენციათა განსაზღვრით.

5. თავმჯდომარეები და მოსამართლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათი მეოთხე შეხვედრა გაიმართოს უკრაინის უზენაესი სასამართლოს მოწვევით 1998 წლის სექტემბერში.

უზენაესი სასამართლო და მართლმსაჯულების განხორციელება

კიევი, 1998 წლის 12-14 ოქტომბერი

დასკვნები

ევროპის საბჭოს თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში ჩატარებულ მეოთხე შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა კიევში 1998 წლის 12-14 ოქტომბერს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებმა და მოსამართლეებმა იმსჯელეს თემაზე: "უზენაესი სასამართლო და მართლმსაჯულების განხორციელება".

ზოგადად, სასამართლოების და, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მართვის შესახებ მსჯელობის დროს მონაწილეები შეთანხმდნენ ახალი წესების კვლევის ჩატარების საჭიროებაზე, რომლის მიზანია მიეცეთ მოსამართლეებს საქმეთა დიდი ოდენობის უფრო ეფექტური მართვის შესაძლებლობა და, იმავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებების შესაბამისად, დაცული იყოს მოქალაქის ძირითადი უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლის მიერ საქმის განხილვაზე.

მათ გამოხატეს დიდი სურვილი გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება შემდეგ საკითხებზე:

I. მართლმსაჯულებისათვის დაკისრებული ამოცანების გათვალისწინებით, მის ჯეროვან ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისათვის. აღნიშნული ჯეროვანი ფუნქციონირება დამოკიდებულია სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციაზე, მოსამართლეთა შერჩევის წესსა და იმ მიზანზე, რომ მართლმსაჯულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ეფექტურობის მოთხოვნებზე.

II. საფუძველმოკლებულია იდეალური უზენაესი სასამართლოს ტიპიური მოდელის შექმნის ძიება. ხშირ შემთხვევაში, ზოგადად, სასამართლო დაწესებულებები და, კერძოდ, უზენაესი სასამართლოები წარმოადგენენ ისტორიის პირმშოსა და ეროვნული კულტურის გამხატულებას, რის დაკიწყებაც დაუშვებელია. მეორე მხრივ, უნდა დადგ-

ინდეს ის პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს საქმიანობის მიმართულებებს და, კერძოდ, მის როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

III. უზენაეს სასამართლოს აკისრია უდიდესი მნიშვნელობის სამართლებრივი მისია. არსებითი მნიშვნელობა კი ისაა, რომ მას ხელეწიფება, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული მისიის გონიერულ ვადაში სრულად შესრულება. ამ თვალსაზრისით, უზენაეს სასამართლოებში შესული საქმეების დიდი ოდენობა წარმოშობს რთულ პრობლემას სააპელაციო საქმეების შერჩევასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოები, როგორც ეს გასაგებად განსაზღვრა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, მიზნად არ ისახავენ ყოველ ქვეყანას დაანახონ, თუ რა გზით უნდა მიაღწიონ მათ აღნიშნული მისიის შესრულებას, გარდა იმ დისკრიმინაციული ხასიათის ღონისძიებათა თავიდან აცილების გზებისა, რაც ზიანს აყენებს ყოველი ადამიანის უფლებას - გადასცეს თავისი საქმე დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, რაც, ასევე, დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში.

IV. სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასა და დაფინანსებას და მართლმსაჯულების განხორციელებას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტია მოიცავს ნაგულისხმევ დებულებებს მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე. ამ თვალსაზრისით, შეინიშნება იუსტიციის სამინისტროს პრეროგატივების შეზღუდვის ტენდენცია. სტატუსის თვალსაზრისით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები შეიძლება გაატარონ დამოუკიდებელმა ორგანოებმა ან დაექვემდებარონ მის კონტროლს. თუმცა ზოგიერთ ქვეყანას სურს უფრო შორს წასვლა და ნამდვილი თვითმმართველობის სისტემის შექმნა ავტონომიური ორგანოს ხელმძღვანელობით. უნდა მიღებულ იქნეს ზომები აღნიშნული ღონისძიებების ზედმიწევნით ზუსტად გასატარებლად, რომლებიც დაეფუძნება შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მრავალგვარ შემადგენლობას, თუმცა უკვე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ მოსამართლეები უნდა ემორჩილებოდნენ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის

გამოცხადება ლიტონ სიტყვებად დარჩება, თუ მისი განხორციელებისათვის საჭირო ადმინისტრაციული და საბიუჯეტო პირობების უზრუნველყოფა არ მოხდება.

კვლავ დაადასტურეს რა ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული ღირებულებების სავალდებულობა, მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის პრინციპებს.

გამოთქვეს რა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ევროპის უზენაეს სასამართლოებს შორის დიალოგის გაგრძელების სურვილი, მადლიერებით მიიღეს სლოვენიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევა 1999 წელს ლიუბლიანაში შეხვედრის გამართვაზე.

მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება ევროპაში

(ლისაბონი, 1995 წლის 27–28 აპრილი)

დასკვნები

ევროპის საბჭოს წევრი და წევრობის კანდიდატი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, რომელთა შეხვედრა გაიმართა 1995 წლის 27-28 აპრილს "მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებაზე" მსჯელობის მიზნით, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სტრუქტურებისა და მეთოდების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გაცვალეს, მოსაზრებები მოსამართლისა და პროკურორის თანამდებობის დაკავებისათვის საჭირო პირობების შესახებ. გარდა ამისა, მათ გამოიკვლიეს მოსამართლეებისა და პროკურორების საწყისი და შემდგომი მომზადების სხვადასხვა სისტემის მეთოდები და შინაარსი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსამზადებელი პროგრამების შედგენისა და განვითარების თვალსაზრისით.

ამასთან დაკავშირებით, მათ მიუთითეს ევროპის საბჭოს მიზანზე, რომელიც მდგომარეობს კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიული საზოგადოების ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების განვითარებასა და განმტკიცებაში და ხაზგასმით აღნიშნეს მოსამართლის, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გარანტირებული პირის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველის, არსებითი როლი.

მათ ხაზგასმით აღნიშნეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მითითება იმის აუცილებლობაზე, რომ "სასამართლო თანამდებობაზე არჩეული პირები უნდა იყვნენ კეთილსინდისიერი ადამიანები და გაელილი ჰქონდეთ შესაბამისი მომზადება ან ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია სამართლისმცოდნეობაში" და მხარი დაუჭირეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა მომზადებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სასამართ-

ლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაში და ამ მომზადებამ მოსამართლეებს უნდა მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აგრეთვე, შეასწავლონ ის პროფესიული ჩვევები, რაც საჭიროა მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისათვის.

მათ გამოხატეს დადებითი პოზიცია აღნიშნული რეკომენდაციის პრინციპის მიმართ, რომლის თანახმადაც ყველა გადაწყვეტილება მოსამართლეებისა და პროკურორების შერჩევასა და მათ პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებით, მიღებულ უნდა იქნეს ობიექტურობის კრიტერიუმებსა და არსებულ გარემოებათა საფუძველზე მათი კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მათ ასევე კმაყოფილებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 1995 წლის 4 აპრილს, მიღებულია რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, ისინი თავის თავზე იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ "მოსამართლეებისა და სხვა იურიდიული პროფესიის პირთა მომზადების პირობები" და "აღნიშნული ძალისხმევის ხელშეწყობა ადამიანების, მატერიალური და ფინანსური რესურსების მიწოდებით".

ამასთან დაკავშირებით, მათ აღიარეს მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებისთვის განსაკუთრებული პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობა და აღნიშნეს მომზადების მეთოდების გაფართოებისა და გაუმჯობესების საჭიროება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ტრადიციების გათვალისწინებით.

მათ განაცხადეს აგრეთვე, რომ მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ მართლმსაჯულების ეფექტურობის უზრუნველყოფამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული შეგნების განვითარების აუცილებლობის მოთხოვნას.

მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის შემდეგ, მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი განვითარდეს და პასუხისმგებელ პირებსა და ორგანოებს შორის განმტკიცდეს თანამშრომლობა ევროპის დონეზე მომზადებისათვის. აქედან გამომდინარე, ისინი შეთანხმდნენ მხარი დაეჭირათ მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადების პასუხისმგებელ

თანამდებობის პირებსა და ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ევროპის კავშირის შექმნისთვის.

დაინტერესებულ პარტნიორებს შეუძლიათ არაოფიციალური და მოქნილი წესით გაცვალონ ინფორმაცია, გამოცდილება და ერთმანეთს მიმართონ რჩევისათვის მომზადების სფეროში საერთო ძალების გაერთიანებლად. ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივი შესწავლის შესაძლებლობა და, სურვილისამებრ, შეეძლოთ შეხვედრა საერთო ინტერესის საკითხების განსახილველად საერთო გადაწყვეტილებათა მისაღწევად.

საერთო მოქმედებებისა და შესაძლო შეხვედრების მისაღწევად, ევროპის საბჭოს სამდივნო სიამოვნებით გასწევს საკონტაქტო დამაკავშირებელი პუნქტის სამსახურს.

მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება მათ პროფესიულ მოვალეობებსა და ეთიკის წესებთან დაკავშირებულ საკითხებში

სტრასბურგი, 1996 წლის 13–15 მაისი

დასკვნები

მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებასთან დაკავშირებით 1995 წლის 27–28 აპრილს ლისაბონში გამართულ მრავალმხრივ შეხვედრაზე შექმნილი მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებისთვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებსა და ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ევროპის კავშირის პირველი სხდომა გაიმართა 1996 წლის 13–15 მაისს სტრასბურგში, რომლის მიზანი იყო პროფესიულ მოვალეობებსა და ეთიკის წესებთან დაკავშირებულ საკითხებში მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებაზე მსჯელობა.

საკითხები, რომლებზეც შეხვედრის დასასრულს მიღწეულ იქნა შეთანხმება

1. კავშირის წევრებმა თავდაპირველად აღნიშნეს, რომ კანონის უზენაესობის განმტკიცება დამოკიდებულია სასამართლო ხელისუფლებაზე, რომელიც ძლიერი და დამოუკიდებელი უნდა იყოს არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოსაგან, ე.ი. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, არამედ ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანოს ან ჯგუფის ინდივიდუალური ინტერესებისა და ზემოქმედებისაგან. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობით მოსამართლეებსა და პროკურორებს ენიჭებათ უფლებები და ეკისრებათ მოვალეობები.

ამასთან დაკავშირებით, ლისაბონის კავშირის წევრებმა ხაზი გაუსვეს მოსამართლეებისა და პროკურორების მოვალეობას შეასრულონ მათთვის დაკისრებული ფუნქციები პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით. ეს გულისხმობს მოსამართლეებისა და პროკურორების მაღალი

დონის პროფესიულ კომპეტენტურობას, რისი მიღწევა, შენარჩუნება და განვითარება ხდება მომზადების მეშვეობით, რომლის გავლის არა მარტო მოვალეობა, არამედ უფლებაც აქვთ მათ.

მათ აღნიშნეს, რომ ეფექტურობის მისაღწევად მომზადების უფლება წინასწარ გულისხმობს, რომ სახელმწიფო გამოყოფს ადეკვატურ საბიუჯეტო და მატერიალურ საშუალებებს მოსამართლეებისა და პროკურორების მოსამზადებელი ღონისძიებების საორგანიზაციოდ.

მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის პატივისცემისათვის, კავშირის წევრების მტკიცებით, აღნიშნული უფლება გულისხმობს, რომ მომზადების დაგეგმვა, ორგანიზაცია და განხორციელება უნდა ექვემდებარებოდეს მოსამართლეებისა და პროკურორების პროფესიული ორგანიზაციების ან იმ ორგანოების კონტროლს, რომლებშიც აღნიშნულ თანამდებობის პირებს დომინანტური ადგილი უკავიათ.

2. მათ დაადასტურეს, რომ ეს მომზადება უნდა აისახოს მოსამართლეებისა და პროკურორების პროფესიულ პრაქტიკასა და იმ ეთიკის წესებში, რომლებზეც ისინი მიუთითებენ, რათა მათთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების შეგნების ხარისხი მაღალ დონეზე იყოს შენარჩუნებული.

3. დასასრულ, კავშირის წევრებმა გამოთქვეს სურვილი თავიანთ ქვეყნებში ზედმიწევნით განახორციელონ და მხარი დაუჭირონ ამ სფეროში მიმდინარე ღონისძიებებს.

მოსამართლეების მომზადება საერთაშორისო კონვენციების გამოყენებაში

ბორდო, 1997 წლის 2–4 ივლისი

დასკვნები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის ღონისძიებათა ფარგლებში, ევროპის საბჭომ Ecole Natioale de la Magistrature–თან თანამშრომლობით, 1997 წლის 2–4 ივლისს, ბორდოში გამართა მოსამართლეთა მომზადებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის კავშირის მეორე შეხვედრა თემაზე "მოსამართლეების მომზადება საერთაშორისო კონვენციების გამოყენებაში".

შეხვედრაზე კავშირის წევრებმა მიუთითეს კანონის უპირატესობის პრინციპზე, რომლის განცალკევება არ შეიძლება კანონის უზენაესობის პრინციპისაგან, და აღნიშნეს, რომ ამ ფართოდ აღიარებული პრინციპის განხორციელება უნდა იყოს ეფექტური.

მათ ასევე აღნიშნეს, რომ, მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, ყველა სახელმწიფო ამჟღავნებს ტენდენციას შიდა სამართლის ნორმებზე საერთაშორისო სამართლის ნორმების უპირატესობის ცნობისაკენ, მაგრამ ისიც შეინიშნება, რომ ამ მიზნის მიღწევისას თავს იჩენს გარკვეული დაბრკოლებები.

– ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული დაბრკოლებები

მოსამართლეებმა ყოველთვის ისე არ იციან საერთაშორისო კონვენციები, როგორც უნდა იცოდნენ. ამის მოგვარება შეიძლება სასამართლოებში დოკუმენტაციის უკეთესი ორგანიზების მეშვეობით, თუ შესაძლებელია, - კომპიუტერების გამოყენებით.

– ფსიქოლოგიური ხასიათის დაბრკოლებები

ძალიან ხშირად მოსამართლეები საერთაშორისო კონვენციებს მიიჩნევენ არა მათი შიდა კანონმდებლობის ნაწილად, არამედ "უცხო სხეულად", რომლის გამოყენებისგანაც თავს იკავებენ. ამის მოგვარე-

ბის ერთადერთი საშუალებაა ის, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ საერთაშორისო ნორმების უკეთესი ცოდნა საერთაშორისო კონვენციებში პრაქტიკული და თეორიული მომზადების გავლით, იმ დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობით, რომელზეც მათ შეიძლება მიუთითონ, აგრეთვე, საერთაშორისო კონვენციების განვითარებისა და განმარტების საშუალებებში მათი გათვითცნობიერებით.

– სპეციფიური სამართლებრივი ხასიათის დაბრკოლებები

იმ შემთხვევაში, როდესაც რთულია საერთაშორისო კონვენციების გამოყენება და განმარტება, სასამართლოს მიერ ინტერპრეტაციის გაკეთება კვლავ ძირითად პრინციპად უნდა დარჩეს, მაგრამ ისე, რომ ამით საერთაშორისო კონვენციების პრიმატის პრინციპს თავისი იურიდიული ძალა არ გამოეცალოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კავშირის წევრები შეთანხმდნენ მოემზადებინათ რეკომენდაცია საერთაშორისო კონვენციების გამოყენებაში მოსამართლეთა მომზადებასთან დაკავშირებით გარკვეულ ღონისძიებათა შესახებ:

1. საუნივერსიტეტო კურსების ფარგლებში საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, ევროპული და საერთაშორისო დაწესებულებების სწავლების განვითარება;

2. მოსამართლეთა გამოცდებსა და მისაღებ კონკურსებზე საერთაშორისო ნორმების გამოყენების შესახებ ტესტების შემოღება და მოსამართლეების საწყის და შემდგომ მომზადებაში საერთაშორისო მასშტაბის განვითარება;

3. სამართლის სტუდენტებისათვის თითოეულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის შედგენა და მიწოდება. ამ ინფორმაციის საერთაშორისო ქსელში (Internet) გაშვების შესაძლებლობის საკითხის განხილვა;

4. მოსამართლეებისათვის საერთაშორისო ნორმების უშუალოდ გამოყენების საჭიროების გაცნობა;

5. იმ კონფერენციათა მეშვეობით, რომლებზეც შესაძლებელია ინფორმაციის გაცვლა, მომზადების სხვა ისეთი მეთოდების შემუშავება, როგორიცაა, მაგალითად, სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც ყურადღება ეთმობა ეროვნული იურისდიქციების წინაშე ხშირად

არსებული პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრის შესაძლებლობებს;

6. მონაწილეთა საუნივერსიტეტო ან პროფესიული კვალიფიკაციის მიხედვით სამორიგეო განრიგის შედგენა;

7. ევროპის საბჭოს ფარგლებში, ევროპულ დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გამართონ მოსამართლეებისა და პროკურორების მოსამზადებელი სემინარები მათთვის საერთაშორისო დოკუმენტების უკეთესი ცოდნის მიცემის მიზნით.

დასასრულ, კავშირის წევრებმა გამოთქვეს სურვილი თავიანთ ქვეყნებში ზედმიწევნით განახორციელონ და მხარი დაუჭირონ ამ სფეროში მიმდინარე ღონისძიებებს. ისინი შეთანხმდნენ აგრეთვე შეატყობინონ ერთმანეთს ამ მხრივ მათი მიღწევები.

კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურების მოძიებისა და მომზადების დროს

ვარშავა, 1998 წლის 17–18 დეკემბერი

დასკვნები

ლისაბონის კავშირის მესამე შეხვედრა, რომელიც აერთიანებდა იმ თანამდებობის პირებსა და სხვა პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ევროპის საბჭოს წევრ და წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებში მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადებისათვის, ორგანიზებული იყო ევროპის საბჭოს მიერ ვარშავაში 1998 წლის 17-18 დეკემბერს პოლონეთის იუსტიციის სამინისტროსა და პოლონეთში ევროპის საბჭოს ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრთან თანამშრომლობით. მონაწილეებმა იმსჯელეს შემდეგ საკითხზე: "კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურების მოძიებისა და მომზადების დროს."

კავშირის წევრებმა წარმოდგენილი სხვადასხვა მოხსენებისა და გამართული მსჯელობების საფუძველზე, მიაკვლიეს სხვადასხვა სახის პროცედურას, რომელთა მეშვეობითაც ეროვნული სისტემები საერთო მიზნის მიღწევას ცდილობენ. ეს მიზანია სამოსამართლო ფუნქციების განხორციელება იმ ქალებისა და მამაკაცების მიერ, რომელთაც აქვთ სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა და ადამიანური თვისებები, აგრეთვე, სათანადო გამოცდილება იმისათვის, რომ ადამიანები იყვნენ დარწმუნებული, რომ მათი საქმეები განიხილება წინასწარ უარყოფითი დამოკიდებულების გარეშე, მათი უფლებებისა და ღირსების სათანადო პატივისცემით. განსაკუთრებული ყურადღებით აღინიშნა, რომ იმ პირთა კომპეტენტურობის შემოწმება, რომლებიც დაკავებული იქნებიან ისეთი საქმეების გადაწყვეტის ფუნქციით, რომლებიც დაკავშირებულია მტკივნეულ, კონფიდენციალურ და პირად საკითხებთან, უნდა განხორციელდეს კანდიდატების დემოკრატიული ღირებულებების, სინდისის, აზრისა და სიტყვის თავისუფლების სრული პატივისცემით. აღნიშნული კომპეტენტურობა უნდა შეფასდეს შერჩეული

კანდიდატების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში მომზადების შესაძლებლობის მხედველობაში მიღებით.

მათ აგრეთვე გამოთქვეს დაინტერესება განეხილათ სხვადასხვა მოსამზადებელი სისტემები, რომლებითაც გარანტირებულია მართლმსაჯულების კომპეტენტურად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხორციელებისათვის საჭირო ცოდნისა და გამოცდილების მიღება, შენარჩუნება და განვითარება; ამასთან, მათ ხაზი გაუსვეს ისეთი დამოუკიდებელი ორგანოს საჭიროებას, რომელიც, გამჭვირვალობის, კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნათა დაცვით, ზედამხედველობას გაუწევს მოსამზადებელი პროგრამებისა და მათი განმახორციელებელი სტრუქტურების ვარგისიანობას. კავშირის წევრებმა აღნიშნეს, რომ მსჯელობისას გამოთქმული მოსაზრებები ემთხვევა მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტიის დებულებებს, რომელიც მიღებულია სტრასბურგში 1998 წლის 10 ივლისს.

წევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ევროპის საბჭომ უზრუნველყოს ქარტიის უფრო ფართოდ გავრცელება და დემოკრატიის სტაბილურობისა და განმტკიცების ღონისძიებათა (ADACS) ფარგლებში გამართოს შეხვედრები ქარტიის შინაარსის განმარტებისა და მის ირგვლივ მსჯელობის მიზნით.

დებატების დასასრულს, კავშირის წევრებმა კვლავ დაადასტურეს დემოკრატიის სტაბილურობის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებათა (ADACS) პროგრამების ფარგლებში საერთაშორისო დონეზე დიალოგის გაგრძელების საჭიროება და გამოთქვეს სურვილი განაგრძონ საქმიანობა, შესაბამისად, თავიანთ ქვეყნებში მოსამზადებელი სისტემების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. ამასთან დაკავშირებით, გამოითქვა სურვილი, რომ კავშირის შეხვედრებს შორის პერიოდებში კავშირის არსებობა განმტკიცდეს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით კავშირის წევრებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ინტენსიური გაცვლით.

მოსამართლეთა ასოციაციები: როლი. უფლებამოსილებები და სტატუსი

ნიუშატელი, 1997 წლის 8–10 სექტემბერი

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეებმა და წევრებმა, რომელთა შეხვედრა გაიმართა ნიუშატელში 1997 წლის 8–10 სექტემბერს, იმსჯელეს მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციების როლზე სასამართლო სისტემის განვითარებაში ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შესასრულებლად.

მხედველობაში მიიღეს რა მოსამართლეთა მთავარი როლი ადამიანის თავისუფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვაში, მათ აღნიშნეს, რომ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის დაცვისა და განმტკიცების ერთ–ერთი საუკეთესო საშუალებაა ძლიერი ასოციაციების არსებობა, რომლებშიც გაერთიანდებიან დამოუკიდებელი მოსამართლეები. ამასთან დაკავშირებით, მათ მიუთითეს მინისტრთა კომიტეტის № R (94)12 რეკომენდაციაზე მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ, კერძოდ, მის მეოთხე პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ პროფესიული ასოციაციების შექმნის შესაძლებლობა.

ასეთმა გამჭვირვალე ანგარიშვალდებულმა დამოუკიდებელმა ასოციაციებმა, რომლებშიც შეიძლება ყველა მოსამართლე გაწევრიანდეს, უნდა წარმოადგინონ სასამართლო ხელისუფლების ინტერესები საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით დაიცვან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. აღნიშნული ასოციაციების ერთ–ერთ ფუნქციას უნდა შეადგენდეს მოლაპარაკებების გამართვა სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული კანონპროექტების შესწავლა. ამასთანავე, ისინი დაკავებული უნდა იყვნენ პროფესიული მომზადების დაგეგმვითა და განხორციელებით, აგრეთვე მოსამართლეთა შორის ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის ორგანიზებით. გარდა

ამისა, ასოციაციები უნდა ატარებდნენ ფორუმს, რომლის განხილვის ძირითადი თემა იქნება მოსამართლეთა პროფესიული კარიერა და მათი ფუნქციები, აგრეთვე, მართლმსაჯულების განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში.

ძლიერი ასოციაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მოსაზრების ადამიანებს, ხელს შეუწყობს ურთიერთშეთავსებადი და შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებას, ვინაიდან არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ერთიანი აზრით გამოდიოდეს, რათა მისი მოქმედება სანდო და ეფექტური იყოს.

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სასურველია ევროპის ყველა ქვეყანაში შეიქმნას და განვითარდეს მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციები.

მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია ასოციაციებს ჰქონდეთ ურთიერთობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა მათთვის დაკისრებული სხვადასხვა ფუნქციები ეფექტურად შესრულდეს. მათ გამოთქვეს დიდი სურვილი, რომ ამ მხრივ გაძლიერდეს თანამშრომლობა ევროპის საბჭოს სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში და მხარი დაუჭირეს შემდეგი შეხვედრის გამართვას ბუდაპეშტში 1998 წელს უნგრეთის მოსამართლეთა ასოციაციის მოწვევით.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები – სასამართლო რეფორმის შეფასება

ბუდაპეშტი, 1998 წლის 13 – 15 მაისი

დასკვნები

1997 წლის სექტემბერში ნიუშატელში პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა მოსამართლეთა ასოციაციების როლს, უფლებამოსილებებსა და სტატუსს, უნგრეთის მოსამართლეთა ასოციაციის მოწვეით, ბუდაპეშტში 1998 წლის 13–15 მაისს, გაიმართა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოცი ქვეყნის მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეებისა და წევრების შეხვედრა, რომლის მიზანი იყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებზე მსჯელობა. მათ სურდათ შესაბამის ქვეყნებში გატარებული სასამართლო რეფორმების შეფასება, კერძოდ, მოსამართლეთა შერჩევასა და კანდიდატურების მოძიებასთან, მათ სადისციპლინო რეჟიმთან, შრომის ანაზღაურებასა და საპენსიო სისტემასთან, აგრეთვე, მომზადებასთან დაკავშირებით.

ამ მიზნით, მათ მიუთითეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (94)12 რეკომენდაციაზე მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ.

გაეცნენ რა მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციისა და MEDEL–ის ცოდნასა და გამოცდილებას, ასოციაციების თავმჯდომარეები და წევრები შეთანხმდნენ შემდეგ დასკვნებზე:

1. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა მოქალაქეთა უფლებაა და არა მოსამართლეთა პრივილეგია. სასამართლო დაწესებულების ნებისმიერი რეფორმა, რომელიც პატივს სცემს კანონის უზენაესობას, უნდა გულისხმობდეს სასამართლოების დამოუკიდებლობას იმდენადვე, რამდენადაც გულისხმობს თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობას.

2. მოსამართლის შერჩევის პროცედურებისა და კარიერისათვის პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო უნდა იყოს თავისუფალი სა-

კანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისაგან. მისი წევრობის კანდიდატებს უნდა ასახელებდეს სასამართლო ხელისუფლება, ხოლო მათი გადაწყვეტილებები უნდა ემყარებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც ეფუძნება მათ ღირსებას, კვალიფიკაციის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის გათვალისწინებით. ამისათვის საჭირო გარანტიები უნდა დაფიქსირდეს კონსტიტუციაში.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანაში არსებული მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის, აგრეთვე, მოსამართლეობის კანდიდატად შეზღუდული ვადით დასახელების პრაქტიკა ყურადღებით უნდა გადაისინჯოს.

ევროპის საბჭომ, რომლის მიზანია კანონის უზენაესობის ამაღლება და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლებების დაცვა, მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამოსამართლო კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატების დასახელებასა და მათ კომპეტენციას.

3. მოსამართლეთა დამოუკიდებლობამ, სანაცვლოდ, უნდა უზრუნველყოს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც მოქალაქეებს მისცემს ეფექტური და კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების არსებობის გარანტიას. აღნიშნული პასუხისმგებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს იმ პროცედურებით, რომლებიც, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე–6 მუხლით დადგენილი წესის მიხედვით, უზრუნველყოფენ ცნობილი მოსამართლეებისგან შემდგარი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მოსამართლეთა ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკმარის გარანტიებს. სამსახურიდან გათავისუფლება ან პენსიაში სავალდებულო გასვლა, გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზებისა, უნდა განხორციელდეს მხოლოდ დისციპლინური პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობას.

4. სათანადო სამუშაო პირობებისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის უზრუნველყოფა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტიაა. კანონით უნდა განისაზღვროს გასაგები და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შრომის ანაზღაურების და საპენსიო სისტემა. დაუშვებელია რომელიმე ორგანოს შეეძლოს შრომის ანაზღაუ-

რების და პენსიების ოდენობის შეცვლა ან საერთო მასშტაბით, ან ცალკეულ შემთხვევაში.

მოსამართლეთა ასოციაციებმა აქტიური როლი უნდა ითამაშონ სამუშაო პირობებისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის შეთანხმებაში.

5. მოსამართლეთა პროფესიული კომპეტენტურობა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ერთ–ერთი ძირითადი გარანტიაა; ამიტომ დემოკრატიული სასამართლო ხელისუფლების შექმნაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კანდიდატების მოსამართლეებად მომზადებას სასწაულო წვრთნის მეშვეობით. გარკვეული დაწესებულებების ან სასამართლოების ფარგლებში მოსამზადებელი პროგრამების სახით ორგანიზებული სასწაულო წვრთნა ძირითად ყურადღებას უნდა უთმობდეს, ერთი მხრივ, იურიდიულ პრაქტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ამან ხელი უნდა შეუწყოს სამოსამართლო საქმიანობისთვის აუცილებელი ზოგადი ცოდნის გაღრმავებას.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მოსამართლეთა ასოციაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიული წვრთნის შედგენაში, ორგანიზაციასა და გამართვაში.

6. ზემოაღნიშნული პრინციპები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხარისხით ხორციელდება. ამიტომ პროფესიული ასოციაციები მობილიზებული უნდა იყვნენ, რათა უფრო აქტიური როლი ითამაშონ მათი კომპეტენციის სფეროებში სასამართლო რეფორმის დასაჩქარებლად.

გარდა ამისა, ნიუშატელის შეხვედრაზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით, შესაბამის ქვეყნებს რეკომენდაცია ეძლევათ შექმნან მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციები.

შეხვედრაზე მონაწილეებმა გამოხატეს დიდი ინტერესი, რომ ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და მისი სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში გაგრძელდეს მათი ასოციაციების შეხვედრები.

რეზოლუცია სასამართლოს როლის შესახებ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა მრგვალი მაგიდა

(ვარშავა, 1995 წლის 4 აპრილი)

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა მრგვალი მაგიდის მონაწილე მინისტრები,

გამოთქვამენ რა სურვილს მხარი დაუჭირონ და დააჩქარონ დემოკრატიზაციის პროცესი თავიანთ ქვეყნებში;

მხარს უჭერენ რა ევროპის საბჭოში გაბატონებულ პრინციპებს, მოსაზრებებსა და ღირებულებებს, კერძოდ, პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას;

დარწმუნებული არიან რა, რომ ეს პრინციპები უნდა იყოს ევროპაში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საფუძველი, რათა შეიქმნას დემოკრატიული უსაფრთხოების სივრცე ;

გაცნობიერებული აქვთ რა, რომ დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში და რომ დამოუკიდებელი სასამართლოები მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელების განუყოფელი ნაწილია;

გაცნობიერებული აქვთ რა ამ სფეროში ევროპის საბჭოს ღონისძიებათა მნიშვნელობა, კერძოდ, მისი მხარდაჭერა მოსამართლეებისა და იურიდიული პროფესიით დაკავებული პირების მომზადებაში Themis გეგმის მეშვეობით;

ადასტურებენ რა ეფექტური და სამართლიანი სამართლებრივი სისტემის დამკვიდრების მიზნით მოსამართლეთა სტატუსისა და როლის გაძლიერების აუცილებლობას;

ითვალისწინებენ რა წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის № R (94) 12 რეკომენდაციას მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ,

გალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ ყველა ღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა განაწილების პრინციპის ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად, რათა გარანტირებული იყოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელება

a. მოსამართლის დამოუკიდებლობის ინსტიტუციონალური გარანტიების პატივისცემით;

b. მოსამართლეებისა და იურიდიული პროფესიით დაკავებული პირების საჭირო მომზადებისთვის პირობების შექმნით;

c. იმის უზრუნველყოფით, რომ ამ ძალისხმევას ხელი შეუწყოს საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყოფით,

მხარს უჭერენ ევროპის საბჭოს მათ ქვეყნებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამებს, რომელთა მიზანია სარგებელი მოუტანოს საქმის მოგვარების პრაქტიკული იურიდიული ხერხების ძიებას, დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მართლმსაჯულების განხორციელება და სასამართლოს მართვა

(ბორდო, 1995 წლის 28–30 ივნისი)

საერთო თანხმობის საკითხები და სახელმძღვანელო პრინციპები

1995 წლის 28-30 ივნისს, ბორდოში, *Ecole International de la Magistrature*–ის შტაბ-ბინაში გამართული მრავალმხრივი შეხვედრის მიმდინარეობისას, რომელიც შეეხებოდა მართლმსაჯულების განხორციელებასა და სასამართლოს მართვას, განხილული თემის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით, გამოვლინდა მონაწილეთა საერთო თანხმობა შემდეგ საკითხებზე:

1. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს სახელმწიფო დაწესებულებათა მოვალეობა უზრუნველყონ სასამართლო სისტემა მათთვის დაკისრებული ფუნქციის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ორგანოს პასუხისმგებლობის სფეროში უნდა შედიოდეს სასამართლო სისტემის ბიუჯეტის საკითხი – იუსტიციის სამინისტროს თუ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ორგანოს კომპეტენციაში – ყველა ქვეყნისთვის საერთო აღმოჩნდა რესურსებით ადეკვატური უზრუნველყოფის აუცილებლობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ქვეყნებში, სადაც საჭიროა სათანადო სასამართლო სისტემის მშენებლობა ან აღდგენა. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მიეთითოს ვალდებულებაზე, რომელიც მრგვალი მაგიდის ირგვლივ თავის თავზე აიღეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრებმა ვარშავაში 1995 წლის 4 აპრილს, რომლის თანახმადაც, მათ უნდა უზრუნველყონ თავიანთი ქვეყნების სასამართლო სისტემების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საშუალებების მიღება.

საკმარისი რესურსების ცნებაში, თავისთავად, ცხადია, უნდა იგულისხმებოდეს ტექნიკური მიღწევები, რომელთაც შეუძლია მნიშ-

ვნელოვნად გააუმჯობესოს სასამართლო ხელისუფლების მიერ საზოგადოებისათვის შეთავაზებული მომსახურება; მასში ასევე უნდა იგულისხმებოდეს სასამართლო სისტემაში გამორჩეული და კომპეტენტური პერსონალის დასაქმების აუცილებლობა, ვინაიდან არ შეიძლება მართლმსაჯულება ნახევრად ხორციელდებოდეს.

2. მონაწილეებმა გამოთქვეს თავისი რწმენა იმაში, რომ სასამართლო სისტემა, მთელი თავისი ადამიანური და ფინანსური რესურსების ჩათვლით, საჭიროებს მართვის ტექნიკის მაღალკვალიფიციურ ცოდნას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მათზე განპირობებული მართვის პასუხისმგებლობის წილის მიუხედავად, რომ თავად მოსამართლეები და სასამართლოს თანამდებობის პირები გადიოდნენ მომზადებას მართვის ტექნიკაში იმისათვის, რომ შეეძლოთ კომპეტენტურად მართვა. პროფესიონალიზმის აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს მომზადების აბსოლუტურ აუცილებლობას.

3. მონაწილეებმა აღნიშნეს სასამართლო ხელისუფლების რაციონალიზაციასა (სახელმწიფოთა შეზღუდული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით) და მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ძირითად უფლებას შორის არსებული ბალანსის შენარჩუნების მნიშვნელობა.

ამ რაციონალიზაციის პროცესში ნამდვილად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყოველი ადამიანის უფლება – დაამტკიცოს თავისი უფლებები და მიიღოს მათი აღიარება და დადასტურება მოსამართლისაგან. მიკუთვნებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების ინტერესებში სასამართლო ხელისუფლების აუცილებელი რაციონალიზაციის მიღწევა არ შეიძლება ეფექტური სასამართლო განხილვის უფლების ხარჯზე. მოსამართლისათვის მიმართვის უფლება, ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, უნდა დარჩეს ძირითადი ზრუნვის საგნად.

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ აღნიშნული საერთო თანხმობის საკითხები გამოიყენონ სახელმძღვანელო პრინციპების სახით ევროპის საბჭოს სამომავლო მუშაობის დროს მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში.

მოსამართლე და საერთაშორისო სამართალი

(ბუქარესტი, 1995 წლის 28–30 ნოემბერი)

დასკვნები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში ევროპის საბჭომ, რუმინეთის იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, 1995 წლის 28-30 ნოემბერს, ბუქარესტში, პარლამენტის შენობაში გამართა მრავალმხრივი შეხვედრა თემაზე "მოსამართლე და საერთაშორისო სამართალი".

ამ შეხვედრაზე, განხილვის საგნის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით, მიღწეულ იქნა კონსენსუსი.

1. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საერთაშორისო სამართლის პრიმატი შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე, რაც საერთაშორისო სამართლის აუცილებელი მოთხოვნაა, გამოკვეთილად უნდა აღიარონ სახელმწიფოებმა და ახალმა დემოკრატებმა, რაც გარანტირებული უნდა იყოს მათი კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით.

ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა დემოკრატიის ევროპის კომისიის მუშაობა კანონზე საერთაშორისო და შიდა სამართლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, კერძოდ, მისი რეკომენდაციები, რომლებიც მხარს უჭერს კონსტიტუციებსა და კანონმდებლობაში საერთაშორისო სამართლის უპირატესობის აღიარებას შიდა სამართალზე. კომისია მიიჩნევს, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთა ურთიერთდაახლოებას საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებისა და შიდა სამართლის სისტემებში საერთაშორისო სამართლის გამოყენების ხელშეწყობის საფუძველზე.

2. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყოველი სახელმწიფოს შიდა სამართლის სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საჭირო საშუალება იმისათვის, რომ შიდა სამართლის სისტემაში იყენებდნენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

შიდა სამართალში საერთაშორისო სამართლის ინკორპორირების ფორმა განისაზღვრება სახელმწიფოთა სუვერენული გადაწყვეტილებით, კერძოდ, თავიანთი სამართლის სისტემებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

ასევე ხაზი გაესვა საკონსტიტუციო სასამართლოების როლს, რომელთაც, გარდა სხვა ფუნქციებისა, აკისრიათ საერთაშორისო სამართლის პატივისცემის უზრუნველყოფის ფუნქცია შიდა სამართლის საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის გარანტირების მეშვეობით.

ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ხელშეკრულებით ვალდებულების აღებამდე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს შეთანხმება შეესაბამებოდეს შიდა სამართალსა და, განსაკუთრებით, კონსტიტუციასა და კანონმდებლობას იმისათვის, რომ გამოირიცხოს კონფლიქტი საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. ყველა შესაძლებელ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ნებისმიერ შემთხვევაში შიდა სამართლის ნორმა ხელშეკრულებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. თუ ეს ასე არ არის, შიდა სამართლებრივი ნორმა უნდა შეიცვალოს რაც შეიძლება სწრაფად და ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს საერთაშორისო ვალდებულებას.

3. კანონის უზენაესობის პატივისცემა აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ მოსამართლე ვალდებულია ეროვნულ დონეზე გამოიყენოს საერთაშორისო სამართალი, რომელიც იურიდიულად ინკორპორირებულია შიდა სამართლის სისტემაში.

ფაქტობრივად, სწორედ ეროვნულ სასამართლოებში მიუთითებენ მოქალაქეები საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმებზე და სწორედ ეროვნულ სასამართლოებს დაეკისრებათ საერთაშორისო სამართლის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა, საერთაშორისო ჩვეულებებისა და სამართლის ზოგადი პრინციპების ჩათვლით.

ამ მიზნით, მოსამართლემ უნდა განმარტოს შიდა სამართალი იმგვარად, რომ იგი შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებს.

იმისათვის, რომ ეროვნულ დონეზე მოსამართლეებს მიეცეთ მათთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულების შესაძლებლობა, სახელმწიფომ ისინი უნდა უზრუნველყოს იმ ინფორმაციითა და დოკუმენტაციით, რაც აუცილებელია საერთაშორისო სამართლის განვითარების მიყოლისთვის.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია მოსამართლეთა მომზადება საერთაშორისო სამართალში.

ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ მონაცემთა კომპიუტერული ბაზები წარმოადგენს მოსამართლის მიერ საერთაშორისო სამართლის სფეროში ინფორმაციის ძებნისას სამუშაოს გამარტივების ერთ-ერთ გზას. გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კონტექსტში ჩატარდეს სემინარი საერთაშორისო სამართალში მოსამართლეთა მომზადების შესახებ.

მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა საკითხი წარმოადგენდეს საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც გაგრძელდება ევროპის საბჭოს შემდგომი მუშაობა საერთაშორისო და შიდა სამართლის ურთიერთდამოკიდებულების სფეროში.

სამართალწარმოების პროცესის მონაწილენი, განსაკუთრებით სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით

(სტრასბურგი, 1996 წლის 29–31 მაისი)

დასკვნები

მრავალმხრივი შეხვედრის მონაწილეებმა თემაზე "სამართალწარმოების პროცესის მონაწილენი", რომელიც გაიმართა სტრასბურგში, *Palais de l'Europe*–ში, 1996 წლის 29-31 მაისს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ევროპის საბჭოს სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში, განიხილეს სხვადასხვა იურიდიული პროფესიის როლი და მათი მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით.

მონაწილეებმა მიუთითეს ევროპის საბჭოს მოწოდებაზე, რომლის მიზანია კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების ხელშეწყობა და გაძლიერება და აღნიშნეს სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების მნიშვნელობა, რაც არსებით როლს თამაშობს მოქალაქეთა უფლებების დაცვაში.

მონაწილეებმა მიუთითეს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასა და სამართლიანი პროცესის უფლებაზე, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნეს, რომ სამართლიანი და ეფექტური პროცესი გულისხმობს სხვადასხვა მონაწილის როლების პატივისცემასა და მათ შორის მკვეთრ განსხვავებას.

შეხვედრის დასასრულს, ჩამოაყალიბეს საერთო მოსაზრებები განხილული თემის ზოგიერთი ასპექტის თაობაზე.

1. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება მოითხოვოს მოსამართლის მიერ მისი უფლებების დადასტურება, აღიარება და უზრუნველყოფა და - უფლება ამ მიზნით ისარგებლოს სასამართლოსათვის ეფექტური მიმართვით. მათ ასევე

აღნიშნეს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანის უფლებათა შეზღუდვას გულისხმობს, უნდა მიიღოს მოსამართლემ.

2. მონაწილეებმა გამოხატეს მტკიცე რწმენა, რომ საჯარო ბრალმდებელის როლი უნდა ეფუძნებოდეს ხელისუფლების განაწილების პრინციპს და მიუთითეს, რომ ბრალმდებლის ძირითადი როლი არის საზოგადოების წარმოდგენა სასამართლოებში იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს კანონის გამოყენება და აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა. გარდა ამისა, მათ დაადასტურეს, რომ ეს ფუნქციები არ უნდა ხელყოფდეს მოსამართლის ფუნქციებს და/ან ცვლიდეს მათ, გარდა კანონით გათვალისწინებული გარკვეული შეზღუდული შემთხვევებისა, როდესაც პირს უფლება აქვს საქმე უშუალოდ გადასცეს სასამართლოს.

3. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისათვის საჭიროა შეჯიბრებითობის პროცედურის შემოღება, რომელიც დაწესებს დაცვის თანაბარი საშუალებებისა და დაცვის მხარის უფლებათა დაცვის გარანტიებს. ამასთან დაკავშირებით, მათ მიუთითეს, რომ ყველას აქვს იურისტის დახმარების მიღების უფლება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის გამოძიების დაწყებიდან.

4. მონაწილეებმა მიუთითეს სასამართლოს მდივნის როლზე, რომელსაც ის ასრულებს ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფით და/ან მოსამართლეთა სამუშაოს შემსუბუქების ხელშეწყობით, რაც სასამართლო სისტემის მუშაობის გაუმჯობესების გზაა და მას უფრო ეფექტურს გახდის.

მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ აღნიშნული საერთო მოსაზრების სფეროები საფუძველს შეუქმნის პროცესის სფეროში ევროპის საბჭოს შემდგომი მუშაობის სტრატეგიას.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ზოგადი ორგანიზაცია – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვა

(სტრასბურგი, 1996 წლის 3–5 ივლისი)

დასკვნები

1996 წლის 3–5 ივლისს ევროპის საბჭოსა და საფრანგეთის *Ecole National de la Magistrature*–ის მიერ ორგანიზებული იყო მრავალმხრივი შეხვედრა თემაზე "სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ზოგადი ორგანიზაცია – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვა", როგორც გაგრძელება 1995 წლის 28–30 ივნისს ბორდოში გამართული მრავალმხრივი შეხვედრისა თემაზე "მართლმსაჯულების განხორციელება და სასამართლოს მართვა".

დისკუსიის დასასრულს, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეტ შედეგიანობას, ეფექტურობასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას და, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (95) 12 რეკომენდაციას შორის.

ამასთან დაკავშირებით, მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს იმის გარანტირების აუცილებლობა, რომ ყველა ადამიანს, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის შესაბამისად, როგორც დაზარალებულებს, ისე სამართალდამრღვევ პირებს, შეეძლოს თავისი უფლებების მტკიცებისა და მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ ამ უფლებათა აღიარების შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით, მათ კვლავ დაადასტურეს ყველა სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, საკმარისი მატერიალური და ადამიანების რესურსებით, თავიანთი სასამართლოების აღჭურვით, მათი დანიშნულების შესრულების მიზნითა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებებისა და სასამართლოების სამუშაო დატვირთვისადმი თავიანთი კანონმდებლობის მისადაგებით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უფრო შედეგიანად და ეფექტურად გადაქცევის მიზნით ღონისძიებების განხორციელებისას, დანაშაულთა მზარდი ხასიათისა და მათი მრავალგვარი სახის გათვალისწინებით, მონაწილეებმა დაადასტურეს იმის საჭიროება, რომ განვითარდეს ტრადიციული სამართალწარმოების ალტერნატივები.

მათ შენიშნეს, რომ თავიანთ შესაბამის სასამართლო სისტემებში დაიწყო ახალი მიმართულებების მიმხრობა, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების მხრიდან შესაბამისი რეაგირების მოხდენას მმართველობისა და ეთიკური სტანდარტების სფეროში მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნების საპასუხოდ.

სხვადასხვა სასამართლო სისტემის შედარებითმა ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ საჭიროა ცალკეული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ თავისებურებათა მხრიდან შემწყნარებლური მიდგომა საერთო სახელმძღვანელო პრინციპების მიღებისადმი.

დარწმუნებული იმ სამუშაოს გაგრძელების საჭიროებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ეფექტური წინადადებების შემუშავებას სასამართლოების მართვასთან, კერძოდ, სისხლის სამართლის სასამართლოებში საქმეთა მოცულობასთან დაკავშირებით, მონაწილეებმა გამოთქვეს დიდი სურვილი გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც რეკომენდირებულია 1996 წლის 11–12 ივნისს ბუდაპეშტში გამართულ იუსტიციის მინისტრთა მე–20 კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციით, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სასამართლო სისტემების სამართლიანობისა და ეფექტურობის გაუმჯობესების საქმეში სახელმწიფოებისთვის დახმარების გასაწევად.

ადმინისტრაციული აქტების სასამართლო კონტროლი

(მადრიდი, 1996 წლის 13–15 ნოემბერი)

დასკვნები

ადმინისტრაციული აქტების კონტროლი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ერთ–ერთი ძირითადი მოთხოვნაა. სახელმწიფოსა და მისი მრავალი ადმინისტრაციული ორგანოს მარეგულირებელი ან ინდივიდუალური აქტები რეგულარულად ზემოქმედებს მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულებზე და უშუალო ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე. არავინ უარყოფს საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პირებს შორის არსებულ უფლებამოსილებათა დისბალანსს. შესაბამისად, ეს ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული პირების უფლების აღდგენის მიზნით. არ შეიძლება საუბარი კანონის უზენაესობაზე, როდესაც თავად სახელმწიფო და მისი ადმინისტრაციული ორგანოები არ ემორჩილებიან კანონს. სწორედ ამიტომ აქვს არსებითი მნიშვნელობა გარდამავალ პერიოდში მყოფი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის ადმინისტრაციული სამართლის რეფორმების მიჩნევას საკონსტიტუციო და სასამართლო რეფორმების თანასწორ პრიორიტეტად.

სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და, იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. რეფორმის იდეამ უნდა გაითვალისწინოს ყველი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ვითარება და ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ქმნის ევროპის დემოკრატიების საერთო მემკვიდრეობას, რადგან, აქედან გამომდინარე, ამაო იქნება ადმინისტრაციული აქტების კონტროლის ევროპული მოდელის შექმნა. ამის მიუხედავად, ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ ყველა იმ სახელმწიფოსათვის საერთო სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ცდილობენ შექმნან კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფო.

1. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოები ავითარებდნენ პირების უფლებათა და თავისუფლებათა მეტ პატივისცემას და ქმნიდნენ ნდობის ატმოსფეროს. ამის მიღწევა შესაძლებელია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და ადმინისტრაციული ხელისუფლების მქონე თანამდებობის პირებისათვის დადგენილი მკაფიო, ხელმისაწვდომი წესების არსებობით, ასევე, აღნიშნული პირების, მათ შორის ადმინისტრაციული ნორმების პროექტების მომზადებაში მონაწილე პირების, სპეციალური სამართლებრივი მომზადებით. ნდობის ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობს ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ადმინისტრაციული აქტების კონტროლი ხორციელდება თავად ადმინისტრაციული ორგანოს შიგნით ან სხვა დავის გარეშე საშუალებით, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნა (მაგალითად, ომბუდსმენის მეშვეობით). გარდა ამისა, დაცვის ასეთი საშუალებების მხარე არის ის, რომ მათი მეშვეობით მინიმუმამდე დადის სასამართლო დავების ოდენობა და მცირდება სასამართლოთა სამუშაო დატვირთვის მოცულობა. მიუხედავად სავალდებულო თუ არასავალდებულო ხასიათისა (ყოველ სისტემას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები), სისტემის ორგანიზება უნდა მოხდეს ეფექტურობის თვალსაზრისიდან გამომდინარე. მიუხედავად სასარგებლო ხასიათისა, ასეთი დავის გარეშე დაცვის საშუალება შეიძლება თავისთავად საკმარისი არ აღმოჩნდეს.

2. ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია, რომ მოსამართლემ აღმოფხვრას ადმინისტრაციული აქტების კონტროლის საჭიროება. ამ საკითხზე აშკარა დამოკიდებულება არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის 1-ლი და მე-6 მუხლებისა და სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის თვალსაზრისით. ხაზი უნდა გაესვას შიდა სასამართლოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს პირის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტირებაში ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებისადმი სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნის პატივისცემით, ასევე, მთავრობისა და კანონმდებლის პასუხისმგებლობის მეშვეობით, რომლებმაც ადმინისტრაციული ორგანო თავისი როლის შესრულებისათვის აუცილებელი საშუალებებით უნდა უზრუნველყონ. ამ შემთხვევაშიც, კონტროლის სხვადასხვა სახის მექანიზმების არსებობის მიუხედავად, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოები გააგრძელებენ გარკვეული პრინციპით ხელმძღვანელობას.

a. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გადასინჯვა ფართოდ მისაწვდომი უნდა იყოს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომელთაც სურთ საქმის აღძრა მოცემული აქტის თაობაზე. ვინაიდან ყველა ადმინისტრაციული აქტის სასამართლო განხილვის ორგანიზება ერთდროულად შეუძლებელია, რეფორმამ, გადასინჯვის ქვემდებარე აქტებთან დაკავშირებით, არ უნდა დააწესოს დამატებითი შეზღუდვები. რეფორმის მიზანი უნდა იყოს ის, რომ ყველა ადმინისტრაციული აქტი, ზოგადი მარეგულირებელი დებულებების ჩათვლით, ექვემდებარებოდეს მოსამართლის მიერ გადასინჯვას (ადმინისტრაციულ საქმეებზე ან გარკვეული სახის აქტებზე პასუხისმგებელი მოსამართლის მიერ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში – საკონსტიტუციო მოსამართლის მიერ). ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ან წევრობის მსურველმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ პრინციპს, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით.

b. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს, მისთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულების გამო, არ შეუძლია დაიკავოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოს ადგილი, იგი ვალდებულია უზრუნველყოს გონივრული კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისადმი, კერძოდ, პროპორციულობის პრინციპი.

3. თავისთავად, ადმინისტრაციულ აქტებისადმი სასამართლო კონტროლის სისტემა საკმარისი არ არის. უნდა გატარდეს ყველა ღონისძიება დაცვის ეფექტურ საშუალებათა უზრუნველსაყოფად, როგორც აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-13 მუხლში. დაცვის საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს; იგი უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიან და სათანადო განხილვის შესაძლებლობას.

a. შეუძლებელია დაცვის საშუალება იყოს ეფექტური, თუ მოსამართლე არ სარგებლობს საჭირო ავტორიტეტითა და უფლებამოსილებით, რათა პირი დაინტერესებული იყოს, რომ მიმართოს მას და არა სხვა ორგანოს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო პატივს უნდა სცემდეს მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი და კომპეტენტური, რომ შეეძლოს ყველა ადმინისტრაციული საქმის განხილვა. აქედან გამომდინარე, სასურველია რეფორმები მიზნად ისახავდეს მოსამართლისა-

გან ყველა გარე ზემოქმედების თავიდან არიდებასა და მოსამართლეთა საგანგებო მომზადებას ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებსა და მექანიზმში.

b. შეუძლებელია დაცვის საშუალება იყოს ეფექტური, თუ ადმინისტრაციული განხილვის ღირებულება პირს უკარგავს საქმის აღძრის სურვილს. თუ შეუძლებელია, რომ აღნიშნული სამართალწარმოება იყოს უფასო, საჭიროა სამართლებრივი და ფინანსური დახმარების სისტემის სათანადოდ უზრუნველყოფა.

c. შეუძლებელია დაცვის საშუალება იყოს ეფექტური, თუ მოსამართლეს არ შეეძლება გადაწყვეტილების მიღება გონივრულ ვადაში. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია ნორმალური მუშაობისათვის უზრუნველყოს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემა აუცილებელი საშუალებებით.

d. დაბოლოს, შეუძლებელია დაცვის საშუალება იყოს ეფექტური, თუ მოსამართლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეებზე არ აღსრულდება დროულად, კანონით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ სხვადასხვა შესაძლებლობის გამოყენებით აქტიური როლი უნდა ითამაშოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებაში.

იუსტიციის სამინისტროს როლი სასამართლო სისტემის დაფინანსებაში

(რიგა, 1997 წლის 12–14 მაისი)

დასკვნები

1. 1997 წლის 12–14 მაისს რიგაში გამართულ მრავალმხრივ შეხვედრაზე, რომელიც შეეხებოდა იუსტიციის სამინისტროს როლს სასამართლო სისტემის დაფინანსებაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის სამინისტროებისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებმა, სასამართლო სისტემის ბიუჯეტის ფინანსირებისა და მართვის სხვადასხვა სისტემის საფუძველზე, იმსჯელეს იუსტიციის სამინისტროს იმ როლსა და დაცვის საშუალებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის მართვის სფეროში საჯარო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის განხორციელებას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემის საფუძველზე.

2. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში იუსტიციის სახელმწიფოს უფლებამოსილებაში შემავალი სასამართლო სისტემის დაფინანსება და მართვა უნდა ხორციელდებოდეს ერთადერთი მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო ორგანოების ადეკვატური მუშაობა.

3. მონაწილეებმა მიუთითეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მოთხოვნებზე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (94) 12 რეკომენდაციაზე მოსამართლეთა, დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ.

4. თანახმად № R (94) 12 რეკომენდაციის III პრინციპისა და 1995 წლის 4 აპრილს ვარშავაში გამართული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა მრგვალი მაგიდის მონაწილე მინისტრების მიერ მიღებული რეზოლუციისა, მონაწი-

ლებმა ხაზი გაუსვეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საკმარისი ოდენობით უზრუნველყოს ფინანსური რესურსები ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისთვის ადეკვატური სამუშაო პირობების შესაქმნელად, ასევე - ის, რომ არსებული ბიუჯეტი შეესაბამებოდეს სასამართლო სისტემის მოთხოვნებს, კანდიდატურების მოძიების, საწყისი და რეგულარული მომზადების, აუცილებელი საშუალებებისა და შრომის ანაზღაურების დონის თვალსაზრისით.

5. ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ მოსამართლეთა მაღალი დონისა და დამოუკიდებლობისათვის საჭიროა პარლამენტმა დაამტკიცოს მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების ადეკვატური დონე იმისათვის, რომ უზრუნველყონ კომპეტენტურობის სასურველი დონის მიღწევა და თავიდან აიცილონ ბრეინდრეინი ან შემოსავლის სხვა წყაროების ძიება.

6. მხედველობაში იღებენ რა 1996 წელს გამართულ ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე–20 კონფერენციაზე მიღებულ № 1 რეზოლუციას,[2] მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ იუსტიციის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ეფექტურობის გაუმჯობესებას, სამართლიანი პროცედურის სხვა გარანტიებისათვის ზიანის მიუყენებლად. განსაკუთრებით მიუთითეს სასამართლოებში კომპიუტერიზებული იურიდიული დოკუმენტაციის სისტემის შემოღების სასარგებლო ხასიათზე.

7. მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სასამართლო სისტემის დაფინანსებისას მხედველობაში იქნება მიღებული მართლმსაჯულებისა და სამართლიანი პროცედურისათვის მიმართვის უფლება, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლითაა გარანტირებული. აქედან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტრომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელების ეკონომიკური ბარიერების აღმოსაფხვრელად. სამართლებრივი დახმარების სათანადო სისტემების არსებობა ხელს შეუწყობს ამ

[2] მართლმსაჯულების სამართლიანობისა და ეფექტურობის, კერძოდ, დაუსაბუთებელი დაყოვნების შემთხვევების შემცირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.

მიზნის განხორციელებას, განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებიც ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიან.[3]

8. მივიდნენ დასკვნამდე, რომ სხვადასხვა სასამართლო ორგანოს შორის რესურსების რაციონალური და სამართლიანი განაწილების მიზნით, ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა მოხდეს ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, სასამართლო სისტემის ეროვნული სტრუქტურისა და შესაბამისი სასამართლოების სამუშაო დატვირთვის შესაძლო მოცულობის გათვალისწინებით.

9. სასამართლო სისტემის ბიუჯეტის მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებით, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იუსტიციის სამინისტრომ თავისი როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის პატივისცემისა და მისი მუშაობის გაუმჯობესებიდან გამომდინარე. მიუთითეს რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (95) 12 რეკომენდაციაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვის შესახებ, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საბიუჯეტო მართვის მეთოდების განვითარება ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

10. იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, სადაც დამკვიდრებულია სასამართლოთა თვითმმართველობის სისტემა, აღინიშა, რომ იგი უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც პარლამენტს შესაძლებლობა ეძნება შეამოწმოს სახელმწიფო სახსრების სათანადო გამოყენება.

11. მონაწილეებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსამართლეთა ჩაბმა სასამართლოების მართვის საკითხში წამოჭრის მათი სამუშაო დატვირთვის მოცულობის გაზრდის პრობლემას. თუ მოსამართლეს სასამართლოების ადმინისტრაციული მართვა ეკისრება, მას უნდა ჰქონდეს სათანადო საშუალებები და სტრუქტურები ამ ფუნქციის შესასრულებლად.

12. დაბოლოს, მონაწილეებმა აღიარეს, რომ აუცილებელია როგორც ეროვნულ, ისე ევროპის დონეზე გაგრძელდეს დიალოგი იუსტიციის

[3] იხ. რეზოლუცია (78) 8 სამართლებრივი დახმარებისა და კონსულტაციის შესახებ და რეკომენდაცია № R (93)1 ლარიბებისათვის კანონისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ.

მინისტრებსა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, სასამართლო სისტემის ფინანსებისა და მართვის მეთოდების სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით; გამოთქვეს იმედი, რომ ევროპის საბჭო კვლავაც დაუჭერს მხარს ამ სფეროში საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზებას.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიები

(ვარშავა და სლოკი, 1997 წლის 23-26 იენისი)

დასკვნები

მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოების, ანუ მოსამართლეთა ისეთი წარმომადგენლობითი ორგანოების, როგორებიცაა: მოსამართლეთა საბჭოები ან პროფესიული ორგანიზაციები, დელეგატებმა, რომელთა შეხვედრა გაიმართა ვარშავაში და სლოკში, 1997 წლის 23-26 იენისს, ყურადღება მიაქციეს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციონალური გარანტიების საკითხსა და აღნიშნული საბჭოებისა და ასოციაციების როლს მათ განმტკიცებაში, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს პრინციპების თვალსაზრისიდან გამომდინარე.

მათ მიუთითეს, რომ აუცილებელია ბალანსის არსებობა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის და ხაზი გაუსვეს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც, ამასთან დაკავშირებით, მოსამართლეებმა უნდა ითამაშონ.

მხედველობაში მიიღეს რა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებები, კერძოდ, მე-6 მუხლი, ასევე ევროპის საბჭოს სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც შეეხება მოსამართლეებთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა, № R (94) 12 რეკომენდაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ, მონაწილეებმა, კულტურისა და სამართლებრივი ტრადიციების სხვადასხვაობის გათვალისწინებით, შეადგინეს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსამართლის მიერ ფუნქციების შესრულებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე წესები, რომელთა გამოყენებაც რეკომენდირებულია მათ მიერ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიების განვითარებისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

I. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა თანდაყოლილი მახასიათებელია ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ემორჩილება კანონის უზენაესობის პრინციპს. იგი უზრუნველყოფს მო-

ქალაქეებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. აქედან გამომდინარე, ეს არის არა მოსამართლეთა პრივილეგია, არამედ ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო თავისუფლებათა პატივისცემის გარანტია.

2. მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი. იგი ემორჩილება მხოლოდ კანონს, რომელსაც ის იყენებს და განმარტავს. ეს ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს, პოლიტიკოსების ან სხვა ძალების მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენა. მოსამართლე არ უნდა დაემორჩილოს ასეთ ზემოქმედებას.

3. როგორც ხელისუფლების განაწილების პრინციპის შედეგი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გულისხმობს, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლების მიერ სრული კონტროლის განხორციელებას მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებასთან დაკავშირებული პროცედურებისადმი. შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას მთავრობის მხრიდან ადმინისტრაციულმა მართვამ და სასამართლოების დაფინანსებამ არ შეზღუდოს მათი თავისუფლება.

4. მოსამართლეთა უკან გამოხმობისა და მოხსნის დაუშვებლობის პრინციპი, ჩვეულებრივ, გათვალისწინებულია კონსტიტუციით. მთავრობისა და პოლიტიკური ძალებისაგან სამოსამართლო კარიერის ავტონომია, სათანადო სამუშაო პირობებისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის არსებობა ასევე უწყობს ხელს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. სამუდამო დანიშვნა მათი დამოუკიდებლობის კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის გარანტიაა.

5. გარდა ამისა, მოსამართლეთა უმაღლესმა საბჭოებმა და მსგავსმა ორგანოებმა აღიარება უნდა ჰპოვოს კონსტიტუციაში და განცალკევდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. მათი პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაცვა, კერძოდ, პროფესიული კომპეტენტურობისა და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე მისი წევრების დონის შენარჩუნების გზით.

6. ყოველ ქვეყანაში არსებული განსაზღვრული მეთოდების მიხედვით, უმაღლესი საბჭოები უნდა შედგებოდეს მოსამართლეებისაგან, სხვა ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებისაგან, ასევე, იურიდიული პროფესიის მქონე პირებისაგან, იმ პირობით, რომ მოსა-

მართლები წარმოადგენდნენ უმაღლესი საბჭოების წევრთა უმრავლესობას.

7. დანიშვნამდე კანდიდატების წარდგენისათვის პასუხისმგებელმა ორგანომ ყველა წინადადება მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს მოსამართლეთა უმაღლეს საბჭოს ან სხვა მსგავს ორგანოს.

8. მოსამართლეთა დისციპლინის საკითხი უნდა ექვემდებარებოდეს უმაღლესი სამოსამართლო თანამდებობის პირებისაგან შემდგარი უმაღლესი საბჭოს ან დისციპლინური სასამართლოების კომპეტენციას. დისციპლინური წარმოება, საპროცესო წესების შესაბამისად, ეფექტურად უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უმკაცრესი სანქცია, უნდა გამოიყენონ მხოლოდ მძიმე გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

9. გარდა ისეთი ფორმალური პირობებისა, როგორებიცაა: მოქალაქეობა, მინიმალური ასაკი და კვალიფიკაცია, მოსამართლეობის კანდიდატებმა უნდა წარმოაჩინონ მოსამართლის პროფესიის სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული თვისებები, კერძოდ, კანონის სათანადო გამოყენების უნარი და შეუბღალავი რეპუტაცია. დაწინაურებასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა, უფროსობა ან სამართლის ცალკეული სფეროების სპეციალიზებული ცოდნა.

10. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, მოსამართლეობის კანდიდატების მომზადება უნდა განხორციელდეს მაგისტრატურის დონის სამოსამართლო სკოლებში ან ისეთი კურსების მეშვეობით, რომლის შედეგების კანონიერი ძალის აღიარება ხდება გამოცდის ან შეფასების ჩატარებით.

11. მოსამართლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ ასევე პირები, რომელთაც გამოცდილება მიიღეს სხვა იურიდიული პროფესიებით საქმიანობისას საჯარო დაწესებულებებში ან უნივერსიტეტებში.

მე-9 და მე-10 პუნქტებში აღნიშნული დებულებები არ გამოიყენება ისეთი არაპროფესიონალი მოსამართლეების მიმართ, როგორებიც არიან ქვემდგომი სასამართლოს არაპროფესიონალი მოსამართლეები და სისხლის სამართლის სასამართლოს არაპროფესიონალი წევრები.

12. მოსამართლეთა ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა, პროფესიული კავშირები ან ასოციაციები, უნდა წარმოადგინონ სასამართლო ხელისუფლების ინტერესები მთავრობასა და პარლამენტთან ურთიერთობაში, მაგალითად, სამუშაო პირობებსა და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მათი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა იყოს მოსამართლეთა საერთაშორისო გაცვლების ორგანიზება, აგრეთვე, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარი შემოწმება. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საქმის განხილვები უნდა აწარმოონ სასამართლო სისტემის განვითარებასა და მის მომავალთან დაკავშირებით.

შეგნებული აქვთ რა მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოების ან მსგავსი ორგანოების მიერ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარების მნიშვნელოვნება, მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად აუცილებელია საბჭოებსა და მსგავს ორგანოებს შორის გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მოთხოვნების შესაბამისად.

მაღალი შეფასება მისცეს რა ამ მხრივ ევროპის საბჭოს გამოცდილებას, მიზნად დაისახეს თანამშრომლობის გაძლიერება მისი დახმარების მეშვეობით.

IV

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა

ლე კონტის, ვან ლოვენისა და დე მეიერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

პირსეკის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

დე კუბერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: H -ი ბელგიის წინააღმდეგ

პაუსშილდტის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

ლანგბორგერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

ნორტიერი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: სარაივა დე კარვალო პორტუგალიის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: საბერძნეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "STRAN-I" და სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება, გამოტანილი საქმეზე: დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ

ლე კონტის, ვან ლოვენისა და დე მეიერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 23 ივნისი, 1981 წელი

1981 წლის 23 ივნისს, სტრასბურგში, სასამართლომ საქმეზე ლე კონტი, ვან ლოვენი და დე მეიერი - ბელგიის სამეფოს წინააღმდეგ თექვსმეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ განაცხადა, რომ, ერთი მხრივ, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იმის გამო, რომ საქმე არ განხილულა საჯაროდ ყველა გარემოების დადგენისათვის საჭირო კომპეტენტური სასამართლოს მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლომ ერთსულოვნად დაასკვნა, რომ მომჩივნის სხვა მოთხოვნები დაუსაბუთებელი იყო.

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა ჟერარ ვიარდამ.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

(a) 1971 წლის ივნისში Ordre des Medecine-ის (სამედიცინო ასოციაცია) დასავლეთ ფლანდრიის პროვინციის საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება დოქტორ ლე კონტისათვის სამედიცინო საქმიანობის უფლების სამი თვით შეჩერების შესახებ. საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ მან პრესაში გამოაქვეყნა Ordre-ის ორგანოების მიერ მისთვის შეფარდებული დისციპლინური სანქციების შესახებ და ამ ორგანოების წინააღმდეგ მიმართული მისი კრიტიკა, რაც Ordre-მა მის შეურაცხყოფად ჩათვალა. სანქცია 1972 წლის ოქტომბერში Ordre-ის სააპელაციო საბჭომ დაადასტურა, თუმცა მან მხარი არ დაუჭირა შეურაცხყოფის ვარაუდს. 1974 წლის მაისში საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრული საჩივარი.

ამ დროიდან მოყოლებული აღიძრა რამდენიმე შემდგომი საქმის წარმოება როგორც დისციპლინური - მომჩივნის მიერ მისი Ordre-სთან უთანხმოების გამოაშკარავების გამო, ასევე სისხლის სამართლის წესით – Ordre-ის საბჭოების მიერ შეფარდებული ღონისძიებებისადმი დაუმორჩილებლობის გამო.

(b) 1973 წლის იანვარში დოქტორ ვან ლოვენს და დოქტორ დე მეიერს მათმა რამდენიმე კოლეგამ ბრალი დასდეს პროფესიული ეთიკის წესების დარღვევაში: კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ზემოაღნიშნული პირები სისტემატურად ზღუდავდნენ მათ ჰონორარებს სოციალური უზრუნველყოფის მიერ ანაზღაურებადი თანხების ოდენობამდე, რაც ხდებოდა თვით მორიგეობის დროსაც და რომ მათ კერძო სახლებში უფასოდ გაავრცელეს ორკვირეული ჟურნალი, რომელიც დასცინოდა საერთო პრაქტიკოსებს.

ამ ორი მომჩივნის მოსმენის შემდეგ აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინციის საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება მათთვის სამედიცინო საქმიანობის უფლების ერთი თვით ჩამორთმევის შესახებ. შემდგომში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათ მიმართეს რდრე-ის სააპელაციო საბჭოს, რომელმაც ჩამორთმევის ვადა თხუთმეტ დღემდე შეამცირა. მათ მიერ კანონმდებლობის თაობაზე აღძრული საჩივარი 1975 წლის აპრილში საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

B წარმოება კომისიაში

1974 წლის 28 ოქტომბერს და 1975 წლის 21 ოქტომბერს კომისიაში შეტანილ იქნა ორი საჩივარი. ისინი ნაწილობრივ მისაღებად გამოცხადდა 1976 წლის 6 ოქტომბერს (ლე კონტი) და 1977 წლის 10 მარტს (ვან ლოვენი და დე მეიერი).

ამ უკანასკნელი თარიღით კომისიამ გამოიტანა განკარგულება საჩივრების გაერთიანების შესახებ. შემდგომში მან მიიღო მომჩივნებისა და ბელგიის მთავრობის შენიშვნები საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებით და შეეცადა საქმის მორიგებით დასრულებას, რამაც შედეგი არ გამოიღო. შემდგომში კომისიამ შეადგინა მოხსენება, რომელიც ადგენდა ფაქტებს და გამოხატავდა მის მოსაზრებას იმის თაობაზე, მოხდა თუ არა ბელგიის მიერ მისთვის კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა.

კომისიამ გამოთქვა აზრი, რომ;

- არ არის დარღვეული მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რადგან Ordre des medecins არ წარმოადგენს "ასოციაციას" ამ მუხლის მიზნებისთვის (ერთსულოვნად);

- მე-6 მუხლის პირველი პუნქტი უნდა გავრცელებულიყო იმ საქმის წარმოებაზე, რის შედეგადაც მომჩივნებს შეეფარდათ დისციპლინური ღონისძიებები (რვა ხმით სამის წინააღმდეგ);

- დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რადგან მომჩივნების საქმე არ განხილულა "საჯაროდ" (რვა ხმით სამის წინააღმდეგ) "დამოუკიდებელ სასამართლოში" (შვიდი ხმით ოთხის წინააღმდეგ).

II. გადაწყვეტილების შინაარსი (*)

A. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საჭარაუდო დარღვევა

1. საქმეში მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების საკითხი

სასამართლომ, პირველ რიგში, საქმე განიხილა პროვინციისა და სააპელაციო საბჭოებში, რომლებიც წარმოადგენენ დისციპლინურ ორგანოებს, ხოლო შემდგომ – საკასაციო სასამართლოში, როგორც სასამართლო ორგანოში გამართული სამართალწარმოების მიმართ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების საკითხი.

(იხ. გადაწყვეტილების 41-43-ე პუნქტები)

– "სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან" დაკავშირებული დავები

სასამართლოს აზრით, მომჩივნების მიერ სამედიცინო პროფესიით საქმიანობის გაგრძელების უფლება, რომელიც მათ დროებით ჩამოერთვათ ჩამორთმევის შესახებ განკარგულების თანახმად, იყო სააპელაციო საბჭოსა და საკასაციო სასამართლოს მიერ უშუალოდ განსახილველი საკითხი. პრაქტიკოსი მედიკოსები, ამ შემთხვევაში - მომჩივანები, კერძო პრაქტიკაში ამ უფლებას თავის თავზე იღებენ სახელშეკრულებო ან კვაზისახელშეკრულებო ურთიერთობით და ეს უფლება კერძო უფლებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გასაჩივრებული ჩამორთმევა დროებითი ხასიათის იყო, მან ხელყო ზემოაღნიშნული უფლება.

შესაბამისად, სასამართლომ თხუთმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ დაასკვნა, რომ დოქტორ ლე კონტს, დოქტორ ვან ლოვენსა და დოქტორ დე მეიერს ჰქონდათ უფლება მათი საქმე განხილულიყო იმ "სასამართლოს" მიერ, რომელიც აკმაყოფილებს მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს. მან საჭიროდ არ მიიჩნია იგივე მოსაზრების გამოთქმა პროვინციის საბჭოსთან დაკავშირებით, რადგან მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს არ ავალდებულებს განიხილონ "სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან" დაკავშირებული დავები თითოეულ ეტაპზე იმ "სასამართლოსთვის" მიღწევამდე, რომელიც აკმაყოფილებს მუხლის სხვადასხვა მოთხოვნას. მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც მომჩივნებმა მიმართეს სააპელაციო საბჭოს, ამ ორგანოს უნდა განესაზღვრა, თუ რამდენად შეეხებოდა დავა აღნიშნულ უფლებას.

(იხ. გადაწყვეტილების 44-51-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

– "სისხლის სამართლის ბრალდებების" არსებობა

სასამართლომ ზედმეტად ჩათვალა განესაზღვრა, ვალდებული იყვნენ თუ არა Ordre des medecins-ის ორგანოები დაედგინათ სისხლის სამართლის ბრალდებები.

(იხ. გადაწყვეტილების 52-53-ე პუნქტები)

2. მოქმედება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ამის შემდეგ სასამართლომ გამოარკვია, იურისდიქციის განხორციელებისას დააკმაყოფილეს თუ არა სააპელაციო საბჭომ და საკასაციო სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები. სააპელაციო საბჭოს ეს შეეხება იმიტომ, რომ მან თავად სრული მოცულობით განიხილა სამოქალაქო უფლების ხელმყოფი ღონისძიებების საკითხი, ხოლო საკასაციო სასამართლოს - იმიტომ, რომ საბოლოოდ მან გადასინჯა მოცემული ღონისძიებები.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა ფაქტობრივი შეცდომების გასწორებაზე ან სანქციის ბრალის სიმძიმესთან შესატყვისობის გამორკვევაზე, მას აშკარად ჰქონდა "სასამართლოს" მახასიათებლები, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით. იგივე ითქმის სააპელაციო საბჭოზე, ქვემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, აშკარა იყო, რომ როგორც საკასაციო სასამართლო, ისე სააპელაციო საბჭო დაფუძნებული იყო "კანონის შესაბამისად" (კონსტიტუცია, პარლამენტის კანონი და სამეფო დეკრეტი).

არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი საკასაციო სასამართლოს ან სააპელაციო საბჭოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი შედგებოდა ზუსტად ერთი და იმავე რაოდენობის პრაქტიკოსი მედიკოსებისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, ხოლო ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი, რომელიც მეფის მიერ იყო დანიშნული, ყოველთვის ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას და გადამწყვეტი ხმა ჰქონდა.

კვლავ, საკასაციო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არ შექმნილა. რაც შეეხება სააპელაციო საბჭოს, სასამართლომ გამოარკვია, რომ პროვინციის საბჭოს მიერ მედიკოსი წევრების არჩევის მეთოდი მიკერძოების დასასაბუთებლად საკმარისი არ იყო და რომ თითოეული წევრი უნდა მიჩნეულიყო მიუკერძოებლად, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდებოდა. ფაქტობრივ, არც ერთ მომჩივანს გამოუყენებია გასაჩივრების უფლება.

ბოლოს, სასამართლომ განიხილა სააპელაციო საბჭოში როგორც სხდომების, ისე გადაწყვეტილების გამოცხადების დახურულად წარმართვის საკითხი. სასამართლომ გამოარკვია, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჯაროობის სავალდებულოობის წესის არც ერთი გამონაკლისი არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო აღნიშნულ საქმეზე, ვინაიდან არც გადაცდომა, რომლის საფუძველზეც მომჩივნების წინააღმდეგ იჩივლეს და არც მათი საჩივრები არ შეეხებოდა პაციენტების სამედიცინო მკურნალობას. საქმესთან შეხება არ ჰქონია არც პროფესიული საიდუმლოების საკითხებს და არც ამ ექიმების ან პაციენტების პირადი ცხოვრების დაცვას. შესაბამისად, მომჩივნებს ჰქონდათ სამართალწარმოების საჯაროდ წარმართვის უფლება, თუმცა მე-6 მუხლის არც წერილობითი და არც ნაგულისხმევი შინაარსი მათ ხელს არ შეუშლიდა ამ უფლებაზე უარის თქმაში, თავიანთი თავისუფალი, აშკარა ან დუმილით გამოხატული ნების საფუძველზე.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საკასაციო სასამართლოში სამართალწარმოების საჯარო ხასიათი საკმარისი არ იყო აღნიშნული

ნაკლის გამოსასწორებლად. ამ უკანასკნელმა მხედველობაში არ მიიღო საქმეთა მთავარი გარემოებები, რის შედეგიც იყო ის, რომ "სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან" დაკავშირებით წამოჭრილი მრავალი საკითხი მისი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ დარჩა. სასამართლომ თექვსმეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაასკვნა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ვინაიდან მომჩივნების საქმე საჯაროდ არ განუხილავს იმ სასამართლოს, რომელსაც საქმის ყველა ასპექტის დადგენის კომპეტენცია ექნებოდა.

(იხ. გადაწყვეტილების 54-61-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-2 და მე-3 ნაწილები)

B. მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ ბელგიის Ordre des medecins წარმოადგენდა საჯარო სამართლის დაწესებულებას, რომელიც დაფუძნებული იყო საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ინტეგრირებული იყო სახელმწიფო სტრუქტურებში. იგი გარკვეული სახით ახორციელებდა სამედიცინო საქმიანობის საჯარო კონტროლს და ფლობდა უფლებამოსილებას, რომელიც სცილდებოდა ჩვეულებრივი კანონმდებლობის ფარგლებს. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლო მიიდა დასკვნამდე, რომ რდრე არ შეიძლება ჩაითვალოს ასოციაციად.

ამის შემდგომ სასამართლომ შენიშნა, რომ Ordre-ის არსებობას და მისი არსებობის გაგრძელებას - სამედიცინო საქმიანობით დაკავებული პირების ვალდებულებას, რეგისტრაცია გაეელოთ რეესტრში და დაქვემდებარებოდნენ მის ხელისუფლებას - არ შეუქმნია მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის არც საფუძველი და არც შედეგი. ფაქტობრივად, ბელგიაში არსებობდა რამდენიმე ასოციაცია, რომლებიც შექმნილი იყო სამედიცინო საქმიანობით დაკავებულ პირთა პროფესიული ინტერესების დასაცავად და რომლებშიც მათ თავისუფლად შეეძლოთ მათში გაწევრიანებულიყვნენ ან არ გაწევრიანებულიყვნენ.

სასამართლო ერთსულოვნად მიიდა დასკვნამდე, რომ მე-11 მუხლის დარღვევა არ მომხდარა.

(იხ. გადაწყვეტილების 62-66-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-3 ნაწილი)

C. 50-ე მუხლის გამოყენება

მომჩივანებისათვის "სამართლიანი ანაზღაურების" მიკუთვნების საკითხი, რომელიც მზად არ აღმოჩნდა გადაწყვეტილების გამოსატანად, დროებით შეჩერდა და უკან გადაეცა პალატას, რომელიც, თავდაპირველად, საქმის შესასწავლად შეიქმნა და რომელმაც უარი თქვა იურისდიქციაზე 1980 წელს პლენუმის სასარგებლოდ.

(იხ. გადაწყვეტილების 67-68-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-4 ნაწილი)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე სასამართლოს წესების 48-ე წესის შესაბამისად, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გ. ვიარდა (ნიდერლანდი). მოსამართლეები: რისდალი (ნორვეგია), ჰ. მოზლერი (გერმანია), ზეკია (კვიპროსი), ჟ. კრემონა (მალტა), თორ ვილიამსონი (ისლანდია), დ. ბინდშედლერ-რობერტი (შვეიცარია), დ. ევრიგენისი (საბერძნეთი), გ. ლაგერგრენი (შვედეთი), ლ. ლიში (ლუქსემბურგი), ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ფ. მატშერი (ავსტრია), პინეირო ფარინა (პორტუგალია),ე. გარსია დე ენტერრია (ესპანეთი), ლ.-ე. პეტიტი (საფრანგეთი), ბ. ვალში (ირლანდია), მ. სურენსენი (დანია), სერ ვინსენტ ევანსი (ბრიტანეთი), რ. მაკდონალდი (კანადა), ად ჰოც მოსამართლე ვანეელ კენჰიუზენი (ბელგია), ასევე, მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

რამდენიმე მოსამართლემ გამოთქვა განსხვავებული აზრი, რომლებიც თან ერთვის წინამდებარე გადაწყვეტილებას.

პირსეკის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 1 ოქტომბერი, 1982 წელი

1982 წლის 1 ოქტომბერს, სტრასბურგში პირსეკის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ერთსულოვნად განაცხადა, რომ ბ-ნი პირსეკი დაზარალდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის შედეგად: იმ სასამართლოს მიუკერძოებლობა, რომელსაც უნდა დაედგინა მომჩივნის წინააღმდეგ წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდება, შეიძლებოდა საეჭვოდ მიჩნეულიყო.

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა ჟერარ ვიარდამ.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

ბ-ნი კრისტიან პირსეკი დაიბადა 1948 წელს. იგი ბელგიის მოქალაქეა, პროფესიით იარაღის ხელოსანი. ამჟამად დაკავებულია მონსის (Mons) საპატიმროში. 1978 წლის 10 ნოემბერს მას ბრაბან ასიზის (Brabant Assize) სასამართლომ მკვლელობისათვის მიუსაჯა თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამის შემდეგ, მომჩივანმა საჩივარი შეიტანა საკასაციო სასამართლოში. საჩივარში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული იყო, რომ დაირღვა სამოსამართლო კოდექსის 127-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია სასამართლო თანამდებობის პირი, რომელიც აღნიშნულ საქმეზე საჯარო ბრალმდებელის სახით (ministere public) გამოდიოდა, თავმჯდომარეობდეს საქმის წარმოებას ასიზის სასამართლოში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ასიზის სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც იგი დამნაშავედ ცნო, მონაწილეობდა საქმის გამოძიებაში საჯარო ბრალმდებელის (procureur du Roi) პირველი მოადგილის უფლებამოსილებით. პირველმა მოადგილემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება უნდა გამოტანილიყო იმ საფუძვ-

ლებით, რასაც მომჩივანი ასახელებდა, ან იმ საფუძვლით, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რაც სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო თავისი შეხედულებისამებრ.

1979 წლის 21 თებერვალს საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი ფაქტებიდან ვერ დადგინდა, რომ აღნიშნული სასამართლოს თანამდებობის პირმა საქმეში მონაწილეობა მიიღო საჯარო ბრალმდებლის სახით, ან სხვა რაიმე ფორმით, გარდა იმისა, რომ საქმეზე მას შეექმნა პირადი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის, ან გამოძიების პროცესში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებების შედეგად.

B. წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

საქმე დაიწყო ბ-ნი პირსეკის მიერ 1979 წლის მარტში კომისიაში საჩივრის შეტანით. იგი აცხადებდა, რომ დაზარალდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შედეგად, ასევე ამტკიცებდა, რომ მისი საქმე არ განუხილავს "კანონის შესაბამისად შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს", ვინაიდან ასიზის სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც იგი დამნაშავედ ცნო, მონაწილეობას იღებდა საქმის ადრეულ ეტაპზე procureur du Roi-ის პირველი მოადგილის უფლებამოსილებით.

1981 წლის 13 მაისის მოხსენებაში კომისიამ გამოთქვა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთი მოთხოვნა, კერძოდ, რომ სასამართლო უნდა იყოს მიუკერძოებელი.

კომისიამ 1981 წლის 14 ნოემბერს საქმე გადასცა სასამართლოს.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

A. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საქარაუდო დარღვევა

"დამოუკიდებელი სასამართლო"

1. მომჩივნის განაცხადი, რომ სასამართლო, რომელმაც იგი დამნაშავედ ცნო, არ იყო "დამოუკიდებელი სასამართლო", შემოწმებით არ დასაბუთდა. ბელგიის კანონმდებლობა ითვალისწინებს მრავალ გარანტიას ასიზის სასამართლოს მოსამართლეების გარე ზემოქმედებ-

ისაგან დასაცავად, ხოლო მსჯულთა დასახელება რეგულირდება მკაცრი წესებით.

(იხ. გადაწყვეტილების 27-ე პუნქტი)

"მიუკერძოებელი სასამართლო"

2. ვინაიდან მიუკერძოებლობა, ჩვეულებრივ, წინასწარი უარყოფითი მოსაზრების ან მიკერძოების არარსებობას ნიშნავს, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მისი არსებობის საკითხი შესაძლებელია დადგინდეს სხვადასხვა გზით.

სასამართლომ ვერ აღმოაჩინა იმის მიზეზი, რომ ეჭვი შეეტანა აღნიშნული მოსამართლის პირად მიუკერძოებლობაში. საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე უნდა ჩაითვალოს, რომ პირი ნამდვილად მოქმედებდა პირადი მიუკერძოებლობიდან გამომდინარე. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ სფეროში გარეგან გამოვლინებებსაც შეიძლებოდა ჰქონოდა გარკვეული მნიშვნელობა და განაცხადა, რომ მოსამართლე, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი და დასაბუთებული მიზეზი მიკერძოებულობის ვარაუდისა, აცილებულ უნდა იქნეს.

მეორე უკიდურესობასთან მიმართებით საკმაოდ შორს წავიდა იმის მტკიცება, რომ საჯარო ბრალმდებლის როლში მყოფ ყოფილ სასამართლო თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ გამოვიდნენ მოსამართლედ იმ საქმეზე, რომელიც, თავდაპირველად, გამოძიებული იყო მათი უწყების მიერ, თუნდაც მათ პირადად არასოდეს ჰქონოდათ საქმე წარმოებაში. საკითხის ასეთი რადიკალური გადაწყვეტა, მართლაც, გადაულახავ ბარიერს ქმნის სასამართლოს შემადგენლობასა და საჯარო ბრალდებას შორის და გადატრიალებას გამოიწვევს მთელი რიგი მონაწილე სახელმწიფოების სასამართლო სისტემაში. ამიტომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლე ერთ დროს მუშაობდა საჯარო ბრალმდებლის უწყებაში, არ არის მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

3. ბელგიის საკასაციო სასამართლომ მიმდინარე საქმეზე გამოიყენა განხორციელებული ფუნქციების კრიტერიუმი. კერძოდ, ადრე მიიღო თუ არა კონკრეტულმა მოსამართლემ "საჯარო ბრალმდებლის უწყებაში მყოფი სასამართლო თანამდებობის პირის უფლებამოსილებით" მონაწილეობა ბრალდების ფუნქციების განხორციელებაში.

4. ბუნებრივია, მხოლოდ ეს კრიტერიუმი სრულად ვერ აკმაყოფილებს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს; ასევე, მხედველობაში მისაღებია შიდა ორგანიზაციული საკითხებიც. თუ საჯარო ბრალმდებლის უწყებაში ისეთ თანამდებობაზე ყოფნის შემდეგ, რომლის ხასიათიდან გამომდინარე, მას შეიძლება წარმოებაში გადაეცეს აღნიშნული საქმე, პირი შემდგომში საქმეში მონაწილეობას მიიღებს როგორც მოსამართლე, საზოგადოებას შეუძლია ივარაუდოს, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებს მიუკერძოებლობის გარანტიებს.

5. სწორედ ეს მოხდა მოცემულ შემთხვევაში. სასამართლოს აზრით, ნაკლებად არის საჭირო იმ როლის ფარგლების ზუსტი შეფასება, რომელიც მოსამართლემ მისი ყოფილი უფლებამოსილებით შეასრულა. საკმარისია დადგინდეს, რომ იმ "სასამართლოს" მიუკერძოებლობა, რომელსაც სისხლის სამართლის ბრალდების გარემოებები უნდა გამოერკვია, შეიძლებოდა საეჭვოდ მიჩნეულიყო.

6. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

(იხ. გადაწყვეტილების 28-62-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

"კანონის შესაბამისად შექმნილი სასამართლო"

7. თავდაპირველად, მომჩივანი აცხადებდა, რომ ბრაბან ასიზის სასამართლო არ იყო "კანონის შესაბამისად შექმნილი სასამართლო" და არგუმენტად მოჰყავდა ის, რომ მისი შემადგენლობა ეწინააღმდეგებოდა სამოსამართლო კოდექსის 127-ე მუხლს.

სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ამ მოთხოვნის განხილვა.

(იხ. გადაწყვეტილების 33-ე პუნქტი)

B. 50-ე მუხლის გამოყენება

8. ბ-ნი პირსეკის იურიდიულმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი კლიენტი მოელოდა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას "განსახილველი ღონისძიებების" მიხედვით და, აგრეთვე, მატერიალურ კომპენსაციას. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით მზად არ იყო გადაწყვეტილების მისაღებად და, შესაბამისად, ის დროებით გადადო.

(იხ. გადაწყვეტილების 34-35-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მეორე ნაწილი)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბ-ნი გ. ვიარდა (ნიდერლანდი). მოსამართლეები: ბ-ნი ჯ. განსჰოფ ვან დერ მეერში (ბელგია), ბ-ნი გ. ლაგერგრენი (შვედეთი), ბ-ნი ლ. ლიში (ლუქსემბურგი), ბ-ნი ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ბ-ნი პინეირო ფარინა (პორტუგალია), ბ-ნი რ. ბერნჰარდტი (გერმანია), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

დე კუბერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 26 ოქტომბერი, 1984 წელი

1984 წლის 26 ოქტომბერს, სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ.

სასამართლომ ერთსულოვნად განაცხადა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი, იმის გამო, რომ სისხლის სამართლის სასამართლოს (tribunal correctionnel) მიუკერძოებლობა, რომელმაც 1979 წლის 29 ივნისს გამოიტანა გადაწყვეტილება მომჩივნის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაზე, საფუძვლიანად იქნა საეჭვოდ მიჩნეული.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

1. ბ-ნი ალბერტ დე კუბერი დაიბადა 1926 წელს. იგი ბელგიის მოქალაქეა და ცხოვრობს ბრიუსელში. ბ-ნი ალბერტ დე კუბერი დააპატიმრეს 1977 წლის 4 აპრილს. მომდევნო დღეს, უდენაარდის (Oudenaarde) სასამართლოს საგამომძიებო მოსამართლემ, ბ-ნმა პილატემ, გასცა მისი დაპატიმრების ორდერი დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით. მოსამართლემ გამოიძია კიდევ ორი სხვა საქმე მსგავს დანაშაულთან დაკავშირებით, რომლებშიც მომჩივანს ედებოდა ბრალი.

1978 წლის 11 მაისს, ბ-ნი დე კუბერი პირველ საქმეზე დამნაშავედ ცნო უდენაარდის სისხლის სამართლის სასამართლოს (tribunal correctionnel) ერთი მოსამართლისაგან შემდგარმა პალატამ და მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენი ორი საქმე გაერთიანდა და გადაეცა იგივე სასამართლოს. 1979 წლის 29 ივნისს, სამი მოსამართლისაგან შემდგარმა სასამართლო პალატამ, ბ-ნი პილატეს მონაწილეობით, მომჩივანს მიუსაჯა, შესაბამისად, ხუთი წლით და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ-ნი დე კუბერისა და საჯარო ბრალმდებლის უწყების მიერ გასაჩივრების შედეგად, ჯენტის (Ghent) სააპელაციო სასამართლომ, 1980 წლის 4 თებერვალს, პირველი სასჯელი შეამცირა სამ წლამდე, მეორე ძალაში დატოვა და შეუფარდა მესამე სასჯელი.

მომჩივანმა საჩივარი შეიტანა საკასაციო სასამართლოში. იგი, სხვა საკითხებთან ერთად, აცხადებდა, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნი პილატე წარმოადგენდა არა მარტო მოსამართლეს, არამედ მხარესაც. 1980 წლის 15 აპრილს, საკასაციო სასამართლომ არსებითად არ დააკმაყოფილა საჩივარი. მან განაცხადა, რომ ამ ფუნქციების გაერთიანებით არ დარღვეულა არც ბელგიის სამოსამართლო კოდექსი, არც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და არც დაცვის უფლებები.

2. საგამოძიებო მოსამართლეები, რომლებსაც ნიშნავს მეფე "პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებისაგან", ატარებენ წინასწარ სასამართლო გამოძიებას. მათ ასევე აქვთ კრიმინალური საგამოძიებო პოლიციის თანამშრომლის სტატუსი და ამ სტატუსით მოქმედებისას, იმყოფებიან სახელმწიფო ბრალმდებლის (procureur general) ზედამხედველობაში.

ჭეშმარიტების დადგენისთვის ხელშესაწყობად, საგამოძიებო მოსამართლეები აღჭურვილი არიან ფართო უფლებამოსილებებით. გამოძიების დასრულების შემდეგ ისინი საქმეს უგზავნიან სახელმწიფო ბრალმდებელს (procureur du Roi), რომელიც უკან აბრუნებს საქმეს თავისი მოსაზრებებით. ამის შემდეგ, ბრალდებულის სასამართლოსთვის გადაცემის საკითხს წყვეტს პირველი ინსტანციის სასამართლოს ერთი მოსამართლისაგან შემდგარი პალატა (chambre du conseil) და არა საგამოძიებო მოსამართლე.

3. 1967 წლის სამოსამართლო კოდექსი კრძალავს ერთდროულად სხვადასხვა სასამართლო ფუნქციის განხორციელებას. ამიტომ სასამართლო თანამდებობის პირი, რომელიც საქმეში საგამოძიებო მოსამართლის სახით მონაწილეობდა, საქმეს ვერ განიხილავს როგორც ასიზის სასამართლოს ან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მოსამართლე. მეორე მხრივ, მას, ბელგიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეუძლია პირველი ინსტანციით განიხილოს საქმე, რომელიც მან ადრე გამოიძია.

B. წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

საქმე დაიწყო ბ-ანი დე კუბერის მიერ 1980 წლის ოქტომბერში კომისიაში საჩივრის შეტანით. იგი აცხადებდა, რომ უდენაარდის სისხლის სამართლის სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი სასამართლო, რადგან ერთ და იმავე საქმეზე ადრე მონაწილეობდა ერთერთი მოსამართლე, საგამოძიებო მოსამართლის სახით.

1982 წლის 9 მარტს, კომისიამ ამ საკითხთან მიმართებაში საჩივარი მიიღო წარმოებაში. 1983 წლის 5 ივლისის მოხსენებაში კომისიამ გამოთქვა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

A. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საერთაშორისო დარღვევა

1. მთავრობის ძირითადი მოთხოვნა

1982 წლის 1 ოქტომბერს პირსეკის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განსაზღვრა, რომ მიუკერძოებლობა შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვა გზით: უნდა განვასხვაოთ სუბიექტური მიდგომა, ე.ი. აღნიშნულ საქმეზე მოცემული მოსამართლის შინაგანი რწმენის დადგენის ცდა, და ობიექტური მიდგომა, ე.ი. იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა მას ამასთან დაკავშირებით კანონიერი ეჭვის გამორიცხვის საკმარისი გარანტია.

რაც შეეხება სუბიექტურ მიდგომას, ივარაუდება, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო, ხოლო ამ საქმეზე სასამართლოსთვის წარდგენილ მტკიცებულებათა შორის ამგვარი მტკიცებულება არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება ობიექტურ მიდგომას, გარეგან გამოვლინებებსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს: ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართაც არსებობს კანონიერი საფუძველი არასათანადო მიუკერძოებლობის ვარაუდისა, აცილებულ უნდა იქნეს. საფრთხის ქვეშ დგება ნდობაც, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოებმა უნდა ჩაუნერგონ ხალხს.

(იხ. გადაწყვეტილების 24-26-ე პუნქტები)

მთავრობამ წარმოადგინა მთელი რიგი არგუმენტებისა, რათა დაემტკიცებინა, რომ არსებული ფუნქციების კომბინაცია, რომელიც სამოსამართლო კოდექსს შეესაბამებოდა, შეესატყვისებოდა კონვენციას; საგამოძიებო მოსამართლე იყო დამოუკიდებელი, მას არ ჰქონდა მხარის სტატუსი, მტკიცებულებები შეკრიბა ბრალდებულის როგორც სასარგებლოდ, ასევე საწინააღმდეგოდ და უფლებამოსილი არ იყო გადაეცა ბრალდებული სასამართლოსთვის ან გამოეთქვა თავისი აზრი მის ბრალთან დაკავშირებით.

სასამართლომ ცნო ამ მსჯელობის დამაჯერებლობა და ლოგიკა, თუმცა ისიც აღიარა რომ არსებობდა მნიშვნელოვანი ფაქტორები საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანის სასარგებლოდ. როგორც კრიმინალური საგამოძიებო პოლიციის თანამშრომელი, საგამოძიებო მოსამართლე იმყოფებოდა სახელმწიფო ბრალმდებლის (precureur general) ზედამხედველობაში. როგორც საგამოძიებო მოსამართლეს, მას ჰქონდა ფართო უფლებამოსილებები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა აღნიშნულ საქმეში. გარდა ამისა, წინასწარი გამოძიება მიზნად ისახავდა ინფორმაციის მოძიებას, იყო საიდუმლო და არ მიმდინარეობდა ორივე მხარის თანდასწრებით - მისმა წარმმართველმა მოსამართლემ სასამართლო სხდომამდე დიდი ხნით ადრე ზედმიწევნით იცოდა საქმის გარემოებები; მხოლოდ ამ მიზეზითაც კი, ბრალდებულის თვალსაზრისით, მარტივად შეიძლება აღმოჩენილიყო ისეთ ვითარებაში, რომელიც მას გადამწყვეტ როლს მიანიჭებდა სასამართლოში საქმის წარმოებისას და წინასწარ მოსაზრებასაც შეუქმნიდა, რაც საერთო ჯამში, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

აქედან გამომდინარე, უდენაარდის სასამართლოს მიუკერძოებლობა მომჩივანს სრულიად საფუძვლიანად შეიძლებოდა საეჭვოდ მიეჩნია.

(იხ. გადაწყვეტილების 27-30-ე პუნქტები)

2. მთავრობის პირველი ალტერნატიული მოთხოვნა

მიუთითა რა სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე, მთავრობამ არსებითი წინააღმდეგობა გამოთქვა სამართალწარმოების მიმართ პირველ ინსტანციაში მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებაზე. მან აღნიშნა, რომ ბ-ნი დე კუბერის საჩივარი, ფაქტობრივად, მიმართული იყო მხოლოდ უდენაარდის სასამართლოს წინააღმდეგ და რომ მას

პრეტენზიები არ გააჩნდა ჯენტის სააპელაციო სასამართლოს მიმართ.

სასამართლომ, პირველ რიგში, შენიშნა, რომ აღნიშნული მოთხოვნა პარადოქსული ხასიათის იყო. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, უპირველეს ყოვლისა, შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოებს. მუხლი არ მოითხოვს შემდეგი ინსტანციების სასამართლოების არსებობას. მართალია, ძირითადი გარანტიები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი სააპელაციო თუ საკასაციო სასამართლოების მიერ, რომელთაც მონაწილე სახელმწიფო თავისი ნებით ქმნის, მაგრამ თუნდაც ამ შემთხვევაში, ეს არ ნიშნავს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა ეს გარანტიები არ უნდა უზრუნველყონ.

გარდა ამისა, მთავრობის მიერ აღნიშნული საქმეებისაგან განსხვავებით, არსებული საქმე გულისხმობდა სისხლის სამართალწარმოებას სათანადო სასამართლოში, ამ ტერმინის როგორც ფორმალური, ისე არსებითი გაგებით. დაუშვებელია მისი გამოყენების ტრადიციული ან ჩვეული გამოყენების სფეროში მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიების შეზღუდვის გამართლება.

(იხ. გადაწყვეტილების 31-32-ე პუნქტები)

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პირველ ინსტანციაში საქმის წარმოების წყარო სწორედ უდენაარდის სასამართლოს შემადგენლობა იყო და რომ სააპელაციო სასამართლომ ეს ნაკლი არ გამოასწორა, ვინაიდან მან ამის საფუძველზე მთლიანად არ გააუქმა 1979 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

(იხ. გადაწყვეტილების 33-ე პუნქტი)

3. მთავრობის შემდგომი ალტერნატიული მოთხოვნა

მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ შედეგებზე, რასაც დარღვევის აღიარება მოუტანდა მცირეშტატიან სასამართლოებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, თავიანთი სამართლებრივი სისტემების ორგანიზაცია მოეხდინათ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

საბოლოოდ, დადგინდა, რომ ბ-ნი დე კუბერი დაზარალდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის გამო.

(იხ. გადაწყვეტილების 34-36-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

4. 50-ე მუხლის გამოყენება

გომჩივანმა მოითხოვა მატერიალური და არამატერიალური ზიანის სამართლიანი ანაზღაურება. სასამართლომ განაცხადა, რომ საკითხი მზად არ იყო გადაწყვეტილების გამოსატანად და დროებით გადადო.

(იხ. გადაწყვეტილების 37-ე პუნქტი და ოპერატიული დებულებების მე-2 ნაწილი)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით;

თავმჯდომარე: ბ-ნი გ. ვიარდა (ნიდერლანდი). მოსამართლეები: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია), ბ-ნი ე. განსჰოფ ვან დერ მეერშ (ბელგია), ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი (შვეიცარია), ბ-ნი ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ბ-ნი ფ. მატშერი (ავსტრია), სერ ვინსენტ ევანსი (ბრიტანეთი), ბ-ნი რ. ბერნჰარდტი (გერმანია), ასევე, ბატონები მა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: H-ი ბელგიის წინააღმდეგ

სტრასბურგი, 30 ნოემბერი, 1987 წელი

1987 წლის 30 ნოემბერს სტრასბურგში გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმეზე: H-ი ბელგიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თორმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ განაცხადა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

საჯარო სხდომაზე გადაწყვეტილება გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა როლფ რისდალმა.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

1957 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, H-ი გაწევრიანდა ანტვერპენის ადვოკატურაში და შეუდგა იურიდიულ საქმიანობას.

ექვსი წლის შემდეგ ადვოკატთა საბჭომ (Conseil de l'Ordre des avocats) მას ჩამოართვა საქმიანობის უფლება მხოლოდ იმის გამო, რომ მან არამართებულად დაარწმუნა თავისი კლიენტი, რომ დააპატიმრებდნენ, თუ ადვოკატს თანხას არ გადაუხდიდა. ბრიუსელის სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა H-ის სარჩელი.

სისხლის სამართალწარმოება, რომელიც აღიძრა H-ის წინააღმდეგ 1964 წელს (თაღლითობისა და უკანონო საადვოკატო საქმიანობისათვის) და 1977 წელს (გაყალბებისა და თაღლითური მითვისებისათვის) დასრულდა მისი გამართლებით, შესაბამისად, 1968 წელს და 1979 წელს.

1970 წელს H-მა საქმიანობა დაიწყო მრჩეველად იურიდიულ და საგადასახადო სამართლებრივ საკითხებზე. მის პირველ ორ განცხადებას რეესტრში აღდგენის თაობაზე - პირველს 1980 წელს, ხოლო

მეორეს 1981 წელს - შედეგი არ მოჰყოლია. ორივე შემთხვევაში ადვოკატთა საბჭომ, რომლის გადაწყვეტილებაც არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, განაცხადა, რომ, საქმიანობის უფლების ჩამორთმევიდან ათი წლის გასვლის მიუხედავად, არ არსებობდა რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რომელიც დაასაბუთებდა სანქციის გაუქმებას (სამოსამართლო კოდექსის 471-ე მუხლი).

B. წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

1980 წლის 20 მარტს შეტანილი საჩივარი კომისიამ მისაღებად გამოაცხადა 1984 წლის 16 მაისს.

საქმის მორიგებით გადაწყვეტის უშედეგო ცდის შემდეგ, კომისიამ 1985 წლის 8 ოქტომბერს შეადგინა მოხსენება, რომელიც ადგენდა ფაქტებს და რომელშიც ათი ხმით ორის წინააღმდეგ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იმის გამო, რომ მომჩივანს შესაძლებლობა არ ჰქონდა მისი საქმე განხილულიყო კონვენციით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

I. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი

A. გამოყენების საკითხი

1. უფლების თაობაზე "წინააღმდეგობის" (დავის) არსებობის საკითხი

სასამართლომ მიუთითა სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულ პრინციპებზე და დაადგინა, არსებობდა თუ არა ბელგიაში ის უფლება, რომელსაც მომჩივანი ითხოვდა. მხედველობაში მიიღო რა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევისა და შემდგომში აღდგენის საფუძვლების ხასიათი, სასამართლომ მიუთითა, რომ სამოსამართლო კოდექსის 471-ე მუხლის მიხედვით, დასაშვები იყო, რომ ადვოკატს, რომელსაც ჩამოერთვა საქმიანობის უფლება, ეცადა აღდგენა ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ამისათვის იარსებებდა განსაკუთრებული გარემოებები. ეს მეორე პირობა, პირველისაგან განსხვავებით, შეიძლება მრავალი სხვადასხვა გზით განემარტათ და გამოეყენებინათ, ხოლო ადვოკატთა საბჭოების წინამორბედი გადაწყვეტილებები არ იძლეოდა საკითხის განმარტებას, ვინაიდან მათი რაოდენობა მცირე და ხელმიუწვდომელი, ხოლო მათში აღნიშნული

დასაბუთება არასაკმარისი იყო. მომჩივანს შეეძლო გარკვეულწილად დაემტკიცებინა, რომ ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, მას უფლება ჰქონდა კლავაც განეხორციელებინა საადვოკატო საქმიანობა, თუკი აკმაყოფილებდა 471-ე მუხლის პირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა საბჭო საკითხს წყვეტდა თავისი შეხედულებისამებრ, მას უნდა გამოერკვია უფლების თაობაზე არსებული დავა.

(იხ. გადაწყვეტილების 37-43-ე პუნქტები)

2. შეადგენდა თუ არა სადავო უფლება სამოქალაქო უფლებას

სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა "სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების" ცნებისათვის მიეცა ზოგადი განსაზღვრება. მან შეაჯამა ბელგიაში ადვოკატის პროფესიის განსაკუთრებული თავისებურებები, ვინაიდან სადავო საკითხი განუყოფლად იყო დაკავშირებული სწორედ ამ პროფესიასთან.

(იხ. გადაწყვეტილების 44-45-ე პუნქტები)

შეჯამებამ გამოავლინა საჯარო სამართლის მახასიათებელი ნიშნები.

- ბელგიის სახელმწიფომ თავად განსაზღვრა ადვოკატურების ორგანიზაციის წესი და ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პირობები (საქმიანობის დაწყება, უფლებები და მოვალეობები და ა.შ.). სახელმწიფოს ამ შემთხვევაში ჩარევა არ შეიძლება საკმარისი ყოფილიყო იმის დასადგენად, რომ მოცემული უფლება სამოქალაქო ხასიათის იყო.

- მართლმსაჯულების განსახორციელებლად ადვოკატები თავიანთი მონაწილეობით ებმებოდნენ საჯარო სამსახურის მუშაობაში. ადვოკატურის ზოგიერთი ფუნქციიდან გამომდინარე, იგი, ფაქტობრივად, სასამართლო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ არ არსებობდა თანმხლები სოლიდარული ან ინდივიდუალური დაქვემდებარება ქვეყნის სასამართლოებისადმი, ხოლო ადვოკატთა საბჭო სრულად იყო პასუხისმგებელი თავისი რეესტრისა და დისციპლინისათვის.

(იხ. გადაწყვეტილების 46-ე პუნქტი)

ამიტომ მსჯელობა წარიმართა მე-6 მუხლის გამოყენების სასარგებლოდ.

- ადვოკატის პროფესია ტრადიციულად ერთ-ერთ დამოუკიდებელ პროფესიად ითვლებოდა. ადვოკატი პროფესიული საქმიანობის საკითხს წყვეტდა თავისი შეხედულებისამებრ. გარდა სასამართლოს

მიერ საქმის ოფიციალურად გადაცემისა, მას ჰყავდა კლიენტები, რომლებმაც იგი ამოირჩიეს ნებაყოფლობით და უშუალოდ. იგი გადასახადს აწესებდა თვითონ. ინსტრუქტაჟი მოქმედების თაობაზე, რომელიც მას კლიენტთან აკავშირებდა, წარმოადგენდა კერძოსამართლებრივ ურთიერთობას.

- ადვოკატის კანტორა და კლიენტურა შეადგენდა კერძო ინტერესებს და, როგორც ასეთი, ექცეოდა საკუთრების უფლების ფარგლებში.

- ადვოკატები ასრულებდნენ მნიშვნელოვან სასამართლოსგარეშე ფუნქციებს (გამოდიოდნენ კონსულტანტის, მომრიგებლისა და თვით არბიტრის სახით), რომელთაც სასამართლო წარმოებასთან ხშირად არავითარი კავშირი ჰქონდათ.

(იხ. გადაწყვეტილების 47-ე პუნქტი)

სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბელგიაში ადვოკატის პროფესიის სხვადასხვა ასპექტი სადავო უფლებას ანიჭებდა სამოქალაქო უფლების ხასიათს, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, რომელიც, შესაბამისად, უნდა გამოეყენებინათ.

(იხ. გადაწყვეტილების 48-ე პუნქტი და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

B. შესრულება

ვინაიდან ადვოკატთა საბჭოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, სასამართლომ გამოარკვია, ისარგებლა თუ არა H-მა საბჭოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. აღნიშნულ საქმეზე არ წამოჭრილა დავა იმის თაობაზე, იყო თუ არა საბჭო "კანონის შესაბამისად შექმნილი" და განიხილა თუ არა მან საქმე "გონივრულ ვადაში".

ადვოკატთა საბჭო ასრულებდა მრავალ ფუნქციას - ადმინისტრაციულს, მარეგულირებელს, გადაწყვეტილების მიღების, საკონსულტაციოსა და დისციპლინურს. სასამართლოს აზრით, უფლებამოსილებათა ამგვარი სიმრავლე, თავისთავად, ხელს ვერ შეუშლიდა დაწესებულებას შეესრულებინა "სასამართლოს" როლი ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით. მაგრამ ადვოკატთა საბჭო H-თან მიმართებაში ახორციელებდა სასამართლო ფუნქციას, რაც სცდებოდა მის დისციპლინურ უფლებამოსილებებს.

(იხ. გადაწყვეტილების 49-50-ე პუნქტები)

საუბარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ადვოკატთა საბჭოს წევრების მიუკერძოებლობაზე: ისინი არჩეული იყვნენ ადვოკატების მიერვე და ანგარიშვალდებული იყვნენ მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მისთვის წარდგენილ მტკიცებულებათა შორის ვერ აღმოაჩინა მათ პირად მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. მან საჭიროდ არ მიიჩნია მოსაზრების გამოთქმა საბჭოს სტრუქტურული დამოუკიდებლობის შესახებ.

(იხ. გადაწყვეტილების 51-52-ე პუნქტები)

მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს შეეძლო ადვოკატის დახმარებით ესარგებლა და ჰქონდა პირადად გამოცხადების შესაძლებლობა, როდესაც განიხილებოდა მისი განცხადება აღდგენის შესახებ, მისთვის ძალზე რთული იყო განსაკუთრებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა და, ზოგადად, საქმის ირგვლივ ეფექტიანი მსჯელობა. ამავე დროს, მას ჰქონდა მიზეზი ევარაუდა, რომ მოეპყრობოდნენ თვითნებურად, განსაკუთრებით იმიტომ, რომ არ არსებობდა რაიმე დებულება, რომელიც მას გასაჩივრების უფლებას მიანიჭებდა, ხოლო ანტვერპენის ადვოკატურას, ამასთან დაკავშირებით, არ გააჩნდა რაიმე შიდაპროცედურული წესი. პროცედურული დაცვის საშუალებათა უკმარისობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ სიმძიმის გათვალისწინებით, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნიდა უფლებაჩამორთმეული ადვოკატის რეესტრში აღდგენის ცდის დროს, აგრეთვე, "განსაკუთრებული გარემოებების" არაზუსტ ხასიათს, რამაც დამატებით დაამძიმა სადავო გადაწყვეტილებების შესაბამისი მოტივირება.

(იხ. გადაწყვეტილების 53-ე პუნქტი)

H-ის განცხადებები არ განხილულა საჯაროდ, არც ადვოკატთა საბჭოს გადაწყვეტილებები "გამოცხადებულა" საჯაროდ. აღნიშნულ საქმეზე არ არსებობდა ისეთი გარემოებები, რომლებიც დაასაბუთებდა განხილვის დახურული წესით ჩატარებას. ამასთანავე, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ გამომდინარეობდა, რომ H-ი აპირებდა საჯარო განხილვის უფლებაზე უარის თქმას. მას არ შეიძლება დაბრალდეს ისეთი უფლების განხორციელების არმოთხოვნა, რომელიც ბელგიური ადვოკატურების პრაქტიკით არ ენიჭებოდა და რომელიც უზრუნველყოფის მეტად მწირი შესაძლებლობით ხასიათდებოდა.

(იხ. გადაწყვეტილების 54-ე პუნქტი)

მოკლედ რომ ვთქვათ, დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

(იხ. გადაწყვეტილების 55-ე პუნქტი და ოპერაციული დებულებების მეორე ნაწილი)

II. ᲛᲣᲮᲚᲘ 50

A. ᲖᲐᲠᲐᲚᲘ

მატერიალურ ზარალთან დაკავშირებით, არსებული მტკიცებულებებით არ ხერხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა კონვენციის დარღვევასა და H-ის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას შორის.

მეორე მხრივ, მომჩივანს მიადგა არამატერიალური ზიანი, რისთვისაც სასამართლომ, პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, მას მიაკუთვნა 250 ათასი ბელგიური ფრანკი.

(იხ. გადაწყვეტილების 57-60-ე პუნქტები და ოპერაციული დებულებების მესამე ნაწილი)

B. ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ

აღნიშნულ საქმეზე მხედველობაში მისაღებია მხოლოდ კომისიასა და სასამართლოში წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები და გადასახადები. სასამართლომ იურიდიული მომსახურების ხარჯები, მგზავრობისა და არსებობის საშუალებათა ხარჯები შეაფასა 100 ათას ბელგიურ ფრანკად.

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე, წესების 50-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ბ-ნი ჟ. კრემონა (მალტა), ბ-ნი თორ ვილიამსონი (ისლანდია), ბ-ნი გ. ლაგერგრენი (შვედეთი), ბ-ნი ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ბ-ნი ფ. მატშერი (ავსტრია), ბ-ნი პინეირო ფარინა (პორტუგალია), ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი (საფრანგეთი), ბ-ნი ბ. ვალში (ირლანდია), სერ ვინსენტ ევანსი (ბრიტანეთი), ბ-ნი რ. მაკდონალდი (კანადა), ბ-ნი კ. რუსო (იტალია), ბ-ნი რ. ბერნჰარდტი (გერმანია), ბ-ნი ჟ. გერსინგი (დანია), ბ-ნი ა. შპილმანი (ლუქსემბურგი), ბ-ნი ჟ. დე მეიერი (ბელგია), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

ჰაუსშილდტის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 24 მაისი, 1989 წელი

1989 წლის 24 მაისს, სტრასბურგში ჰაუსშილდტის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება დანიის წინააღმდეგ. სასამართლომ თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ განაცხადა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ვინაიდან იმ სასამართლოების მიუკერძოებლობა, რომლებმაც გაასამართლეს ბ-ნი ჰაუსშილდტი, შეიძლებოდა საეჭვოდ მიჩნეულიყო. 50-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ მას ერთსულოვნად მიაკუთვნა 20 ათასი გირვანქა სტერლინგი მის ხარჯებსა და დანახარჯებთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა როლფ რისდალმა.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

ბ-ნი ჰაუსშილდტი დააპატიმრეს 1980 წლის 31 იანვარს და ბრალი დასდეს ეკონომიკურ დანაშაულებში. კოპენჰაგენის ქალაქის სასამართლოს მოსამართლემ მას დროებითი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ მისი დაკავება ექვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს არა უმეტეს ოთხი კვირის ინტერვალებით. მომჩივანი უწყვეტად იმყოფებოდა პატიმრობაში როგორც სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ისე მთელი პროცესის განმავლობაშიც.

დროებითი დაკავების გახანგრძლივების შესახებ ბრძანებების უმეტესობა, რომლებიც ეფუძნებოდა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კანონის 762 (1) და (2) ნაწილებს, გაცემული იყო ქალაქის სასამართლოს იმ მოსამართლის მიერ, რომელმაც შემდგომში მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში. 1982 წლის 1 ნოემბერს ბ-ნი ჰაუსშილდტი დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მომჩივანმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა. სააპელაციო სამართალწარმოებამდე და მის განმავლობაში, 762 (1) და (2) ნაწილის საფუძველზე, მიღებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება მისი დროებითი პატიმრობის გაგრძელების შესახებ ზემდგომი სასამართლოს ერთერთი მოსამართლის მიერ, რომელმაც განიხილა სააპელაციო საჩივარი. 1984 წლის 2 მარტს ზემდგომმა სასამართლომ დაადასტურა ბ-ნი ჰაუსშილდტის ბრალეულობა რვიდან ექვსი ხმით და მომჩივანს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

B. საქმის წარმოება კომისიაში

კომისიაში საჩივარი შევიდა 1980 წლის 26 აგვისტოს. 1986 წლის 9 ოქტომბერს კომისიამ საჩივარი მისაღებად გამოაცხადა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში, მაგრამ უარყო ყველა სხვა მოთხოვნა.

1987 წლის 16 ივლისის მოხსენებაში კომისიამ ცხრა ხმით შვიდის წინააღმდეგ გამოთქვა მოსაზრება, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

კომისიამ საქმე გადასცა სასამართლოს 1987 წლის 16 ოქტომბერს.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

A. წინასწარი პროტესტი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოუწურაობის შესახებ

1. სასამართლომ უარყო მთავრობის წინასწარი პროტესტი იმის თაობაზე, რომ ბ-ნ ჰაუსშილდტს არ გაუსაჩივრებია ქალაქის სასამართლოს მოსამართლისა და ზემდგომი სასამართლოს მოსამართლეების მოქმედება, ანუ არ ამოუწურავს დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. მხედველობაში მიიღო რა შესაბამისი კანონმდებლობის დებულებები და დანიაში დამკვიდრებული პრაქტიკა, სასამართლომ გამოარკვია, რომ დაცვის მხარის წარმომადგენელს შეეძლო საფუძვლიანად ევარაუდა, რომ მისი ნებისმიერი პროტესტი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ცალკეულმა მოსამართლეებმა რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღეს სასამართლო პროცესის დაწყებამდე, თავიდანვე განწირული იყო უშედეგო დასასრულისათვის.

(იხ. გადაწყვეტილების 39-42-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

B. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საქართველოში დარღვევა

2. სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ამოცანას შეადგენდა არა შესაბამისი კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადასინჯვა, არამედ იმის გამორკვევა, დაირღვა თუ არა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იმ გზებით, რა სახითაც გამოიყენეს ისინი ან რა სახით მოახდინეს მათ ზეგავლენა ბ-ნ ჰაუსშილდტზე.

(იხ. გადაწყვეტილების 43-45-ე პუნქტები)

3. მიუკერძოებლობა უნდა დადგენილიყო როგორც სუბიექტური შემოწმებით (აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ცალკეული მოსამართლეების საკუთარი რწმენის საფუძველზე), ისე ობიექტური შემოწმებით (იმის დადგენით, უზრუნველყოფდა თუ არა მოცემული მოსამართლე საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ ამ საკითხში გამორიცხულიყო ყოველგვარი ეჭვი).

პირველი, სუბიექტურობის ტესტის შემოწმებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება აღნიშნული მოსამართლეების მხრივ რაიმე მიკერძოების გამოვლენისა.

(იხ. გადაწყვეტილების 46-47-ე პუნქტები)

4. ობიექტურობის ტესტის კვლევისას, სასამართლომ შეისწავლა, შეიძლებოდა თუ არა ისეთი ფაქტების დადგენა, რომლებიც ეჭვს შეიტანდა აღნიშნული მოსამართლეების მიუკერძოებლობაში. ამ მხრივ, თვით გარეგან გამოვლინებებს შეიძლება ჰქონოდათ გარკვეული მნიშვნელობა: საეჭვო იყო სწორედ ის ნდობა, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოებმა უნდა ჩაუნერგონ ხალხს და, უპირველეს ყოვლისა, - ვინაიდან საქმე ეხებოდა სისხლის სამართალწარმოებას - ბრალდებულს. იმის გადაწყვეტისას, აღნიშნულ საქმეზე არსებობდა თუ არა კანონიერი ეჭვი მოსამართლის არასაკმარისი მიუკერძოებლობის ვარაუდისათვის, სასამართლოს უნდა გამოერკვია, შეიძლებოდა თუ არა მომჩივანის ვარაუდის ობიექტურად დასაბუთება.

(იხ. გადაწყვეტილების 48-ე პუნქტი)

5. სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის პროცესის ისეთ სისტემაში, როგორიც დანიაშია, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლემ ან სააპელაციო მოსამართლემ მიიღო წინასაპროცესო გადაწყვეტილებები, დროებითი პატიმ-

რობის შესახებ გადაწყვეტილებათა ჩათვლით, არ შეიძლება მიჩნეულიყო მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით უარყოფითი ვარაუდის დასაბუთებად.

თუმცა, აღნიშნულ საქმეზე არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებმაც სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა გაანაპირობა. შესაბამისი სასამართლო წარმოების დაწყებამდე ქალაქის სასამართლოს მოსამართლემ და სააპელაციო მოსამართლემაც ბ-ნი ჰაუსშილდტის დროებითი პატიმრობის გადაწყვეტილებები უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კანონის 762(2) ნაწილის საფუძველზე მიიღეს. აღნიშნული დებულების გამოყენებამდე, მოსამართლე უნდა დარწმუნებულიყო, რომ არსებობდა "განსაკუთრებულად დადასტურებული ეჭვი", რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. ეს სიტყვები განმარტებულ იქნა როგორც ბრალთან "აშკარად გამოვლენილი მაღალი ხარისხის" მოთხოვნა. ამგვარად, განსხვავება ამ ნაწილის გამოყენებისას, გადასაწყვეტ საკითხებსა და გადაწყვეტილების გამოტანისას, გადასაწყვეტ საკითხებს შორის ნაკლებმნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული.

(იხ. გადაწყვეტილების 50-52-ე პუნქტები)

6. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ გარემოებებში აღნიშნული სასამართლოების მიუკერძოებლობა შეიძლებოდა საეჭვოდ მიჩნეულიყო, ხოლო მომჩივნის უარყოფითი ვარაუდი მიუკერძოებლობის თაობაზე - ობიექტურად დასაბუთებულად. ამგვარად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

(იხ. გადაწყვეტილების 52-53-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მეორე ნაწილი)

A. 50-ე მუხლის გამოყენება

7. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბ-ნი ჰაუსშილდტის მიერ კომპენსაციის მოთხოვნა. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, რომელზეც მიუთითებდა მომჩივანი, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მოთხოვნილსა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას შორის. რაც შეეხება არამატერიალური ხასიათის ზიანს, რომელზეც მომჩივანი მიუთითებდა, დარღვევის აღიარება უკვე თავად იყო ადეკვატური სამართლიანი ანაზღაურება.

(იხ. გადაწყვეტილების 55-58-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მეოთხე ნაწილი)

8. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა სტრასბურგის გარეთ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების შესახებ. კონვენციით გათვალისწინებულ დაწესებულებებში წარმოებისთვის სასამართლომ მას მიაკუთვნა 20 ათასი გირვანქა სტერლინგი, მოთხოვნილი 26 463-ის ნაცვლად.

(იხ. გადაწყვეტილების 59-63-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მესამე და მეოთხე ნაწილები)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე წესების 50-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგი შემადგენლობით;

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ბ-ნი ჟ. კრემონა (მალტა), ბ-ნი თორ ვილიამსონი (ისლანდია), ბ-ნი ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ბ-ნი ფ. მატშერი (ავსტრია), ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი (საფრანგეთი), ბ-ნი ბ. ვალში (ირლანდია), სერ ვინსენტ ევანსი (ბრიტანეთი), ბ-ნი რ. მაკდონალდი (კანადა), ბ-ნი კ. რუსო (იტალია), ბ-ნი რ. ბერნჰარდტი (გერმანია), ბ-ნი ა. შპილმანი (ლუქსემბურგი), ბ-ნი ჟ. დე მეიერი (ბელგია), ბ-ნი ნ. ვალტიკოსი (საბერძნეთი), ბ-ნი ს.კ. მარტენსი (ნიდერლანდი), ქ-ნი პალმი (შვედეთი), ად ჰოც მოსამართლე ბ-ნი მ. გომარდი, ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

ლანგბორგერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 22 ივნისი, 1989 წელი

1989 წლის 22 ივნისს, სტრასბურგში ლანგბორგერის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში შეედეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. მან ასევე აღნიშნა, რომ დარღვეული არ ყოფილა კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლები და პირველი ოქმის პირველი მუხლი. მოპასუხე სახელმწიფოს, 50-ე მუხლის საფუძველზე, დაეკისრა მომჩივნის სასარგებლოდ მისი ხარჯებსა და დანახარჯებთან დაკავშირებით გარკვეული თანხის გადახდა.

I. საქმის გარემოებები

A. ფაქტები

ბ-ნი როლფ ლანგბორგერი დაიბადა 1922 წელს. იგი შვეციის მოქალაქეა და ცხოვრობს სოლნაში, სტოკჰოლმის ახლოს. 1983 წელს მან მიმართა სტოკჰოლმის საგრაფოს საიჯარო ურთიერთობათა გადასინჯვის კოლეგიას (hyresnaemnden), ხოლო შემდეგ - ბინადრობისა და საიჯარო ურთიერთობების სასამართლოს (bostadsdomstolen) თხოვნით, რომ გაეუქმებინათ მის საიჯარო ხელშეკრულებაში არსებული დებულება (forhandlingsklausul). აღნიშნული დებულების თანახმად, საიჯარო ღირებულება განისაზღვრებოდა წინასწარ განსაზღვრულ მეიჯარეთა და მოიჯარეთა ასოციაციებს შორის შეთანხმებით. ბ-ნმა როლფ ლანბორგერმა იჩივლა ორიეე ორგანოში, რომლებიც შედგებოდა, ერთი მხრივ, პროფესიონალი მოსამართლეებისა და მეორე მხრივ, არაპროფესიონალი ასესორებისგან (intresselededamoeter). არც ერთმა ორგანომ არ დააკმაყოფილა ბ-ნი ლანგბორგერის საჩივრები და მოთხოვნები. ვინაიდან ბინადრობისა და საიჯარო ურთიერთობების საქმეების დროს სხდომა არ ჩატარებულა, მომჩივანს გადაწყვეტილებები გადაეცა წერილობით.

B. წარმოება ადამიანის უფლებათა კომისიაში

1984 წლის 7 სექტემბერს შეტანილი საჩივარი კომისიამ მისაღებად გამოაცხადა 1986 წლის 9 ივლისს. საქმის მორიგებით დასრულების უშედეგო ცდის შემდეგ კომისიამ 1987 წლის 8 ოქტომბერს მოამზადა მოხსენება, რომელშიც დაადგინა ფაქტები და ერთსულოვნად გამოხატა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ

- დარღვეულია კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები მიუკერძოებლობის თაობაზე;

- არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლები და პირველი ოქმის პირველი მუხლი;

- კონვენციის მე-13 მუხლზე დაფუძნებული მოთხოვნის ცალკე განხილვა აუცილებლობას არ წარმოადგენს, შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი ცალკე დადგინდეს, დაირღვა თუ არა საჯარო სხდომისა და გადაწყვეტილების საჯარო გამოცხადების შესახებ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

კომისიამ საქმე სასამართლოს გადასცა 1987 წლის 18 დეკემბერს.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

I. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი

B. "დამოუკიდებელი" სასამართლო

ბ-ნმა ლანგბორგერმა არსებითად გააპროტესტა საიჯარო ურთიერთობათა კოლეგიისა და ბინადრობისა და საიჯარო ურთიერთობათა სასამართლოს შემადგენლობა. მან განსაკუთრებით აღნიშნა არაპროფესიონალი ასესორების დასწრება, რომლებიც, მისი მტკიცებით, უარყოფითად ეკიდებოდნენ მის არგუმენტებს, ვინაიდან მათ ახლო კავშირი ჰქონდათ მეიჯარეებისა და მოიჯარეების ასოციაციებთან.

სასამართლომ განხილვა შემოფარგლა ბინადრობისა და საიჯარო ურთიერთობათა სასამართლოთი, როგორც უკანასკნელი სახელმწიფო ორგანოთი, რომელსაც უნდა დაედგინა სადავო ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები.

აღნიშნული სასამართლო შედგებოდა ორი პროფესიონალი მოსა-

მართლისა და ორი არაპროფესიონალი ასესორისაგან. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველის მიუკერძოებლობა სადავო არ იყო. რაც შეეხება არაპროფესიონალ ასესორებს, სასამართლომ რთულად მიიჩნია მოცემულ საქმეზე მიუკერძოებლობის საკითხის დამოუკიდებლობის საკითხისაგან გამოყოფა.

სასამართლომ შენიშნა, რომ, ძირითადად, არაპროფესიონალი ასესორები უაღრესად მაღალკვალიფიციური ალმოჩნდნენ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ მეიჯარეებსა და მოიჯარეებს შორის არსებული დავებისა და ამ დავებიდან წარმოშობილი სპეციფიკური საკითხების განხილვაში. მაგრამ, სასამართლომ აღიარა, რომ მოცემულ საქმეზე მათი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შეიძლებოდა საეჭვოდ მიჩნეულიყო.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ, მტკიცებულებათა არარსებობის გამო, არ არსებობდა მათ პირად მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

თუმცა, რაც შეეხება ობიექტურ მიუკერძოებლობასა და იმ საკითხს, მოქმედებდნენ თუ არა ისინი დამოუკიდებლად, სასამართლომ გამოარკვია, რომ ისინი დასახელებული იყვნენ ორი ასოციაციის მიერ და ახლო კავშირი ჰქონდათ მათთან. ამ უკანასკნელთ კი გააჩნდათ "შეთანხმების შესახებ დებულების" ბუნებრივი ინტერესი. ვინაიდან მომჩივანი საიჯარო ხელშეკრულებიდან დებულების ამოღებას ითხოვდა, მას კანონიერად შეეძლო ევარაუდა, რომ, არაპროფესიონალ ასესორებს საერთო ინტერესი ჰქონდათ მის წინააღმდეგ და რომ შესაბამისად, ბინადრობისა და საიჯარო ურთიერთობათა სასამართლოს შემადგენლობისათვის სხვა საქმეებზე დამახასიათებელი ინტერესთა შეუთავსებლობა ამოქმედდა, როდესაც დაისვა საკითხი მისი მოთხოვნის გადაწყვეტის შესახებ.

სასამართლოს შემადგენლობაში პროფესიონალი მოსამართლეების ყოფნას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა (ჩვიდმეტი ხმით სამის წინააღმდეგ).

(იხ. გადაწყვეტილების 29-36-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

I. კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლები

სასამართლომ გამოარკვია, რომ წამოჭრილი საკითხები არ შედიოდა აღნიშნული მუხლის მოქმედების სფეროში, რასაც მიუთითებდა მომჩივანი.

II. პირველი ოქმის პირველი მუხლი

სასამართლოს აზრით, მოიჯარეთა კავშირისთვის შეთანხმების პროცესში მის მიერ შესრულებული როლისათვის მცირე თანხის გადახდის ვალდებულება არ შეიძლება მიჩნეულ იყო ამ მუხლთან შეუსაბამობად.

(იხ. გადაწყვეტილების მე-40-41-ე პუნქტები და ოპერატიული დებულების მეორე ნაწილი)

III. კონვენციის მე-13 მუხლი

სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია საქმის განხილვა მე-13 მუხლის საფუძველზე, რომლის მოთხოვნებიც, მე-6 მუხლთან შედარებით, ნაკლებად მკაცრია. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენს (შესაბამისად, კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლებსა და პირველი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებაში), საჩივარში არ ყოფილა წამოჭრილი „სადავო" მოთხოვნა.

(იხ. გადაწყვეტილების 42-43-ე პუნქტები და ოპერატიული ნაწილის მესამე ნაწილი)

IV. მთლიანობაში აღებული მოთხოვნების შეფასება

ამით არ შეცვლილა ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა დასკვნა.

V. კონვენციის 50-ე მუხლი

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მიერ მოთხოვნილი კომპენსაცია უშუალოდ მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.

რაც შეეხება მოთხოვნილ მატერიალურ ზიანს, სასამართლომ შენიშნა, რომ არაფერი ამტკიცებდა იმას, რომ სხვადასხვა შემადგენლობის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა მომჩივნის სასარგებლოდ.

ვინაიდან ზიანი არამატერიალური ხასიათის იყო, მან აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის დარღვევის აღიარება უკვე თავისთავად იყო ამ მხრივ სამართლიანი ანაზღაურება.

ბოლოს, სამართლიანობის საფუძველზე შეფასების შემდეგ, მომჩივანს მიეკუთვნა 50 ათასი შვედური კრონა ადვოკატის ხარჯებისათვის და 13475 შვედური კრონა საერთო და მგზავრობის ხარჯებისათვის.

(იხ. გადაწყვეტილების 45-53-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მეოთხე და მეხუთე ნაწილები)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე, წესების 50-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგი შემადგენლობით -

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ბ-ნი ჟ. კრემონა (მალტა), ბ-ნი თორ ვილიამსონი (ისლანდია), ქ-ნი დ. ბინდ-შედლერ-რობერტი (შვეიცარია), ბ-ნი ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ბ-ნი ფ. მატშერი (აუსტრია), ბ-ნი ჟ. პინიერო ფარინა (პორტუგალია), ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი (საფრანგეთი), ბ-ნი ბ. ვალში (ირლანდია), სერ ვინსენტ ევანსი (ბრიტანეთი), ბ-ნი რ. მაკდონალდი (კანადა), ბ-ნი კ. რუსო (იტალია), ბ-ნი რ. ბერნჰარდტი (გერმანია), ბ-ნი ა. შპილმანი (ლუქსემბურგი), ბ-ნი ჟ. დე მეიერი (ბელგია), ბ-ნი ჟ.ა. კარილო სალცედო (ესპანეთი), ნ. ვალტიკოსი (საბერძნეთი), ბ-ნი ს.კ. მარტენსი (ნიდერლანდი), ქ-ნი პალმი (შვედეთი), ბ-ნი ი. ფუაგელი (დანია), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

გადაწყვეტილებას თან ერთვის სამი სხვადასხვა მოსაზრება.

ნორტიერი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 24 აგვისტო, 1993 წელი

1993 წლის 24 აგვისტოს, სტრასბურგში ნორტიერი ნიდერლანდის წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ერთსულოვნად განაცხადა, რომ მომჩივნის გასამართლება იმავე მოსამართლის მიერ, რომელმაც გადაწყვეტილებები მიიღო სასამართლოსწინა ეტაპზე, არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ–ნმა როლფ რისდალმა.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

ბ-ნი ერიკ ჰანს ნორტიერი, დაბადებული 1972 წელს, დააკავეს სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვის საფუძველზე 1987 წლის სექტემბრის ბოლოს. მან დანაშაული აღიარა პოლიციის წინაშე, რის შემდეგაც წინასწარ დაკავებაში დატოვეს.

1987 წლის 2 ოქტომბერს საჯარო ბრალმდებელმა მიდელბურგის არასრულწლოვანთა მოსამართლე M-ს მოსთხოვა დროებით პატიმრობაში აეყვანა მომჩივანი. მოსამართლემ მოთხოვნა დააკმაყოფილა და თანხმობა განაცხადა წინასწარი სასამართლო გამოძიების დაწყებაზე.

ვინაიდან დაცვის მხარეს ეშინოდა, რომ მომჩივანმა პოლიციის განყოფილებაში დანაშაული აღიარა იძულების გამო, მოსამართლეს სთხოვეს მოწმის მოსმენა. ნიდერლანდში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მან ჩვენების მიღების საქმე მიანდო სხვა მოსამართლეს. მან ასევე პატიმრობის პერიოდში მომჩივნის ფსიქიატრიული შემოწმება მოითხოვა.

მომჩივანი გამოიძახეს მოსამართლე M-თან სასამართლო სხდომაზე. 1988 წლის 5 იანვარს მან გაასაჩივრა მოსამართლე M-ის მოქმედება იმ საფუძვლით, რომ იგი არ იყო მიუკერძოებელი, რადგან მიიღო მის დაკავებასთან დაკავშირებული სასამართლოსწინა გადაწყვეტილებები. მოსამართლე M-მა საჩივარი არ დააკმაყოფილა. მისი გადაწყვეტილება, სააპელაციო გადაწყვეტილებით დაადასტურა, მიდელბურგის რეგიონალურმა სასამართლომ. 1988 წლის 25 იანვრის სხდომაზე მომჩივანმა აღიარა დანაშაული და მოთავსებულ იქნა არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებაში.

წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

1988 წლის 28 აპრილს კომისიაში შეტანილი საჩივარი მისაღებად გამოცხადდა 1991 წლის 9 ოქტომბერს.

საქმის მორიგებით დასრულების უშედეგო ცდის შემდეგ, კომისიამ, 1992 წლის 9 ივლისს, შეადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოაყალიბა ფაქტები და გამოთქვა მოსაზრება, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა, (თორმეტი ხმით სამის წინააღმდეგ).

კომისიამ სასამართლოს საქმე გადასცა 1992 წლის 11 სექტემბერს.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

მომჩივანმა აღნიშნა, რომ მთელი წარმოების განმავლობაში, ე.ი. წინასასამართლო ეტაპზე და სასამართლო წარმოების დროს, მის საქმეს განიხილავდა არასრულწლოვანთა საქმეების ერთი და იგივე მოსამართლე, რომელმაც, შესაბამისად, მიიღო საქმესთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება. მომჩივანს ეჭვი არ შეუტანია მოსამართლის პირად მიუკერძოებლობაში, მაგრამ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ეს უკანასკნელი მოქმედებდა როგორც საგამოძიებო მოსამართლე და მომჩივნის დროებითი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ოთხჯერ. აქედან გამომდინარე, მომჩივანს ჰქონდა კანონიერი საფუძველი ეეარაუდა, რომ იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიუკერძოებელი.

მთავრობამ და კომისიამ განაცხადეს, რომ მომჩივანის ეარაუდი არ შეიძლება მიჩნეულიყო ობიექტურად და საფუძვლიანად.

სასამართლომ მიუთითა, რომ გადამწყვეტი იყო არა ეჭვმიტანილის სუბიექტური, თუმცა გასაგები, შიში, არამედ იმის მტკიცება, საქმის მოცემული გარემოებების მიხედვით შესაძლებელი იყო თუ არა მისი შიში მიჩნეულიყო ობიექტურად და საფუძვლიანად. ამ მხრივ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა მოსამართლემ მიიღო სასამართლოსწინა გადაწყვეტილებები, არ შეიძლება ჩაითვალოს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული შიშის ერთადერთ დასაბუთებად. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გადაწყვეტილებების მოქმედების სფეროსა და ხასიათს.

მომჩივნის დროებით დაკავებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გარდა, მას არ მიუღია სხვა სასამართლოსწინა გადაწყვეტილება, გარდა იმისა, რომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა მომჩივნის ფსიქიატრიული შემოწმების თაობაზე (რომელიც მომჩივანს არ გაუსაჩივრებია). მას სხვაგვარად არ გამოუყენებია თავისი, როგორც საგამომძიებო მოსამართლის, უფლებამოსილება. რაც შეეხება მის გადაწყვეტილებებს მომჩივნის დროებით დაკავებასთან დაკავშირებით, ისინი ასაბუთებენ მოსამართლის მიუკერძოებლობის საეჭვოობას მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული საქმის შემთხვევაში კითხვები, რომლებზეც მოსამართლეს პასუხი უნდა გაეცა აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად, განსხვავდებოდა იმ კითხვებისაგან, რომლებიც გადამწყვეტი იქნებოდა მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. მომჩივნის წინააღმდეგ "მნიშვნელოვანი საფუძვლების" არსებობის დადგენისას, მას დაჩქარებული წესით უნდა დაედგინა მხოლოდ ის, რომ ბრალდების მხარეს ჰქონდა *prima facie* საფუძველი მომჩივნის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებისათვის, მით უმეტეს, რომ მომჩივანმა ბრალდება აღიარა და ამ ეტაპზე ბრალდებას მხარს უჭერდა კიდევ დამატებითი მტკიცებულებები.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, რომელიც მას დახმარებას უწევდა საქმის წარმოების ყველა ეტაპზე. სასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივანს ჰქონდა გასაჩივრების შესაძლებლობა, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლე ხელახლა, სრული მოცულობით განიხილავდა საქმეს.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე მომჩივნის ვარაუდი, რომ არასრულწლოვანთა მოსამართლე არასაკმარისად მიუკერძოებელი იყო,

არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად დასაბუთებულად. შესაბამისად, სასამართლო მიიდა დასკვნამდე, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა.

ამ დასკვნიდან გამომდინარე, სასამართლომ არ ჩათვალა მიზანშეწონილად დაწვრილებით განეხილა საკითხი, უნდა გამოეყენებინათ თუ არა არასრულწლოვანის მონაწილეობით სისხლის სამართალწარმოების პროცესის მიმართ მე-6 მუხლი იმავე წესითა და პროცედურით, როგორც სრულწლოვანის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დროს.

(იხ. გადაწყვეტილების 30-38-მდე პუნქტები და ოპერატიული დებულება)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ბ-ნი თორ ვილიამსონი (ისლანდია), ბ-ნი ბ. ვალში (ირლანდია), ბ-ნი ჟ. დე მეიერი (ბელგია), ნ. ვალტიკოსი (საბერძნეთი), ბ-ნი ს.კ. მარტენსი (ნიდერლანდი), ბ-ნი ი. ფუაგელი (დანია), ბ-ნი ჟ.მ. მორენილა (ესპანეთი) და სერ ჯონ ფრილენდი (ბრიტანეთი), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

ორმა მოსამართლემ გადაწყვეტილებას დაურთო ზოგადი ხასიათის დამატებითი მოსაზრებები, რომლებიც მოცემულია გადაწყვეტილების დანართში.

გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: სარაივა დე კარვალო პორტუგალიის წინააღმდეგ

სტრასბურგი, 22 აპრილი, 1994 წელი

1994 წლის 22 აპრილს, სტრასბურგში სარაივა დე კარვალო პორტუგალიის წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ერთსულოვნად განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა. ლისაბონის სისხლის სამართლის სასამართლოს მეოთხე განყოფილება, რომელმაც დამნაშავედ ცნო მომჩივანი, წარმოადგენდა "მიუკერძოებელ სასამართლოს", მიუხედავად იმისა, რომ მისმა თავმჯდომარემ საქმისთვის პასუხისმგებელი მოსამართლის უფლებამოსილებით მანამდე გამოსცა despacho de pronuncia.

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა როლფ რისდალმა.

I. საქმის გარემოებები

A. მოპყარი ფაქტები

1984 წლის 10 ივნისს, მომჩივანი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო "FP 25 de Abril" სახელწოდებით ცნობილი ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრობასა და მის ხელმძღვანელობაში, დააკავეს და მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში ტერორისტული ორგანიზაციის შექმნისა და ხელმძღვანელობის ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის 288-ე მუხლი).

სასამართლო გამოძიება ჩაატარა ლისაბონის სისხლის სამართლის საგამოძიებო სასამართლოს მოსამართლემ. 1985 წლის 7 იანვარს, პროკურატურამ ოფიციალურად წარმოადგინა ბრალდებები. საქმის მასალები, ბრალდების მხარის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნასთან ერთად, გაიგზავნა ლისაბონის სისხლის სამართლის სასამართლოში. 1985 წლის 22 იანვარს, საქმისთვის პასუხისმგებელმა მოსამართლემ, ბ-ნმა სალვადომ გამოსცა despacho de pronuncia,

რომელიც ნაწილობრივ ეთანხმებოდა ბრალდებებს, განსაკუთრებით, ბრალდებებს ბ-ნი სარაივა დე კარვალოს წინააღმდეგ.

სხდომა შედგა 1985 წლის 7 ოქტომბერს ლისაბონის სისხლის სამართლის სასამართლოს მეოთხე განყოფილებაში, რომელიც შედგებოდა სამი მოსამართლისაგან და რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი სალვადო. სხდომის მეორე დღეს მომჩივანმა იჩივლა სააპელაციო სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ სისხლის სამართლის სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი, ვინაიდან despacho de pronuncia-ს გამოცემისას, ბ-ნი სალვადოს უკვე წინასწარ ჰქონდა შექმნილი მოსაზრება მომჩივნის ბრალის შესახებ, რამაც საქმის გარემოებებზე მსჯელობისას გარკვეული ზეგავლენა მოახდინა.

სისხლის სამართლის სასამართლომ საჩივარი მისაღებად გამოაცხადა და გადაწყვიტა გადაეცა იგი სააპელაციო სასამართლოსათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადებში.

1987 წლის 20 მაისს, სისხლის სამართლის სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, მიუსაჯა სამხედრო წესით თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა და მას და სხვა დამნაშავეებს დააკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ ერთი მილიარდი ესკუდოს გადახდა.

მომჩივანმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ლისაბონის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 1987 წლის 25 ნოემბერს საჩივარი არ დააკმაყოფილა და სასჯელის ზომა გაზარდა თვრამეტ წლამდე. 1988 წლის 22 ივნისს უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის სასჯელის ვადა შეამცირა ჩვიდმეტ წლამდე.

მომჩივანმა იჩივლა საკონსტიტუციო სასამართლოში, დაეყრდნო რა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს და მიუთითა ბ-ნი სალვადოს არასათანადო მიუკერძოებლობაზე. მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ 1989 წლის 15 თებერვალს საჩივრის ეს ნაწილი არ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ despacho de pronuncia განსხვავდებოდა ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი სისხლის სამართლის ბრალდებებისაგან და მიზნად ისახავდა იმ პირთა გასამართლებისა თავიდან აცილებას, რომელთა წინააღმდეგ არ არსებობდა *პრიმა ფაციე* საქმე. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, 1989 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკე განმარტა მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება.

საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

სტრასბურგი, 7 აპრილი, 1993 წელი

საჩივარი, რომელიც შეტანილია კომისიაში 1989 წლის 10 ოქტომბერს, 1992 წლის 19 მაისს მისაღებად გამოცხადდა სისხლის სამართლის სასამართლოს სავარაუდო არასათანადო მიუკერძოებლობის ნაწილში. საჩივრის დანარჩენი ნაწილი მიუღებლად გამოცხადდა 1990 წლის 17 მაისს.

საქმის მორიგებით დასრულების უშედეგო ცდის შემდეგ, კომისიამ 1993 წლის 14 იანვარს შეადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოაყალიბა ფაქტები და გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა (ცხრა ხმით რვის წინააღმდეგ).

საქმე სასამართლოს გადაეცა 1993 წლის 7 აპრილს.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

მთავრობის განცხადების თანახმად, მომჩივნის უარყოფითი ვარაუდი ბ-ნი სალვადოს მიუკერძოებლობის თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად დასაბუთებულად. მოსამართლე, რომელმაც გამოსცა despacho de pronuncia, სარგებლობდა სრული თავისუფლებით სხდომაზე საქმის გარემოებების შესახებ საკუთარი დასკვნის გამოსატანად, შეჯიბრებითობის პრინციპით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ მე-6 მუხლის მიზნებისათვის მიუკერძოებლობის არსებობა უნდა დადგინდეს სუბიექტური ტესტით, ე.ი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ცალკეული მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე და ობიექტური ტესტით, ე.ი. იმის დადგენით, ჰქონდა თუ არა მოსამართლეს ამ საკითხში კანონიერი ეჭვის გამორიცხვისთვის საკმარისი გარანტია.

ბ-ნი სალვადოს პირადი მიუკერძოებლობის წინააღმდეგ პროტესტი არ გამოთქმულა. მეორე ტესტის მიხედვით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლეს უკვე სხდომამდე ჰქონდა გადაწყვეტილებები მიღებული, არ შეიძლება ჩაითვალოს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირე-

ბული ეჭვის დასაბუთებად. მნიშვნელობა ჰქონდა მოსამართლის მიერ სხდომამდე გატარებული ღონისძიებების მოქმედების სფეროსა და ხასიათს.

მოცემული საქმე განსხვავდებოდა პირსეკის საქმისგან (1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A, № 53) და დე კუბერის საქმისაგან (1984 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A, № 86) იმ მოსამართლეთა მიერ შესრულებული ფუნქციების ხასიათით, რომელთაც საქმე განიხილეს სხდომამდე. despacho-ს შედგენისას, ბ-ნი სალვადო მოქმედებდა მეოთხე განყოფილების მოსამართლის უფლებამოსილებით. მას არავითარი ღონისძიება მიუღია საგამოძიებო ან სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით. მის მიერ საქმის დაწვრილებით ცოდნა არ ნიშნავდა, რომ მას შეექმნა ისეთი უარყოფითი მოსაზრება, რის ზეგავლენითაც იგი მიუკერძოებელი ვერ იქნებოდა სხდომაზე საქმის განხილვისას. მისი ფუნქცია საქმის წარმოების საწყის ეტაპზე მდგომარეობდა არა იმაში, რომ დარწმუნებულიყო "განსაკუთრებულად დადასტურებული ეჭვის არსებობაში", არამედ *prima facie* მტკიცებულების არსებობაში.

ბ-ნი სალვადოს მიერ არსებული მტკიცებულებების წინასწარი შეფასება არ შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ ფორმალურად ბრალის დადგენად.

ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილება გაამართლებდა მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებულ უარყოფით ვარაუდს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულ საქმეზე ბ-ნი სალვადოს არ გაუკეთებია რაიმე ნაჩქარევი შეფასება, რაც გადამწყვეტ ზეგავლენას იქონიებდა საქმის გარემოებების შესახებ მისი მოსაზრების ჩამოყალიბებაზე. მან ჩაატარა მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის შემოწმება, რის შედეგადაც არ გამოვლინდა ისეთი ფაქტები, რომლებიც იმოქმედებდა მომჩივნის გათავისუფლების სასარგებლოდ.

ბოლოს, ბ-ნი სალვადოს მონაწილეობას 1987 წლის გადაწყვეტილების მიღებაში ხელი არ შეუშლია სისხლის სამართლის სასამართლოს მეოთხე განყოფილების მიუკერძოებლობისთვის, რადგან მომჩივნის უარყოფითი ვარაუდი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ობიექტურად დასაბუთებულად. აქედან გამომდინარე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა.

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ფ. გულჩუღლუ (თურქეთი), ა. შპილმანი (ლუქსემბურგი), ბ-ნი ს.კ. მარტენსი (ნიდერლანდი), ბ-ნი ი. ფუაგელი (დანია), ბ-ნი ბიგი (სენტ-მარინე), ბ-ნი ა.ბ. ბაკა (უნგრეთი), ბ-ნი ა. ლოპეს როჩა (პორტუგალია) და ჟ. მაკარჩიკი (პოლონეთი), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე: საბერძნეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "STRAN"-ი და სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ

სტრასბურგი, 9 დეკემბერი, 1994 წელი

1994 წლის 9 დეკემბერს, სტრასბურგში საბერძნეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "Stran"-ი და სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ერთსულოვნად განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი დარღვეულია სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლების მხრივ, მაგრამ არა საქმის წარმოების ხანგრძლივობასა და პირველი ოქმის პირველ პუნქტთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნმა როლფ რისდალმა.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

1972 წლის 22 ივლისს, საბერძნეთის სახელმწიფოსა და ბ-ნ ანდრეადისს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამ უკანასკნელმა ვალდებულება აიღო აეშენებინა და იმ კომპანიის მეშვეობით, რომელიც შემდგომში შეიქმნებოდა, აემუშავებინა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ქ. მეგარაში. სახელმწიფომ, რომელმაც აიღო იმ მიწის შეძენის ვალდებულება, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ქარხანა, ხელშეკრულების კანონიერი ძალა აღიარა დეკრეტით, რომელიც გამოქვეყნდა ოფიციალურ გაზეთში, მაგრამ ვალდებულება არ შეასრულა.

1977 წლის 14 ოქტომბერს, მთავრობამ ხელშეკრულება შეწყვიტა სამხედრო რეჟიმის დროს დადებული პრეფერენციული ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ კანონის (№ 141 (1975) საფუძველზე.

კომპანია "Stran-მა" საქმე აღძრა ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოში განვლილი პერიოდის განმავლობაში მის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. სახელმწიფომ განაცხადა, რომ სასამართლოს არ გააჩნდა აღნიშნულ საქმეზე იურისდიქცია და საქმე გადასცა არბიტრაჟს, სადაც საქმის წარმოება მომჩივნების სასარგებლოდ დასრულდა 1984 წლის 27 თებერვალს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება აცხადებდა, რომ "Stran-ის" მოთხოვნები დასაბუთებული იყო იმ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც არ აღემატება 116 273 442 დრაჰმას, 16 054 165 აშშ დოლარს და 614 627 ფრანგულ ფრანკს. 1985 წლის 2 მაისს, სახელმწიფომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ მოტივით, რომ ხელშეკრულებაში არბიტრაჟის შესახებ დათქმა გაუქმებული იყო და, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებაც ძალადაკარგულად და ბათილად ითვლებოდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო 1986 წლის 4 ნოემბერს, - ათენის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანეს სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ.

1987 წლის 25 მაისს, როდესაც საქმეს იხილავდა საკასაციო სასამართლო და მომხსენებელ მოსამართლეს მხარეებისათვის საკუთარი მოსაზრება გაგზავნილი ჰქონდა (მომჩივანთა სასარგებლოდ), პარლამენტმა მიიღო კანონი (№ 1701/1987), რომლის თანახმადაც, სამხედრო რეჟიმის დროს დადებულ პრეფერენციულ ხელშეკრულებებში არსებული ყველა დებულება, ასევე, არბიტრაჟის შესახებ ჩაითვალა გაუქმებულად და ამასთან დაკავშირებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები - ძალადაკარგულად და ბათილად. კანონი ასევე აცხადებდა, რომ ასეთი ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად წარმოშობილი დავა კანონით დაუშვებლად იყო მიჩნეული.

1989 წლის 16 მარტს, საკასაციო სასამართლომ სრული შემადგენლობით № 1701/1987 კანონი კონსტიტუციურად გამოაცხადა.

B. საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

საჩივარი შეტანილია კომისიაში 1987 წლის 20 ნოემბერს. იგი მისაღებად გამოცხადდა 1991 წლის 4 იელისს.

საქმის მორიგებით დასრულების უშედეგო ცდის შემდეგ, კომისიამ

1993 წლის 14 იანვარს შეადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოაყალიბა ფაქტები და გამოთქვა შემდეგი მოსაზრება:

(a) დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სასამართლოს მიერ სამართლიანი განხილვის უფლებაზე (ერთსულოვნად), მაგრამ არა საქმის წარმოების ხანგრძლივობაზე (თორმეტი ორის წინააღმდეგ)

(b) დარღვეულია პირველი ოქმის პირველი მუხლი (ერთსულოვნად).

კომისიამ სასამართლოს საქმე გადასცა 1993 წლის 12 ივლისს.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

I. მთავრობის წინასწარი პროტესტი

მთავრობას უარი ეთქვა მიეთითებინა მომჩივნების მიერ სახელმწიფოს შიდა დაცვის საშუალებების ამოუწურაობაზე, რადგან მან კომისიას საკმაოდ გასაგებად ვერ განუმარტა, თუ ეფექტიანი დაცვის რომელ საშუალებებს არ მიმართეს მომჩივნებმა.

(იხ. გადაწყვეტილების 31-36-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

II. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

A. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების დასაშვებობა

სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის უფლება - ამოელო საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხა, წარმოადგენდა "სამოქალაქო უფლებას" მე-6 მუხლის გაგებით, მიუხედავად იმისა, თუ რა ხასიათის იყო ბერძნული კანონმდებლობის მიხედვით მომჩივნებსა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება. შემდეგ, სასამართლომ განაცხადა, რომ შედეგს იმ საქმის წარმოებისა, რომელიც სახელმწიფომ აღძრა, ჩეეულებრივ, სასამართლოებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა "სამოქალაქო უფლების" თვალსაზრისით. შესაბამისად, დასაშვები იყო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება.

(იხ. გადაწყვეტილების 37-41-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მეორე ნაწილი)

B. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესრულება

1. სამართლიანი სასამართლო პროცესი

სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ საქმის წარმოებას, რომელიც აღდგა №1701/1987 კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, როდესაც საქმე განხილვის პროცესში იყო საკასაციო სასამართლოში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოწმების თვალსაზრისით. მაგრამ იმის შესაფასებლად, ჰქონდათ თუ არა მომჩივნებს სამართლიანი პროცესი ამ სასამართლოში, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული წინა საქმის წარმოება, მისი განხილვის საგანი და მხარეთა დამოკიდებულება.

№1701/1987 კანონის მიღება უდავოდ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არბიტრაჟის შესახებ დებულებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების დროს, რომელიც კანონის მიღებამდე სახელმწიფოს წინააღმდეგ წარიმართა.

ევროპის საბჭოში 1974 წლის 28 ნოემბერს ხელახლა გაწევრიანდა რა და მოახდინა რა კონვენციის რატიფიკაცია, საბერძნეთმა ვალდებულება აიღო პატივი ეცა კანონის უზენაესობის პრინციპისათვის, რაც გამოხატულებას ჰპოვებს, inter alia, კონვენციის მე-6 მუხლში. სამართალწარმოების დროს, რომელიც შეეხებოდა კერძო ინტერესების სახელმწიფოსათვის დაპირისპირებას, დაცვის საშუალებათა თანასწორობა, რომელიც სამართლიანი სასამართლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, გულისხმობდა, რომ თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს მისი საქმე ისეთი პირობების საფუძველზე, რომლებიც მას თავის ოპონენტთან უთანასწორო მდგომარეობაში არ აყენებს.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ გაითვალისწინა №1701/1987 კანონის მე-12 მუხლის მიღების დრო და ფორმა. მან შენიშნა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების ჩარევა მოხდა მაშინ, როდესაც სამართალწარმოების პროცესი, რომლის მონაწილეცაა სახელმწიფო, ჯერ არ იყო დასრულებული.

კანონის უზენაესობის პრინციპი და სამართლიანი პროცესის ცნება კრძალავს მართლმსაჯულების განხორციელებაში საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერ ისეთ ჩარევას, რომლის მიზანია სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის ბედზე ზეგავლენის მოხდენა.

ჩაერია რა ისეთი ფორმით, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა მისი მონაწილეობით მიმდინარე სამართალწარმოების შედეგის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სახელმწიფომ დაარღვია მომჩივნის უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია მე-6 მუხლის პირველი პუნქტით.

(იხ. გადაწყვეტილების 42-50-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-3 ნაწილი)

2. სამართალწარმოების ხანგრძლივობა

მომჩივნებმა განაცხადეს, რომ სამართალწარმოებისას მოხდა "გონივრული ვადის" გადაჭარბება.

დროის პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, მოიცავდა ოთხ წელიწადს, ოთხ თვესა და ოც დღეს.

საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში გაგრძელდა სამ წელზე მეტ ხანს, მაგრამ ეს ხანგრძლივობა გამართლებულია №1701/1987 კანონის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებების მხედველობაში მიღების საჭიროების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა.

(იხ. გადაწყვეტილების 51-56-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-4 ნაწილი)

III. პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევა

1. იყო თუ არა "მფლობელობა" პირველი მუხლის გაგებით

სასამართლომ აღნიშნა, რომ 1984 წლის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ნათლად აღიარა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები კონკრეტული თანხის ოდენობათა განსაზღვრით სამი სახის ვალუტით. სასამართლოს ფუნქციებში არ შედის ამ გადაწყვეტილების არსებითი ნაწილის ჭეშმარიტების დადასტურება ან უარყოფა. თუმცა იგი ვალდებულია მხედველობაში მიიღოს ის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელშიც მხარეები ამ გადაწყვეტილების შედეგად აღმოჩნდნენ.

გადაწყვეტილების ტექსტის თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება

საბოლოო და სავალდებულოა. იგი არ მოითხოვდა სხვა აღსრულებით ღონისძიებებს და კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მის გასაჩივრებას ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული წესით. ბერძნული კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს საბოლოო გადაწყვეტილების ძალა ჰქონდა და აღსრულებას ექვემდებარებოდა.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხის მიღების უფლება, როგორც წესი, არ იყო უდავო ხასიათის, მაგრამ ჩვეულებრივმა სასამართლოებმა ორჯერ დაადასტურეს, რომ არ არსებობდა ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული უფლება წარმოადგენდა "მფლობელობას" პირველი ოქმის პირველი მუხლის გაგებით.

(იხ. გადაწყვეტილების 57-62-ე პუნქტები)

2. მოხდა თუ არა ხელყოფა

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებისთვის შეუძლებელი იყო საბოლოო ძალის მქონე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა იმ დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც მომჩივნებმა გასწიეს მათთვის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მომჩივნებისათვის შეუძლებელი იყო სასამართლოების მეშვეობით რაიმე ზომის მიღება აღნიშნული თანხის ამოღების მიზნით. აქედან გამომდინარე, მოხდა მომჩივანთა საკუთრების უფლების ხელყოფა.

(იხილეთ გადაწყვეტილების 63-67-ე პუნქტები)

3. იყო თუ არა ხელყოფა გამართლებული

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბერძნული სამართლის სისტემა აღიარებდა საარბიტრაჟო დათქმების ავტონომიურობის პრინციპს - ხოლო ათენის პირველი ინსტანციის სასამართლომ, ათენის სააპელაციო სასამართლომ და საკასაციო სასამართლოს მომსსენებელმა მოსამართლემ აღნიშნულ საქმეზე ეს პრინციპი გამოიყენეს. გარდა ამისა, ორმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი მომჩივნების მოთხოვნები არ იყო კანონიერად დაუსაბუთებელი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება გადაეხადა მომჩივნებისათვის თანხა, რომელიც მას დაეკისრა საარბიტრაჟო პროცედურის შედეგად. ეს უკანასკნელი პროცედურა კი, სახელმწიფომ თავად აირჩია და მისი კანონიერება აღიარებული იყო საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვამდე.

გადაწყვიტა რა საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების ამ ეტაპზე ჩარეულიყო ისეთი კანონის მეშვეობით, რომელმაც გამოიწვია ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა საარბიტრაჟო დათქმის ბათილად გამოცხადებისა და 1984 წლის 27 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით, საკანონმდებლო ხელისუფლებამ მომჩივნების საზიანოდ დაარღვია ბალანსი საკუთრების უფლების დაცვასა და საჯარო ინტერესის მოთხოვნებს შორის.

აქედან გამომდინარე, დაირღვა პირველი ოქმის პირველი მუხლი.

(იხილეთ გადაწყვეტილების 68-75-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-5 ნაწილი)

IV. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენება

A. მატერიალური ზიანი

სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ოპერატიულ ნაწილში ნათქვამია: "Stran-ის" მოთხოვნა დაუსაბუთებელია, თუ იგი აჭარბებს 116 273 442 დრაჰმას, 16 054 165 აშშ დოლარს და 614 627 ფრანგულ ფრანკს. მხედველობაში მიიღო რა თავისი გადაწყვეტილება პირველი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ ანაზღაურება ზემოაღნიშნული ოდენობით.

გარდა ამისა, მან გაითვალისწინა, რომ მომჩივნებს ასევე უნდა მიკუთვნებოდათ აღნიშნული თანხის 6 პროცენტი 1984 წლის 27 თებერვლიდან გადაწყვეტილების გამოტანის თარიღამდე განვლილი პერიოდისთვის.

B. ხარჯები და დანახარჯები

შეაფასა რა პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე და ამ სფეროში მის მიერ გამოყენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მომჩივანთა თავდაპირველ

მოთხოვნაში მითითებული თანხის შემცირება. სასამართლომ მათ მიაკუთვნა 125 000 გირვანქა სტერლინგი, პროცენტის დარიცხვის გარეშე.

(იხ. გადაწყვეტილების 76-78-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მე-6 და მე-7 ნაწილები)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ბ-ნი ბ. ვალში (ირლანდია), ბ-ნი რ. მაკდონალდი (კანადა), ბ-ნი კ. რუსო (იტალია), ნ. ვალტიკოსი (საბერძნეთი), ბ-ნი ს.კ. მარტენსი (ნიდერლანდი), ბ-ნი რ. პეკანენი (ფინეთი), ბ-ნი ფ. ბიგი (სენტ-მარინე) და ბ-ნი ლ. ზილდჰაბერი (შვეიცარია), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

გადაწყვეტილება. გამოტანილი საქმეზე: დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ

სტრასბურგი, 26 აგვისტო, 1997 წელი

1997 წლის 26 აგვისტოს, სტრასბურგში დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ განაცხადა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იმის გამო, რომ მომჩივნის საქმე არ განუხილავს "მიუკერძოებელ სასამართლოს".

გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა როლფ რისდალმა.

I. საქმის გარემოებები

A. მთავარი ფაქტები

მომჩივანი ნიდერლანდების მოქალაქეა და ცხოვრობს უდე პეკელაში.

ქ-ნი დე ჰაანი მუშაობდა ქიმწმენდაში. გარკვეული დროის განმავლობაში, 1989-იდან 1990 წლამდე, იგი ვერ აკმაყოფილებდა სამუშაოსთვის ვარგისიანობის მოთხოვნებს. ამ პერიოდში იგი იღებდა ავადმყოფის დახმარებას. 1990 წლის 14 მაისს, ქიმიური მრეწველობის პროფესიულმა ასოციაციამ დაადგინა, რომ ქ-ნ დე ჰაანს შეეძლო მუშაობის განახლება. შესაბამისად, მან დაკარგა ავადმყოფის დახმარების მიღების უფლება.

ქ-ნმა დე ჰაანმა ეს დადგენილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. იგი შეამოწმა მუდმივმოქმედმა სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც დაადგინა მისი სამუშაოსათვის ვარგისიანობა. ამ დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მოქმედმა თავმჯდომარემ, მოსამართლე შ-მა, არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი ზეპირი განხილვის გარეშე საქმის წარმოების გამარტივებული წესით წარმართვაზე.

ქ-ნმა დე ჰაანმა მოქმედი თავმჯდომარის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. ამავე დროს, მან მოითხოვა, რომ მოსამართლე შ-ს აღარ მიეღო მონაწილეობა საქმის შემდგომ წარმოებაში. მაგრამ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქმის შემდგომი წარმოების შედეგად, რომელშიც მომჩივანი წარმოდგენილი იყო ადვოკატის მიერ, საჯარო სხდომის ჩათვლით, სააპელაციო სასამართლომ, მოსამართლე შ-ის თავმჯდომარეობითა და ორი არაპროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, ასევე არ დააკმაყოფილა ქ-ნი დე ჰაანის საჩივარი.

შემდეგ, მან იჩივლა ცენტრალურ სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, inter alia, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ვინაიდან მოსამართლე შ-მა ჯერ გადაწყვეტილება მიიღო მისი საჩივრის თაობაზე, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიიღო ამ საჩივრის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანაში. 1993 წლის 26 აპრილს მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

B. საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში

საჩივარი, რომელიც შევიდა კომისიაში 1993 წლის 5 აგვისტოს, მისაღებად გამოცხადდა 1995 წლის 18 მაისს.

საქმის მორიგებით დასრულების უშედეგო ცდის შემდეგ, კომისიამ 1996 წლის 15 მაისს შეადგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოაყალიბა ფაქტები და გამოთქვა თავისი ერთსულოვანი მოსაზრება, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

II. გადაწყვეტილების შინაარსი

A. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი

მიუთითა რა ფელდბრუგი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეეხებოდა არსებითად იმავე კანონმდებლობასა და საქმის წარმოებას, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების დასაშვებად მიჩნევა.

სასამართლომ გამოარკვია ამ საქმესთან დაკავშირებით გამართული გამარტივებული წარმოების შემდეგი მახასიათებლები:

პირველი - გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სააპელაციო კოლეგიის თავმჯდომარეს (ანუ მოქმედ თავმჯდომარ-

ეს), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეში მას რაიმე სხვა სახით მონაწილეობა არ მიუღია, გარდა სამედიცინო ექსპერტის დასკვნის კანონიერი ძალის დადასტურებისა.

მეორე - სასამართლომ მიუთითა, რომ განსხვავება არსებობდა ამ საქმის წარმოებასა და in absentia სისხლის სამართლის წარმოებას შორის, სადაც ბრალდებული არც ესწრებოდა და არც წარმოდგენილი იყო, რის თაობაზეც სასამართლოს, თავისი წინა გადაწყვეტილებით (1996 წლის 10 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილება, საქმეზე: თომანი შვეიცარიის წინააღმდეგ ღეპორტს 1996-III), არ დაუდგენია მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა. აღნიშნულ საქმეზე ჩატარებული პროცედურა მოიცავდა მომჩივნის სამედიცინო შემოწმებას. მას ჰქონდა ისეთი შენიშვნების გამოთქმის შესაძლებლობა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა, მაგრამ ექსპერტის და არა მოსამართლის მიმართ. ამდენად, იგი აქტიურად მონაწილეობდა ექსპერტის დასკვნის გამოტანაში, რაც მოქმედი თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი უნდა ყოფილიყო.

მიუთითა რა თავისი სასამართლო პრაქტიკაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა მიეღოთ არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება - სუბიექტური მხარე, არამედ ისიც, ეს მოსამართლე უზრუნველყოფდა თუ არა საკმარის გარანტიებს ამ საკითხში კანონიერი ეჭვის გასაბათილებლად.

წარმოდგენილი არ ყოფილა რაიმე ვარაუდი მოსამართლე S-ის მხრიდან წინასწარ უარყოფითი მოსაზრების ან მიკერძოების შესახებ. ამიტომ საჭირო იყო მხოლოდ ობიექტური ტესტის გამოყენება.

სასამართლოს აზრით, საქმისათვის გადამწყვეტი გარემოება იყო ის, რომ მოსამართლე შ-ი თავმჯდომარეობდა იმ სასამართლოს, რომელსაც გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა იმ საჩივრის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო შედგებოდა ერთი პროფესიონალი მოსამართლისაგან, რომელსაც დახმარებას უწევდა ორი მოსამართლე. უფრო მაღალ ორგანოს რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია.

წინამდებარე საქმე, თავისი შინაარსით, გარკვეულწილად, უახლოვდება ობერშლიკის საქმეს (ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ საქმეზე (№1) 1991 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, A სერიის № 204), სადაც მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილების გამოტანაში, ასევე მონაწილეობდა ამავე გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის სააპელაციო წესით განხილვაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ვარაუდი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ობიექტურად დასაბუთებული იყო.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დაირღვეოდა იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იქნებოდა ისეთი სასამართლო ორგანოს შემდგომი კონტროლის ქვემდებარე, რომელსაც სრული იურისდიქცია ექნებოდა და უზრუნველყოფდა მე-6 მუხლით დაწესებულ გარანტიებს.

ცენტრალური სააპელაციო სასამართლოს გადასინჯვის მოცულობა საკმარისი არ იყო სააპელაციო სასამართლოში გამართული პროცესის დანაკლისების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ცენტრალურმა სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო სამედიცინო მტკიცებულების ხელახალი შეფასება და სადავო საკითხის საკუთრივ თვითონ გადაწყვეტა.

მეორე მხრივ, ცენტრალური სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობა არ იყო იმგვარი, რომ უზრუნველეყო საკუთარი მიუკერძოებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, უკან დაებრუნებინა საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. მაგრამ იგი ასე არ მოიქცა და შედეგად, ვერ გამოასწორა აღნიშნული ნაკლი.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

(იხ. გადაწყვეტილების 43-55-ე პუნქტების და ოპერატიული დებულებების პირველი ნაწილი)

B. კონვენციის 50-ე მუხლი

მომჩივანმა მოითხოვა მატერიალური და არამატერიალური ხასიათის ზიანის, აგრეთვე, ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება.

სასამართლომ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი მომჩივნის მიერ მოთხოვნილ მატერიალური ხასიათის ზიანსა და დარღვევას შორის და, შესაბამისად, არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა ამ ნაწილში. გარდა ამისა, წარმოდგენილი არ ყოფილა არამატერიალური ხასიათის ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და, შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვევის აღიარება უკვე თავისთავად ამ საკითხში სამართლიან ანაზღაურებას წარმოადგენდა.

მომჩივნის მოთხოვნა მისი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა სრული მოცულობით.

(იხ. გადაწყვეტილების 56-63-ე პუნქტები და ოპერატიული დებულებების მეორე და მესამე ნაწილები)

სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა პლენარულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით;

თავმჯდომარე: ბ-ნი რისდალი (ნორვეგია). მოსამართლეები: ბ-ნი ფ. მატშერი (ავსტრია), ბ-ნი ჟ. დე მეიერი (ბელგია), ბ-ნი ი. ფუაგელი (დანია), ბ-ნი ა.ნ. ლუაზუ (კვიპროსი), ბ-ნი ა.ბ. ბაკა (უნგრეთი), ბ-ნი ა. ლოპეს როჩა (პორტუგალია), ბ-ნი დ. გოჩევი (ბულგარეთი) და ბ-ნი პ. ვან დეიკი (ნიდერლანდი), ასევე, ბატონები მ.ა. აისენი (მდივანი) და ჰ. პეტზოლდი (მდივნის მოადგილე).

სამმა მოსამართლემ გამოთქვა განსხვავებული აზრი, რომლებიც მოცემულია გადაწყვეტილების დანართში.